ლევან ცყეშელაშვილი

იმერეთის მეფე სოლომონ I - დიდი

ლევან ცყეშელაშვილი ■ იმერეთის მეფე სოლომონ I - დიდი

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია

ლევან ტყეშელაშვილი

იმერეთის მეფე
სოლომონ I - დიდი

ქუთაისი 2016

საქართველოს ისტორიაში XVIII საუკუნე ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი იყო. დასავლეთ საქართველო ოსმალთა ზეგავლენისა და ტყვეთა სყიდვის გამო გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა. იმერეთის მეფე სოლომონ პირველის სახით, ქვეყანას მხსნელი მოევლინა, მან აკრძალა ტყვეთა სყიდვა და დასავლეთ საქართველოს ციხეებიდან განდევნა ოსმალები. წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოდგენილია სოლომონ პირველის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ძირითადი ეტაპები. ნაშრომში განხილულია სოლომონ მეფის საეკლესიო პოლიტიკის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა უმრავლესობა უცნობია საზოგადოებისათვის. იმერეთის მეფემ ეროვნული იდეა დააყენა ყველაზე მაღლა და საზოგადოებამ დაიწყო სახელმწიფოებრივი გააზრება იმ პრობლემების, რაც ძალიან საშიში იყო ქვეყნისათვის. ცალკე წარმოვაჩინეთ ის უარყოფითი პირები, რომლებიც წინ აღუდგნენ საკუთარ მეფესა და ქვეყანას, რომელთაც დიდი ზიანი მიაყენეს.

იბეჭდება ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტ **კალისტრატეს** (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით

რედაქტორი: ისტორიის დოქტორი პროფესორი **მალხაზ მურუსიძე**

© **ლევან ტყეშელაშვილი**

ISBN 978-9941-429-94-1

სარჩევი

1. შესავალი 4
2. სოლომონ პირველის ტახტზე ასვლა 10
3. ტყვეთა სყიდვის აკრძალვა და ქუთაისის საეკლესიო კრება 19
4. ხრესილის ბრძოლა 1757 წ. 33
5. სოლომონ პირველის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ (1758-1768 წწ.) 46
6. ქუთაისის განთავისუფლება 1770 წ. 73
7. სოლომონ პირველის მიერ ეკლესია-მონასტრების აღდგენა . 98
8. სოლომონ მეფე და როსტომ რაჭის ერისთავი 116
9. სოლომონ მეფის მოღვაწეობის ბოლო პერიოდი და მისი გარდაცვალება 127
10. რეზიუმე ინგლისურ ენაზე 153
11. დანართი 154

შესავალი

წიგნი ეძღვნება მამიდას
მერი ტყეშელაშვილის ნათელ ხსოვნას

ქართველ ბაგრატოვან მონარქთა შორის მრავალი ღირსეული მეფე შეიძლება დავასახელოთ, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XVIII საუკუნეში მოღვაწე იმერეთის მეფე სოლომონ პირველს, მეფე, რომელმაც გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი ქვეყანა იხსნა თავისი შეუპოვარი და მიზანმიმართული ქმედებებით. უმძიმესი საგარეო და საშინაო პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, მან ქრისტიანული მსოფლმხედველობით გამსჭვალული იდეოლოგია გაატარა სამი ათეული წლის მანძილზე და უშუალოდ დაუპირისპირდა ოსმალეთის უდიდეს იმპერიას, რომელსაც ამ დროისათვის საქართველოს ერთ მესამედზე მეტი უკვე მიტაცებული ჰქონდა. ოსმალური საფრთხის გარდა ქვეყანას ანადგურებდა მოღალატე-დიდგვაროვან თავადთა ქმედებები, რადგან მათთვის ტახტზე ძლიერი მეფის არსებობა მიუღებელი იყო, ამასთანავე ისინი ჩართულნი იყვნენ „ტყვეთა სყიდვაში“, რაც განსაკუთრებით აჩანაგებდა დასავლეთ საქართველოს. ამ ურთულეს პერიოდში ტახტზე ადის 17 წლის მეფე სოლომონ I, რომელსაც ხელშეწყობის ნაცვლად დაუპირისპირდნენ საკუთარი ოჯახის წევრებიც კი, მათ შორის ბაბუა ლევან აბაშიძე, დედა თამარ აბაშიძე და ბიძები-მამუკა და გიორგი ბაგრატიონები. მიუხედავად ამდენი განსაცდელებისა ახალგაზრდა მეფემ შეძლო და ყველა ეს წინააღმდეგობა დაძლია და ქვეყანა განადგურებისაგან იხსნა. დღემდე არ არის შესწავლილი სოლომონ პირველის მოღვაწეობის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, ფართო საზოგადოებისათვის უცნობია გმირი მეფის უდიდესი დამსახურება ერის წინაშე, მეფე რომელსაც წილად ხვდა პატივი, თანამედროვეებს „მეორე აღმაშენებელი“ და „ქრისტიანთა ნათელი“ ეწოდებინათ. ქვეყნის განმანთავისუფლებელი მეფე მომავალმა თაობებმა „დიდის“ სახელწოდებით შეამკეს. სოლომონ მეფეს ამ ტიტულით პირველად მოიხსენიებდა იმერეთის დედოფალი მარიამ დადიანი 1808 წელს: „ნეტარხსენებულს დიდ მეფე სოლომონს დაუხსნია თათრიდამ“, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან სოლომონ მეფე ამ ტიტულით არაერთ ისტორიულ გადმოცემასა და მოგონებებშია მოხსენიებული. მადლიერმა

ქართველობამ ქვეყნის ოსმალთაგან გამანთავისუფლებელი მეფე „სოლომონ დიდის“ სახელით სამართლიანად შეამკო.

სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება, რათა შეგვექმნა ნაშრომი, რომელშიც სწორედ მეფის დამსახურებებზე იქნებოდა ყურადღება გამახვილებული, ასევე იმ ღირებულებებზე რომლებიც სერიოზული პრობლემა იყო იმ ეპოქაში, თუმცა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი დღესაც მოკლებულია სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და პასუხისმგებლობას. სწორედ სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ხალხზე თავდაუზოგავი ზრუნვის ნიმუში იყო სოლომონ მეფის ცხოვრება. წიგნში წარმოვაჩინეთ ასევე იმ პერიოდის არაერთი ადამიანის გადაგვარებული სახე, რომლებმაც მრავალჯერ უღალატეს ქვეყანას, მათმა კავშირმა ოსმალეთის იმპერიასთან მრავალი უბედურება მოუტანა ქვეყანას. ნაშრომში ასევე ცალკე თავი დავუთმეთ სოლომონ პირველის საეკლესიო-აღმშენებლობით მოღვაწეობას, რაც ასე გამორჩეული იყო ბოლო საუკუნეების განმავლობაში. ცალკე თავში განვიხილეთ გვიან შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიაში მომხდარი ერთ-ერთი უდიდესი ხრესილის ბრძოლა. 22 წლის ახალგაზრდა მეფემ მტრის 40 ათასიანი არმია დაამარცხა ოკრიბის ხეობაში, რითაც ოსმალთა ზეგავლენა შეარყია იმერეთში. ბრძოლაში გამარჯვება ერთგვარი გამოწვევა იყო ოსმალეთისათვის. ხრესილის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ სოლომონ მეფემ დაიწყო თავისი ეროვნული პოლიტიკის განხორციელება, მოიწვია საეკლესიო კრება ქუთაისში და კვლავ აკრძალა ტყვეთა სყიდვა. რიონის ოთხთავის მინაწერის მიხედვით ხრესილის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ „მეფემ მტყვის აღთქმა დასდუა მთელს ქრისტიანობაზე. ყოველმა ქრისტიანმა ხელი ამპყრობით ლოცვა შესწირა მეფისათვის“. ხრესილის ბრძოლა გარდამტეხი ეტაპი იყო ტყვის სყიდვის აკრძალვის საქმეში, ბრძოლაში მიღწეული წარმატების გამო კი მთელი ერი ლოცულობდა ხალხზე მზრუნველი მეფისათვის.

ტყვეთა სყიდვის აკრძალვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის, ოსმალეთის სულთნის არაერთი მოწოდების მიუხედავად სოლომონ მეფემ უარი განაცხადა ტყვეთა სყიდვის კვლავ აღდგენაზე. სოლომონ მეფის ინიციატივით აღადგინეს ქუთათელი ეპისკოპოსის კათედრა, რომელიც შვიდი ათეული წლის მანძილზე გაუქმებული იყო. სოლომონ მეფემ გაათავისუფლა მტრისაგან იავარყოფილი და

გუმბათჩამონგრეული ბაგრატის ტაძარი, რომელშიც აღადგინა ღვთისმსახურება. წარმოუდგენელი თავდადებისა და შეუდრეკელი ხასიათის წყალობით სოლომონ მეფე ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებდა ოსმალურ არმიებს, იგი ბრწყინვალე სამხედრო მანევრებითა და სწორი სტრატეგიით მტრის რიცხობრივად რამდენჯერმე აღმატებულ ჯარს ამარცხებდა. ამისათვის იგი ძალიან კარგად იყენებდა იმერეთის გეოგრაფიულ მდებარეობას და მტერს მოულოდნელი თავდასხმებით თავგზას უბნევდა, როგორ შეძლო ამდენი ომის მოგება უკიდურეს სიღარიბეში მყოფმა სამეფომ და მისმა მეფემ დღესაც გამოცანად რჩება, იგი ებრძოდა ამოუწურავი რესურსების მქონე ოსმალეთის იმპერიას, რომლის სულთანიც არაერთხელ გამოიყვანა წყობილებიდან. სოლომონის საბოლოოდ გასანადგურებლად ოსმალეთის სულთან მუსტაფა III-ის ბრძანებით იმერეთში 1765 წელს მტრის 80 ათასიანი არმია შეიჭრა და სოლომონი ტახტიდან ჩამოაგდო, თუმცა არც ასეთ უიმედო სიტუაციაში დაუყრია ფარ-ხმალი მეფეს და ორწლიანი მზადების შემდეგ ჩხარის ომში ოსმალთა და მოღალატე ქართველთა გაერთიანებული ჯარი სასტიკად დაამარცხა და მეფობა დაიბრუნა. 1770 წლიდან სოლომონ მეფემ ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო ოსმალთა წინააღმდეგ, მან კარგად გამოიყენა ამ პერიოდში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომი და იმერეთში არსებულ ოსმალურ ციხეებს მან რუსთა დამხმარე რაზმების ჩამოსვლამდე შეუტია და აიღო ცუცხვათის, ქუთაისისა და შორაპნის ციხეები. მსხვილკალიბრიანი ზარბაზნების არქონის გამო მას აუღებელი დარჩა ბაღდათისა და ქუთაისის შიგა ციხეები. 1770 წლის ზაფხულში ქუთაისი და იმერეთი საბოლოოდ განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან. სოლომონ მეფემ 120 წლიანი ტყვეობისაგან გაათავისუფლა ქუთაისი, სადაც თურქი ეროვნების 500 ოჯახი ცხოვრობდა. ქუთაისის ციხეში კი ოსმალებს მეჩეთი ჰქონდათ მოწყობილი და იმერეთს ოსმალურ ქალაქად გადაქცევა ემუქრებოდა. სოლომონ მეფე ამ უდიდეს გამარჯვებას ღვთისმშობლის შემწეობას მიაწერს და ქუთაისის განთავისუფლება მისი ოცნება იყო, იგი დღე და ღამე იმის ცდაში იყო, როგორმე ქალაქი მტრისაგან გაეწმინდა და მიაღწია კიდეც მის სანუკვარ ოცნებას - „ოდეს წყალობით მოხედვა ჰყავ, მაცხოვარ ქრისტე სიმდაბლისადმი ჩვენისა და ოთომანიანთა, ტყვევნისაგან თავისუფლებას მიეცა ქვეყანა ჩვენი“. ამ სიტყვებშიც ნათლად იგრძნობა იმერთა მეფის განსაკუთრებული თავმდაბლობა, რადგან ეს სიგელი 1777 წელსაა დაწერილი, როცა უკვე

ოსმალები განდევნილნი იყვნენ მის მიერ იმერეთიდან, მაგრამ იგი მათ განდევნას ქრისტეს შეწევნას მიაწერს. სოლომონის მიერ ოსმალთაგან გამოხსნა ებრაელი ერის ეგვიპტელთა მონობისგან დახსნას არის შედარებული; „აღოხრებულ იქმნა ჩვენ მიერ ქალაქ ციხენი და სიმაგრენი მათნი და ხსნილ ვიქმნენით მათ მიერ ეგვიპტელებისა და უძვირესსაცა ვნებისაგან შეწევნითა შენითა“. ოსმალეთის ხელისუფლებას ძალიან ძვირი უჯდებოდა სამხედრო ოპერაციები სოლომონ მეფის წინააღმდეგ. მარტო 1765 წლის სამხედრო კამპანია 1200 ქესა (360 000 მანეთი) დახარჯულა, მაგრამ შედეგი უარყოფითი იყო, სოლომონ მეფემ კვლავ შეინარჩუნა ტახტი და გააგრძელა ღირსეული ბრძოლა უძლიერს მტერთან. ცალკე თავებში ყურადღება გავამახვილეთ სოლომონ პირველის მიერ ეკლესია-მონასტრების აღდგენა-გამშვენიერებაზე. ოსმალთა მიერ არაერთი ეკლესია საფუძვლამდე იქნა დანგრეული, უმეტესობაში კი ღვთისმსახურება გაუქმებული იყო. გაბნეული და მიტაცებული იყო ეკლესიათა მამულები, ეკლესიას აღარ გააჩნდა მატერიალურ-ეკონომიკური შესაძლებლობა, რათა თავისი ფუნქცია შეესრულებინა. სოლომონ მეფემ თავისი პოლიტიკით შეძლო მოეძიებინა და ეკლესიისათვის დაებრუნებინა მიტაცებული ყმა-მამული, რამაც ეკლესიას მისცა შესაძლებლობა, სოლომონ მეფეს გვერდით ამოსდგომოდა მტერთან წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკლესიის ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ.

ამ ადამიანებმა ღირსეულად განვლეს თავიანთი ცხოვრება და უკან არ დაუხევიათ. ისინი მუდამ ქვეყნის სადარაჯოზე იდგნენ და გმირობისა და თავდადების მაგალითები დაგვიტოვეს, ბევრი მათგანის ვინაობა ჩვენთვის უცნობია, მრავალი მათგანი კი ბრძოლაში დაეცა, თუმცა მათ თავდადებას უკვალოდ არ ჩაუვლია. მათ სამშობლო გადაარჩინეს, ქართველი ერი იხსნეს ფიზიკური განადგურებისაგან და ამით საუკუნო დიდება მოიპოვეს. ჩვენი ვალია უფრო მეტი ვიცოდეთ ამ ადამიანებზე, მეტად მივაგოთ პატივი და მათი ხსოვნა უკვდავყოთ. იმედი გვაქვს ეს წიგნი ამის ერთი მცდელობაა, რათა უფრო კარგად განვიცადოთ იმ პერიოდის ურთულესი სიტუაცია და სოლომონ მეფესა და მის თანამებრძოლებს შესაფერისი პატივი მივაგოთ. მომავალში აღნიშნული მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, შესასწავლია გამოუქვეყნებელი დოკუმენტების ის ნაწილი, რომელიც საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ რუსეთისა და თურქეთის რესპუბლიკაშია,

რითაც საშუალება მოგვეცემა აღნიშნული ეპოქა სრულად იქნეს გამოკვლეული.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ XVIII-XIX საუკუნის წყაროები, რომლებიც არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაგრატიონ ბატონიშვილთა: დავით, ბაგრატ და ვახუშტი ბაგრატიონთა ცნობები სოლომონ მეფის შესახებ. განსაკუთრებით ფასეულია 1772 წელს იმერეთში მყოფი ანტონ გიულდენშტედტის ინფორმაცია იმ პერიოდის იმერეთის მდგომარეობის შესახებ. სოლომონ მეფისა და სამეგრელოს მთავართა ურთიერთობის შესახებ გადმოგვცემს ნიკო დადიანი თავის შრომაში. მეფისა და როსტომ რაჭის ერისთავის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის კათოლიკე მისიონერი ლეონი, მართალია რიგ შემთხვევებში მათი ცნობები ტენდენციურია, მაგრამ არაერთი საკითხის გამოსარკვევად მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. იმ პერიოდის მოვლენების შესახებ საინტერესოა საისტორიო და ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები, რამაც საშუალება მოგვცა ზოგიერთ საკითხზე უფრო სრული წარმოდგენა შეგვქმნოდა. განსაკუთრებით ფასეულია საქართველოს საისტორიო არქივსა და ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული სიგელები, რომლებიც სოლომონ პირველის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ გვაწვდის ცნობებს. ჩვენ მოგვიწია ზოგიერთი გამოქვეყნებული სიგელის ხელმეორედ ნახვა, რადგან რელიგიური მიმართულებით მათი შესწავლა თავის დროზე არ მომხდარა. ხრესილის ომსა და სოლომონ პირველის მოღვაწეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ამბროსი ხელაიას (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი) შრომაში. რუსეთის იმპერატორ ეკატერინესა და რუს მოხელეებთან ურთიერთობაზე უმთავრეს წყაროდ გვევლინება ალექსანდრე ცაგარელის „Грамоты“, რომელშიც მრავალი დოკუმენტია დაცული. ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსი ავტორების შრომები, რომლებშიც მრავალი საინტერესო ინფორმაციაა სოლომონ მეფის შესახებ, აქვე უნდა შევნიშნოთ ზოგი რუსი ავტორის ტენდენციურობა სოლომონ მეფის პიროვნებასთან მიმართებაში.

ისტორიოგრაფიული ნაშრომებიდან უპირველეს რიგში უნდა დავასახელოთ ისტორიკოს შოთა ბურჯანაძის სადისერტაციო ნაშრომი „სოლომონ პირველი“ (პოლიტიკური მიმოხილვა), 1948 წელი. ნაშრომი ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული და მასში

სოლომონ მეფის მოღვაწეობის მრავალი ნიუანსია გამორკვეული. ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია დასახელებული ავტორის სხვა შრომები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. სოლომონ მეფის შესახებ საინტერესო გადმოცემები და ფაქტებია დაცული XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში, რომელთა გაცნობამ მრავალ საკითხს მოჰფინა ნათელი. ბოლოს უნდა აღვნიშნოთ ისტორიკოს მიხეილ რეხვიაშვილის წიგნები „იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ)“. თბ. 1989 და „იმერთა მეფენი სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე ქუთ. 1992. ნაშრომში შესწავლილია სოლომონ პირველის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ბრძოლები, პოლიტიკური საკითხები და სხვა.

სოლომონ მეფეს ძალზე მძიმე ცხოვრება ჰქონდა, მამა ადრე 17 წლისას გარდაეცვალა, დედა თამარ აბაშიძე, აჯანყებაში მონაწილეობის გამო 1753 წელს იმერეთიდან გააძევა და მასთან ურთიერთობა აღარ ჰქონია. 1775 წელს სოლომონს გარდაეცვალა ძმა არჩილ ბატონიშვილი, 1776 წელს მეორე ძმა იოსებ კათალიკოსი, 1778 წელს ცოლი მარიამ დადიანი, 1780 წელს ვაჟი ალექსანდრე. როგორც ჩანს ამდენმა ტრაგედიებმა სოლომონ მეფის ჯანმრთელობა შეარყია და იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა აღესრულა საკუთარ სასახლეში უეცარი შეტევით.

წიგნში შევეცადეთ იმერეთის სახელოვანი მეფის შესახებ მოგვეძიებინა ცნობები და შეგვექმნა ისეთი ნაშრომი, რომელშიც სოლომონ მეფის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და საეკლესიო მოღვაწეობაზე იქნებოდა ყურადღება გამახვილებული. სოლომონ მეფის მოღვაწეობის სრულად გადმოცემა ვერც ამ წიგნში მოხერხდება და ამ მხრივ მომავალში კვლევა-ძიების გაგრძელება აუცილებელია. წიგნში ქართველი საზოგადოება მრავალ საინტერესო და აქამდე უცნობ მასალას გაეცნობა, რაც საშუალებას მოგვცემს ნათელი წარმოდგენა გვქონდეს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდზე, რათა უფრო კარგად დავაფასოთ სოლომონ მეფის ღვაწლი, ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავგანწირვის ფასად „მეორე აღმაშენებლის“ სახელი მოიპოვა და მის მიერ მტერთან წარმოებული ბრძოლები დღესაც განცვიფრებას იწვევს.

სოლომონ პირველის ტახტზე ასვლა

სიყრმით ჩვეული ომს, არ ძლეული,
გულმედგრეული, დიდგვარეული;
სარო რხეული, კეთილზნეული,
თვალთსანთლეული, საოცეული;
ხმალ-კვრით რჩეული, ანაზდეული;
და არ გაქცეული, სისხლდაქცეული,
მარჯვედ მხრეული, უურვეული!

ზესიკი

XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან იმერეთის სამეფო ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმერეთის მეფე ალექსანდრე V 1720-1752 ცდილობდა ქვეყანა აშკარა საფრთხისაგან ეხსნა და ოსმალური ზეგავლენა როგორმე შეემცირებინა. მაგრამ საშინაო და საგარეო სიტუაცია მას საშუალებას არ აძლევდა, გარკვეული წარმატებისთვის მიეღწია. ამ დროისათვის იმერეთის მეფეს ხელი აღარ მიუწვდებოდა ქუთაისის ციხის კონტროლზე, მასთან დაპირისპირებული იყვნენ სამეგრელოს მთავარი და რაჭის ერისთავი, რომლებიც ოსმალეთთან კავშირში ყოველნაირად მტრობდნენ ქვეყანას. ალექსანდრე მეფე რამდენჯერმე ჩამოაგდეს ტახტიდან, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ქვეყნის მდგომარეობა. ალექსანდრე მეხუთის დროს იმერეთში რამდენჯერმე ილაშქრეს ოსმალებმა, ქვეყანა თანდათან ოსმალეთის სრული ზეგავლენის ქვეშ ექცეოდა. იმერეთში გაიზარდა თურქი ეროვნების მოსახლეობის რიცხვი, ქართველები ნელ-ნელა ტოვებდნენ მამა-პაპისეულ ადგილებს და მაღალმთიან ადგილებში აფარებდნენ თავს. მათ ადგილს ქუთაისსა და სხვა სტრატეგიულ ადგილებში ოსმალები იკავებდნენ. უმთავრესი პრობლემა ქვეყანა-ში მაინც ტყვეთა უკონტროლო სყიდვა იყო, რამაც მაქსიმალურად შეამცირა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა. ცალკე თავში უფრო კონკრეტულად შევეხებით აღნიშნულ პრობლემას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ეს იყო ოს-

მალური პოლიტიკის ნაწილი, გადასახადები, რომლებიც მათ ქართველ ხალხს დაუწესეს იმერეთს უკიდურესად აღარიბებდა, გაღატაკებული მოსახლეობა კი ურთულეს მდგომარეობამდე იყო მისული, მას ან სარწმუნოება უნდა შეეცვალა, ან თავისი ადგილ-მამული გაეყიდა, უკიდურეს შემთხვევაში ოჯახის წევრის გაყიდვაზეც მიდიოდა საქმე. რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ოსმალეთი აქტიურად ანხორციელებდა თავის პოლიტიკას იმერეთში, ოსმალებმა თავიანთი ზეგავლენა თავს მოახვიეს ზოგიერთ ქართველ დიდებულს, რამაც ქართველთა შორის წინააღმდეგობა და უნდობლობა დათესა. ამგვარი მოქმედებით კი ოსმალები იმერეთის მეფის მაქსიმალურად დასუსტებას ცდილობდნენ, რათა მას წინააღმდეგობა ვერ გაეწია და უმწეო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. ოსმალეთის ამგვარმა პოლიტიკამ საკმაოდ კარგად იმოქმედა, ისინი მრავალი წლის მანძილზე ახერხებდნენ ორგული ქართველების გადაბირებას და მათ სამსახურში ჩაყენებას. ამასთან ერთად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია, ეკლესიის დასუს-ტება ოსმალთა უშუალო ინტერესებში შედიოდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ამაღელვებელია ხონელი მთავარეპისკოპოსის ანტონის ცნობები: „თათრის ვალი დაგვედვა ცხრაას და ჩვიდმეტი მარჩილი, მერმე იმ ჩვენმა მოვალე თათარმა დაგვიჭირა, ცუცხვათელმა თათარმა. ვიკარგებოდით და რჯული გვეშლებოდა ... გაურჯულოებას მამულის გაყიდვა ვარჩიეთ“ (ბურჯანაძე. 1948: 72). ძალზე დამაფიქრებელია ანტონ მთავარე-პისკოპოსის სიტყვები, თუკი ეკლესიის მაღალ იერარქს ოსმალთა ვალი დაედო და გაყიდვის საფრთხე დაემუქრა, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ რიგითი ადამიანები. აქედან გამომდინარე სოლომონ მეფის დამსახურება ტყვეთა სყიდვის აკრძალვის საქმეში განსაკუთრებულ შეფასებას საჭიროებს. ტყვეთა სყიდვის აღკვეთა ვერცერთმა მისმა წინამორბედმა ვერ შეძლო. სოლომონის ტახტზე ასვლამდე ოსმალებმა სრულად დაიმორჩილეს დასავლეთ საქარ-თველო. ამ ფაქტის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროა 1730 წლის ახლო ხანებში ქუთათელი მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილის მიერ

დახატული რუკა, რომელიც იმერეთის მეფეს რუსეთში გაუგზავნია; რუკის შუა ნაწილში გამოსახული იყო „ქუთაისის ციხე“, რომლის ქვეშაც შემდეგი წარწერაა- „მეფე მელეთინწკისა: ალექსანდრე: მართლმადიდებელი გვირგვინოსანი თანადგომითა პატრიარქისა ჩვენისა: გრიგოლისათა: და ყოველთა ერთათა“ (მათურელი. 1949:211). ოსმალთა ინტერვენციის გამო ალექსანდრე მეფე დახმარებას რუსეთის იმპერიისაგან ითხოვდა და ამის გამო თავისი სამეფოს რუკას აგზავნიდა რუსეთში. რუკაზე მოცემული წარწერები ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის; რუკის მიხედვით ოსმალები დასავლეთ საქართველოში ფლობდნენ რვა დიდ ციხეს: ანაკლიის, ბაღდათის, რუხის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის, შორაპნისა და ცუცხვათის. ბაღდათის ციხეში ასი თურქი მეციხოვნე დგას, რუხის ციხე ხანდახან ეკავათ თურქებს. სოხუმის ციხე 1723 წელს აეშენებინათ თურქებს, შიგ სამოცი დიდი თოფი ჩაუდგამთ, ასი მეციხოვნე ჩაუყენებიათ, ფოთის ციხე 1723 წელს აუგიათ თურქებს და 200 იანიჩარი ჩაუყენებიათ, შიგ ჩადგმულია 50 დიდი თოფი. ქუთაისის ციხეში 500 თურქი მეციხოვნე დგას. შოროპანი 100 თურქი დგას, ცუცხვათის ციხეშიც 100 იანიჩარია (ბურჯანაძე.1959:183). საოკუპაციო ჯარები ორთუღიან ფაშებს ემორჩილებოდნენ, რომლებიც სოხუმსა და ფოთში ისხდნენ. ოსმალეთის იმპერიას 1723 წლიდან ფოთისა და სოხუმის ციხეთა აშენებით მთელი შავიზღვისპირა და ქვეყნის შიგა რეგიონების კონტროლი გადაუწყვეტია, ორთუღიანი ფაშები სწორედ ახლად აგებულ ციხეებში დაუსვამთ, რათა საჭიროების შემთხვევაში ზღვით იოლად დაკავშირებოდნენ ოსმალეთს. დასავლეთ საქართველოში კი ყველაზე მეტი თურქი ჯარისკაცი ქუთაისში იდგა, რადგან ქუთაისი იყო იმერეთის მეფის რეზიდენცია და მისი ფლობით მთელი დასავლეთ საქართველოს გაკონტროლება მოხერხდებოდა. ასეთი რთული მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში სოლომონ პირველის გამეფებამდე.

იმდროინდელ მძიმე პილიტიკურ სიტუაციაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სოლომონის მამის - ალექსანდრე V-ის მიერ 1732 წელს რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილი წერილი: „... წარიწირა ... ქრისტიანობა ყოველსა საქართველოსა და

მივეცენით... ხარკსა და ზვერსა (გადასახადი) აგარიანთასა. და ვითარცა სისრა (ისარი) სასტიკი აღტეხილ არს უსჯულოსა ლეკთა მძლავრება... მონასტერნი არიან სადგურ აგარიანთა და ეკლესიანი იქმნენ ქვაბ ავაზაკთა. გვირგვინშემოსილნი, კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი არიან ტყუეობასაშინა...“ (ბურჯანაძე.1950:72). ალბათ კომენტარიც ზედმეტია, ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა და ალექსანდრე მეფე გამოსავალს თავისი სამეფოს გარეთ ეძებდა. მრავალ პრობლემასთან ერთად ალექსანდრე მეფეს 1730 წელს გარდაეცვალა მეუღლე მარიამ დადიანი, ეს ტრაგედია მძიმედ განუცდია მეფეს, აღნიშნავს კიდეც „საცთურიანმა სოფელმა წარმიღო ჩემი თვალის ნათელი, მეუღლე ჩემი...“ (ქრონიკები.1967:134). ალექსანდრე მეფემ მარიამ დედოფალი მის მიერ აღდგენილ და გამშვენიერებულ გელათის წმინდა ანდრიას სახელობის ეკვდერში დააკრძალვინა. იგი 1732 წელს ცოლად ირთავს იმერეთის უძლიერესი თავადის ლევან აბაშიძის ქალიშვილს თამარს, რომლისგანაც შეეძინა მეფეს 1735 წელს სოლომონი, ტახტის მომავალი მემკვიდრე. სოლომონი დედმამიშვილებს შორის უფროსი იყო, მის ძმებთან დაკავშირებით წყაროები განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან. მზია სურგულაძის მიხედვით ალექსანდრე მეფის შვილები იყვნენ: სოლომონი, დავითი, იესე, ბაგრატ, არჩილ, მარიამ (სურგულაძე. 1995:59). არსებობს კიდევ გუჯრების კრებული H 1705, ამ კრებულ-ში, დამტკიცების წიგნში მოხსენიებული არიან - „მეფე ალექსანდრე, დედოფალი თამარი და ძენი მათნი სოლომონ, ნარინ დავით, იესე, ბაგრატ, არჩილი და გიორგი“ (საქ. სახ. მუზ. ხელნ. აღწ. IV.1950:210). ისინი მღვიმის მონასტერს უმტკიცებენ ძველ მამულებს, სიგელი დათარიღებულია 1749 წლით. ჩამოთვლილი პირები არიან ალექსანდრე მეფის შვილები თამარ აბაშიძესთან, ხოლო მას კიდევ ჰყავდა შვილები მარიამ დადიანთან, რომლებზეც ქვემოთ ვისა-უბრებთ. ქუთაისის მუზემში დაცული ერთი სიგელი ოდნავ განს-ხვავებულ სიას გვაწვდის; „ძემან ჩვენმა ბატონიშვილმა სოლომონ, ნარიმ დავით, ბაგრატ, იესემ, არჩილ და გიორგიმ, სხვათა შვილთა“ (ქიმ.ისტ.საბ.№775). აქ დასახელებული გიორგი მზია სურგულაძის ნუსხაში არ იხსენიება, „სხვათა შვილთაში“ იგულისხმება ალბათ

ქალიშვილები. აღნიშნული სიგელი გამოყენებული აქვს თავის დისერტაციაში შ. ბურჯანაძეს. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ქუთაისის მუზეუმში მიკვლეული იქნა კიდევ ერთი დოკუმენტი, სიგელი 1753 წელს უნდა იყოს შედგენილი, რადგან მასში მოხსენიებულია სოლომონ მეფესთან ერთად მისი პირველი მეუღლე თინათინ შარვაშიძე, მათ ქვემოთ სხვა ხელით ჩამოთვლილია სოლომონის ძმები- „ძმამან ჩვენმან იესემ, ბაგრატ, არჩილი, გიორგი და პეტრემ“ (ქიმ.ისტ.საბ.№989).

ზემოთ დასახელებულ ორ ნუსხაში პეტრე საერთოდ არ იყო მოხსენებული, ეს პეტრე იყო სოლომონ პირველის ძმა, რომელიც შ. ბურჯანაძის აზრით 1758 წლიდან ახალციხის ფაშასთან იყო მძევლად, როცა იქ სოლომონ მეფე იყო საჩივლელად მისული (ბურჯანაძე. 1948: 63). ბოლო ვარიანტში გამოტოვებულია ნარინ დავითი, ყველა წყაროს შეჯერების საფუძველზე კი გამოდის რომ ალექსანდრე მეფეს ჰყოლია შვიდი ვაჟი და დაახლოებით ორი ქალიშვილი. დასახელებული ძმებიდან ისტორიულ წყაროებში გვხვდება მხოლოდ არჩილი და ბაგრატი. ბაგრატ ბატონიშვილს იხსენიებს ანტონ გიულდენშტედტი, რომელიც 1772 წელს იმყოფებოდა იმერეთში: „ბაგრატი და არჩილი ცხოვრობენ როგორც იმერელი თავადები თავიანთ მამულებში“. იესე ჩვენი აზრით უნდა იყოს იოსებ კათალიკოსი, ხოლო პეტრე მძევლად იმყოფებოდა ახალციხეში, პეტრე უნდა ყოფილიყო ალექსანდრეს შვილი მარიამ დადიანისაგან. სხვები - ნარინ დავითი და გიორგი წყაროებში არ იხსენიებიან, რაც საკმაოდ უცნაურია. მ. რეხვიაშვილი ასახელებს სოლომონ მეფის მხოლოდ სამ ძმას: იოსებს, ბაგრატს და არჩილს, თუმცა წყაროების მიხედვით სოლომონს ექვსი ძმა და ორი და - მარიამი და დარეჯანი ჰყოლია.

ალექსანდრე მეფის ქალიშვილი დარეჯანი, ცოლად ჰყავდა გიორგი აბაშიძეს, რომელიც იყო დედა დავით აბაშიძისა (ქუთ. მუზ. ისტ. საბ. #596.

სოლომონ მეფის აღმზრდელი ყოფილა ვინმე ნაფიჩავაძე, რომელსაც მეფემ 1754 წელს საური ამოუწერა: „მეფეთ-მეფე სოლომონ, შენ ძიძას, და შენ შვილებს ნიკოლოზას და დათუნა ნაფიჩავაძეს; ასე რომ ჩემი

ძიძა იყავით“ (ბურჯანაძე. 1948:11). ხალხური საისტორიო გადმოცემით ალექსანდრე მეფეს შიში ჰქონია, რომ სოლომონს თურქები წამართმევენ და მომიკლავენო, ამიტომ იგი სოფელ მამაწმინდაში აზნაურ მესხთან გაუგზავნია დასამალად (სიხარულიძე. 1964:150). ამ გადმოცემას შესაძლოა, რეალური საფუძველი ჰქონდეს, რადგან მამაწმინდაში ახლაც არის ადგილი, რომელსაც მეფეთა სადგომს უწოდებენ და სოფელში დღესაც ცხოვრობს მესხის გვარის ერთი ოჯახი. მამაწმინდა მდინარე რიონის ხეობაშია და რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაშორებული ქუთაისიდან და მთიანი სოფელია. ამ მხრივ იგი მართლაც გამოდგებოდა მცირეწლოვანი სოლომონის ოსმალთაგან გასარიდებლად. სხვა ცნობები სოლომონის აღზრდასთან დაკავშირებით არ გვაქვს, გარდა ერთი გადმოცემისა, რომლის მიხედვითაც სოლომონ მეფეს ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში დაუწყია ფარული ბრძოლა სამშობლოს გამყიდველთა წინააღმდეგ. როცა მან ჩამოაყალიბა საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც „წმინდა გიორგის“ რაზმი ეწოდებოდა. რაზმში სოლომონი, მისი ძმა არჩილი და თავიანთი თანატოლები შეითქუნენ და შექმნეს საიდუმლო რაზმი. სოლომონს გულიდან აუხსნია „ძელი ჭეშმარიტი“ და თითოეულს ერთგულება მასზე შეუფიცავს. დღე არ გავიდოდა ქვეყნის ორგული არ აეწიოკებინოთ, ვინც თათრების მომხრეთ და ერთგულად იყო შენიშნული. რაზმს სოლომონი ხელმძღვანელობდა (წმინდა გიორგის რაზმი. 1904:9-12). როგორც ჩანს სოლომონმა ჯერ კიდევ ჭაბუკობისას დაისახა მიზნად რათა იმერეთში ტყვეებით ვაჭრობა შეწყვეტილიყო. ამ გასაიდუმლოებული სამხედრო რაზმის მოქმედებას შედეგი გამოუღია და „ვინ იცის, რა ბედი მოელოდა იმერეთს, თუ ღვთის განგებით იმ ხანებში არ შემდგარიყო საზოგადოება „წმინდა გიორგის გუნდად წოდებული“, წმინდა გიორგის რაზმში გაერთიანებული იყვნენ უფლისწულები, სამეფო ტახტის მემკვიდრე – სოლომონ ბატონიშვილი და მისი უმცროსი ძმა არჩილი, ასევე ერთგული თავადები. თავისი ფრთხილი და წინდახედული მოქმედებით ამ პატარა რაზმმა ისე დააფრთხო თურქები და ისე გაუმთელა გული ქრისტიანობას, სოლომონს ბევრი აღარ დასჭირვებია თათრების მოსაგერიებლად“ (იქვე:9). სოლომონ

მეფეს ეს რაზმი 1752 წლამდე უნდა ჩამოეყალიბებინა, მაშინ როცა იგი 15 ან 16 წლისა იყო, ვინაიდან აღნიშნულ წყაროში ბატონიშვილად არის დასახელებული რადგან 17 წლის ასაკში იგი ადის სამეფო ტახტზე*. ამ საიდუმლო რაზმის წევრები უნდა ყოფილიყვნენ პაატა, ბერი და გიორგი წულუკიძეები, რომლებიც „სამეფოსა

პალატსა შინა“ „იზრდებიან“, სოლომონის „საიდუმლო განზრახვათა ... მისანდონი“ არიან და იმერეთის განთავისუფლებისათვის თავდადებით იბრძვიან“ (სოსელია.1981:56). შემდგომში სოლომონ მეფე ძლიერ დაახლოებული იყო ბერ წულუკიძესთან. 1752 წელს გარდაიცვალა სოლომონის მამა ალექსანდრე მეფე, რომელიც გელათში წმინდა ანდრიას სახელობის ეკვდერში დაკრძალეს. ტახტზე ავიდა ჯერ კიდევ ყმაწვილი მეფე სოლომონი, რომელსაც უამრავი გამოწვევა ელოდა. არსებობს ზოგიერთი საბუთი, რომლის მიხედვითაც სოლომონი მეფედ იხსენიება 1752 წლამდე. იგი მეფედ იხსენიება 1750 წელს ხონის წმინდა გიორგის ტაძრის სიგელში: „ახლა ღთისა მიერ რჩევით წარმოჩენილმან ხელმწიფემ მეფეთ-მეფემ სოლომონ და დედოფალთ-დედოფალმან სარწმუნოებით ნათელფენილმან დადიანის ასულმან მარიამ შეგვიწყნარა და ეს სამთავარეპისკოპოსო ეკლესია და მამული და ნახევარი ბაჟი მიბოძა“ (კაკაბაძე.1914: 95). 1750 წელს მარიამ დადიანი სოლომონის მეუღლე ჯერ კიდევ არ იყო, ასე რომ საბუთი უფრო გვიანდელია და იგი 1753 წლის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი. 1750 წელსვე იხსენიება

*ამ გადმოცემაში საუბარია, რომ სოლომონი იმ დროისათვის 18 წლის იყო, მისი უმცროსი ძმა არჩილი მაღალი, ძალზე ძლიერი და მარჯვე ახალგაზრდა ყოფილა, მას „არჩილ გიჟს“ ეძახდნენ. სოლომონიც კარგი შესახედაობის ყოფილა, ის ბევრად არ ჩამოუვარდებოდა არჩილს, მას ძალიან უჭრიდა თვალი და მის თვალებში შეჩერებას ვერავინ ბედავდა. სოლომონს მეტსახელად „ქვახეთქიას“ უწოდებდნენ. ახალგაზრდებს შეუფიციათ ერთმანეთისათვის, რომ ხალხის მტრებს გაუსწორდებოდნენ. მათ დაუდევთ პირობა, რომ თავისი საიდუმლო მტკიცედ უნდა შეენახათ. (აკაკის კრებული. 1898. №9). გადაიქცა თუ არა ეს ორგანიზაცია შემდგომში „ფიცისკაცთა“ ინსტიტუტად რთული სათქმელია, თუმცა ფაქტია, რომ სოლომონს ადრეული პერიოდიდანვე დაუწყია ფიქრი ქვეყნის გადასარჩენად.

სოლომონ პირველი მეფედ გელათის ერთ სიგელში: „მღვდელ-მონაზონი ლაზარე ურგებლიძე სწერავს... შევვედრებივარ ამ ჩემს ხელმწიფის შვილს გაენათელს იოსებს და შემდგომს კვალად გენათელს, რათა წელიწადშიდ თვითონ მოხსენებას და წირვას ყოფდნენ ჩემ ცოდვილთათვის“ (იქვე:97). სიგელში ასევე იხსენიება ქუთათელი მღვდელმთავარი მაქსიმე აბაშიძე, რომელსაც 1750 წელს ქუთათელის კათედრა ჯერ კიდევ არ ეკავა, ასევე ვერ იქნებოდა გაენათელი მღვდელმთავარი იოსები, ვინაიდან იგი ალექსანდრეს მესამე შვილი იყო და დაბადებული უნდა იყოს 1738 წელს, შესაბამისად იგი 1750 წელს გაენათელი ეპისკოპოსი ვერანაირად ვერ იქნებოდა. საბუთში ასევ იხსენიება ხელმწიფის კარის მოძღვარი სილიბისტრო ღოღობერიძე. აღნიშნული სიგელიც უფრო გვიან უნდა იყოს შედგენილი და სოლომონის გამეფება 1752 წლამდე არარეალურია.

როგორც ჩანს, მან გამეფებისთანავე გამოავლინა თავისი მტკიცე ხასიათი რის გამოც მას დაუპირისპირდნენ მისი უახლოესი ადამიანები და ტახტიდან ჩამოაგდეს. იმერეთის თავადებმა, რომელთაც სათავეში ედგა მეფის ბაბუა ლევან აბაშიძე, როსტომ რაჭის ერისთავი, კათალიკოსი ბესარიონი და ორი ბიძა მამუკა და გიორგი ბატონიშვილები. აჯანყებულთა მხარეს ყოფილა სოლომონის დედაც თამარ აბაშიძე, ინტერესს იწვევს აღნიშნული ფაქტი, დედის დაპირისპირება საკუთარ შვილთან, რადგან ყმაწვილ მეფეს მამა ადრე გარდაეცვალა, დედა კი აჯანყებულთა მხარეს დადგა. ეს აჯანყება იყო სოლომონ მეფისათვის პირველი გამოწვევა, სადაც მან გამოავლინა საოცარი უნარი და სწორი მოქმედებით ტახტი დაიბრუნა. ვახუშტის მიხედვით სოლომონ მეფემ ახალციხის „ფაშა ჩამოიყვანა და დაიპყრა კვალად იმერეთი“ (ქართლის ცხოვრება IV.1973:913). ამასთან დაკავშირებით მ. რეხვიაშვილი აღნიშნავს: „სოლომონმა კარგად იცოდა, რომ ფაშას დახმარების გარეშე სამეფო ტახტზე ვერ აღდგებოდა“ (რეხვიაშვილი. 1989:177). სოლომონ მეფეს საკმაო პერიოდი დასჭირდა ტახტის დასაბრუნებლად, რადგან იგი მხოლოდ მეორე წელს იბრუნებს ტახტს.

ტახტის დაბრუნების შემდეგ სოლომონ მეფეს დაუსჯია აჯანყე-

ბის მოთავეები, მას იმერეთიდან გაუძევებია ბიძები; მამუკა და გიორგი ბატონიშვილები და საკუთარი დედა თამარ აბაშიძე. საკუთარ ბაბუის ლევან აბაშიძისთვის კი სამკვიდრო სოფელი კაცხი თავისი ციხესიმაგრით ჩამოურთმევია. თუმცა დაისაჯნენ აჯანყებულები, ალბათ გადამეტებულია, რადგან მათ კიდევ უფრო მეტი საფუძველი მიეცათ თავიანთი ბრძოლა გაეგრძელებინათ. დაუსჯელი დარჩა როსტომ რაჭის ერისთავი, მისმა ძმამ კათალიკოსმა ბესარიონმაც შეინარჩუნა ტახტი, ხოლო ლევან აბაშიძემ უფრო მეტი მონდომებით დაიწყო მზადება შვილიშვილის ტახტიდან ჩამოსაგდებად.

ამ დროისათვის სოლომონ მეფე თავის პირველ ქორწინებაში იმყოფებოდა აფხაზეთის მთავრის შარვაშიძის ასულ თინათინთან. ეს ქორწინება ალბათ 1752 წელს შედგა და ერთი ან ორი წელი გაგრძელდა. ქუთაისის მუზეუმში დაცულია სულ სამი სიგელი, რომლებშიც თინათინი სოლომონის მეუღლედ იხსენიება. აქედან ერთი საბუთია თარიღიანი, რომელიც 1753 წლის ივლისით თარიღდება, „მეფეთ-მეფე სოლომონ, პატრონმა ღვთისაგან დაცულმა დედოფალთ-დედოფალმან თანამეცხედრემან ჩვენმან შერვაშიძის ასულმან თინათინ“ (ქიმ.ისტ.საბ.№842). მეორე სიგელზე წელი არ იკითხება, ისიც სავარაუდოდ ამ წელს უნდა იყოს დაწერილი, მესმეს კი თარიღი საერთოდ არ აქვს და სიგელში მხოლოდ დედოფალთ-დედოფალი თინათინი იხსენიება, რომელიც წყალობის სიგელს აძლევს ვახტანგ იაშვილს და გეგუთში მამულს უბრუნებს, რომელიც უდროობის გამო სამეფო ოჯახს გამოურთმევია (ქიმ.ისტ.საბ.№864). სოლომონ მეფე, როგორც ჩანს, თინათინ შარვაშიძეს 1753 წლის მეორე ნახევარში გაეყარა და დაქორწინდა სამეგრელოს მთავარ ოტია დადიანის ქალიშვილ მარიამზე. ეს ქორწინება პოლიტიკური თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი, რადგან სოლომონ მეფეს ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა, რათა შინაურ მტრებს იოლად გასწორებოდა, შემდეგ კი ოსმალეთის საწინააღმდეგო მოქმედებები დაეწყო.

ტყვეთა სყიდვის აკრძალვა და ქუთაისის საეკლესიო კრება

სოლომონ პირველის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მის მიერ დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვის აკრძალვა. ოსმალეთის იმპერია რამდენიმე საუკუნის მანძილზე აწარმოებდა საქართველოდან ქართველი ახალგაზრდების გაყვანას, რითაც ნადგურდებოდა ქვეყანა. ქართველი გოგო-ბიჭების გაყიდვა სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა. ტყვეთა სყიდვა საქართველოში თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში XVI-XIX საუკუნის 60-70-იან წლებამდე გრძელდებოდა და უდიდესი ზიანი მიაყენა მთლიანად საქართველოს, ამ საშინელი ცოდვის გამო მრავალი სოფელი და დასახლებული პუნქტი დაცარიელებულა. ყველაზე სასტიკი ფორმა იყო ადამიანის მოტაცება, რომელიც მოულოდნელობის ეფექტზე იყო დამყარებული, ადამიანთა მოტაცებას ძირითადად ლეკები ახდენდნენ, თუმცა ამ მძიმე საქმეს ქართველებიც არ ერიდებოდნენ. ამის გარდა თავად-აზნაურთა საკმაო ნაწილიც ჩართული იყო ამ უმძიმეს ცოდვაში, თავიანთი ყმების გაყიდვა მათ მატერიალური შემოსავლის წყაროდ აქციეს. ოსმალეთის უზარმაზარი იმპერიისათვის ადამიანთა რესურსი მუდმივად იყო საჭირო, ქართველი მამაკაცები იანიჩრებად (მებრძოლებად), ხოლო ქალები ჰარამხანებში მიჰყავდათ. ადამიანებით განუკითხავმა ვაჭრობამ განსაკუთრებული საფრთხე შეუქმნა ქვეყანას. ტყვეთა სყიდვა დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველ ნახევარში დაწყებულა, იმერეთის სახელოვანი მეფის ბაგრატ მესამის (1510-1565) პერიოდში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ, რომელიც ბიჭვინთაში შემდგარა ადამიანთა ვაჭრობა სასტიკად აკრძალა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ყოველთვის ქვეყნის სადარაჯოზე იდგა და მუდმივად იბრძოდა ამ უმძიმესი ცოდვის წინააღმდეგ. 1543-1549 წლებში ბიჭვინთაში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელსაც „სამართალი კათალიკოზთა“ ეწოდა, ვინაიდან კრებას ესწრებოდა ყოვლისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მალაქია და აფხაზეთის კათალიკოსი ვდემონი დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებთან ერთად. საეკლესიო სამართლის ძეგლი „სამართალი კათალიკოზთას“ პირველივე მუხლი ტყვეთა

სყიდვის აკრძალვას შეეხებოდა: „და სჯულის კანონიც ასე ბრძანებს. (კაცის სყიდვისა ესე განვაჩინეთ) 1. ქ. რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმინდა კრებათაგან შეჩვენებულ იყოს და განხდილი“ (ქარ. სამ.ძეგ.1963:393). ეკლესიის მიერ დადგენილმა მკაცრმა კანონმა, როგორც ჩანს გარკვეული პერიოდი იმოქმედა, მაგრამ XVII საუკუნიდან მოყოლებული ტყვეთა სყიდვამ სასტიკი ხასიათი მიიღო, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ადამიანებით ვაჭრობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, ტყვეებს (ადამიანებს) ყიდდნენ ყველანი: მეფეები, მღვდელმთავრები, თავადები, აზნაურები და გაყაზახებული გლეხებიც (რეხვიაშვილი.1989:407). ოსმალეთის მიერ თავს მოხვეული პოლიტიკის შედეგად ბევრმა ცდუნებას ვერ გაუძლო, მათ შორის ზოგიერთმა უღირსმა საეკლესიო იერარქმა.

საქართველოში ტყვეთა სყიდვის შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის ჟან-შარდენი, რომელიც 1672 წელს იმყოფებოდა იმერეთში, რომლის ცნობით ქართველი თავადაზნაურობა „ყოველთვის ეძებს შემთხვევას, რათა რისხვად დაატყდეს თავის ყმებს, რომ იპოვოს რაიმე საბაბი და გაჰყიდოს ისინი ცოლ-შვილიანად“ (ჟან შარდენი.1975:123). უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობა, მისი ცნობით, საკუთარ შვილებსა და ცოლებს ყიდდა, იყო შემთხვევები სასულიერო პირების გაყიდვისაც. ტყვეთა მოვაჭრეებს კარგად გამართული ქსელი ჰქონიათ, მათ ტყვედ გასაყიდი ადამიანები ზღვის პირას მიჰყავდათ და ზღვაში მყოფ თურქულ გემებს ცეცხლით ანიშნებდნენ, რათა მათგან ეყიდათ ადამიანები. ამ საქმეში, როგორც ჩანს, ხალხის გამტაცებელთა მთელი ქსელი იყო ჩართული ამიტომ მოტაცებულთა პოვნა ძალიან რთული იყო. გატაცებული ტყვეები ძირითადად ორი მიმართულებით ახალციხის ან ფოთის ოსმალო ფაშებთან იგზავნებოდნენ, საიდანაც ისინი ახალ მეპატრონეებს ოსმალეთში სხვადასხვა მიმართულებით მიჰყავდათ, ძირითადი ნაწილი კი სტამბოლში. ტყვეთა სყიდვამ განსაკუთრებით დააზიანა გურია, რადგან იგი ოსმალეთის უშუალო მეზობლად მდებარეობდა, იმერეთსა და ქართლში, განსაკუთრებით ახალციხის საფაშოს მოსაზღვრე ნაწილებში, მოსახლეობა მუდამ საშინელი შიშის ქვეშ იმყოფებოდა.

თურქეთ-ეგვიპტის მონათა ბაზრებს უშუალო კავშირი ჰქონდათ ახალციხის ტყვეებით ვაჭრობით განთქმულ ბაზართან (გუგუ-შვილი1938:183). ოსმალებს ტყვეთა სყიდვის ბაზრები მათთვის ხელ-საყრელ ადგილებში ანაკლიაში, ფოთსა და ახალციხეში ჰქონდათ მოწყობილი და შემდეგ აგზავნიდნენ ოსმალეთში, ეგვიპტესა თუ ირანში. ლეკებს მოტაცებული ქართველები დაღესტანში გადაჰ-ყავდათ, სადაც მათ ყირიმელი თათრები ყიდულობდნენ. ლეკები ძირითადად ღამით გადაადგილდებოდნენ, დღისით კი მიუვალ ხევებს აფარებდნენ თავს. ქართლ-კახეთში ლეკიანობა განსა-კუთრებით ძლიერი იყო 1754-1760 წლებში. მთელი ქართლი ლეკებით აივსო (ბერძენიშვილი. 1965:204). სწორედ ამ პერიოდში ილაშქრეს ლეკებმა 1758 წელს გელათსა და ქუთაისში. ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართველი ტყვეები ძირითადად ქვეყნიდან სამი: ახალციხის, გურია-აჭარისა და და-ღესტნის მიმართულებით გაჰყავდათ. ქართველი ახალგაზრდების უკონტროლო გაყიდვამ უცხოეთში და ადამიანთა მოტაცებამ უკი-დურესად შეამცირა საქართველოს მოსახლეობა.

დღეისათვის ძალზე რთულია, დადგინდეს, თუ რა რაოდენობის ადამიანი გაიყვანეს მარტო XVII-XVIII საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიიდან, თუ ვივარაუდებთ, რომ წელიწადში მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან 1000 ადამიანი გაჰყავდათ, საუკუნის განმავლობაში მათი რიცხვი 100 ათას კაცს აღემატებოდა. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც წელიწადში 1000-დან 3000 კაცამდეც კი გაჰყავდათ სამეგრელოდან და იმერეთიდან, ამას თუ დავუმატებთ აღმოსავლეთ საქართველოდან ლეკთა მიერ მოტა-ცებულ და გაყიდულ ადამიანთა რაოდენობას შესაძლოა, გაყიდულ ადამიანთა საერთო რიცხვი რამდე-ნიმე ათასი ადამიანი ყოფილიყო. სწორედ ამის გამო ბრძანებდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი - „არცერთ ომს, არცერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ამ „მშვი-დობიან“ ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას“.

ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ამ უმძიმეს საქმეში ყოველგვარ სიბრალულს მოკლებული ქართველი თავადაზნაურობის გარ-კვეული ნაწილი იყო ჩაბმული, ასეთმა დამოკიდებულებამ კიდევ

უფრო დაასუსტა ისედაც დაუძლურებული ქვეყანა. ცალკე კვლევის საგანია, რა იყო დიდებულების ამგვარი დაცემის მიზეზი, სად გაქრა ამ ადამიანებში ქრისტიანული სიყვარული. ასეთი მოქმედებით ისინი მტრის საქმეს აკეთებდნენ და საკუთარ ქვეყანას ძირს უთხრიდნენ. ამ უსაშინლეს ცოდვას ძირითადად ეკლესია უპირისპირდებოდა, თუმცა საჭირო იყო ეკლესიას საერო ხელისუფლებაც გვერდით ამოსდგომოდა, რათა გავლენიან დიდებულთა ზეგავლენა დაეძლიათ. ტყვეთა სყიდვის საშინელი ცოდვის წინააღმდეგ იბრძოდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელსაც 1717 წლის 25 ნოემბერს ფიცის წიგნი მიართვეს: „ესე ფიცი მოგართვით ჩვენ დადიანმა ბეჟან, მე ერისთავმა შოშიტა, თქვენ ჩვენს კათალიკოსს გრიგოლს ასე რომე... ტყვის სყიდვაში ვიყავით. ახლა მოხვედით შემოგვიკეთეთ: ან ტყვის სყიდვა გარდაგდეთ და ან დასტური მიბოძეთ, რომ სხვა ქვეყანას წავიდეო“ (ბურჯანაძე.1948:32). ეს სიგელი ნათლად მოწმობს, ტყვეთა სყიდვას როგორ ეწეოდნენ სამეგრელოს მთავარი ბეჟან დადიანი და რაჭის ერისთავი შოშიტა, ამ ფაქტს ისინი თავად აღიარებენ. ღირსეული კათალიკოსი კი ყველაფერს აკეთებს, რათა ოდიშისა და რაჭის მმართველებმა ტყვის სყიდვა შეწყვიტონ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მათ ემუქრება კათალიკოსობიდან გადადგომით. გრიგოლ კათალიკოსი ამგვარი მოქმედებით აღასრულებდა იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას ღვთისაგან ჰქონდა დაკისრებული და გადაგვარებულ ქართველებს ზნეობრივი ქმედებისაკენ მოუწოდებდა. ალექსანდრე მეფის პერიოდში ტყვეთა სყიდვის გამო ურთულეს მდგომარეობაზე გვაწვდის ცნობებს ერთ-ერთი სიგელი, სადაც მერაბ ჯაიანი პირობის წიგნს აძლევს კათალიკოს გრიგოლს; „ასე რომ ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქნა და მერე ამ ხელი კაცი ვარ და იქ აღარ გვედგომებოდა და მოვედი, შემოგეხვეწეთ და წყალობა გვიყავით“ (კაკაბაძე.1921.I:149). ტყვეთა სყიდვის გამო მკვიდრი მოსახლეობა სახლ-კარს ტოვებდა და მიუვალ ადგილებს აფარებდა თავს. ინტერესს იწვევს ასევე იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთის პერიოდში მომხდარი შემთხვევა, თუ როგორ გამოიხსნა გაენათელი ეპისკოპოსის გაგზავნილმა დეკანოზმა ნიკოლოზ კანდელაკმა ოსმალეთის სულთანთან გასაგზავნი ოცდაათი გოგო-ბიჭი ვნების

კვირაში. ქუთაისის ფაშას ტყვეთა გამოხსნის სანაცვლოდ ვნების კვირაში ხორცის ჭამა შეუთავაზებია მასთან მისულ ნიკოლოზ კანდელაკისთვის, რომელსაც „მიეცა საშუალება, იხსნას უბედურნი ეკლესიის და სამშობლოს ძენი და ასულნი, საუკუნო დაღუპვისაგან, ამის მიხედვით ის ურიგდება მარხვის გატეხვას და დამშვიდებულის სინდისით გაიზიარებს ფაშას სუფრას“ (ამბროსი ხელაია. 2011: 399).

უკან დაბრუნებულ დეკანოზს მარხვის დარღვევის გამო უარი განუცხადებია დიდი ხუთშაბათის წირვაში მონაწილეობაზე და ყველაფერი მოუხსენებია მღვდელმთავრისათვის. გაენათელ მღვდელმთავარს კანდელაკისთვის უთქვამს, რომ „მისგან შეწირული მსხვერპლი დიდია ღვთის წინაშე, რომ ამნაირი მსხვერპლი ნებავს მაცხოვარს“ და მისთვის ნება დაურთავს საზეიმო წირვაში მონაწილეობაზე. გაენათელი მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო ან გაბრიელი, ან ექვთიმე გაენათელი, რომლებიც ალექსანდრე მეფის პერიოდში მოღვაწეობდნენ. ეს იყო ცალკეული შემთხვევები საქართველოს ეკლესიის ღირსეული წარმომადგენლებისა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ, მაგრამ ამით ტყვეთა სყიდვის ცოდვა ვერ აღიკვეთებოდა, ათასობით ქართველი სამუდამოდ ეთხოვებოდა სამშობლოს და მისთვის უცხო ქვეყანაში მიემგზავრებოდა, სადაც მათი ბედი წინასწარ იყო განსაზღვრული. მშობლების, და-ძმების, ახლობლებისა და სამშობლოს დატოვების შემდეგ მათ ქრისტიანულ სარწმუნოებაზეც უნდა ეთქვათ უარი. ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს კათოლიკე მღვდელ იოსების წერილი, რომელიც 1675 წელს მას რომში გაუგზავნია: „უმანკო ბავშვებს, თუ ვაჟებს და ქალებს, სავაჭრო მოედანზე ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა. გვესმის და ვხედავთ მათს ჟღივილს და ტირილს; ამ დროს ზოგი მდინარეში თავს იგდებს, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს იჭრის, რათა ურწმუნოებმან აღარ იყიდონ და წმინდა სარწმუნოება არ დაატოვებინონ (თამარშვილი.1902:249). ქართველი ახალგაზრდები ტყვედ გაყიდვას დამახინჯებასა და სიკვდილსაც ამჯობინებდნენ. საჭირო იყო სასწრაფოდ ზომების მიღება, რადგან დასავლეთ საქართველოს ეთნიკურად ქართველი ხალხისაგან დაცლა ემუქრებოდა, რადგან აქ

სამეფო ხელისუფლება სოლომონ პირველის ტახტზე ასვლამდე არ იყო ძლიერი, რაც ხელს უწყობდა გადაგვარებულ თავად-აზნაურობას, ფული ეკეთებინა საკუთარ მამულიშვილთა უბედურების ხარჯზე. ამ ადამიანებს, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან ერთად დაკარგული ჰქონდათ ყოველგვარი სიკეთე, ადამიანურობა, თანაგრძნობა, მათში გამქრალი იყო ქართველობის განცდა და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობითა და სიძლიერით სულდგმულობდნენ. მათ არაფრად მიაჩნდათ ქვეყნის უბედურება, რადგან მეფესაც კი უყოყმანოდ უპირისპირდებოდნენ, თუკი იგი მათ ინტერესებს შეეხებოდა. მათ წინააღმდეგ საჭირო იყო სამეფო ტახტი მტკიცე ნებისყოფის პიროვნებას დაეკავებინა, რომელიც დიდი მონდომების ფასად შეძლებდა დიდებულთა შევიწროებას და მათ საბოლოო დამარცხებას.

ასეთი მეფე გამოდგა სოლომონ პირველი, რომელმაც თავისი მიზანდასახულობითა და შეუპოვრობით შეძლო სხვის უბედურებაზე გამდიდრებული თავადების ალაგმვა. ახალგაზრდამ ჯერ კიდევ ყმაწვილმა სოლომონმა, გაბედა ის, რაც მანამდე მისმა წინამორბედებმა ვერავინ შეძლო, სოლომონ მეფემ ტახტზე ასვლისთანავე აკრძალა ტყვეთა გაყიდვა, რითაც მან დაიპირისპირა ის დიდებულები და მთავრები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ საქმეში. მათთვის ტყვეთა გაყიდვა წლების განმავლობაში შემოსავლის კარგი წყარო იყო და მათი უკმაყოფილება ამან გამოიწვია. სოლომონ მეფემ დაიპირისპირა ასევე ამ საქმის უმთავრესი დამკვეთი ოსმალეთის იმპერია, რომლის ინტერესებშიც შედიოდა ტყვეთა სყიდვის აღდგენა დასავლეთ საქართველოში. ამასთან დაკავშირებით საუბრობდა 1769 წელს ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე რუსეთში ვიზიტისას: „სოლომონის წინაპრების დროს იმერეთის თავადაზნაურობა იმერეთის ხალხის შვილებს, ორივე სქესისას, ჰყიდდა თურქებზე. ამ სამარცხვინო საქმეს თითქმის ყველა თავადი და აზნაური ეწეოდა. იმერეთი დააცალიერა და სოლომონმა გამეფებისთანავე ტყვეებით ვაჭრობას ბრძოლა გამოუცხადა. ამის შესახებ ახალციხის ფაშამ სულთანს მოახსენა და იმერეთს მრავალგზის დაესხა თავს თურქთა ჯარი“ (ცქიტიშვილი. 1980:18). მღვდელმთავარი ასევე საუბრობდა იმ გადასახადებზე, რომლებიც ყოველწლიურად ეკისრებოდა მეფე

სოლომონს. მისი ოდენობა ძალზე დიდი ყოფილა: „ორმოცდაათი ათასი სკუდი“, რომლის გადახდაც მეფეს არ შეეძლო, თუკი არ გაჰყიდდა ტყვეებს. სოლომონის წინაპრები ოსმალეთის სულთანს ასევე სამ წელიწადში ხარკის სახით თითო კომლზე ერთ ხალათს ან 20 კაპიკს უხდიდნენ, ზოგი ბატონი კი თავის ყმებს ყიდდა თურქებზე. სოლომონმა კი სასტიკად აკრძალა ტყვეთა სყიდვა“ (грамоты 1898:3-4). ამით „სოლომონმა თავის ქვეშევრდომებს ნათლად დაანახა, რომ იგი დამპყრობი თურქებისა და მაჰმადიანობის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობისათვის იბრძვის“. 1768 წელს სოლომონ მეფე წერილს უგზავნის ეკატერინე მეორეს, სადაც აღნიშნავს: „ათორმეტი წელიწადი არის, რომ ხვანთქრის ჯარსა და ჩვენ ბრძოლა გვაქვს, და შვიდჯერ ჩემს ქვეყანაში შემოსულან იმათი სერასკირები და ფაშები, ტყვის ხარაჯა და ტყვე უთხოვიათ და რომ არ მიმიცია ზამთარ-ზაფხულ ომი გვქონებია ძრიელი. ქრისტეს შეწევნით...ყოველთვის დამარცხებით და სირცხვილეულნი წარსულან, და თვით ხელითა ჩემითაცა მრავალნი მომისრავნ“ (იქვე: 2). სოლომონ მეფე თავად აღიარებს, რომ ოსმალეთთან მას ომი ტყვეთა სყიდვის გამო ჰქონია და ეს ბრძოლა მას 1756 წელს დაუწყია და მტრის შვიდი თავდასხმიდან „ქრისტეს შეწევნით“ ყველა ბრძოლაში სოლომონი გამოსულა გამარჯვებული. ხრესილის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ „მეფემ მტყვის აღთქმა დასდუა მთელს ქრისტიანობაზე. ყოველმა ქრისტიანმა ხელი ამპყრობით ლოცვა შესწირა მეფისათვის“ (ბოჭორიძე. 1995:111). ხრესილის ბრძოლა გარდამტეხი ეტაპი იყო ტყვის სყიდვის აკრძალვის საქმეში, ბრძოლაში მიღწეული წარმატების გამო კი მთელი ერი ლოცულობდა მეფისათვის.

სოლომონ მეფის მიერ ტყვეთა სყიდვის აკრძალვას 1759 წლამდე რამდენიმე სიგელი ადასტურებს. მათ შორის ერთ-ერთი 1756 წლით თარიღდება: „ჩვენ მეფემ... ბატონმა სოლომონ ...თქვენ იაშვილებს ლევანს და ვახტანგს და ერთობით გეგუთელს აზნაურისშვილებს, მსახურებსა და გლეხებს და პატრიკეთელებს ეს იმედის წიგნი და სიგელი გიბოძეთ... არა დროს, არა ჟამს არც ჩემგან და არც ჩემი ნებამყოფელი კაცით თქვენ გაყიდვით ფიქრი აღარა გქონდეთ და დღეის იქით არას გაჭირვებით და არც გაუჭირვადათ და უდა-

ნაშაულოდ თქვენ და თქვენი ძე და მომავალი ჩვენგან არ გაიყიდოთ“ (ბურჯანაძე.1948:23). სოლომონ მეფე არა მარტო ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ იბრძოდა, არამედ იგი ოსმალურ გადასახადებსაც აუქმებდა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას. ამ პერიოდში იმერეთში საურისა და საუდიეროს გადახდა იყო დაწესებული. საური და საუდიერო უნდა ყოფილიყო გადასახადები, რომელთაც მეფე ჰკრეფდა ყმა-გლეხებში თურქებისათვის მისაცემად ხარკის ანგარიშში. ამას მოწმობს მის მიერ 1755 წელს გაცემული სიგელი მღვდელ სვიმონ წერეთლისადმი - „ჩვენს ქვეყანაში აგარიანთ ძალდატანებისაგან საურავი გაჩნდა და ჩვენი ქვეყანა ნამეტნავად შეაწუხა. ახლა შენ წყალობა გიყავით და საცა, რომ შენი გლეხები გყავს არცერთს საურავი და საუდიერო (სახორცე) არაფერი არაოდეს სათხოვარი ჩვენგან გვეთხოვოს“ (ბურჯანაძე. 1950: 80). ე. ი. იმერეთის მოსახლეობას ტყვეთა სყიდვის სიმძიმესთან ერთად სხვა გადასახადებიც ეკისრებოდა ოსმალეთის იმპერიის სასარგებლოდ, რაც კიდევ უფრო აღარიბებდა ქვეყანას ოსმალებმა ქვეყანაში საზოგადოებრივი უპირატესობაც მოიპოვეს. ოსმალთა გადასახადებმა ქვეყნის მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. „ქართველი თავისსავე ქვეყანაში ოსმალეთიდან ჩამოსახლებული თურქის მოვალე გახდა, რასაც შედეგად უკანასკნელის სასარგებლოდ მისი გაღატაკება, გათურქება და ტყვედ გადაქცევა ჰყვებოდა“ (ბურჯანაძე. 1948:3). ოსმალები სპეციალურად ზრდიდნენ გადასახადებს, რათა მისი გადახდა ქართველს ვერ შეძლებოდა და იგი ორი უკიდურესობის წინაშე დგებოდა; ან უნდა შეეცვალა სარწმუნოება და მაჰმადიანობა მიეღო, ან თავისი ნებით გაეყიდა ოჯახის რომელიმე წევრი, მცირეწლოვანი თუ ზრდასრული შვილი და გადასახადები გადაეხადა. სოლომონ მეფე ყველაფერს აკეთებდა, რათა მოსახლეობისათვის ოსმალური გადასახადები შეემსუბუქებინა, ამას მოწმობს ერთი უთარიღო სიგელი, სადაც მან ასეთი ბრძანება გამოსცა“ „მეფე ...სოლომონ გიბრძანებ, სულ ერთობით ხონელებო! დიდი თათრის ძალი და გადასახადი თუ არ მომადგეს, ჩემთვის წრეულს იქით მისდღემჩი წელიწადში, თითო მარჩილის მეტი, არ გადაგახდეინოთ საური“ (იქვე:24). ოსმალური გადასახადი ძალზე მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას, სიგელი 60-იან წლებში უნდა

იყოს შედგენილი, ვიდრე სოლომონი ოსმალურ გადასახადებს საბოლოოდ გააუქმებდა.

ტყვეთა სყიდვის აკრძალვის საქმეში სოლომონ მეფის მცდელობას შედეგი გამოუღია, მეფის შიშის გამო ზოგიერთმა შეწყვიტა კიდეც ადამიანთა გაყიდვა. შემდგომი პერიოდის ერთი სიგელი კი კარგად გადმოგვცემს დამოკიდებულებას ამ ცოდვისადმი: „უკეთილმსახურესსა და უმაღლესსა მეფესა სრულიად ლიხთამერთასა ბატონს სოლომონს... ეშმაკის მანქანებისაგან ქრისტიანობის მომსვრელი სენი, რომელ არს ტყვის განსყიდვა, ეუფლა ქვეყანასა ჩუენსა და ქრისტეს სისხლით სყიდული და წმინდის მირონით აღნიშნული მრავალი უსჯულოს მაჰმადს შეეწირა“ (Акты 1866:64). სიგელს მანუჩარ დადიანის ბეჭედი აზის და, ბუნებრივია, იგი სამეგრელოს სამთავროს შეეხება და კრძალავს ადამიანების გაყიდვას აღნიშნულ სამთავროში. მანუჩარ დადიანი მეფეს პირობას აძლევდა - „რაოდენ ძალმედვას არავის ვრიდო ტყვის მყიდველსა სასჯელის მისაგებელად, არც მე და არც ჩემი ერთგული და ბრძანების მორჩილი... შეძლების მსგავსად რისხვა მივაგოთ“, ასეთი პირობის მიღება მანუჩარ დადიანისაგან სოლომონ მეფის პირადი დამსახურება იყო. ამგვარმა დამოკიდებულებამ ასობით ადამიანი გადაარჩინა ტყვედ გაყიდვას. სოლომონ მეფემ კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯი გადადგა ტყვეთა სყიდვის ასაკრძალად, როდესაც მან 1759 წელს ქუთაისში საეკლესიო კრება მოიწვია. აღნიშნულ კრებას არაერთი მიზანი ჰქონდა და მათ შორის უმთავრესი ტყვეთა სყიდვის აკრძალვა იყო.

1759 წლის 4 დეკემბერს სოლომონ მეფის ინიციატივით დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება გაიმართა ქუთაისში. კრების მიზანი იყო ეკლესიის უფლებების აღდგენა და ტყვეთა სყიდვის აკრძალვა. ქვეყნის გაძლიერების საქმეში სოლომონს ეკლესია უნდა დახმარებოდა, სწორედ ამ მიზნით მან ქუთაისში, სადაც უკვე მრავალი წელი მღვდელმთავარი აღარ მჯდარა გამართა საეკლესიო კრება. სავარაუდებელია, რომ საეკლესიო კრება სამეფო სასახლეში (ოქროს ჩარდახი) ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა გამართულიყო. კრებას ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ბესარიონი (ერისთავი), ხოლო ესწრებოდნენ: ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გაბრიელი, გაენათელი იოსები, შემოქ-

მედელი ნიკოლოზი, ცაგერელი გრიგოლი, მთავარეპისკოპოსი იოსები, ნიკორწმინდელი გერმანე, დასკალის მიტროპოლიტი დანიელი, ხინოწმინდელი მაქსიმე, ბედიელი მიტროპოლიტი მაქსიმე. კრების ტექსტიდან ნათელი ხდება, რომ უმთავრესი მიზანი ამ შეკრებისა ტყვეთა სყიდვის აკრძალვა იყო, რადგან მთელი დასავლეთ საქართველოს წარმომომადგენლები - „ყოველთა იმერთა, ოდიშართა, გურიელთა, სამღვდელო, სამონაზნო მწყობრთა ღმერთსა და ყოველთა საღმთო დასთა შვილობით მოგართვი შენ, მეფე სოლომონ“ (ქრონიკები.1967:263). სოლომონ მეფეს დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა „სოფლის მსაჯულის წინაშე მისატანი და ყოველთა მართლმადიდებელთა სახილველი წიგნი მოგართვით“. დადიანმა კაციამ, გურიელმან, ბატონისშვილმან, ერისთავმან და ერთობით წერეთელმან, მიქელაძემ, აბაშიძემ, ნიჟარაძემ, აგიასშვილმან, ლორთქიფანიძემ, ღოღობერიძემ, მაჭავარიანმა, მესხმა, ავალიან-იოსელიანმა, გიორგი ჩიქუანმა, ჩიჩუამ, ფაღავამ, ახვლედიან, ასათიან, აფაქიძე, მხეიძემ, დგებუაძე, ჩიჯავაძე, ჯაიან, ქოჩაკიძე, მიქაძე, ჯოლიამ, შელია, ქართველიშვილ-საჯაიამ, მაჭუტაძემ, ნაკაშიძემ, მალვაშვილებმა, ჟორდანია, გეგენევა, და ერთობით ნასელიშვილებმა მეფეს პირობა მისცეს, რომ ისინი ტყვეს არ გაყიდიდნენ. ახალციხის ფაშას შემონათვალ სიტყვაზე - „ტყვეს თუ არ გაყიდით არ იქნებაო“ მათ უარი განაცხადეს და ღვთის წინაშე დადეს აღთქმა: „ღვთის შუამდგომლობით რომ სანამდის სული გვედგას... არ იქნეს არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ... მეფე სოლომონის ერთგული და ბრძანების აღმსრულებელი ვიქნეთ და გულის წმინდით ერთმანეთს მიუდგეთ“ (იქვე: 263). (იმერეთის საეკლესიო კრების განჩინება აღადგინა მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ საქართველოს საეკლესიო კრებები წიგნი I.თბ. 2003).

სოლომონ მეფემ თავისი ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებაზე დაამტკიცა ტყვეთა სყიდვის აკრძალვა, ხოლო დასავლეთ საქართველოს დიდებულებს ღვთისა და ერის წინაშე პირობა დაადებინა, რომ ისინი ამ საშინელ ცოდვაში აღარ მიიღებდნენ მონაწილეობას. პირობის დამრღვევზე მკაცრი სასჯელი დაადგინა კრებამ, ანუ ვინც ამ საშინელ ცოდვას გაიმეორებდა - „მასმცა რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი ამათ ზემო წერილნი

წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელნი და უხორცონი“. საეკლესიო კრების ჩატარებით სოლომონ მეფემ საკანონმდებლო ბაზა შექმნა, რათა ტყვეთა სყიდვა აკრძალულიყო დასავლეთ საქართველოში, ამასთანავე მან სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და ლეჩხუმის თავადაზნაურობას მიანიშნა, რომ იგია მთელი დასავლეთ საქართველოს მეფე და მისი მორჩილება ყველას მართებს.

კრებაზე არაერთი მნიშვნელოვანი დადგენილება მიუღიათ: 1. ერისკაცთაგან მიტაცებული ყმა-მამულები ეკლესიას დაუმტკიცდა. 2. საეკლესიო ყმები განათავისუფლა ზედმეტი გადასახადისაგან და საეკლესიო გადასახადები დააკანონა. 3. ეკლესიის ეკონომიური მეურნეობის საქმეებში ჩარევა ერისკაცებს აუკრძალა. 4. საეკლესიო თანამდებობებიდან უღირსნი გადააყენა და ღირსეულები მოიწვია. 5. შეამკო და ააგო ეკლესია-მონასტრები (ბურჯანაძე.1950:87). სოლომონ მეფის უმთავრესი მიზანი იყო ასევე, ქუთაისში აღედგინა საეპისკოპოსო კათედრა და ქუთათელის საეპისკოპოსო ტახტზე გამოურჩევიათ მაქსიმე აბაშიძე. „ქუთაისის ეკლესია ხელთ ეგდო მძვინვარეს აგარიანს და მიზეზითა ამით საქუთათლო მამული და სამრევლო მიმობნეულიყო, და რომელიმე დაშთომილყო, საეროდ გამხდარიყო და ქუთათელი აღარ იჯდა (კაკაბაძე.1914:4). ახლადაღდგენილ საეპისკოპოსოს სასარგებლოდ იზრუნა ასევე სოლომონ მეფემ და დაიწყო საქუთათლო მამულების მოძიება და დაბრუნება. „სოლომონ მეფე ხაზს უსვამდა იმას, რომ ქართულ ეკლესიის დაცემის მიზეზი დამპყრობი ძალაა, რომელიც უნდა განადგურდეს, რათა ქრისტიანობა ქართველთა შორის კვლავ აღსდგეს“ აღნიშნავდა შ. ბურჯანაძე თავის ნაშრომში. 1759 წლის კრება ეს იყო საკანონმდებლო აქტი, მომდევნო წლებში კრების გადაწყვეტილება სინამდვილეში შესრულებულა (ბურჯანაძე. 1950:87). ხალხში ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისათვის ამ აუცილებლად საჭირო კათედრის აღდგენაც სოლომონ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. მეფეს კარგად ესმოდა, რომ მისი სახელმწიფოს ძლიერება ეკლესიაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული... ეკლესია ერთიანი საეკლესიო ენითა და ორთოდოქსალური ქრისტიანული სარწმუნოებით ეროვნულ-კულტურული გამაერთიანებლის მისიას ასრულებდა (მჭედ-ლიძე, კეზევაძე. 2008:219). სოლომონ მეფე ქუთაისის ეპარ-

ქიაზე ზრუნვას შემდგომშიც აგრძე-ლებს, მან 1781 წელს მღვდელმთავრობა უბოძა დოსითეოს წერეთელს, რომელიც 1783 წლის სიგელში აღნიშნავდა: „ოდეს მათმა უმაღლესმა მეფობამ ქუთაისის ტახტის მღვდელმთავრობა გვიბოძა, მას ჟამს ბრძანებითა მეფისათა ვიწყეთ დაკარგულთა გლეხთა და ადგილთა ძიებად“ (ქ.ს.ძ.III. 1970:947). დოსითეოს წერეთელმა ღირსეულად იმსახურა სამი ათეული წელი და 1820 წელს მოწამეობრივად აღესრულა.

სოლომონ პირველის მეფობის პერიოდში ფაქტიურად აღდგენილი იქნა ოთხი საეპისკოპოსო კათედრა: ქუთაისის, ხონის, შემოქმედისა და ჯუმათის, ხინოწმინდის ეპისკოპოსი კი გადმოყვანილი იქნა გამოჩინებულის ტაძარში.

შემდგომ პერიოდში არაერთი სიგელი ადასტურებს სოლომონ მეფის განსაკუთრებულ მზრუნველობას ეკლესიისადმი და დაკარგული ადამიანების მოძიებასა და მათ დაბრუნებას კანონიერ პატრონთან. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში შედგენილი შეწირულობის სიგელი, რომლის მიხედვითაც სოლომონ მეფე და დედოფალი მარიამი სხვავის მონასტერს სწირავენ გოგიტელა მოდებაძეს, რომელიც დაკარგულა და „დავიხსენი ცოლიან-შვილიანათ ასორმოც მარჩილათ ამოვიხსენი თათრისაგან და შემოგწირეთ ნათლისმცემლის უდაბნოს“ (მურუსიძე. 2016:156). (ნაშრომი მომზადებულია დასაბეჭდად და უახლოეს მომავალში გამოიცემა). სოლომონ მეფეს გოგიტელა მოდებაძის ოჯახის დასახსნელად საკმაოდ სოლიდური თანხა გადაუხდია და ისინი ოსმალებისაგან გამოუხსნია. სოლომონ მეფის დამსახურებთ გამოუხსნიათ დავით წერეთლის სამკვიდრო გლეხები, რომლებიც დაკარგული ყოფილა და „ჩვენის ხელმწიფის ბატონი მეფის სოლომონის წყალობით, სამართლიანის საქმით ამოვიყვანეთ“ (სოსელია. 1960:21). ცალკე აღნიშვნის ღირსია სოლომონ მეფის მზრუნველობა ხონის მოსახლეობისა და ეკლესიისადმი.

1761 წლის 23 აპრილს სოლომონ მეფემ მორიგი საეკლესიო კრება მოიწვია. კრება შეეხო გადასახადების გაწერისა და აკრეფის საკითხს და დადგენილება გამოიტანა ხონის ეკლესიის შესახებ, რომლის გუჯარი... დაკარგულიყო და არც სამრემლოს, არც ნიშნის, არც სახუცოსი არცერთი წიგნი აღარ იყო“ (ბურჯანაძე. 1950:89). სოლომონ

მეფე იღწვოდა ასევე სასულიერო პირების სიწმინდესა და პატიოსნებაზე, ამის მაგალითად უნდა მოვიყვანოთ მისი დამოკიდებულება ვინმე დეკანოზ ქუთათელაძისადმი, რომელიც „ეკლესიას რომ ეკადრებოდა, ისე არ მსახურობდა, რიგს არ ათავებდა და სხვას რა გინდა რა საქმეში იყო“ (იქვე:88). საქართველოში ტყვეთა სყიდვის აღდგენით, თვით პრუსიაც კი ყოფილა დაინტერესებული. ამის დასტურად უნდა მოვიყვანოთ პრუსიის ელჩის ტეგლენის მოქმედება, რომელსაც რუსეთის მთავრობის წარმომადგენლისათვის ქართველი ტყვეების განთავისუფლების საქმისათვის თავის დანებება ურჩევია. ამის შესახებ ფელდმარშალი რუმიანცევი ეკატერინე მეორეს 1774 წლის 17 დეკემბერს აუწყებდა: „თუკი რუსეთს სურს ხელშეკრულების რატიფიკაცია, უნდა დათმოს ტყვეების (განსაკუთრებით ტყვე ქალების, რომლებიც თურქეთის ჰარამხანებში ჰყავთ) გაყიდვის აღდგენა“ (ბურჯანაძე. 1948:43). ოსმალეთის ინტერესების დასაცავად, თვით ევროპული სახელმწიფოც კი იყო დაინტერესებული, მიუხედავად ყველაფრისა იმერთა მეფე დამოუკიდებელი მმართველი იყო და პირველ რიგში იგი ქვეყნის ინტერესებიდან ამოდიოდა. იმერეთში ტყვეთა სყიდვის აკრძალვა რუსეთის იმპერატორ ეკატერინესა და ფრანგ განმანათლებელ ვოლტერს შორის ინტერესის საგანიც გამხდარა. ფრანგ განმანათლებელთა იდეებით აღფრთოვანებული და პირადი განათლების მანიით შეპყრობილი რუსეთის იმპერატორი, რომელიც ვოლტერთან ფლირტით იყო დაკავებული, საკმაოდ საინტერესოდ მოიხსენიებდა ქართველ მეფესა და საქართველოს (ბლიაძე.2013:209). 1770 წლის ვოლტერის წერილში რუსეთის იმპერატორისადმი აღნიშნულია: „აქ ხელიდან ხელში გადადის ქართველების მანიფესტი ტყვეთა სყიდვის აკრძალვაზე და სულთან მუსტაფასთვის ქალიშვილების მირთმევაზე უარია გამოცხადებული. ვისურვებდი, რომ მათი ყველა გოგონა წილად ხვდეს თქვენს მამაც ოფიცრებს“ (იქვე:209). იმერეთის სახელოვანი მეფის მიერ ტყვეთა აკრძალვას საკუთარ ქვეყანაში ევროპაში საკმაო ინტერესი გამოუწვევია, თუმცა ფრანგი განმანათლებლის აზრი ამასთან დაკავშირებით ირონიული იყო.

ამრიგად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სოლომონ პირველის უდიდესი დამსახურება ტყვეთა სყიდვის აკრძალვის საქმეში. მისი

ურყევი ნებისყოფისა და უბრალო ხალხის განსაკუთრებულმა სიყვარულმა გადაარჩინა იმერეთის მოსახლეობა, რომელთაც გაქრობა ან უკიდურეს შემთხვევაში გამაჰმადიანება ემუქრებოდათ. თუმცა სოლომონის მიერ მოწვეულმა 1759 წლის საეკლესიო კრებამ ტყვეთა სყიდვა მთელ დასავლეთ საქართველოში აკრძალა, დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა კი აიძულა თანამემამულეთა გაყიდვაზე ხელი აეღოთ. სოლომონ მეფემ ამ ქმედებით ისინი უმძიმესი ცოდვებისაგან იხსნა და გამოსწორების რეალური შესაძლებლობა მისცა. სოლომონ მეფემ ტყვეთა სყიდვის აკრძალვით დაიპირისპირა ოსმალეთის უძლიერესი იმპერია, თუმცა ძლევამოსილ მეფეს ერთი ნაბიჯით არ დაუხევია უკან, ქუთაისისა და ხონის საეპისკოპოსოების აღდგენით მეფემ გააძლიერა ეკლესია და ტყვეთა სყიდვის აკრძალვის საქმეში ძლიერი მოკავშირე გაიჩინა. ტყვეთა სყიდვის აკრძალვით სოლომონ მეფემ განადგურებისაგან იხსნა ქვეყანა, მისმა თავდადებულმა ბრძოლამ არნახული შედეგები გამოიღო. დასავლეთ საქართველოში დაიწყო მოსახლეობის გამრავლება, აღდგა არაერთი ეკლესია-მონასტერი, ძლიერი მონარქის ხელისუფლება ყველამ აშკარად იგრძნო. სოლომონ მეფის ირგვლივ დაირაზმა ეროვნული იდეებით გამსჭვალული ქართველობა. მოსახლეობას გაუჩნდა მომავლის იმედი, ათწლეულების შემდეგ იმერეთში გატარდა ისეთი ღონისძიებები, რითაც ოსმალთა ზეგავლენა ნელ-ნელა შესუსტდა, რადგან ერთბაშად შეუძლებელი იყო მათი ზეგავლენის განეიტრალება. ტყვეთა სყიდვის აკრძალვა იყო უპირველესი ნაბიჯი ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ, სწორედ ეს არის სოლომონ მეფის უდიდესი დამსახურება, რადგან ამ ბრძოლაში იგი გამარჯვებული გამოვიდა.

ხრესილის ომი 1757 წ.

სოლომონ მეფეს პირველი და უმთავრესი დაპირისპირება ოსმალო დამპყრობლებთან ოკრიბის მხარეში – ხრესილის ველზე მოუწია. როგორც ჩანს, ომისათვის ორივე მხარე ემზადებოდა, თუმცა ძალები აშკარად შეუსაბამო იყო. ახალგაზრდა, 22 წლის მეფეს ურთულესი პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი, მას უნდა დაეძლია უდიდესი და უძლიერესი იმპერიის წინააღმდეგობა, რომელთანაც შინაურმა მტრებმა მჭიდრო კავშირი შეკრეს. ოსმალეთის მრავალ-ათასიანი არმია იმერეთის საბოლოოდ დასამორჩილებლად და ახალგაზრდა მეფის ტახტიდან ჩამოსაგდებად მოდიოდა, რადგან მან გაბედა და ოსმალეთის პოლიტიკას შეეწინააღმდეგა. სოლომონმა უარი განაცხადა იმერეთში ტყვეთა სყიდვაზე, რამაც განაპირობა ხრესილის ომი. ოსმალთა არმია თავის გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებული შემოვიდა იმერეთში. მტრის 40 ათასიანი არმია ზამთარში შემოსულა იმერეთის ტერიტორიაზე, ასეთი დიდი რაოდენობის არმიის შესვლა ოკრიბის ვიწრო ხეობაში სტრატე-გიულად მართლაც გაუმართლებელი საქციელი იყო. მართალია ხრესილთან ახლოს ოსმალებს თავიანთი დასაყრდენი ცუცხვათის ციხე გააჩნდათ, თუმცა მათი მოქმედება ქართველთა აშკარა დაუფასებლობაა. თუკი ოსმალები ამ ბრძოლაში გამარჯვებას მო-იპოვებდნენ, ამით სოლომონის მეფობაც დასრულდებოდა და მტრე-ბი თავის მიზნებს უპრობლემოდ აღასრულებდნენ: პირველი; ოს-მალთა ზეგავლენა იმერეთში კიდევ უფრო განმტკიცდებოდა. მეორე; ისინი კვლავ გააგრძელებდნენ იმერეთიდან და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოდან ახალგაზრდა ქართველი ტყვეების გაყ-ვანას, რაც ფაქტიურად ქვეყნის გადაშენების წინაპირობა იყო.

ქართული წყაროების ცნობები ხრესილის ბრძოლის თარიღთან დაკავშირებით განსხვავებულია. შემოქმედის გულანისა და ხონის ლავსაიკონის მინაწერების მიხედვით ხრესილის ბრძოლა 1758 წლით თარიღდება: „უმვ ამას ქრონიკონსა იმერეთს თათრის ლაშქარი მო-ვიდა“, „ქკს: უმვ (1758) აქა გაემარჯვა ხრესილზედ მეფე სოლომონს“ (ქრონიკები. 1967:260). ნიკო დადიანი კი ბრძოლის თარიღად 1756 წელს ასახელებს: „და გაემარჯვათ დიდათ სახელოვნად მეფესა და

დადიანსა წელსა ქრისტესით 1756“(1962:178). ჯუმბერ ოდიშელმა კი გამოარკვია, რომ „უპირატესობა იმ ცნობებს უნდა მიენიჭოს, რომელნიც ხრესილის ომის თარიღად 1757 წელს სდებენ... იმ ცნობებიდან, რომელნიც ხრესილის ომს 1757 წლით ათარიღებენ, ყველაზე ზუსტი მაინც „ჟამგულანის“ ცნობაა, სადაც ამ ომის თარიღი დასახელებული წლის 14 დეკემბრის კვირა დღით არის აღნიშნული“ (ოდიშელი. 1968: 70). აღნიშნული თარიღი გაიზიარა ო. სოსელიამაც, რომლის აზრითაც ხრესილის ომის თარიღად ხსენებული წლის (1757) 14 დეკემბერი უნდა ჩაითვალოს (სოსელია.1973:97). ხრესილის ომის შესახებ მეტად ფასეულია კათოლიკე მისიონერი ლეონის ცნობები, რომელიც ბრძოლის თარიღად 1757 წელს ასახელებს. ამრიგად 1757 წლის 14 დეკემბერი ხრესილის ბრძოლის რეალური თარიღია. ეს ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების შესახებ ცნობა არაერთ საისტორიო წყაროში აისახა. ხრესილის ომის ინიციატორებად, რამდენადაც სამწუხარო უნდა იყოს ქართველები იყვნნენ. „შეიერთა“ როსტომმა აბაშიძე, მოიყვანეს ოსმალთ ჯარი და დაესხნეს ... სოლომონს ხრესილს 1757 წელს“(იქვე:96). მტრის მეგზურობა მეფის მოღალატე ბაბუამ ლევან აბაშიძემ და რაჭის ერისთავმა როსტომ ერისთავმა იკისრა. სოლომონ მეფეს სასწრაფოდ შეუკრებია „ფიცის კაცნი“ ბესო ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით და როსტომ ერისთავის მიერ შევიწროებული თავადები: წულუკიძეები, ჯაფარიძეები, იაშვილები, წერეთლები და აგიაშვილები. სოლომონ მეფე ასე მცირე ძალებით მტერს ვერ დაუპირისპირდებოდა, ამიტომ მან დახმარებისათვის მიმართა თავის სიმამრს სამეგრელოს მთავარ ოტია დადიანს, რომელიც ამ დროისათვის ძლიერ მოხუცებული ყოფილა და „ამისათვის წარმოუვლინა ძე თვისი კაცია შესაწევნელად სიძესა თვისსა მეფესა და წარმოვიდა კაცია სპითა ოდიშ–ლეჩხუმ–აფხაზთა „(დადიანი. 1962:178). სოლომონ მეფეს შეუერთდა ასევე თავისი ჯარით გურიის მთავარი. მეფის წარმატება ხრესილის ომში სწორედ მთავართა მხრიდან (დადიანი–გურიელი) დახმარებამ განაპირობა. ხრესილის ბრძოლის შესახებ მეტად საინტერესო მოგონება ჩაუწერია რაჭაში ამბროსი ხელაიას (შემდგომში კათალიკოს–პატრიარქი). ბრძოლის დეტალების შესახებ ძველ

გადმოცემას იხსენებს ქაიხოსრო ყიფიანი. ამ გადმოცემის თანახმად ბრძოლის წინ მტრის ბანაკში გამართულა თათბირი, რომელშიც ლევან აბაშიძესაც მიუღია მონაწილეობა; მისი აზრით სოლომონი უნდა შეეპყროთ და გაეგზავნათ სტამბოლში, რათა საბოლოოდ განთავისუფლებულიყო იმერეთის ტახტი ბაგრატიონთა მმართველობისაგან. სამხედრო თათბირში მონაწილეობა მიუღია ერთ–ერთ ფაშას, რომელიც მეგობრულად ყოფილა განწყობილი სოლომონ მეფესთან. მას მოუხერხებია, ინფორმაცია სოლომონ მეფისათვის მიეწოდებინა. იმავე ღამეს სოლომონ მეფე 15 ცხენოსანი მხლებლით გორდში მისულა კაცია დადიანთან შესახვედრად და მისგან დახმარება უთხოვნია. კაცია დადიანი დათანხმებულა. მეფეს აფხაზებთან მოსალაპარაკებლად თავისი მეუღლე გაუგზავნია (ამბროსი ხელაია.2011:394). საბოლოოდ აფხაზებსაც თანხმობა განუცხადებიათ დახმარებაზე. გადმოცემის მიხედვით სოლომონ მეფეს წინასწარ სცოდნია მტრის მოსალოდნელი თავდასხმა და ყველაფერი გაუკეთებია, რათა მტერს მომზადებული დაჰხვედროდა. იმერეთიდან მეფეს ბრძოლაში კომლზე კაცი გაუწვევია, თუმცა ლევან აბაშიძეს იმერთა საკმაო ნაწილი გადაბირებული ჰყოლია. მეფისა და მთავართა გაერთიანებული ჯარის რაოდენობა დაახლოებით 11–13 ათასი კაცი უნდა ყოფილიყო. ქაიხოსრო ყიფიანის ცნობით, მხოლოდ სამეგრელო-ლეჩხუმ-სვანეთში შეკრებილი ჯარის რაოდენობა 12 ათას კაცს შეადგენდა. ეს ციფრი შესაძლოა, ცოტა გადამეტებული იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ უმლიერესი მტრის წინააღმდეგ მთელი დასავლეთ საქართველო დარაზმულა.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის წინამძღვარი კი ახალგაზრდა ბაგრატიონი იყო, რომელსაც მისი პირველი ბრძოლა უნდა გაემართა. ბრძოლის შედეგზე ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული, თუკი ახალგაზრდა მეფე მტერთან ბრძოლაში დამარცხდებოდა, ტახტის დაკარგვასთან ერთად მის მიერ წამოწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა შეჩერდებოდა, ოსმალეთი კი თავის პოლიტიკას კვლავ გააგრძელებდა და აღადგენდა იმერეთში ტყვეთა სყიდვას. ქართველ მეფე-მთავრებსა და პროგრესულად მოაზროვნე ქართველობას ამ შემთხვევაში შეგნებული ჰქონდათ ის საფრთხეები, რაც ოსმალთა შესაძლო გამარჯვებას შეიძლებოდა

მოჰყოლოდა. რასაც ვერ ვიტყვით როსტომ რაჭის ერისთავსა და ლევან აბაშიძეზე, რომელიც ამავდროულად მეფის ღვიძლი ბაბუა იყო და მართლაც გაუგებარია ასეთი გაბოროტება შვილიშვილისა და საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ. ოსმალთა არმია რამდენჯერმე აღემატებოდა ქართველთა ჯარს და იგი 40–45 ათასი კაცისაგან შედგებოდა. მისიონერი ლეონი თავის ჩანაწერებში ორჯერ აღნიშნავს, რომ ოსმალთა არმია 40 ათასი კაცისაგან შედგებოდა (კომუნარი. 1959 .№ 95). ოსმალთა დიდი სერასკირები გოლა-ფაშა, ქემხა ახალციხის ფაშა და ბაშა-აღა იმერეთის საბოლოოდ გასანადგურებლად მოდიოდნენ, მტერს მხარს უმაგრებდნენ ასევე იმერეთის ციხეებიდან (ქუთაისი, ბაღდათი, შოროპანი, ცუცხვათი) გამოყვანილი ოსმალთა ჯარის შენაერთები, როსტომ ერისთავისა, ლევან აბაშიძისა და თავად წულუკიძის ჯარი, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათასი კაცი უნდა ყოფილიყო. სერასკერი ოსმალეთის იმპერიაში იყო თანამდებობა და წოდება, რომელიც არსებობდა მხოლოდ ომის წარმოებისა და მომზადების დროს. როდესაც ცხადდებოდა ომი ძლიერ მოწინააღმდეგესთან (რუსეთი, ავსტრია) და ომში მონაწილეობა უნდა მიეღო ოსმალეთის იმპერიის მთელ შეიარაღებულ ძალებს ან მის დიდ ნაწილს. შედარებით სუსტ მოწინააღმდეგესთან კონფლიქტის დროს ომის წარმოება ეკისრებოდა ფრონტისპირა რამდენიმე ვილაიეთს. სერასკერი ამ ვილაიეთების მიმართ მიმართ დიდი ვეზირის უფლებებით სარგებლობდა (გიგინეიშვილი. 1982:164). ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს ეჭვს ოსმალთა ჯარის რაოდენობასთან დაკავშირებით. ხრესილის ბრძოლაში სერასკერისა და რამდენიმე ფაშას მონაწილეობა, გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ მტრის რაოდენობა 30000 კაცს აღემატებოდა. ისინი მოხსენიებული არიან დიდი სერასკერების სახელით: 1.გოლა-ფაშა, 2. ქემხა-ფაშა, 3.ბაშა-აღა. დასახელებულ სამ სარდლის ლაშქარი, როგორც აღვნიშნეთ მინიმუმ 30000 მებრძოლისგან მაინც შედგებოდა.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის 70-იან წლებში ოსმალეთის შეიარაღებული ძალები საკმაოდ დასუსტდა. თავის მოვალეობას ვეღარ ასრულებდნენ იენიჩრები და მათი რაოდენობა სულ უფრო მცირდებოდა. ხშირი იყო დეზერტირობის შემთხვევები ჯარში და

მთავრობა დაქირავებული ჯარისკაცებით ვერ ასწრებდა ჯარის დანაკლისის შევსებას (იქვე:17).

მეფემ სწრაფად გახიზნა მცხოვრებნი რაჭა-ლეჩხუმის მთებში. ოდიშისა და გურიის ჯარი სოფელ ხრესილში ჩაასაფრა. თვითონ მეფე მტერს ხანისწყლის ხეობაში პატარ-პატარა რაზმებად დაყოფილი ლაშქრით შეეგება. ქუთაისამდე ასე ბრძოლით მოაღწია (რეხვიაშვილი. 1992:30). მტერი სრულად იყო დარწმუნებული გამარჯვებაში, ვინაიდან ასეთ ვიწრო ხეობაში შევიდა საბრძოლველად. ამ ვიწრო ხეობაში მტრის მრავალათასიან არმიას, ბუნებრივია, მოქმედება ძალიან გაუჭირდებოდა, ვიდრე ვაკე იმერეთში, სადაც ქართველებს ძალიან გაურთულდებოდათ ბრძოლის წარმართვა. ამ მხრივ ქართველებს ოკრიბის ვიწრო ხეობა უპირატესობას აძლევდა და ალბათ ახალგაზრდა სოლომონის სამხედრო ნიჭს უნდა მივაწეროთ, რომ მან შეძლო მტერი მისთვის ხელსაყრელ გარემოში შეეყვანა და შემდგომ გაენადგურებინა. „პირველი შეტაკება მტრის იმერეთში გადმოსვლის-თანავე გაიმართა, გადამწყვეტი ბრძოლის ადგილამდე მხარეებმა თითქმის ასი კილომეტრი განვლეს. პირველი შეტაკების შემდეგ სოლომონმა უკან დაიხია და კაკასხიდთან გამაგრდა. მეორე დღეს იმერეთის მეფემ ეს პოზიციაც დათმო და ოსმალები ქუთაისში შევიდნენ“ (სამუშია.2007:52). სოლომონ მეფე, როგორც ჩანს შეგნებულად იხევდა უკან და მტერი ქვეყნის სიღრმეში შეჰყავდა, მისმა გეგმამ შედეგი გამოიღო: „ზეკარსა და კაკასხიდთან მიღწეული წარმატებებით გათამამებულმა გოლა ფაშამ ლევან აბაშიძისა და როსტომ ერისთავის თხოვნით იმერეთის მეფის დევნა განაგრძო. ოსმალთა გაერთიანებული ლაშქარი გოდოგან-გელათის გზით ხრესილს მიუახლოვდა“ (იქვე:52). ისტორიული გადმოცემის მიხედვით სოლომონ მეფეს სხვა ღონისძიებებიც გაუტარებია, თუმცა რამდენად სარწმუნოა ეს ცნობები ძნელი სათქმელია. ბრძოლის დაწყების წინ სოლომონ მეფეს სარდალ აგიაშვილისათვის ბაღდათის ციხის გარემოცვა უბრძანებია, გიორგი აბაშიძეს კი შორაპნის ციხის გარემოცვა მოუწყვია. ასეთივე ბრძანება მიუღიათ ფიცის კაცებს: „თავადს ბერ ლორთქიფანიძეს მეფე სოლომონ სიყვარულით მოგიკითხავ, ამასთანავე გიბრძანებთ, რომ მიღების თანავე ამ ბრძანებით წერილისა შეკრიბო ფიცის კაცნი: თავადნი და აზნაურნი თავისი

ყმებით და ისინიც, რომლებიც ჩემი სახასო ყმები არიან და ანუ ეკლესიისა. ვისაც იარაღის ხმარება შეეძლოს თავად–აზნაურებისაგან სუყველა და გლეხებისაგან მხოლოდ თვითო გამოიწვიე. შემოჰკარი ქუთაისის ციხეს, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალეთის ჯარი, არავინ გამოუშვათ“ (სიხარულიძე. 1964:156–157).

ეს გადმოცემა მრავალ საგულისხმო ფაქტს გვაუწყებს, სოლომონ მეფეს ხრესილის ბრძოლის წინ მიზანმიმართული ღონისძიებები გაუტარებია, ამ მოქმედებით სოლომონ მეფეს ოსმალთა არმიისთვის ყოველგვარი დახმარების შესაძლებლობა მოუსპია. ქუთაისის, ცუცხვათის, ბაღდათისა და შორაპნის ციხეთა გარემოცვით ოსმალთა შორისაც გარკვეული პანიკა იქნებოდა, რადგან დასუსტებული იმერეთისაგან მტერი ალბათ ასეთ სერიოზულ სტრატეგიულ მოქმედებებს არ მოელოდა. სოლომონ მეფის ბრძანებით თავად მიქელაძეს კულაშის, ჯაგანის, ორივე ჯიხაიშის, გუბისწყლის და ეწერის მოსახლეობიდან შეუკრებია ჯარი და ფოთის გზა შეუკრავს ეკალმუხურში. ფოთის ციხეშიც ოსმალთა გარნიზონი იდგა და, ბუნებრივია, იქედან დახმარების მიღების შესაძლებლობა არსებობდა. ფაქტიურად ხრესილის ველზე დაბანაკებული ოსმალთა არმია სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა, ოსმალებმა პირველ ეტაპზე ქართული ციხეებიდან მიიღეს დახმარება ცოცხალი ძალის სახით, თუმცა შემდეგ სოლომონ მეფის სწორმა მოქმედებებმა ოსმალებს ციხეებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა მოუსპო. ეს კარგად გამოჩნდა ბრძოლის დამთავრების შემდეგ, როდესაც ხრესილის ბრძოლაში დამარცხებულმა მტერმა ვერცერთ ციხეში ვერ შეაფარა თავი. ბრძოლა გაიმართა ზამთარში და ბუნებრივია, ბრძოლის დაწყების წინ გამთენიისას მებრძოლებს სციოდათ. ქაიხოსრო ყიფიანის გადმოცემით ბრძოლის დაწყების წინ, მეფის ბრძანებით ყველა მეომარს თითო აზარფეშა არაყი დაალევინეს. ცხადია არაყის დალევა მეტ სიმხნევეს შესძენდა ქართველებს ბრძოლის დაწყების წინ. სხვა გადმოცემით, ხრესილის ომის წინ სოლომონ მეფეს ღვინო მოუთხოვია და ჯარი დაულოცავს: „ჩემო იმერლებო! მტრები ბევრით ჩვენზე მეტია, მაგრამ ნუ შეშინდებით! დღეს მარტო ჩვენ არა ვართ მეომარნი, არამედ ჩვენთანა არს ძალი იესო მაცხოვრისა. დღეს ეჭირვება ქრისტიანობას გამოხსნა. შესწირეთ თავი თქვენი ქრისტეს

სარწმუნოებას. გამხნევდით მეც თქვენთან ვიქნები, არც ჭირში და არც ლხინში არ მიგატოვებთ და ღმერთი იქნება ჩვენი შემწე!“ (იქვე: 159). ღვთის მოიმედე ახალგაზრდა მეფემ სამშობლოს დასაცავად მოუწოდა მამულიშვილებს. სამშობლოსათვის თავის გაწირვა კი ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავდადებას ნიშნავდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოლომონ მეფე დარწმუნებულია, რომ იესო ქრისტეს ძალითა და შეწევნით დაამარცხებენ ძლიერ მტერს და „ქრისტიანობას გამოიხსნიან“.

14 დეკემბერს, გამთენიისას, ქართველთა ჯარი სოლომონ მეფის ხელმძღვანელობით, რომელიც ჯარის მარჯვენა ფლანგს მეთაურობდა, გათენებამდე მტრის ჯართან საკმაოდ ახლოს მისულა. მეფეს ღამე არ უძინია, რადგან იგი მთელი ღამე დაჩოქილი ლოცულობდა. დილით კი მას აუვსია აზარფეშა და უთქვამს: „დიდება ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ჩემს ჯარს, საქრისტიანოს დახსნისათვის მსხვერპლად დამზადებულს“. მეფემ კარგად იცოდა ის დიდი საფრთხე, რაც ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირებას შეიძლებოდა გამოეწვია, სწორედ ამის გამო მან შეწევნა ღვთისაგან ითხოვა. ქართველთა ბრძოლა ხრესილის ველზე კი საქრისტიანოს გამოსახსნელად წარმოებულ ბრძოლას შეადარა. ქართველებს მტერზე თავდასხმა მოხერხებული ადგილიდან მოუხდენიათ, როგორც აღვნიშნეთ, სოლომონი ჯარის მარჯვენა ფლანგს, ხოლო პაპუნა წერეთელი კი მარცხენა ფლანგს ხელმძღვანელობდა. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელებულა და თავდაპირველად ოსმალებს მიუღწევიათ წარმატებისათვის, რადგან მათ ქართველთა სამეფო დროშა ჩაუგდიათ ხელში. თ. მაგმაძის ზეპირგადმოცემის მიხედვით სამეფო დროშა ხელში ჩაუგდიათ ლევან აბაშიძის მარგველებს, რომლებიც მტრის რიგებში იყვნენ, მათ როგორც იმერლებს „ქართულათვე ეცვათ, იმ აურ-ზაურში მეფის მცველებმა თავისიანებში ვერ გაარჩიეს და ახლოს მიუშვეს დროშასთან“ (ძველი საქართველო. 1913:40). ამ შეცდომის გამო მოღალატე ქართველებს სამეფო დროშა გაუტაციათ და ლევან აბაშიძესთვის, ამ უკანასკნელს კი თურქი სერასკირისათვის მიურთმევია. ბრძოლაში დროშის დაკარგვა დიდ უბედურებად იყო მიჩნეული, ამიტომ მტრის რიგებში ქართველი საუკეთესო მებრძოლები შეჭრილან დროშის გამოსატანად, ბოლოს

სამეფო დროშა სოლომონ მეფისათვის გურიის ერისთავს მიურთ-მევია. სხვა ცნობით ქართველთა ფლანგებიდან დარტყმას ოსმალთა ჯარის ნაწილები აურევია. ამ დროს მტერს შეუნიშნავს შემაღლებულ გორაკზე მდგარი სოლომონ პირველი თავისი რაზმით და იერიში მიუტანია. მეფე თანმხლებ რაზმებთან ერთად მამაცურად შეება ოსმალებს... სწორედ ამ დროს მეფის რაზმს წამოეშველა სამურზაყა-ნოს პატრონი ხუტუნია შარვაშიძე (სამუშია.2007:53). ქართველთა შეუპოვრობასა და თავდადებას ბრძოლის მიმდინარეობა შეუცვლია, რადგან ოსმალთა არმიამ თავისი უპირატესობა ვერ გამოიყენა. ასევე რამდენიმე გარემოებამ ქართველებს კიდევ უფრო მეტი უპირატესობა მიანიჭა. 1. ბრძოლაში გავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ როსტომ ერისთავისა და ლევან აბაშიძის ჯარის ნაწილებმა სოლომონ მეფის მხარეზე დაიწყეს გადმოსვლა. მათი ეს მოქმედება გვაფიქრებინებს, რომ რიგითი ქართველი მამულიშვილები თავიანთი ნების საწი-ნააღმდეგოდ იყვნენ წაყვანილნი ბრძოლაში. მაგრამ მათ უკანასკნელ კრიტიკულ სიტუაციაში სწორად შეაფასეს მოვლენები და მტერს ზურგი აქციეს. 2. ბრძოლის ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილა მას შემდეგ, როცა სოლომონ მეფეს ხმლით თავი მოუკვეთია ოსმალთა ჯარის სარდლისთვის. ძველი გადმოცემა სოლომონ მეფის შესახებ გვამცნობს, რომ ხრესილის ომში როგორც კი სოლომონს ფაშა დაუნახავს „შეჭყივლა თათრულად აიყარე იარაღი და ან მარჯვედ დამხვდიო!“ (კვალი. 1895 № 23). ფაშა მეფის დანახვაზე ისე შეში-ნებულა, რომ ხმალი ნახევრამდე ძლივს ამოუღია. სარდლის დაღუპვას ოსმალთა არმიაში უწესრიგობა მოჰყვებოდა. ოსმალთა ჯარის სარდლის ვინაობა წყაროებში არ ჩანს, მაგრამ მისიონერ ლეონის ცნობით ოსმალთა არმიის სარდალი იყო გოლა ფაშა; „ფაშამ მოისმინა თუ არა ეს ფრიად მოეწონა და მაშინვე დანიშნა ერთი გენერალი, სახელად გოლა ფაშა, და ლეონის თანხლებით ორმოცი ათასი ჯარისკაცით იმერეთში გამოისტუმრა“ (კომუნარი. 1959. № 95). მისიონერი ლეონი ოსმალთა ჯარს გადმოჰყოლია იმერეთში და მისი ცნობები ყველაზე ფასეულია ხრესილის ომზე. სოლომონის მიერ დამარცხებული თურქი სარდალი ალბათ უნდა ყოფილიყო ქუთაისის ფაშა კიკიანი. 3. სარდლის დაღუპვას მალე მოჰყვა გოლა-ფაშასა და ბაშა-აღას ცოცხლად შეპყრობა. ამ საქმეში თავი

გამოუჩენიათ მეგრელთა მხედრობას. ნიკო დადიანის ცნობით „კვალად შეიპყრეს მენგრელთა გოლა ფაშა და სპასპეტი მხედრობისა ამის ბაშა აღა და მოჰკვეთეს ორივეს თავი“(დადიანი.1962:178). იგივეს მოწმობს ქაიხოსრო ყიფიანის ნაამბობიც, რომლის მიხედვითაც ბრძოლის დაწყების წინ სეხნია ლოლუას მეორე აზარფეშა არაყი მოუთხოვია და „ადღეგრძელა მეფე და შეფიცა მას, რომ თვითონ, თავისი ხელით მოუყვანდა მეფეს გოლა ფაშას“ (ამბროსი ხელაია. 2011:394). როგორც ჩანს, სეხნია ლოლუამ თავისი დანაპირები შეასრულა და გოლა ფაშა მეფეს მიუყვანა დატყვევებული. იგივეს ადასტურებს ხელნაწერთა ცენტრის S ფონდის №252 ხელნაწერი; „მეფე სოლომონს გაემარჯვა. ლევან აბაშიძე მოკლეს, გოლა–ფაშა და ბაშა აღა დაირჩინეს და მერმე მოკლეს თვესა დეკემბერსა ი.დ.“ (ქრონიკები. 1967: 260). ანალოგიური შინაარსისაა შემოქმედის გულანის მინაწერი: „მეფე სოლომონს გაემარჯვა, ლევან აბაშიძე მოხკლეს გოლა ფაშა და შიშაღა დაირჩინეს და მერმე მოხკლეს თვესა დეკემბერსა იდსა“ (იქვე:260). ქართული წყაროები ფაქტიურად იდენტურია, ყველა მათგანი ერთხმად ადასტურებს ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებას. როგორც აღვნიშნეთ უმეთაუროდ დარჩენილმა ოსმალთა ჯარმა ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო და მათი დიდი ნაწილი განადგურდა. ძველი გადმოცემაც ადასტურებს ამ ფაქტს ცოტა განსხვავებულად; „სერასკირის ცოცხლათ შეპყრობამ გული გაუტეხა დანარჩენ ენგიჩრების ჯარს და იარაღი დააყრევინა. გამარჯვება იყო სრული, დიდ მნიშვნელოვანი, მთელ დასავლეთ საქართველოს აღმაფრთოვანებელი“ (ძველი საქართველო.1913:40). ამ ცნობით გოლა ფაშას შეპყრობამ განაპირობა ოსმალთა არმიის არეულობა. ბრძოლაში გადარჩენილმა თურქთა სამხედრო ნაწილებმა გაქცევით უშველა თავს, თუმცა გაქცეულთა უმრავლესობა ან დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა. „ლტოლვილნი თურქნი წარვიდნენ გურიის კერძო, სადაცა ოდიშართა და გურიელთა შეკრნეს გზანი და მოსწყვიდნეს სრულიად და მცირედნიღა განერნეს“ (დავით ბატონიშვილი. 1941:).

ე.ი. ხრესილიდან გაქცეული მტერი გურიაში ჩასაფრებულ ქართველთა მხედრობას გაუნადგურებია, რითაც დასტურდება, ქართველებს წინასწარ ჰქონიათ ზომები მიღებული ოსმალთა

გაქცევის შემთხვევაში. ოსმალთა ჯარის ერთი ნაწილი გურიიდან აპირებდა ოსმალეთში გადასვლას, ხოლო მეორე ნაწილი „ივლ-ტოდნენ ახალციხეს“. მაგრამ მათი დიდ ნაწილიც ტყვედ ჩავარდა; ნ.დადიანის ცნობით „რომელ კაცსა ერთსა მოჰყავდა ათი ოსმალი შოებული და აღიღეს ალაფ–ბარგნი უმრავლესნი“ (დადიანი. 1962:178). ტყვეებთან ერთად ქართველებს მტრის მდიდრული ბანაკიც დარჩენია. „დაშთათ ბანაკი მათი, ფრიად მდიდარი, ესრეთ, რომელ არა სადა ნახულ არს ეგოდენ ტურფაისა ნივთისა ნახვა“ (დავით ბატონიშვილი. 1941:). XX საუკუნის დასაწყისამდე ქაიხოსრო ყიფიანის სახლში ინახებოდა ხრესილის ბრძოლაში ნაალაფარი ერ-თი თეფში, რომელზეც იალქნიანი გემი ყოფილა გამოსახული. ეს თეფში ქაიხოსრო ყიფიანს უშოვია ვიღაც ბაქრაძის ქალისაგან, რომლის პაპაც იღებდა თურმე მონაწილეობას ხრესილის ომში და ოსმალთა დატოვებული ნივთებიდან მას 12 თეფში რგებია წილად“ (ამბროსი ხელაია. 2011:393). ოსმალთა დატყვევებასა და მდიდრული ალაფის ხრესილის ბრძოლის ველზე დატოვებას ადასტურებს მისიონერი ლეონიც, რომლის ცნობითაც „რამდენიმე დღის შემდეგ ყველა თურქი, ვინც კი ტყვედ ჩაიგდო ხელში, უმაღლესი კლდიდან ძირს გადმოყარა და ას ნაწილად დაამსხვრია. სახლში წაიღო უმდიდრესი საუნჯე, საქონელი, ცხენები, ფული და სხვა ყველაფერი, რაც კი რამ გააჩნდა ორმოცი ათას კაცს. მცირე რიცხვმა გაქცევით უშველა თავს, დანარჩენნი დაიხოცნენ“ (კომუნარი. 1959. № 95). მისიონერი ლეონის ცნობები ხრესილის ბრძოლის შესახებ ფას-დაუდებელია, რადგან იგი, როგორც ვთქვით როსტომ ერისთავთან დაახლოებული და ოსმალთა არმიაში მყოფი პიროვნება იყო. ბრძოლის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულ ქართველებს მეფესთან დაუწყიათ მისალოცად მისვლა. ოდიშისა და გურიის მთავრების შემდეგ იმერლებს მიულოციათ მეფისათვის, შემდეგ კი „გურულებმა და ოდიშრებმა“. ყველას მოჰყავდა მათ მიერ შეპ-ყრობილი მხარგაკრული ტყვეები, მოჰქონდათ ნაშოვნი იარაღები, ბაირაღები და სხვა (ძველი საქართველო. 1913:40). ხრესილის ბრძოლის შესახებ რიონის ოთხთავის ქვედა აშიაზე საინტერესო მინაწერია: „ქ. მეფე სოლომონ და თანამეცხედრე მათი დედოფალი მარიამ ბატონობდნენ იმერეთს, მოვიდა უსჯულო აგარიანი და მე-

ფეს შემოებენ ოკრიბას, ხრესილზე. მეფეს გაემარჯვა. ფაშა მოკლეს და მრავალი თათარი ამოსწყვიდეს“ (ბოჭორიძე. 1995:111). ქართული წყაროები მტრის სიმრავლესთან დაკავშირებით თითქმის ყველა იდენტურია. ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ბრძოლის ველზევე გადაუხდიათ სამადლობელი პარაკლისი.

ჩვენთვის უცნობია ხრესილის ბრძოლაში დაღუპულ ქართველთა რაოდენობა. სავარაუდებელია, რომ ბრძოლაში რომელიც გამთენიისას დაიწყო და მთელი დღე გაგრძელდა ქართველთა ჯარის მხრიდანაც იქნებოდა მსხვერპლი, რომლის რიცხვიც ალბათ, ჩვენი აზრით, ათას კაცს მაინც აღემატებოდა. ჩვენთვის ერთ-ერთი მათგანის სახელი ცნობილია, აფხაზეთის მთავრის მემკვიდრე ხუტუნია შერვაშიძემ ბრძოლაში გმირობის ბრწყინვალე მაგალითი აჩვენა. ახალგაზრდა ქართველს ბრძოლის დროს 16 თურქი მებრძოლი გაუნადგურებია, თუმცა თავდადებული მებრძოლი ოსმალებს ალყაში მოუქცევიათ; „ოსმალთა რაზმთა შუაგულობასა მყოფი მოჰკლეს შარვაშიძე ხუტუნია“ (დადიანი. 1962: 178). წინაპართა მსგავსად ხუტუნია შერვაშიძემ ბრძოლის ხელოვნების ინდივიდუალური ოსტატობა აჩვენა, სწორედ ასეთ უთანასწორო პირობებში უწევდათ ქართველებს საუკუნეების მანძილზე ხელჩართულ ომებში ბრძოლა, სადაც თავდადების გარდა აუცილებელი იყო ფიზიკური სიძლიერე და საბრძოლო ილეთების სრული ცოდნა. შესაბამისად ხუტუნია შერვაშიძის გმირობა თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი თავდადება დღესაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. დღეისათვის აუცილებელია ხრესილის ბრძოლის ველზე დაიდგას შესაფერისი მონუმენტი (მართალია არსებობს ძველად აგებული მონუმენტი, რომლის გაახლებაც აუცილებელია) და ყოველი წლის 14 დეკემბერს გელათის ღვთისმშობლის სახელობის მთავარ ტაძარში ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე ხრესილის ბრძოლაში დაღუპული მამულიშვილების სახელზე მოსახსენიებელ პანაშვიდს აღასრულებს.

ხრესილის ბრძოლაში დაღუპულა სამშობლოსა და საკუთარი შვილიშვილის მოღალატე ლევან აბაშიძე. მიუხედავად ამისა ბრძოლის შემდეგ სოლომონ მეფემ მოაძებნინა მისი გვამი და დაუჩოქია და უტირია. ამ რთულ შემთხვევაშიც მეფეს შეუნარჩუნებია

პირადი ღირსების გრძნობაც და მას გარდაცვლილი წინაპრისთვის პატივი მიუგია. ს. კანდელაკის მოგონების მიხედვით სოლომონ მეფეს მოუკითხავს, თუ ვინ გაბედა და მოკლა მისი ბაბუა. მეფესთან მისულა ვინმე გეგელაშვილი, რომელსაც უღიარებია ლევან აბაშიძის ბრძოლაში მოკვლა და მეფისათვის უთქვამს; რომ მან მოკლა ქვეყნის ორგული და მოღალატე, რომელიც სიკვდილს იმსახურებდა (აკაკის კრებული. 1899:2). მეფეს გეგელაშვილისათვის აზნაურობა უბოძებია, აღსანიშნავია, რომ აზნაური გეგელაშვილები წარმოშობით იყვნენ სოფელ მესხეთიდან, დღეისათვის მესხეთის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის ეზოში შემორჩენილია აზნაურ გეგელაშვილთა საფლავის ქვები, რომელნიც შესაძლოა ხრესილის ბრძოლაში მონაწილე გეგელაშვილის შთამომავლები იყვნენ. სხვა ცნობით, ლევან აბაშიძე მოუკლავს ვიღაც ოკრიბელ ბრეგაძეს, რომელსაც დანახვისთანავე უცვნია ქვეყნის მოღალატე „დაასწრო ჰკრა თოფი თავის ქალაში და იქვე სული გააფრთხობინა“ (ძველი საქართველო.1913:40). ასეთი ტრაგედია დაატყდა თავს ახალგაზრდა მეფეს, რომელმაც ერთ–ერთი უდიდესი ბრძოლა მოიგო საქართველოს ისტორიაში, თუმცა მის მოწინააღმდეგეთა რიგებში საკუთარი ბაბუა იბრძოდა და რომლის გარდაცვალებით ქვეყანას ერთი მოღალატე მოაკლდა. ქვეყნის მეორე მოღალატე როსტომ ერისთავმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო თავადი წულუკიძე ბრძოლაში დაუტყვევები-ათ, არცერთი წყარო მის სახელს არ ახსენებს.

ხრესილის ბრძოლაში გამარჯვებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც კი ოსმალეთის სულთანს შეუტყვია „კონსტანტინეპოლში მეტად სამარცხვინო დამარცხება, რომ მისი კანონიერი განკარგულების დარღვევით ჰაჯი ფაშამ ასე მოიმოქმედა, თურქების ჩვეულებისამებრ, მისი ასეთი დიდი გაწბილების გამო ახალციხის ფაშა დაახრჩობინა არზრუმის მეორე ფაშა იბრაჰიმს“ (კომუნარი. 1959.№ 95). ლეონის ცნობით, ხრესილის ბრძოლის ველზე ოსმალეთის არმია უშუალოდ ოსმალეთის იმპერიის მმართველის სულთნის ბრძანებით ყოფილა გამოშვებული და ამხელა არმიის დამარცხებით სულთანი დიდად გაწბილებულა, მისივე ბრძანებით ჰაჯი ფაშა სიკვდილით დასაჯეს. ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის ხრესილის ბრძოლაში გამარჯვების მნიშვნელობას. ხრესილის ბრძოლაში გამარჯვება

უდიდესი მიღწევა იყო, რადგან, როგორც გადმოცემა გვაუწყებს, ამ გამარჯვებამ „დიდ მნიშვნელოვანი, მთელი დასავლეთ საქართველოს აღმაფრთოვანებელი“ განწყობა მოუტანა. ქართველმა ხალხმა ირწმუნა, საკუთარი და მეფის შესაძლებლობები და რომ მტრის უდიდესი არმიის დამარცხებაც შესაძლებელია. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა სწორმა მოქმედებამ და თავდადებულმა ბრძოლამ უმალ შედეგი გამოიღო. ბრძოლაში განადგურდა მტრის 40 ათასიანი არმია, რომლის მიზანიც სულთნის ბრძანების შესრულება და პატარა იმერეთის სამუდამოდ ოსმალეთის იმპერიაზე დაქვემდებარება იყო. რასაც უმალ მოჰყვებოდა სულთნის უპირობო მოთხოვნა ტყვეთა სყიდვის აღდგენაზე დასავლეთ საქართველოში. მტრის დამარცხებით ჩაიშალა ოსმალთა ზრახვები, მათ ვერცერთ მიზანს ვერ მიაღწიეს და ამასთანავე მტრის დანაკარგი ძალზე დიდი იყო. ხრესილის ომის შემდეგ ოსმალეთის იმპერიამ კვლავ გააგრძელა თავისი ბრძოლა პატარა იმერეთისა და მისი მეფის წინააღმდეგ. სწორედ ხრესილის ომის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა ახალგაზრდა მეფეს თავისი პოზიციები განემტკიცებინა და მომავალში უკეთესად მომზადებულიყო უძლიერეს მტერთან საბრძოლველად. ხრესილის ბრძოლაში გამარჯვებამ საშუალება მისცა სოლომონ მეფეს თავისი ეროვნული პოლიტიკა უფრო თამამად გაეტარებინა, თუმცა ეს ომი მხოლოდ დასაწყისი იყო მისი მტერთან ოცდაათწლიანი ბრძოლისა, შეურიგებელი ბრძოლისა, რომელშიც გამარჯვება პატარა იმერთსა და მის სახელოვან მეფეს დარჩა.

ბრძოლა ოსმალო დამპყრობლებთან 1758–1770 წწ.

„უძლთა მეტრფე
ლომებრ მყეფე
მტერთ სისხლთ მჩქეფე
იმერთ მეფე“
იოანე ბატონიშვილი

1757 წლის ხრესილის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ოსმალეთის იმპერიამ მიზნად დაისახა დაესაჯა იმერეთის „ურჩი მეფე“ და ყოველ მიზეზს გარეშე კვლავ აღედგინა ტყვეთა სყიდვა. მომავალი ბრძოლებისათვის ორივე მხარემ დაიწყო მზადება. თუმცა ძალები აშკარად შეუსაბამო იყო, სოლომონ მეფეს ძალიან მცირე შესაძლებლობები გააჩნდა, დაქცევის პირას მისული ქვეყანა დიდი ბრძოლებისათვის მოუმზადებელი იყო. ამის გამო სოლომონმა მტერთან საბრძოლველად თავისი გარკვეული სტრატეგია მოიფიქრა, რომლის მიხედვითაც იმერეთში ოსმალების შესაძლო შემოსევის შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა თავისი ქვეყნის ბუნებრივი პირობები და მტრის მრავალრიცხოვანი არმიებისათვის ბრძოლა გაემართა ვიწრო ხეობებში. ამის გარდა მეფის თავდასხმები ძირითადად მოულოდნელობის პრინციპზე იყო დამყარებული. ოსმალეთის იმპერია არც ხრესილში და არც მის შემდგომ ბრძოლებში ასეთ დიდ წინააღმდეგობას პატარა იმერეთისაგან არ ელოდა. ამასთან ერთად დიდი იმპერიისათვის პრესტიჟის საკითხიც იყო, რადგან ისინი ვერ იმორჩილებდნენ დაპყრობილი ქვეყნის ახალგაზრდა მეფეს, რომელსაც მეფობის დასაწყისში არ გააჩნდა ციხესიმაგრეები, რეგულარული და ბრძოლისუნარიანი არმია და ფინანსები. მაშინ, როცა ოსმალეთის იმპერიის რესურსი იმერეთთან შედარებით თითქმის ამოუწურავი იყო. ოსმალეთის სულთანმა კარგად უწყოდა, თუკი იმერეთსა და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვა აიკრძალებოდა, ოსმალეთისათვის ეს საკმაო ზიანის მომტანი იქნებოდა, რადგან თურქეთის არმია მუდმივ სამხედრო მოქმედებებს ახორციელებდა და გარკვეულ შევსებას

სწორედ საქართველოდან ღებულობდა. სოლომონ მეფის მიერ განხორციელებული ეროვნულ–განმანთავისუფლებელი პოლიტიკა კი ოსმალთა ბატონობას დასავლეთ საქართველოში საფრთხეს შეუქმნიდა. ისინი იმერეთს დიდი ხნის განმავლობაში თავის რიგით პროვინციად თვლიდნენ და ამის დასტურად მათ მიერ იმერეთში ოთხ უმთავრესი ციხეზე (ქუთაისი, ბაღდათი, შორაპანი, ცუცხვათი) კონტროლი შეგვიძლია მოვიტანოთ.

ურთულეს სიტუაციაში სოლომონ მეფე წინ აღუდგა ძლიერ მტერს და უამრავი პრობლემის მიუხედავად გასაოცარი სიმტკიცისა და ვაჟკაცობის მაგალითი აჩვენა. მის შეუპოვრობასა და სიმამაცეს საბოლოოდ ოსმალეთმაც კი გაუწია ანგარიში. ამ თვალსაზრისით სოლომონ მეფის მოღვაწეობა მრავალი მიმართულებით არის საინტერესო, ეს მოვლენები დღეისათვის განსაკუთრებით იძენს აქ-ტუალურობას. XVIII საუკუნის შუახანებში იმერეთში ურთულესი პოლიტიკურ-ეკონიმიკური მდგომარეობა იყო. უკიდურესად შემ-ცირებული და გაღარიბებული მოსახლეობა ოსმალთა შემოსევისა და ტყვეთა სყიდვის გამო ვაკე იმერეთის არაერთი ტერიტორიიდან მაღალმთიან იმერეთში იყო გადასული. ქვეყანას განვითარებისა და მომავლის პერსპექტივა თითქმის არ გააჩნდა, 17 წლის ყმაწვილ მეფეს ჩამოთვლილ პრობლემებთან ერთად საკუთარი ოჯახის წევრებიც კი საფრთხედ ექცნენ. გათავხედებული თავად–აზნა-ურობის ერთი ნაწილი პირადი კეთილდღეობის მიზნით მრავალ საშინელებას სჩადიოდნენ და სამშობლოს სამსახურის ნაცვლად მტრის აშკარა სამსახურში იდგნენ. სოლომონ მეფის წარმოებული ეროვნული პოლიტიკა კი მათთვის მიუღებელი იყო, ამიტომ სოლომონ მეფეს მათი წინააღმდეგობაც უნდა დაეძლია და მტერთანაც უნდა ებრძოლა. ამ მხრივ მართლაც გასაოცარია მისი გეგმაზომიერი ბრძოლა შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგ, რასაც არაერთი დადებითი შედეგი მოჰყვა. სოლომონ მეფის უშუა-ლო ინიციატივით იმერეთში გამოცოცხლდა საეკლესიო ცხოვრება, იმერეთის სამი საეპისკოპოსოდან ორი - ქუთაისისა და ხონის გა-უქმებული იყო, ამასთანავე ღვთისმსახურება აღარ სრულდებოდა დასავლეთ საქართველოს მრავალ ეკლესია–მონასტერში. ერში

დაცემული სარწმუნოების ამაღლება და ღვთისმოშიშება სოლომონის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ყოველივე ამის ფონზე სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის ტახტზე ძლიერი და შეუდრეკელი მონარქის ასვლას. მიუხედავად უამრავი პრობლემისა სოლომონ მეფემ ყველა გამოწვევას ღირსეულად უპასუხა და სიცოცხლის ბოლომდე არ შერიგებია აზრს, ოსმალეთის წინაშე ქედი მოედრიკა, პირიქით, მისმა თავგანწირულმა მოქმედებებმა ოსმალეთის უძლიერესი იმპერია აიძულა, გარკვეულ დათმობებზე წასულიყო.

1757 წლის ხრესილის ომის შემდეგ ოსმალებმა მორიგი სამხედრო ღონისძიება დაგეგმეს იმერეთის დასამორჩილებლად. ამ საქმეში აქტიურობა გამოუჩენია ახალციხის ფაშა ჰაჯი აჰმედს, რომელის ბრძანებითაც 1758 წელს ლეკების ლაშქრობა მოეწყო იმერეთში. მტრის მიზანი ძარცვასთან ერთად ქრისტიანი ქართველების შეპყრობა და ტყვედ წასხმა იყო. ხრესილის ბრძოლიდან რვა თვეში ახალციხის ფაშამ ლეკები დაიქირავა და იმერეთს შეუსია. ლაშქრობა ძალზე მოულოდნელი ყოფილა, პაპუნა ორბელიანის ცნობით; „ეს ხუნძახის ბატონი ამ ლეკის ჯარით გაუსივა ფაშამ იმერეთის ქვეყანასა და დაპირდა ჯამაგირს, ჩავიდა ქუთაისს ქვეით და ზევით სულ დაატყვევეს, გააოხრეს იმერეთი, მრავალი იშოვეს. მეფე სოლომონმა შებმა ვერ გაბედა, არც ქართველთა სთხოვა ჯარი, გელათის ეკლესია მაშინ წახდა, ეს ნაშოვარი მოიტანეს ახალციხის ქვეყანასა, მისცა ფაშამაც ბევრი ლეკთა და გაისტუმრა დაღესტანსა შინა“ (პაპუნა ორბელიანი. 1854:474). ლეკების ჯარს იმერეთში ზაფხულში აგვისტოს თვეში ულაშქრია, რომლის დროსაც მტერს მრავალი ქრისტიანი შეუპყრია. 1758 „ამავე ქორონიკონსა იმერეთს ლეკის ლაშქარი მოვიდა მრავალი სული ქრისტიანი იშოვეს; გელათი და სუჯუნის საყდარი დაწვეს თვესა აგვისტოსა“ (ქრონიკები.1967:260).

ლეკების იმერეთში ლაშქრობა ერთგვარი სადამსჯელო ღონისძიება იყო სოლომონ მეფის წინააღმდეგ, ვინაიდან მან ახალციხის ფაშას ტყვეებით ვაჭრობაზე უარი შეუთვალა, ხარკის გადახდა კი უკისრია. დაქირავებულ ლეკებს დავალება კარგად შეუსრულებიათ და ალაფითა და ადამიანებით დატვირთული ახალციხეში გადა-

სულან. ლეკთა ჯარი ალბათ საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, ამასთანავე მათი მოულოდნელი თავდასხმის გამო სოლომონ მეფემ ვერ მოასწრო ჯარის შეკრება და ლეკებზე პასუხის გაცემა. ლეკებს იმერეთის დალაშქვრის შემდეგ გურიაში ულაშქრიათ და შემდეგ გადასულან ახალციხეში. დატყვევებული ქართველები ახალციხეში მიუყვანიათ, მათი სიმრავლის გამო ახალციხის ფაშას კარგად გადაუხდია ლეკებისათვის და დაღესტანში გაუსტუმრებიათ. ახალ-ციხის ფაშამ იძულებით უცხო ძალის დაქირავებით მიაღწია მიზანს და კიდევ მრავალი ქართველი მოსწყვიტა სამუდამოდ საკუთარ ქვეყანას. თუმც 1758 წლიდან არ ყოფილა მტრის არცერთი თავდასხმა იმერეთში, რომ სოლომონ მეფეს რეაგირება არ მოეხდინოს. ამ ლაშქრობის დროს ლეკებს სავარაუდოდ ოსმალებიც ახლდნენ თან, ოსმალებმა როგორც ჩანს იმერეთის ციხეებში მდგარ ოსმალურ გარნიზონებს, გარკვეული დავალებები მისცეს. მათვე დაეკისრათ იმერეთში ხარკის აკრეფა. გათავხედებულ ოსმალებს უმოწყალოდ დაუწყიათ ხალხის ძარცვა და შეურაცხყოფა, შეწუხებულ მოსახლეობას კი საჩივრები დაუწერია. აღნიშნული საჩივრები კი ახალციხეში თვით სოლომონ მეფეს ჩაუტანია, ძირითადად საჩივ-რები ბაღდათისა და ქუთაისის გარნიზონების მიმართ ყოფილა (რეხვიაშვილი. 1989: 191). სოლომონ მეფე პირადად ხლებია ახალციხის ფაშას ჰაჯი–აჰმედს და ქართველთა გასაჭირის შესახებ მოუხსენებია. სოლომონ მეფე და ახალციხის ფაშა შეთანხმებულან, რის შემდეგაც ახალციხიდან სოლომონ მეფეს თურქთა ლაშქარი გამოჰყოლია „ალბათ გარნიზონის დასასჯელად“. ამ მძიმე სიტუ-აციაში სოლომონ მეფის ახალციხეში ვიზიტი საკმაოდ სარისკო იყო. მიუხედავად საფრთხისა სოლომონ მეფეს დაურწმუნებია ფაშა თავის სიმართლეში, თუმცა ფაქტია, რომ მას ბოლომდე არ ენდობოდნენ და სწორედ ამიტომ მეფეს 3 ათასი თურქი ჯარისკაცი გამოაყოლეს იმერეთში. ამ რაოდენობის ჯარის იმერეთის ციხეებში განლაგება კიდევ დიდი უბედურება იქნებოდა ქვეყნისათვის. თუმცა სულ სხვაგვარად ფიქრობდა სოლომონ მეფე, როგორც ჩანს, მას ახალ-ციხეშივე ჰქონია გადაწყვეტილი თურქების განადგურება. იგი ახალციხიდან დაკავშირებია „ფიცის კაცებს“. ამ ფაქტის შესახებ შ.

ბურჯანაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „სოლომონს თურქთა ჯარი გზაშივე გაუნადგურებია, რადგან მას თურქები გზაში უღირსად მოექცნენ და თურქთა სარდალი კაია ღამის მოულოდნელი თავდასხმით, შეიპყრეს და კლდეზე გადაჩეხეს“ (ბურჯანაძე. 1948: 55). რაში გამოიხატა თურქების უღირსი საქციელი, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ამ ცნობით ვგებულობთ, რომ „ფიცის კაცები“ ღამით მთაში სავარაუდოდ, ბაღდათის მთებში ჩაუსაფრდნენ თურქებს და მათი სარდლის დასჯის შემდეგ თურქების არმია გაანადგურეს. ასე გაუსწორეს ანგარიში ოსმალებს და ჰაჯი–აჰმედს „ფიცის კაცებმა“, ეს უკანასკნელი კი ამის გამო თანამდებობიდან გადაუყენებიათ, შემდეგ კი სიკვდილით დაუსჯიათ. ამ ფაქტს ადასტურებს მისიონერი ლეონი, რომლის ცნობითაც ჰაჯი–აჰმედის ადგილზე მისი ბიძაშვილი ჰასან–ფაშა დაუნიშნავთ. ეს იყო პატარა იმერეთის მორიგი გამარჯვება, ახალციხის რიგით მეორე ფაშა შეეწირა ქართველებთან ბრძოლას, ჰაჯი აჰმედი კი უმკაცრესად დაისაჯა სულთნის მიერ. სოლომონის ახალი გამარჯვება გამოწვევა იყო ოსმალეთისათვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ 1758 წელს ახალციხის ახლად დანიშნულ ჰასან ფაშას ორჯერ ულაშქრია იმერეთში, მაგრამ იგი ორივეჯერ დამარცხებულა და უკან გაბრუნებულა. ამ ორი ბრძოლის შესახებ ჩვენ დაწვრილებითი ცნობები არ გაგვაჩნია, არ ვიცით რა რაოდენობის მტერი შემოვიდა იმერეთში, თუმცა ფაქტია, რომ 1758 წელს ახალციხის მხრიდან ოთხჯერ წამოვიდა მტერი იმერეთში, სამ შემთხვევაში კი სოლომონმა მტერი დაამარცხა.

მომდევნო 1759 წელს ჰასან ფაშა გადაუყენებიათ და მის ნაცვლად იბრაჰიმ ფაშა დაუნიშნავთ ახალციხის ფაშად. ალექსანდრე მანველიშვილი ჰასან-ფაშას ლაშქრობას იმერეთში 1765 წლით ათარიღებს, რაც არასწორია. 1765 წელს თურქეთის არმია ჰასან-ფაშას მეთაურობით და რაჭის ერისთავის მხარდაჭერით საბრძოლველად გაემართა იმერეთისაკენ, რომელთაც მეგრელებთან და გურულებთან გქონდა კავშირი. დამარცხებული იმერეთის მეფე შეცვალა მისმა ბიძაშვილმა თეიმურაზმა (Manvelichvili.1956.327). იბრაჰიმ ფაშასთან მოსალაპარაკებლად სოლომონ მეფის მეუღლე მარიამ დადიანი ჩასულა და მას ახალციხის მმართველისათვის ზავი და

მშვიდობა შეუთავაზებია, რომლის ნაცვლად ფაშას ტყვეთა სყიდვის აღდგენა მოუთხოვია. ამის გამო, ბუნებრივია, რომ მოლაპარაკება ჩაშლილა. 1757 წლიდან ოსმალეთის იმპერიის ერთერთი უმთავრესი მოთხოვნა ტყვეთა სყიდვის აღდგენა იყო დასავლეთ საქართველოში, ამისათვის ოსმალეთის სულთანი არაფერს ერიდებოდა, მრავალათასიანი არმიების დამარცხების მიუხედავად, იგი ახალციხის ფაშებს სიკვდილითაც კი სჯიდა, რათა თავისი მიზნისთვის მიეღწია. არმიას არმიაზე აგზავნიდა და საწადელს მაინც ვერ მიაღწია ამხელა ზარალის მიუხედავად. ყოველწლიურ ლაშქრობებს უზარმაზარი სახსრები და ცოცხალი ძალა სჭირდებოდა. სწორედ ტყვეთა სყიდვის აღდგენის დაუოკებელი სურვილით უნდა ავხსნათ ესოდენ დიდი მსხვერპლის ფასადაც კი ოსმალეთი მიზნის მისაღწევად ყველაფერს აკეთებდა. ეს იმ ფონზე, როცა მათ იმერეთი დიდი ხნის დაპყრობილი ჰყავდათ და ფიქრობდნენ, რომ სოლომონ მეფის სიმტკიცეს ისინი აუცილებლად გატეხდნენ. სოლომონ მეფე კი თავისი წინდახედული მოქმედებით, მკაცრი ნებისყოფითა და შეუპოვრობით თანდათან ძლიერდებოდა. მიუხედავად მტრის მიერ არაერთი მოთხოვნისა ტყვეთა სყიდვის აღდგენაზე, ყველა შემთხვევაში სოლომონმა უარით უპასუხა. მისი ამ თავგანწირული მოქმედებით არაერთი ქართველი გადაურჩა ტყვედ გაყიდვას. სოლომონის მოქმედებები თანმიმდევრული და მიზანმიმართული იყო, იგი 1758 წლის ლეკების თავდასხმის შემდეგ, ოსმალთა ყველა შემოტევას გმირულად იგერიებდა. დღემდე არ არის შესწავლილი, სოლომონი თავისი მცირერიცხოვანი ჯარისა და მწირი სახსრებით როგორ ახერხებდა ოსმალეთის უზარმაზარ იმპერიასთან დაპირისპირებას.

ფაქტია, რომ სოლომონ მეფემ შეარჩია ბრძოლის ისეთი ტაქტიკა, რომელშიც იგი თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. შეუპოვარი მეფე ორ ფრონტზე იბრძოდა, იგი ჯერ შინაურ მტრებს უსწორდებოდა, შემდეგ ლეკებსა და ოსმალეთის იმპერიას. შინაურ მტერში მოიაზრებოდა იმერეთის თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კონტროლს საჭიროებდა. მათ გარდა შინაურ მტრებში მოიაზრებოდა ასევე მთავრები დადიანი, გურიელი და

რაჭის ერისთავი როსტომი, რომლებიც მხოლოდ რიგ შემთხვევაში იყვნენ სამშობლოს სამსახურში, უმეტესად კი მტერთან შეთანხმებით ცდილობდნენ სოლომონის დასუსტებას. დადიანთან მეფის დანათესავებამ მეფეს ერთგული მოკავშირე შესძინა, თუმცა, სამწუხაროდ, დადიანის მხრიდანაც არ იყო უცხო მეფის ღალატი. ხრესილის ომის შემდგომი პერიოდი სამი–ოთხი წელი, როგორც ჩანს,სოლომონმეფემმტერთანმომავალბრძოლებშიმოსამზადებლად გამოიყენა. ამის თქმის საშუალებას გავძლევს 1760 წლიდან მისი მუდმივი მზადყოფნა მტერთან წარმოებულ ბრძოლებში. ჰასან ფაშას გადაყენების შემდეგ მისიონერი ლეონის ცნობით იმერეთში კიდევ ერთი ლაშქრობა მოუწყვიათ ოსმალებს. სულთნის ბრძანებით იმერეთში ულაშქრია ანატოლიის მმართველ სარ აჰმედ ფაშას. მტრის ჯარის რაოდენობა ლეონს გადამეტებულად აქვს მოცემული და აღნიშნავს, რომ არზრუმში, თოხათში, ტრაპიზონში, ბაიაზეთში და სხვაგან მას ასი ათასი კაცი შეუგროვებია და იმერეთში იმ იმედით წამოსულა, რომ სოლომონ მეფეს ცოცხლად შეიპყრობდა, იმერეთს კი ძირფესვიანად დაანგრევდა, მაგრამ სოლომონს ფაშა დაუმარცხებია. ფაშას ათიათასიანი ჯარით ღამით ძლივს გაუსწრია ახალციხეში. გამარჯვებულ სოლომონს კი უამრავი ტყვე და ალაფი დარჩენია ბრძოლის ველზე (კომუნარი. 1959.№ 95). აღნიშნული თავდასხმის შესახებ ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ლეონის ცნობები მაინც ფასეულია, იგი თარიღის დასახელების გარეშე გვიამბობს მტერზე რომელიც სავარაუდოდ 1759–1760 წლებში შესაძლოა თავს დაესხა იმერეთს და ამ ბრძოლაშიც მეფეს გაუმარჯვია.

ოსმალეთის სულთნის ბრძანებით იმერეთზე ახალი თავდასხმა 1760 წელს მოლა აბდულა ფაშას სარდლობით მომხდარა, რომელსაც წინანდელზე მეტი გადასახადები მოუთხოვია, უმთავრესი მოთხოვნა კი ქართველი ტყვეების თურქთათვის მიყიდვა იყო. ოსმალები აბდულა ფაშას სარდლობით სოლომონ მეფეს დაუმარცხებია. ბრძოლაში მტრის დიდი ნაწილი დაღუპულა, ბევრიც კიდევ სოლომონ მეფეს დაუტყვევებია. დასანანია, რომ ჩვენ არ გვაქვს ამ ბრძოლის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები, მაგალითად, სად მოხ-

და ბრძოლა, რამდენი იყო მტრის რაოდენობა და ა.შ. ოსმალებთან წარმოებულ რიგით მეოთხე ბრძოლაში სოლომონი კვლავ გამარ-ჯვებული გამოვიდა. (თუკი უცნობ ბრძოლას ჩავთვლით მაშინ მეხუთე გამოდის). ყოველი ახალი გამარჯვება ოსმალებთან, მო-მავალი ბრძოლის საწინდარი იყო და ბუნებრივია სოლომონ მეფე ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო. მომდევნო 1761 წელს სულთნის ბრძანებით რამდენიმე ათასიანი ჯარი კვლავ შემოსულა იმერეთში, თუმცა თავდადებულ ქართველებს კვლავ დაუმარცხები-ათ და გაუნადგურებიათ მტერი (ბურჯანაძე. 1948: 58). 1761 წლის ლაშქრობაში ოსმალებს როსტომ რაჭის ერისთავი კვლავ შემოუძღვა მტერს; „მსგავსებითა იუდასითა აღიღო მახვილი მეფესა თვისსა ზედა და მრავალგზის შემოება ჯარსა მეფისასა“ (საქართველოს სიძ-ველენი. 1913: 570). ამ დროისათვის იმერეთის კათალიკოსად როსტომ ერისთავის ძმა ბესარიონ ერისთავი იყო და როსტომთან ბრძოლა ბესარიონ კათალიკოსთან ბრძოლასაც ნიშნავდა. ამიტომ მეფე კათალიკოსის ავტორიტეტს ანგარიშს უწევდა და ერისთავის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებისაგან თავს იკავებდა (რეხ-ვიაშვილი. 1989:207). ამ სამწუხარო რეალობის წინაშე იდგა მეფე, რომელსაც დღედაღამ უნდა ეფიქრა, თუ როგორ გამკლავებოდა უძლიერეს აგრესორს, რომელსაც მეგზურად როსტომ ერისთავი ან დადიანი მოუძღოდნენ. როსტომმა ხრესილის ბრძოლის მსგავსად კვლავ გადაირჩინა თავი და კვლავ საფრთხედ ექცა ქვეყანას.

1763 წელს იმერეთს ოსმალთა ახალი არმია დაესხა თავს, მტრის ჯარი ორ ნაწილად ყოფილა გაყოფილი. იმერთა მხედრობის საერ-თო რაოდენობა 5000 კაცი ყოფილა. ჰამერის ცნობით ოსმალთა ჯარის რაოდენობა 13 000 კაცს შეადგენდა, მაგრამ იანიჩართა, ლევანდთა და ქურთთა შორის უთანხმოების გამო ჯარებმა თავიანთი დროშები მიატოვეს. თურქები, რომლებიც იმერეთის გასაძარცვად და დასა-მორჩილებლად სოლომონის მეფობაში მეხუთედ ლაშქრობდნენ, ქვეყანაში შემოიჭრნენ. თავისუფლებისათვის მებრძოლმა მცირე-რიცხოვანმა ლაშქარმა სოლომონ მეფის მეთაურობით უკანდახევის გზით მტერი შიგნით შემოიტყუა, ძარცვით გატაცებული აგრესორის საბრძოლო დისციპლინა შეირყა, რის გამოც მისმა მრავალრიცხოვ-

ნებამ თვისობრივი ძალა დაკარგა (ბურჯანაძე.1948: 62). ოსმალთა 13 ათასიანი არმიის დამარცხებას ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი: 1. სოლომონ მეფის ბრწყინვალე სამხედრო მანევრმა, როდესაც მან მტერი იმერეთის სამხრეთით შემოიტყუა. 2. ოსმალთა ჯარის მრავალეთნიკურობამ და საბრძოლო წესრიგის ნაკლებობამ, მტრის ჯარში უთანხმოება გააღვივა, რამაც კიდევ მეტი უპირატესობა მიანიჭა სოლომონ მეფეს. იმერეთის გაუვალ ადგილებში შეტ-ყუებული მტერი ძარცვა–რბევით დაკავდა, რამაც მათი ყურადღება კიდევ უფრო მოადუნა. ამ უპირატესობათა შემდეგ ქართულმა სამხედრო ნაწილებმა განახორციელეს მტერზე თავდასხმა, რამაც მტრის დაშლა და განადგურება გამოიწვია. გადარჩენილი ოსმალები ახალციხისკენ გაქცეულა, თუმცა იმერთა მხედრობა მათ უკან დასდევნებია და გაუნადგურებია. მტრის 13 ათასიანი ჯარი თითქმის მთლიანად გაჟლეტილა. მათ შორის უკვალოდ დაკარგულა ბაიაზეთის ფაშას ძე და ძმისშვილი, რის გამოც ფაშას ეჩმიაძინის კათალიკოს სიმეონისათვის, ხოლო უკანასკნელს კი ერეკლე მეფი-სათვის უთხოვია დახმარება (იქვე:62). ამ ცნობით დასტურდება, რომ ოსმალთა არმია კარგად იყო ორგანიზებული და ამ არმიაში ოს-მალეთის სხვადასხვა რეგიონთა უმაღლესი წარმომადგენლები ღებულობდნენ მონაწილეობას, მათ შორის ბაიაზეთის ფაშას შვილი და ძმისშვილი, რომლებიც უკვალოდ დაკარგულან. ეს თავდასხმა ზამთარში მომხდარა, გაქცეულ ოსმალებს დროშები და ცხენები მიუტოვებიათ, რადგან თოვლი ყოფილა და ისინი ახალციხეში ფეხით გაქცეულან. შესაძლოა ლაშქრობა ზამთრის პირზე მოაწყვეს, მაშინ როცა ბაღდათის მთები თოვლითაა დაფარული, ან ადრე ჩამოთოვა მთაში, რამაც ოსმალებს დამატებითი პრობლემა გაუჩინა. ქართველთათვის მდებარეობის გარდა ზამთრის თოვლსაც შეუწყ-ვია ხელი და მტერი მთლიანად გაუნადგურებიათ. თუმცა „ხვანთქრის მექრთამე სარდლები იმერეთის ექსპედიციებში უპირველეს ყოვ-ლისა პირად სარგებელს ეძებდნენ და ოდნავ სერიოზულსა და სამძიმო საქმის შესრულების უნარს ყოვლად მოკლებული აღ-მოჩნდნენ“ (ბერძენიშვილი. 1973:418). ქართველების ბრძოლას კი უდიდესი მოტივაცია ჰქონდა, ქვეყნის გათავისუფლება! რისთვისაც

ისინი თავდადებით იბრძოდნენ და თავს არ ზოგავდნენ. ეს გამარ-ჯვება სოლომონ მეფის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იყო ხრესილის ომის შემდეგ, სადაც მტრის 13 ათასი მებრძოლი განადგურდა, თუმცა ოსმალებისათვის კი გაშმაგებისა და შურისძიების საფუძველი, რათა მომავალში უფრო ორგანიზებული თავდასხმა მოეწყოთ იმერეთზე. იმერეთის ბუნებრივი პირობების უპირატესობაზე ცნობებს გვაწვ-დის მისიონერი ლეონიც. იმერეთი ათჯერ უფრო ბუჩქნარიანია, ვიდრე ქართლი და კახეთი, ქუჩები იმდენად ვიწრო და დაქანებუ-ლია, ერთ ცხენოსან კაცს ძლივს შეუძლია გავლა, ერთმა მეორის შემდეგ უნდა გაიაროს. მათი ძალა ტყესა და ბუჩქნარებში მდგო-მარეობს. იმერლები მის გარშემო ჩაუსაფრდებიან ხოლმე, მტრებს შუაში იმწყვდევენ და მათ ამარცხებენ. თუ მტერი ველებზე გავა დასაბანაკებლად, მაშინ იმერლები მაღალი მთებიდან ქვებს აგორებენ, კაცებსა და ცხენებს ჩეხავენ, ზემოთ ასვლა მათ (მტერს) არ შეუძლიათ, იმიტომ რომ გზები ჩახერგილი აქვთ ხეებითა და მორებით (კომუნარი. 1959.№ 95). მისიონერ ლეონს ყურადღება მიუქცევია იმერეთის ბუნებრივ პირობებზე და ქართველთა ბრძო-ლის ხერხებზე, იგი საკმაოდ საინტერესო ცნობებს გვაწვდის, თუმცა რიგ შემთხვევაში იგი აჭარბებს, როცა აღნიშნავს, რომ „იმერეთს არ სჭირდება ბევრი ჯარისკაცი და გულადი მეომარი მტრის დასაძ-ლევად“. მიუხედავად წარმატებისა სოლომონ მეფეს კარგად ესმოდა, რომ თურქეთის გამკლავება პატარა იმერეთს გაუძნელდებოდა. ამი-ტომ იმერეთის მეფე, 1761-1763 წლებში თურქთა სამი შემოტევის უკუგდების შემდეგ, 1764 წელს ალექსანდრე ბაქარის ძეს რუსეთში სწერდა იქნებ თურქებს ვერ გაუძლო და იმედი მაქვს რუსეთში ჩემი წამოსვლისას დახმარებას გამიწევო (მაჭარაძე.1957:28). უძლიერესი იმპერიის დაუსრულებელი თავდასხმების შემდეგ სოლომონ მეფეს გასჩენია აზრი რუსეთში წასვლისა, საბოლოოდ მან სამშობლოს დასაცავად წარმოებული ბრძოლა სიცოცხლის ბოლომდე გააგრძელა.

ოსმალეთის ხელისუფლებამ სოლომონ მეფესთან წარმოებული ბრძოლის პირველი ეტაპი ფაქტიურად წააგო, 1757 –1763 წლებში მათ მიერ გამოგზავნილ მხედრობათა ძირითადი ნაწილი (1758 წლის ლეკთა ლაშქრობის გარდა) დამარცხდა. მტრის ზარალი 60 ათას კაცს

აღემატებოდა, ამ რაოდენობის მოსახლეობა მთელს იმერეთში ძლივს მოიძებნებოდა, შესაბამისად ოსმალთა არმიების ზედიზედ დამარცხება მათთვის დიდი გამოწვევა იყო. სწორედ ამის გამო მტერმა გადაწყვიტა ბრძოლის ტაქტიკა შეეცვალა, ვინაიდან იმერეთის თავდაცვითი ჯარების სიძლიერე თურქთათვის დაუძლეველი გახდა, ამიტომ მტერმა გადაწყვიტა მოღალატე ქართველებთან შეეკრა პირი და ძალების მაქსიმალური მობილიზებით მისთვის არასასურველი მეფე ტახტიდან ჩამოეგდო. სოლომონის ჩანაცვლება უნდა მომხდარიყო სამეფო წარმომავლობის ბაგრატიონი კანდიდატით. შ. ბურჯანაძის მიხედვით ამ დროისათვის ახალციხეში მძევლად უნდა ყოფილიყო სოლომონ მეფის ძმა პეტრე, იგი მძევლად იმყოფებოდა ახალციხეში სოლომონ მეფის ყოფნის დროიდან, როდესაც სოლომონი თურქულ გარნიზონზე საჩივლელად იყო ჩასული. სოლომონ მეფის ძმას ასეთი უღირსი საქმე არ უკისრია, შემდგომში პეტრე ბატონიშვილს რა ბედი ეწია ჩვენთვის უცნობია. ამ დროისათვის თურქეთში სოლომონ მეფის ნათესავი (ბიძაშვილი) თეიმურაზ ბაგრატიონი ჩასულა. სოლომონის პოლიტიკით უკმაყოფილო თეიმურაზი ჯერ კიდევ 1763 წელს ახალციხის საფაშოში იმყოფებოდა და მეფობის მაძიებელი თურქებს ტყვეებით ვაჭრობის აღდგენას ჰპირდებოდა, თუ მას იმერეთის ტახტზე დასვამდნენ (სოსელია. 1973:100). 1763 წელს დაწყებული გადატრიალების მოწყობა 1765 წელს განახორციელეს, ოსმალეთის სულთნის უშუალო ხელშეწყობითა და მოღალატე ქართველების დახმარებით. ოსმალეთის ხელისუფლებას კარგი შესაძლებლობა მიეცა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. მათ უზარმაზარი ჯარი შეკრიბეს და ჰასან ფაშა ჩაუყენეს სათავეში. მტერი საქართველოში გურიის მხრიდან შემოსულა, იოანე ხოჯაშვილის ცნობით ლაშქრობა 1765 წლის 10 ივნისს დაწყებულა (ახალციხური ქრონიკები.2015:12). ეს იყო კარგად დაგეგმილი და ძლიერ ორგანიზებული თავდასხმა, მტრის საერთო რაოდენობა 80 ათას კაცს შეადგენდა. ეს ფაქტი კარგად მოწმობს რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს და მის მეფეს სოლომონს. ასეთი დიდი რაოდენობის ჯარი იმერეთს არასოდეს შემოსევია, მაგრამ ამ ფაქტით ცხადი

ხდება, რომ სოლომონ მეფე სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა ტახტს. ქართულ წყაროებში საკმაოდ მწირია ცნობები აღნიშნული თავდასხმის შესახებ. მაგრამ მტრის ჯარის მრავალრიცხოვნებას შემოქმედის გულანის არშიაზე მინაწერი ადასტურებს; „იმერეთს სერესკერი და ახალციხის ფაშა ოთხმოცი ათასი კაცით ჩამოვიდნენ ღვთის ნებით ტყულათ გაიქცა და მრავალი იშოვეს“ (ქრონიკები. 1967:280). აშიაზე მინაწერი შეცდომით 1763 წლის გასწვრივაა. მინაწერის შინაარსი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი შემოქმედში შესრულდა, გურიაში, საიდანაც პირველად შემოვიდა მტერი. ამ თავდასხმის დროს ოსმალებს მრავალი ქართველი ჩაუგდიათ ტყვედ.

1765 წელს როცა მტერი ასან ფაშას მრავალრიცხოვანი ლაშქრით იმერეთში შემოვიდა, როსტომი კვლავ „შეუერთდა“ თურქებს (სოსელია. 1973:99). როსტომი არა მარტო შეუერთდა ოსმალებს, არამედ ამ საქმის უშუალო ინიციატორიც კი ყოფილა. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისიონერი ლეონი, რომელიც და-ახლოებული იყო როსტომ ერისთავთან. მის მონათხრობში არის გარკვეული უზუსტობები, თუმცა მისი ცნობები საქმის ვითარების ნამდვილ არსს გადმოგვცემს. ლეონის ცნობით როსტომ ერისთავის ვაჟი გიორგი ორი წელი იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში, სადაც „ოსმალეთის პორტას სრულუფლებიანი წარმომადგენლის ალი-ბეგის თანხმობით მათ თავიანთ მეფედ აირჩიეს თეიმურაზი, სოლომონის ბიძაშვილი, როსტომ დადიანისა და როსტომ ერისთავის სიძე“ (კომუნარი. 1959.№ 95).ეს ფაქტი სიმართლეს უნდა შეესა-ბამებოდეს, რადგან ეს პიროვნება ალი-ბეგი, 1765 წლის ლაშქრობაში თან ახლდა ჰასან ფაშას და იოანე მღვდლის ცნობით 1765 წლის 8 ოქტომბერს გადასულან იმერეთიდან ახალციხეში. აქედან გამომ-დინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როსტომ ერისთავმა წინასწარ დაგეგმა სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდება. ამისათვის მან სტამბოლში გააგზავნა თავისი ვაჟი და სულთანთან შეთანხმებით გადაწყვეტილა, რომ სოლომონის ნაცვლად იმერეთის მეფე როსტომ ერისთავის ქალიშვილის ანას მეუღლე თეიმურაზ ბაგრატიონი გახდებოდა. „იმერეთის არა ერთი ტყვის მსყიდველი თავადი და

აზნაური მიუვიდა... სოლომონი ილტვოდა. მეფემ ცოლ-შვილი ოსეთს გახიზნა“ (ბერძენიშვილი. 1973:418). გადაგვარებულ რაჭის ერისთავს ამ საქმეში მოკავშირეობას უწევდა კაცია დადიანი, რასაც გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ოსმალეთის ჯარმა 1765 წლის ზამთარი სამეგრელოში გაატარა. ერისთავისა და დადიანის მოქმედება, შეიძლება შევაფასოთ, როგორც სამშობლოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება, ანუ ღალატი. სოლომონისადმი სიძულვილმა ასეთ დაცემამდე მიიყვანა ორივე დიდებული, თუმცა საბოლოოდ მათ მიზნებს აღსრულება მაინც არ ეწერა.

გურიის მოსახლეობას წინააღმდეგობა გაუწევია შემოსეული მტრისათვის, მათი ნაწილი ბრძოლის დროს დაღუპულა, ნაწილი კი დაუტყვევებიათ. დადიანს კი სამეგრელო მტრის ჯარისათვის მარცვლეულის მიწოდების პირობით გადაურჩენია. ოსმალებს სამეგრელოში დაუზამთრებია. დადიანი კი საკუთარი სამთავროს გაძარცვის ფასად მტერს შეურიგდა (ბურჯანაძე. 1948). 65). სოლომონ მეფეს კი სერიოზული წინააღმდეგობა გაუწევია მტრისათვის, რომელთაც 15 თვე დასჭირდათ ქვეყნის დასამორჩილებლად (1765 წლის ივნისი - 1767 წლის გაზაფხული). სოლომონ მეფე ტახტიდან, როგორც ჩანს, 1765 წლის ოქტომბერში ჩამოაგდეს, რადგან ამ წლის 8 ოქტომბერს ოსმალთა არმიის სარდლები ჰასან ფაშა და ალი-ბეგი ახალციხეში გადასულან. მტერს თავდაპირველად მეფისათვის საჩინოსა (რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონს მისცეს) და სვერის ციხეები წაურთმევია. ერთი ძველი ხელნაწერის მინაწერის მიხედვით ოსმალებს სვერი 1766 წელს აუღიათ და სოლომონი გადაუგდიათ (საქ. სახ. მუზეუმის ქართ. ხელნ. აღწ.I.1957:145).

ქუთაისის დაკავების შემდეგ კი მტერს 4000 კაციანი ჯარი დაუტოვებია იმერეთის დედაქალაქში და სარდლები შემდეგ გადასულან ახალციხეში. იმერეთი ორად გაიყო, ერთ მხარეს იდგნენ თეიმურაზ ბატონიშვილი და ქართველობის მოღალატე თავადაზნაურობა. მეორე მხარეს კი სოლომონ მეფის ქართველობისთვის მებრძოლი თავადაზნაურები.

ტახტიდან გადაგდებულმა სოლომონ მეფემ წერეთლების მამულს შეაფარა თავი მოდინახეს ციხეში, საიდანაც დაიწყო ქვეყნის

განთავისუფლებისათვის ბრძოლა. „ოსმალები ბევრს ეცადნენ სოლომონის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამაოდ: მებრძოლი ხალხი ერთგულად ინახავდა მებრძოლ მეფეს. ბოლოს მტერმა დაკარგა მეფის კვალი“ (ბერძენიშვილი. 1973:418). წერეთლების მამულში თავშეფარებული გმირი მეფე ხალხს განსაკუთრებით უყვარდა, ამიტომ მეფის გადარჩენას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრი საბოლოოდ დაყრიდა ფარ-ხმალს სოლომონის ადგილზე, რადგან მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო, მაგრამ შეუპოვარმა მეფემ ყველაფერი გააკეთა, რათა ოსმალთა პოზიციები შეესუსტებინა. სოლომონ მეფეს 1767 წელს ლეკები დაუქირავებია და რაჭას ულაშქრია; „მოიწვია დიდი ჯარი ლეკისა და ერისთავის ურჩობის გამო რაჭა ააკლებინა“ (ქრონიკები. 1967:296). ნათელია, რომ უბედურების სათავედ სოლომონ მეფეს რაჭის ერისთავი მიაჩნდა და სწორედ მის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება. ეს ბრძოლა სოლომონ მეფემ ბოლომდე მიიყვანა და მოღალატე ერისთავი სათანადოდ დასაჯა, თუმცა მანამდე მას ტახტი უნდა დაებრუნებინა. თეიმურაზის მეფობის პერიოდში, თუკი შეიძლება მას მეფობა დაერქვას, რადგან იგი ძირითადად ქუთაისის ციხეში იყო შეფარებული. „დაინერგა მიწის მფლობელობის ოსმალური წესი, ჯერ კიდევ სულეიმან I-ის დროიდან თურქეთის მთავრობას დაუწყია გადასახადების გადიდება. მთელი იმპერიის მიწები სამ კატეგორიად ყოფილა დაყოფილი. მათგან მესამე კატეგორიის მიწები ანუ ქრისტიანთა - სულთნის სასარგებლოდ დიდ გადასახადს იხდიდა“ (ბურჯანაძე. 1948:74). გადასახადების გადიდება ქრისტიანი მოსახლეობისათვის მიზნად ისახავდა იმერეთის ქრისტიანულ მოსახლეობას სარწმუნოების შეცვლაზე დაეწყო ფიქრი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უკიდურეს სიღარიბეში აღმოჩნდებოდნენ. სამწუხაროდ, თეიმურაზ ბატონიშვილმა ქვეყნის ინტერესები, ტახტზე ასვლის სურვილს ანაცვალა. მეფობას, რომელიც მიმართული იყო სოლომონისა და მშობელი ხალხის წინააღმდეგ, არანაირი ფასი არ ჰქონდა, შესაბამისად მისი მეფობა არალეგიტიმური იყო. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება წყალობის წიგნი, რომელიც თეიმურაზ მეფეს გაუცია 1768 წელს. „ჩვენ მღთის გვირგვინოსანმა

იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოან მეფემ ბატონმა თეიმურაზ და თანა მეცხედრემ ჩვენმა დედოფალმა ერისთავის ასულმა ბატონმა ანამ ჩვენს ერთგულ ყმას აბულაძე ქაიხოსროს და შენს ძმას პაპუჩას... დიაღ ჩვენი ერთგული ნამსახური ყმა შეიქენით და გიბოძეთ წაბრალასხევი მისი გლეხებით“ (ქიმ.ისტ.საბ.№ 869). სიგელის მიხედვით თეიმურაზი აჯილდოებს მისთვის ერთგულ ყმებს ქაიხოსრო და პაპუჩა აბულაძეებს და ადგილსა და გლეხებს ჩუქნის მათ. სიგელში მოწმედ დასახელებულნი არიან კათალიკოსი ბესარიონი, მიქელაძე როსტომ, თეიმურაზ და დავით ლორთქიფანიძე. სიგელი დამოწმებულია თეიმურაზ მეფის ბეჭდით.

ამ დროისათვის სოლომონ მეფემ დიპლომატიაც აამოქმედა და საკუთარი ძმა გაენათელი მიტროპოლიტი იოსები სტამბოლს გააგზავნა. როგორც ჩანს ეს ვიზიტი უშედეგოდ დასრულდა, ოსმალეთის სულთანთან შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. სულთანი უკვე ანგარიშს აღარ უწევდა სოლომონ მეფეს, რადგან ტახტზე უკვე მისთვის სასურველი კანდიდატი იყო დასმული. მიუხედავად ამისა იოსებ გაენათელის ვიზიტი საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო და სტამბოლში სტუმრობა იმ დროისათვის საკმაოდ საფრთხის შემცველი იყო. ამას მოწმობს იოსებ ბაგრატიონის ანდერძი, რომელიც მას 1766 წლის 23 აგვისტოს შეუდგენია: „ჩემო ძმავო, ბატონო საყვარელო მეფე სოლომონ. შენი ძმა გაენათელი მიტროპოლიტი იოსებ ამ ანდერძს მოგახსენებ... ჩემი რაც არის წიგნი ან შესამოსელი ყველა თქვენ გაბარიათ. მე რადგან თქვენის ერთგულებისა და ქვეყნისათვის ამ უსჯულოებში შევალ ვინ იცის რა ამიტყდება. ან მათი ხელით რომ მოხდეს ჩემი სიკვდილი და ან ჩემი თავის დღით და სნეულობით რომ მოვკვდე“ (კაკაბაძე. 1913:59). ანდერძის მიხედვით უნდა ვთქვათ, რომ მეფესა და გაენათელს შორის ნამდვილი ძმური ურთიერთობა სუფევდა და სწორედ ამის საფუძველზე და ქვეყნის გადასარჩენად გაემართა მღვდელმთავარი ოსმალეთში. სოლომონ მეფეს „დამტკიცების წიგნი“ დაუწერია ზაქარია გაბაშვილის ხელით: „წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, ღვთივ დიდებულმან სოლომონ დავითიანმან, ჩვენისა ძმის კათალიკოზის იოსების მიერ შეწირული ანდერძსა შინა, რაიცა წმიდასა და დიდსა

ეკლესიასა გელათისასა შესწირა, დავამტკიცეთ და შევსწირეთვე“ (საქ. სახ. მუზეუმის ქართ. ხელნ. აღწ.I.1957:364).

1767 წლის 26 სექტემბერს სოლომონ მეფეს ზავი დაუდევს თეიმურაზთან. ეს დრო სოლომონ მეფეს მტერთან საბრძოლველად სჭირდებოდა, ვინაიდან ძალები შეუსაბამო იყო. ამ ზავის შესახებ საუბრობს მისიონერი ლეონი: „თურქეთის დიდ სულთანს სრული რწმენა ჰქონდა ყველა იმისა, რაც ალი-ბეგმა გააკეთა. როდესაც დამშვიდდა და დაკმაყოფილდა, ბრძანება გასცა, რომ რამდენიმე ხნით დროებითი ზავი ჩამოეგდოთ იმერეთთან“ (კომუნარი. 1959.№ 95). მიუხედავად ოსმალეთის მიერ დიდი სამხედრო ოპერაციის განხორციელებისა და სოლომონის ტახტიდან ჩამოგდებისა, ოსმალეთმა თავის საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწია და იმერეთიდან კვლავ საფრთხეს ელოდა, ამიტომ სულთნის ბრძანებით დაიდო დროებითი ზავი. შემდგომი პერიოდი კარგად გამოუყენებია მეფეს და თავის ირგვლივ შემოუკრებია იმერეთის ერთგული მამულიშვილები და ქაიხოსრო წერეთლის მეთაურობით 1768 წელს სასტიკად დაუმარცხებია მისი მოწინააღმდეგენი. ჩხარის ომის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გიულდენშტედტი. „სოლომონ მეფემ თავისი ერთგული იმერლებით, წერეთლის ხალხით და დაქირავებული ლეკებით დაამარცხა თურქები და მათ მიერ მეფედ დაყენებული თეიმურაზი, სოლომონის ბიძაშვილი... მათვე შეუერთეს თავისი რაზმები დადიანმა, გურიელმა და რაჭის ერისთავმა. მაგრამ ასევე დამარცხებულ იქმნენ“ (გიულდენშტედტი. 1962:169). სოლომონ მეფეს ჩხარის ეკლესიასთან ოსმალები და თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოდან შეკრებილი ჯარი დაუმარცხებია, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 8-10 ათასი კაცია სავარაუდებელი, აქედან ოსმალთა 4000 კაციანი ჯარი უნდა ყოფილიყო, რომლებიც 1765 წელს დატოვეს ქუთაისში. ეს გამარჯვებაც სოლომონ მეფის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭსა და აზროვნებას უნდა მივაწეროთ, მან შეძლო და მტერს დაუპირისპირდა მისთვის სასურველ ადგილზე და მასზე აღმატებული მტერი დაამარცხა და კვლავ დაიბრუნა თავისი კუთვნილი ტახტი. ჩხარში დღემდე არის შემორჩენილი გადმოცემები აღნიშნული ბრძოლის შესახებ. სო-

ლომონს უკვე მერამდენედ მისი უახლოესი ნათესავები ბიძა და ბიძაშვილი დაუპირისპირდნენ. ოსმალთა გვერდით კვლავ მოღალატე როსტომ ერისთავი იდგა, ამ შეთქმულების მთავარი ინიციატორი, მისმა გეგმებმა კრახი განიცადა, ეს იყო როსტომის უკანასკნელი შეთქმულება და ღალატი. მომდევნო წელს იგი უმკაცრესად დაისაჯა, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ. სოლომონ მეფეს მეფედ ყოფილი თეიმურაზი მუხურის ციხეში გამოუკეტავს, სადაც „დაეცა მეხი და მუნ მოკვდა“ 1772 წელს. იგი გელათში დაუკრძალავთ. ეს ფაქტიც სოლომონ მეფის დიდბუნებოვნებაზე მეტყველებს. მეორე ბიძა გიორგი კი სოლომონს რაჭაში კვარას ციხეში გამოუკეტავს.

ჩხარის ომში დამარცხებით ოსმალეთის სულთნის დაგეგმილი 1765-1768 წლე-ბის დიდი სამხედრო ოპერაცია სოლომონის წინააღმდეგ მარცხით დასრულდა. სოლომონი კვლავ ტახტზე იყო, სულთნის უმთავრეს მოთხოვნას ტყვეთა სყიდვის აღდგენაზე აღსრულება არ ეწერა. გაურკვეველია, ამ სამწლიანი სამხედრო კამპანიის დროს რამდენი ადამიანი დაიღუპა იმერეთსა და საერთოდ დასავლეთ საქართველოში და რამდენი წაიყვანეს ტყვედ. 1765-1768 წლების მოვლენებმა შეაფერხა ქვეყნის განვითარება, დაიღუპა და ტყვედ წაიყვანეს ათასობით ადამიანი და ქვეყანა კვლავ ოსმალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მიზანმიმართულმა და შეუდრეკელმა 33 წლის მონარქმა, კვლავ შეუძლებელი შეძლო, ოსმალეთის იმპერიასთან უშუალო ბრძოლაში ის კვლავ გამარჯვებული გამოდის. მომავალში სოლომონ მეფეს კიდევ ბევრი ბრძოლა ელოდა, მას უნდა დაესაჯა ქვეყნის ამომგდები, მოღალატე როსტომი და იმერეთი ოსმალთა გარნიზონებისაგან უნდა გაეწმინდა. მომდევნო ორი წელი სოლომონმა აღნიშნული მიზნების შესრულებას დაუთმო.

სოლომონ მეფის თავგანწირული ბრძოლისა და გამარჯვების აღიარება იყო 1768 წლის 13 სექტემბრის ოსმალეთის სულთან მუსტაფა III-ის ფირმანი, რომელიც იმერეთის სამეფოსა და სოლომონს ეხებოდა. „ყოვლად უმაღლესობის ნაბოძვარი ბრძანება; „შევიწყალებთ მას ქრისტიან მეფეთა შორის დიდებულ სოლომონს, თუმც წინათ მისგან არა ერთხელ ჰქონია ადგილი თავხედობათა ჩადენას ერთგულ-ქვეშევრდომული მოვალეობისადმი, რაშიც მან

თვითონ დამნაშავედ აღიარა თავი. ახლა ჩვენს ...კარს ჩვენმა ჩილდირის ვეზირმა, სეითნიამან ფაშამ მოახსენა სოლომონს ძველინდებურად მეფობა კვლავ ებოძოს“ (ბურჯანაძე.1948:85). ეს ფირმანი იყო იძულებითი დოკუმენტი, რომელიც ოსმალეთის სულთანმა დაწერა რეალური სიტუაციიდან გამომდინარე. სოლომონ მეფემ თავად, საკუთარი სისხლით მოიპოვა სამეფო ტახტი, რომელიც ოსმალეთს გამოსტაცა ხელიდან. სოლომონ მეფისადმი აშკარა პატივისცემაა გამოხატული, როცა სულთანი მას მიმართავს „ქრისტიან მეფეთა შორის დიდებულ სოლომონს“. ფირმანში გარკვეული სიცრუეცაა გადმოცემული, სადაც თითქოს სოლომონმა დამნაშავედ აღიარა თავი. შ. ბურჯანაძე შენიშნავდა ამასთან დაკავშირებით; სოლომონი „თავის ფიცს შეასრულებს“, „ნაპატიები დარჩა“, შექმნილია იმ მიზნით, რომ სოლომონზე გავლენა მოახდინონ, აჯანყებული იმერეთი ოსმალეთმა ვერ დაიმორჩილა. ამიტომ იძულებული გახდა გამარჯვებული სოლომონისათვის ისეთი ფირმანი მიეცა, რომელშიც არავითარი კონკრეტული მოთხოვნილება წაყენებული არ იქნებოდა“ (იქვე: 85). ეს იყო სოლომონის უდიდესი გამარჯვება, რადგან იგი კვლავ იმერეთის მეფედ ცხადდებოდა და, თუ ადრინდელ ბრძანებებში, უმთავრესი მოთხოვნა ტყვეთა სყიდვისა და ხარკის გადახდა იყო, ახალ ფირმანში ამის მსგავსი მოთხოვნა აღარ ფიქსირდებოდა. ამ გამარჯვების შემდეგ სოლომონ მეფეს სულთნის ფირმანთან ერთად ხალათი და ხმალიც მიუღია, რითაც სულთანი მიანიშნებდა რომ ის ჯერ კიდევ ოსმალეთზე იყო დაქვემდებარებული. სოლომონ მეფემ ტახტის დაბრუნების შემდეგ, 1768 წლის შემდეგ მის მთავარ მტერს როსტომ ერისთავს შეუტია. ვინაიდან როსტომი ჩვეულებას არ უღალატებდა და მისგან მომავალი საფრთხე რეალური იყო. სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდების მთავარი ინიციატორი, პროთურქული ორიენტაციის მოღვაწე და ქვეყნის მოღალატე აუცილებლად უნდა განეიტრალებულიყო. შესაბამისად სოლომონ მეფე 1767, 1768 და 1769 წლებში რამდენჯერმე ლაშქრობს რაჭაში.

ამ ლაშქრობათა შედეგად, ბუნებრივია, რაჭა დაზარალდა, გადაიწვა ზოგიერთი სოფელი, სოლომონს წაუყვანია ასევე მძევლები და

პირუტყვი წამოუსხია (სოსელია. 1973:100). თუმცა მთავარი დამ-ნაშავის როსტომის დამორჩილება და შეპყრობა ვერ მოხერხდა. როსტომი ყოველნაირად ცდილობდა დახმარება ვინმესგან მიეღო, რადგან სოლომონის თავდასხმები კვლავ გრძელდებოდა. როსტომს თავისი ვაჟი დახმარების სათხოვნელად ჩრდილო კავკასიაში, ყაბარდოში, გაუგზავნია, თუმცა დახმარება ვერ მიუღია. შემდეგ მას ერეკლე მეფისათვის მიუმართავს მაგრამ მისგანაც უარი მიუღია. ქართლ-კახეთის გმირი მეფე ორგულ თავადს დახმარებას არ გაუწევდა სოლომონ მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამასთანავე, ერეკლეს სოლომონთან სამოკავშირეო ხელშეკრულებაც ჰქონდა დადებული. ამის შემდეგ როსტომმა ქვეყნისათვის ძლიერ სახიფა-თო მოქმედება დაიწყო, ამ ცუდ საქმეში კი მას ძმა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ბესარიონიც ეხმარებოდა. როსტომ ერისთავი, რომელმაც თავი სამეგრელოს მთავარ დადიანთან შეაფარა, კაცია დადიანთან ერთად ახალციხის ფაშასთან აგზავნის ბესარიონ კათალიკოსს და ქაიხოსრო აბაშიძეს, რათა „ფაშასა-გან ეთხოვა ჯარი იმ მიზნით, რომ სოლომონი მოესპოთ“ (კომუნარი. 1959.№ 95). ამ ცნობას როსტომთან დაახლოებული მისიონერი ლეონი გვაწვდის. რისთვისაც ისჯებოდა როსტომ ერისთავი, კვლავ იმავეს აგრძელებდა და სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდებაზე ოცნე-ბობდა. სოლომონს არ გამოჰპარვია ბესარიონ კათალიკოსისა და ქაიხოსროს ჩასვლა ახალციხეში. იგი ამის გამო სასწრაფოდ აგზავნის თავის ძმას იოსებ გაენათელს ახალციხეში, რასაც მოჰყვა ბესარიონ კათალიკოსის დაპატიმრება. ამჯერად ქვეყნის მტრებმა ახალციხი-დან დახმარება ვერ მიიღეს, მათი დაპატიმრებით ჩაიშალა ახალი გეგმა სოლომონის ტახტიდან ჩამოგდებისა. უღირსმა კათალიკოსმა მოახერხა ახალციხიდან გაქცევა და სამეგრელოს მთავარს შეაფარა თავი.

სოლომონ მეფემ კი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედი კათალიკოსი ტახტიდან გადააყენა და მის ნაცვლად გაენათელი იოსები აკურთხეს კათალიკოსად. ამის შემდეგ სოლომონ მეფესა და როსტომს შორის ზავი დადებულა, მაგრამ როსტომის ნდობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. თუმცა როსტომი მაინც დაისაჯა საკუთარ ოჯახ-

თან ერთად, მას და მის ვაჟებს თვალები დაათხარეს მეფის ბრძანებით, რაჭის საერისთავომ კი არსებობა შეწყვიტა, როსტომის სამფლობელო სამეფო საკუთრებად გამოცხადდა. ეს იყო მეფის კიდევ ერთი გამარჯვება, როსტომ ერისთავზე, რომელიც მუდამ 1752 წლიდან მოყოლებული ოსმალეთის ხელისუფლების ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენი იყო დასავლეთ საქართველოში, იგი მუდმივად საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას. როსტომ ერისთავის დამარცხებითა და მისი ძმის ბესარიონ კათალიკოსის გადაყენებით, სოლომონ მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა და მას უკვე შესაძლებლობა მიეცა ეფიქრა იმერეთიდან ოსმალთა გაძევებაზე. ამ დიდ საქმეში სოლომონ მეფეს ხელი შეუწყო რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომმა. სოლომონ მეფემ კარგად უწყოდა, რომ ოსმალეთის საბოლოოდ შეჩერება მაინც შეუძლებელი იყო, ძალთა შეუსაბამობის გამო. ოსმალეთს თითქმის ყოველთვის შეეძლო 80-100 ათას კაციანი და უფრო მეტი ჯარის შეკრება და იმერეთში შემოჭრა, რაც დამღუპველი იქნებოდა იმერეთისთვის. თუმცა რუსეთ-თურქეთის ომის დროს ეს ნაკლებად იყო მოსალოდნელი, რადგან ძირითადი ბრძოლები ბალკანეთში მიმდინარეობდა. იმერეთის თურქთაგან გასაწმენდად საუკეთესო პერიოდი იყო, სოლომონმაც შესანიშნავად გამოიყენა ეს მომენტი. იმერეთი საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ოსმალურ ზეგავლენას განიცდიდა, ტყვეთა სყიდვა, ომები და მუდმივი დაპირისპირება სისხლისგან ცლიდა იმერეთს. გადაშენების პირას მდგომი ქვეყნისათვის შველა იყო საჭირო. სოლომონ მეფემ თავისი სწორი მოქმედებით ორ დიდ იმპერიას შორის დაპირისპირება თავისი მის საკეთილდღეოდ გამოიყენა. მან ტახტზე ასვლისთანავე გაიაზრა ქვეყნის უბედურება და ცხოვრების მიზნად დაისახა ქვეყნის გადარჩენაზე ეზრუნა. ჯერ კიდევ მამამისმა ალექსანდრე მეხუთემ გადაწყვიტა, კავშირი დაემყარებინა რუსეთთან, ხოლო შემდეგ მამის პოლიტიკა შვილმაც გააგრძელა. იმ ურთულეს პერიოდში იგი შეეცადა, რუსეთის იმპერიის სიძლიერე თავისი ქვეყნის გასათავისუფლებლად გამოეყენებინა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში რუსეთისა და სოლომონის ინტერესების დამთხვევა მოხდა, რამაც განაპირობა რუსეთის მხრიდან საერთოდ ქართული სამეფოებისად-

მი ინტერესი. გაძლიერებული რუსეთის იმპერია ოსმალეთისათვის საფრთხეს წარმოადგენდა და კავკასიაში რუსეთის გამოჩენა მათთვის მიუღებელი იყო.

სოლომონ მეფეს რუსეთთან ურთიერთობა ჯერ კიდევ 1768 წელს დაუწყია, როცა რუსეთის მთავრობას იმერეთში საიდუმლოდ გაუგზავნია ქართველი ბერი გრიგოლ არქიმანდრიტი, რომელიც ჩრდილო ოსეთში ქრისტიანობას ქადაგებდა. გრიგოლ არქიმანდრიტი სოლომონ მეფეს შეხვედრია, მეფეს არქიმანდრიტი კარგად მიუღია. ოსმალებს გრიგოლ არქიმანდრიტის ჩასვლა არ გამოჰპარვიათ და იგი მოულოდნელად მოუკლავთ. ოსმალეთის ხელისუფლებამ უკვე იცოდა სოლომონ მეფისა და რუსეთის კავშირის შესახებ, რის გამოც ოსმალეთის სერასკირსსოლომონისათვის ელჩიც კი გაუგზავნია. ეს ფაქტი თებერვალში მომხდარა, სწორედ ამის შემდეგ გამოუგზავნია სპეციალური ფირმანი სულთან მუსტაფას სოლომონ მეფისათვის, რომელშიც სულთანი გარკვეულ დათმობებზე წავიდა. სავარაუდებელია, რომ სულთნის რეაქცია უფრო მკაცრი იქნებოდა, მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომის გამო ეს საქმე ვერ მოხერხდა. 1768 წლის ზაფხულში 23 ივნისს სოლომონ მეფე რუსეთში საგანგებო რწმუნებებით აღჭურვილ ელჩად აგზავნის ქუთათელ მიტროპოლიტ მაქსიმე აბაშიძეს. 1768 წლის 30 ნოემბრით დათარიღებული წერილით, სოლომონ პირველს გრაფი პანინი ატყობინებდა, რომ თქვენ მიერ სრული უფლებებით აღჭურვილი მაქსიმე ქუთათელი ყიზლარშიაო და ყიზლარის კომენდანტს ებრძანა, დაუყოვნებლივ გამოაგზავნოს მაქსიმე უმაღლეს კარზე დიდი პატივით. პანინი ასევე ატყობინებდა სოლომონს იმპერატორის კეთილგანწყობას მართლმადიდებელი ერთმორწმუნე ქართველი ხალხისადმი და განსაკუთრებით „თქვენდამი როგორც მებრძოლსა და ქრისტიანობის დამცველს“ გამზედავ, მამაც მებრძოლს თურქთა წინააღმდეგ (ცქიტიშვილი. 1980:150). რუსეთის იმპერიის უმაღლეს მოხელეებს, რუსეთ-თურქეთის მომავალი ომის სამზადისში ძალზე აწყობდათ მოკავშირეების შეძენა, ამიტომ ისინი ეპითეტებს არ იშურებდნენ, რათა სოლომონ მეფე კიდევ უფრო კეთილგანწყობილი გამხდარიყო რუსეთის მიმართ. მეფეს, რომელსაც დახმარების სხვა შესაძლებლობა არ

ჰქონდა, განსაკუთრებულ იმედს ამ ვიზიტზე ამყარებდა და მისი სათხოვარი სამი პუნქტისაგან შედგებოდა: 1. „პირველად რათა გამომიხსნა უცხო თესლთა, ოსმანთა ხელისაგან და ყოვლადძლიერი ხელი დასდვა ჩვენ ზედა და ქუეყანასა და ერსა ჩვენსა ზედა“ . 2. „სახიერებისა წყალობისა და მადლობისათვის აქავე განგვამტკიცოს ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ სახმართა და შეწევნათა მიერ, რომ ჯარის მიცემა შევიძლო და მით უძლოთ წინააღმდგომად ოსმანთა“. 3. „მტერნი ჩვენნი მაჰმადიანნი, ოსმანნი ფრიად უძლიერეს ჩვენსა არიან, უკეთუ ცოდვათა ჩვენთათვის, ვერღარა უძლოდ წინააღდგომად“ (იქვე:11). აღნიშნულ სათხოვარ პუნქტებში კარგად ჩანს ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელშიც ქვეყანა იყო ჩავარდნილი. მიუხედავად ამდენი ბრძოლის მოგებისა, სოლომონს არ შეეძლო თვითონ გამოეხსნა თავი ოსმალთაგან, ამიტომ ითხოვს იგი რუსეთისგან შეწევნას, დახმარების შემთხვევაში კი სოლომონი რუსეთის ჯარის მომარაგებასა და კვებაზე იღებს პასუხისმგებლობას. მესამე მუხლში კი სოლომონი გარკვევით მიუთითებს, რომ ოსმალები „ფრიად უძლიერეს“ არიან და შესაძლოა ქართველებმა მათი წინააღმდეგობა ვეღარ დაძლიონ.

1768 წლის 23 ივნისის წერილში სოლომონ მეფე აღნიშნავდა, რომ; „ძველი დროიდან მოყოლებული ჩვენი სისხლი იღვრება ქრისტეს სარწმუნოებისათვის და იყავით ყოვლად მოწყალე ხელმწიფე და მიგვიღეთ თქვენი მფარველობის ქვეშ და მე გაძლევთ პირობას, ქრისტეს შემწეობით და აღმოსავლური რწმენისა და კანონის საფუძველზე არ დავზოგო საკუთარი თავი და სისხლი დავღვარო უცხოტომელ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში“ (Цагарели.1891.I:19). სოლომონ მეფე რუსეთის იმპერატრიცას უხსნის, რომ ქართველთა ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების შესანარჩუნებლად დიდი ხანია მიმდინარეობს და პატარა იმერეთი ქრისტიანული იმპერიის მხრიდან დახმარებასა და მფარველობას საჭიროებდა. მფარველობის შემთხვევაში კი სოლომონი მართლმადიდებელი სარწმუნოების საფუძველზე საკუთარ თავს არ დაზოგავდა ოსმალებთან ბრძოლაში. სოლომონ მეფე წერილში აკონკრეტებს, რომ ზამთარ-ზაფხულ უმძიმესი ბრძოლები ჰქონდათ ოსმალებთან და ქრისტეს შეწევნით მათთან გამარჯვებული გამოდიოდნენ. იგი საკუთარი ხელით

ანგრევდა მტრისგან წართმეულ ციხეებს და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას იგი 12 წელია აწარმოებს. წერილის შინაარსი მრავლისმეტყველია და სიღრმისეულად არის გადმოცემული ის უიმედო მდგომარეობა, რომელშიც სოლომონ მეფე და იმერეთი იმყოფებოდა.

სოლომონი ეკატერინეს ღრმა ქრისტიანული განცდებით მიმართავს, მასთან იგი სრულიად გულღიაა და მასაც მოუწოდებს გამოიჩინოს კეთილმოწყალება და გაუწიოს დახმარება ქრისტეს სარწმუნოებისათვის მებრძოლ პატარა ქვეყნის წარმომადგენლებს. თუმცა შემდგომმა მოქმედებებმა ნათელი გახადა, რომ რუსეთის მხრიდან დამოკიდებულება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების მიმართ ქრისტიანულ მორალზე ნამდვილად არ იყო დამყარებული, მათი მიმართება მხოლოდ რუსული იმპერიის სარგებელსა და მრავალ ტყუილზე იყო დაფუძნებული. მაქსიმე ქუთათელის ამალის ერთ-ერთი წევრი ყოფილა არქიმანდრიტი და იღუმენი იოანე. არქიმანდრიტი ყიზლარიდან უკან იმერეთში დაბრუნებულა გარუსებული ქართველების თანხლებით, რომელთაც საიდუმლოდ უნდა გამოერკვიათ იმერეთის შინაური მდგომარეობა. იღუმენი იოანე კი 1769 წლის 8 მარტს პეტერბურგში ყვავილით გამხდარა ავად და 15 აპრილს გარდაცვლილა. პეტერბურგში იმერეთიდან ჩასულ სტუმრებს საიმპერატორო კარზე პატივით ეპყრობოდნენ. მიტროპოლიტ მაქსიმეს პეტერბურგში 1769 წლის 8 მარტიდან 28 მაისამდე გაუტარებია. ამ პერიოდში გამოცდილ მღვდელმთავარს მრავალი შეხვედრა ჰქონია. ინტერესს იწვევს მისი საუბარი სამოქალაქო მრჩეველ თავად ამილახვართან, რომელიც დაინტერესებულა, თუ რამ გამოიწვია ოსმალების დაპირისპირება სოლომონთან. მღვდელმთავარს ქართული წარმომავლობის რუსი მოხელისთვის აუხსნია, რომ სოლომონ მეფის წინაპრების დროს იმერეთის თავადაზნაურობა ხალხის შვილებს ორივე სქესისას თურქებზე ყიდდნენ, რამაც იმერეთი დააცარიელა. სოლომონ მეფემ კი გამეფებისთანავე ტყვეთა სყიდვა აკრძალა. აი, უმთავრესი მიზეზი ოსმალების დაპირისპირებისა სოლომონ მეფესთან, იგი გამოესარჩლა უბრალო ხალხს, რომლებიც უმოწყალოდ იყიდებოდნენ

ოსმალეთში, ტყვეთა სყიდვა უმთავრესი საფრთხე იყო იმერეთისთვის. მიტროპოლიტი მაქსიმე რუსებთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ „არამარტო ქრისტიანული კანონი და ქრისტიანული ეკლესია, არამედ სინდისიც მოუწოდებდა სოლომონს, რათა აეკრძალა ტყვეთა სყიდვა, რის გამოც დიდი ჯარიმები დაეკისრა“ (იქვე:15). 1769 წლის 14 მარტის ჩანაწერის მიხედვით საგარეო საქმეთა კოლეგიის წინაშე ძალზე შთამბეჭდავად გამოვიდა ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე, იგი კარგად ყოფილა გარკვეული სამხედრო საქმეში; „თუკი იმერლებს უფლება მიეცემათ და ყოველთვის განწყობილნი იქნებიან ქვეითი და ცხენოსანი როგორც რუსეთში სალდათი და დრაგუნი ჯდება, ისე მოუნდება... ხალხი იქაური მამაცი, მეომარი და მორჩილი იქნება; მის დროს ომის რიგი ისე ისწავლოს, როგორც ევროპაში“. მღვდელმთავრის აზრით თუკი რუსეთი დაეხმარება იმერეთს, უკანასკნელი შეძლებს საკუთარი რეგულარული საბრძოლო ძალა შექმნას და ამით გადალახავს იმ სამხედრო ჩამორჩენილობას, როცა იმერლები ბრძოლას აწარმოებენ „იმრიგათ როგორც ოსმალნი შეიბმიან“. ქართველი დიპლომატის შემეცნებაში ერთმანეთს უპირისპირდება „ევროპა“ და „ოსმალეთი“, „რეგული“ და „უწესრიგობა“ (ბურჯანაძე. 1948: 115). ქართველი დიპლომატი და სასულიერო იერარქი, აღიარებს, რომ იმერეთში საბრძოლო წესები დაქვეითებულია და ისინი ბრძოლას ოსმალური წესების მიხედვით აწარმოებენ, რაც აფერხებს სამხედრო წარმატებებს. მაქსიმე ქუთათელი ასევე ფლობს ინფორმაციას ევროპულ სამხედრო წესრიგსა და რეგულარულ არმიაზე და მისი სურვილია, ასეთივე წესები დაინერგოს ქართულ ჯარში, რის გამოც ითხოვს დახმარებას რუსეთის სახელმწიფოსაგან. რაც მთავარია, მისი აზრით, ოსმალეთი ჩამორჩენილობისა და უწესრიგობის მაგალითია, ევროპა კი წესრიგისა და სიძლიერის, პატარა იმერეთს კი დახმარება სჭირდება, რათა ოსმალურ ზეგავლენას დააღწიოს თავი. მღვდელმთავარი წერილში ასაბუთებს იმერეთის სტრატეგიულ მდგომარეობას: „იმერეთი ტყიანი და მთიანი ქვეყანაა, ასე რომ; შუა იმერეთში დიდი ოსმალოს ჯარი მოვიდეს, დიახ ცოტას კაცით პასუხს გასცემს. სამი იმერეთის ციხე: ბათომი, ფოთი და სოხომი ზედ ზღვის პირზედ

არიან და კაი მისადგომი აქვს ხომალდსა და ნავსა“ (ცქიტიშვილი. 1980: 19). მღვდელმთავარი შავიზღვისპირა ციხეებს იმერეთის შემადგენლობაში მოიაზრებს და მათ სტრატეგიულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

საბოლოოდ მიტროპოლიტ მაქსიმეს ელჩობა წარმატებულად დამთავრდა, რუსეთის იმპერატორი დასთანხმდა, იმერეთში გაეგზავნა, მისი ერთ-ერთი მხედარმთავარი, სათანადო ჯარითურთ, ამასთან ერთად, სოლომონს უგზავნიდნენ ორმოცდაათი ათას მანეთს, თურქების წინააღმდეგ იმერეთის საბრძოლველად მომზადებისათვის (იქვე:21). სამშობლოში დაბრუნებულ მიტროპოლიტს თან მოჰქონდა სოლომონ მეფის სახელზე გამოგზავნილი ორი წერილი და ერეკლე მეორის სახელზე გამოგზავნილი წერილები. სოლომონ მეფის მიერ სწორად შერჩეულმა ელჩის კანდიდატურამ და საერთაშორისო ვითარებამ შესაძლებელი გახადა, სოლომონ მეფეს დახმარება მიეღო რუსეთის იმპერიის მხრიდან, რასაც იმერეთის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთ-თურქეთის ომის პირობებში ერეკლე მეფისა და სოლომონის რუსეთის მხარეზე ომში ჩაბმა რუსეთის ინტერესებში შედიოდა, რაც უფრო დიდი რაოდენობის სამხედრო ძალა გამოვიდოდა კავკასიის ფრონტზე, ეს უფრო მეტ საფრთხეს შეუქმნიდა თურქეთს და წარმატებებს მოუტანდა რუსეთის იმპერიას. ქართველ მეფეებს კი თავიანთი ინტერესები ჰქონდათ და ომში ოსმალეთის დამარცხების შემთხვევაში თავიანთი სამეფოების გაფართოება-განმტკიცებისაკენ ილტვოდნენ. ერეკლე მეფე ამ ომიდან ძველად დაკარგულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის შემოერთებას ელოდა და ომში ჩაებმებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი დამხმარე ჯარს გამოაგზავნიდა საქართველოში, სოლომონ მეფის მიზანი კი ფეოდალური შინაომების მოსპობა, ორგული ვასალების დამორჩილება და გურია-სამეგრელო-აფხაზეთის შემომტკიცება იყო მისი ძალაუფლების ქვეშ (რეხვიაშვილი.1989: 222). სოლომონ მეფის ინტერესებში შედიოდა ასევე აჭარა-ქობულეთის განთავისუფლება ოსმალო დამპყრობლებისაგან.

ეს შემთხვევა ქართველ მეფეებს საშუალებას აძლევდა თავიანთი

მდგომარეობა კიდევ უფრო განემტკიცებინათ, აღესრულებინათ მათი დიდი ხნის ოცნება და თავიანთი სამეფოებისათვის ძირძველი ქართული ტერიტორიები შეერთებინათ, რაც უდიდესი შედეგი იქნებოდა. გაერთიანებულ ქართულ ჯარს რუსული სამხედრო ნაწილებიც უნდა დახმარებოდნენ ამ საქმეში და სწორედ ამას უნდა მოეტანა შედეგი. თუმცა ქართული სამეფოების გაძლიერება რუსეთის იმპერიის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. 1769 წლის 21 მაისს სოლომონ მეფე თბილისში ჩასულა და ერეკლე მეორეს შეხვედრია. მეფეებს ხანგრძლივი თათბირი გაუმართავთ მომავალი ბრძოლების შესახებ, ამ შეხვედრის შესახებ საუბრობდა ერეკლე მეორე 1769 წლის 5 ივნისს, გრაფ პანინთან: „უმტკიცეს ფიცითა ვემტკიცენით ერთმანეთს და განმზადებულ ვართ უმეტეს შეძლებისა ჩვენისა ამა ჩვენისა სანატრელისა საქმისათვის“ (ბურჯანაძე. 1948: 118). ერეკლე მეფისათვის „სანატრელი საქმე“ იყო ახალციხის შემოერთება, სოლომონ მეფისათვის კი ალბათ ოსმალო დამპყრობლების იმერეთიდან და შემდგომ მთელი დასავლეთ საქართველოდან გაძევება. ასეთი იყო ის დაუოკებელი სურვილი ორი ღვაწლმოსილი მეფისა, რომლის შესასრულებლად მზად იყვნენ „უმეტეს შეძლებისა ჩვენისა“. მართალია რუსთა 480 კაციანი სამხედრო რაზმი გათავხედებული გენერალ ტოტლებენის მეთაურობით ქართველ მეფეთა ჩანაფიქრს დიდად ვერ შეუწყობდა ხელს, მაგრამ 1769 წლის აგვისტოში საქართველოში მათი შემოსვლა გარკვეული წარმატება იყო. ერეკლე მეფე ომში ჩაბმაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო თანახმა თუკი რუსეთი არტილერიით აღჭურვილ 5000 კაციან არმიას გამოაგზავნიდა საქართველოში. გამოცდილმა მეფემ კარგად იცოდა, რომ რამდენიმე ასეული ჯარისკაცით, სერიოზული წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. მან ასევე სწორად შეაფასა ის ფაქტიც რომ, რუსების ინტერესი იყო ომის მთელი სიმძიმე ქართველ მეფეებსა და მათ ჯარს გადაეტანა, დიდ იმპერიას კი რაც შეიძლება მცირე დანაკლისი ჰქონოდა. რუსთა მხრიდან თუ მოხდებოდა 5000 კაციანი არტილერიით აღჭურვილი არმიის შემოსვლა, საბრძოლოდ განწყობილი გენერლით სათავეში, ახალციხის განთავისუფლება მართლაც რეალური იქნებოდა. 1769 წლის 3 ოქტომბერს რუსთა და იმერთა გაერთიანებულმა ჯარმა შორაპნის

ციხეს შემოარტყა ალყა. რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლით აღშფოთებულმა ახალციხის ფაშამ, მოღალატე კაცია დადიანთან შეკრა კავშირი და ასეთ რთულ დროს დადიანმა „შეჰკრიბა ჯარი ზღვის ახლოს მდებარე ტრაპიზონის თათართა და აფხაზთა სხვა მხარეებიდან და იმერეთისაკენ გამოეშურა“. დადიანის მხრიდან ეს იყო ლახვრის ჩაცემა, იგი კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა საკუთარ სამშობლოს და ახალციხის ფაშას ბრძანებით შეეცადა სოლომონ მეფის გეგმები ჩაეშალა. სოლომონ მეფე იძულებული გახდა, ალყა მოეხსნა და იმერთა ჯარით დადიანისა და ოსმალთა 9000 კაციან ლაშქარს დაუპირისპირდა. სოლომონი 20 დეკემბერს დასხმია თავს დადიანის ჯარს, გაანადგურა და ძლიერი მიწოლით აიძულა უკან გაბრუნებულიყო. გააგრძელა რა დევნა, მთავარ დადიანის ოლქს მიაღწია და, ააოხრა რა მისი სამშობლო ცხრაასი კომლი თავის საზღვრებში შეიერთა (იქვე: 136). ბრძოლაში ბევრი ოსმალო და აფხაზი დაღუპულა. ასე დასაჯა ორგული მთავარი სოლომონ მეფემ, მისი არყოფნის დროს კი გენერალ ტოტლებენს ალყა მოუხსნია შორაპნის ციხეზე და ქართლში გადასულა. ასე უშედეგოდ დასრულდა 1769 წლის სამხედრო კამპანია. აღსანიშნავია, რომ სოლომონისა და ერეკლეს აზრი ამ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვეოდა, რადგან ერეკლე ფიქრობდა, რომ რუსთა დახმარებით თავდაპირვე-ლად უნდა აეღოთ ახალციხე, რათა იქედან საფრთხე აღარ დამუქრებოდა, ხოლო სოლომონის აზრით, ჯერ დასავლეთ საქართველოს ციხეები უნდა გაეწმინდათ ოსმალო დამპყრობლებისაგან. სოლომონის უმთავრესი მიზანი თავისი სატახტო ქალაქის ოსმალებისაგან განთავისუფლება იყო, ამიტომ მან ყველაფერი გააკეთა, რათა მისი სანუკვარი ოცნება აღესრულებინა. ოსმალეთმა კარგად გამოიყენა მეფის შინაური მტრები, რათა სოლომონი დაებრკოლებინა ამ საქმეში, დადიანის დამარცხების შემდეგ კი საქმეში ლეკთა და თურქთა ჯარი ჩართო. მტრის მიზანი იყო, სოლომონ მეფეს ეს საუკუნოვანი გეგმა ჩაშლოდა და საქმე ქუთაისის განთავისუფლებამდე არ მისულიყო.

ქუთაისის განთავისუფლება 1770 წ.

სოლომონ მეფე, როგორც ჩანს დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდა ქუთაისის სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად. ქალაქის განთავისუფლება არ იყო ცალკე ღონისძიება, რადგან სოლომონის სამხედრო მოქმედებებს არამარტო ქუთაისი, არამედ იმერეთის დანარჩენი ციხეებიც უნდა გაეწმინდა მტრისაგან. ამიტომ რუსების წასვლის შემდეგ იგი უფრო მობილიზებული გახდა და მოსალოდნელ საფრთხეებს მომზადებული დახვდა. შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კი მას თავისი მიზნის განხორციელების უკეთესი შესაძლებლობა მისცა, მან ეს შანსი ბრწყინვალედ გამოიყენა. იმერეთის დატოვება ტოტლებენის მიერ დიდი შვების მომასწავებელი იყო ოსმალებისათვის, რადგან მათ ხელ-ფეხი გაეხსნათ, ვინაიდან სოლომონი მარტო დარჩა მრისხანე მტერთან. უმოკავშირეოდ დარჩენილ სოლომონ მეფეს მალევე მოუწია მტერთან ბრძოლა. 1770 წლის 9 მარტს ახალციხიდან თურქთა და ლეკთა 4000-იანი ჯარი მიუახლოვდა იმერეთს, სოლომონ მეფემ სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და მტერს თავს დაესხა, სოლომონმა ამ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რადგან მტრის ჯარის დიდი ნაწილი ბრძოლაში განადგურებულა (Грамоты.I.1891:101).

აქედან გამომდინარე სოლომონ მეფეს რუსეთის მხრიდან რეალური დახმარება ბრძოლის პირველ ეტაპზე არ მიუღია, თუ არ ჩავთვლით ფინანსებს, მას 1769 წლის ბოლოს მტრის 9000-იანი, ხოლო 1770 წლის დასაწყისში ოსმალთა და ლეკთა 4000-იან ჯართან მოუწია შებრძოლება, ორივე ბრძოლაში ღვაწლმოსილი მეფე გამოვიდა გამარჯვებული. მას თითქმის ნებისმიერ სიტუაციასა და პირობებში შეეძლო, ოსმალებთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოსულიყო. აღსანიშნავია, რომ ყველა დაპირისპირებაში ოსმალები სოლომონის ჯარზე რიცხობრივად აღმატებული და უფრო კარგად შეიარაღებული იყო, მაგრამ მეფის თავდადება საარაკო იყო. ცხადია ასეთ ბრძოლისუნარიან მეფეს ექნებოდა ამბიციაა, მათ შორის ახალციხის აღების შემთხვევაში მის შემოერთებაზე, მით უფრო, როცა სამცხე ერთხელ 1535-1545 წლებში იმერეთის სახელოვანი მე-

ფე ბაგრატ მესამის მეფობის დროს (1510-1565წწ) იმერეთის შემადგენლობაში იყო. ამის გამო სოლომონ მეფემ ერეკლეს უარი შეუთვალა ახალციხეში ლაშქრობაზე, რადგან, როგორც ვთქვით, მას თავისი ინტერესი ჰქონდა ახალციხეზე. სურამში შემდგარ თათბირზე სოლომონ მეფეს მონაწილეობა არ მიუღია, მან თავისი ძმა კათალიკოსი იოსებ ბაგრატიონი გააგზავნა, თვითონ კი გადაწყვიტა, ახალციხეში არ ელაშქრა, რადგან იმერეთში ჯერ კიდევ ოსმალები ისხდნენ და შესაძლოა, ამითაც აიხსნას სოლომონის ფრთხილი პოლიტიკა. ახალციხის აღებით წყდებოდა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, იშლებოდა საფაშოს ცენტრი, სადაც ყოფილი ქართველები, შემდგომში რენეგატი ათაბაგები ისხდნენ და ხონთქრის მითითებით ოსმალთა პოლიტიკას ატარებდნენ. ახალციხის აღებით ისპობოდა თურქთა შემოტევის ძლიერი პლაცდარმი... იშლებოდა ავანტიურისტთა ბუდე (რეხვიაშვილი.1989:229). ახალციხის აღებით მართლაც მოიშლებოდა ის ცენტრი, საიდანაც მუდმივად ხდებოდა დასავლეთ საქართველოს აწიოკება, სადაც თავს აფარებდნენ გადაგვარებული ქართველი დიდებულები, რათა ემტროთ საკუთარი ქვეყნისათვის. ასევე მოიშლებოდა ლეკთა თავშესაფარი, მათი თავდასხმები მრავალი წლის მანძილზე ანადგურებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს. სამწუხაროდ, ახალციხის აღება ვერ მოხერხდა, რადგან რუსი გენერალი ტოტლებენი, როგორც იმერეთში, აქაც ანალოგიურად მოიქცა და ერეკლე მეფე ბრძოლის ველზე მიატოვა. აშკარა იყო, რომ ტოტლებენი ცდილობდა ბრძოლისათვის თავი აერიდებინა და კრიტიკულ სიტუაციებში ორივე მეფე მტერთან პირისპირ დატოვა. პირველ შემთხვევაში სოლომონ მეფემ და მეორე შემთხვევაში ერეკლემ თავიანთი სამხედრო გამოცდილებითა და თავდადებით შეძლეს წარმატების მიღწევა, თუმცა დაგეგმილი მიზანი მიუღწეველი დარჩა. ტოტლებენის საქციელი კარგად მოწმობდა, რომ იგი საერთო ქართული საქმისათვის თავს არ შეიწუხებდა და პირიქით, მისმა ჩამოსვლამ მტრის გაღიზიანება გამოიწვია და ქართველი მეფეები აშკარა საფრთხის წინაშე დააყენა. ერეკლე მეფემ თავის მრავალწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში

ერთ-ერთი ბრწყინვალე ბრძოლა მოიგო 1770 წლის 20 აპრილს ასპინძის ველზე, როდესაც მან გაანადგურა ოსმალთა 8000-იანი ჯარი. ტოტლებენის არასწორმა საქციელმა კი განაპირობა ის, რომ სოლომონ პირველი თავისი 5000 კაციანი ჯარით ბრძოლაში არ ჩაერთო, მოხდა ქართულ ძალთა დაქსაქსვა, ცალკე გავიდა რუსი გენერალი თავისი ჯარით. ერთიანობის შემთხვევაში შეიძლებოდა დაახლოებით 15-20 ათასიანი ჯარი შეკრებილიყო და რუსული არტილერიის დახმარებით ახალციხის აეღოთ. რუსეთში მიღებული ცნობების მიხედვით ერეკლეს შეეძლო 30 ათასი და სოლომონს 20 ათასი კაცის გამოყვანა, რაც დააბანდებდა კავკასიაში კარგა მოზრდილი ჯარის შეკრებას, ამიტომაც რუსეთი ცდილობდა მეფეების ომში ჩათრევას, მხოლოდ ისე, რომ თვითონ დიდი მსხვერპლი არ გაეღო (კაკაბაძე. 1922:220). ასეთ შემთხვევაში კი მოსალოდნელი შედეგები უფრო დიდი იქნებოდა, თუმცა არსებულ სიტუაციაში ამხელა არმიის შეკრება შეუძლებელი იქნებოდა.

რუსეთის არმიის ცენტრალურ ფრონტზე წარმატებამ და ერეკლე მეორის ასპინძის ბრძოლაში გამარჯვებამ, სოლომონ პირველს მისცა უკეთესი შესაძლებლობა იმერეთიდან ოსმალები საერთოდ განედევნა, რადგან იმერეთის ციხესიმაგრეთა გარნიზონებიდან გარკვეული რაოდენობის ჯარი ოსმალებს ფრონტზე გაუწვევიათ. სოლომონ მეფემ სასურველი სიტუაცია კარგად გამოიყენა და 1770 წლის 15 მაისს მან ცუცხვათის ციხე გაათავისუფლა მტრისაგან. ამ ფაქტს იგი იმავე წლის 4 ივლისს ატყობინებდა ეკატერინე მეორეს. ცუცხვათის ციხის აღებით სოლომონ მეფემ იმერეთის სიღრმეში არსებული დასაყრდენი მოუშალა მტერს. ცუცხვათის აღების შემდეგ სოლომონ მეფეს ქუთაისის ციხეზე შემოურტყამს ალყა. თუმცა მღვდელი იოანე ხოჯაშვილი ოდნავ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის: სოლომონ მეფეს 1770 წლის სამხედრო კამპანია შორაპნის ციხიდან დაუწყია ჯერ კიდევ იანვარში, როდესაც 13 იანვარს მეფეს ლეკები დაუმარცხებია, რომლებიც შორაპნის ციხეში დაბანაკებული თურქების დასახმარებლად მოდიოდნენ, 5 მაისს კი სოლომონ მეფეს აუღია ცუცხვათის ციხე, უფრო ადრე კი 19 აპრილს „მეფე ქუთაისს შემოდგომია, 12 მაისს კი ქუთაისის ხიდის კარი და სხვა ჯიხურები

აიღო მეფე სოლომონ“ (ახალციხური ქრონიკები. 2015:19). ცუცხვათის ციხის აღება 15 მაისს უნდა მომხდარიყო, რადგან ამას თვითონ სოლომონ მეფე გვაუწყებს, თავის წერილში ეკატერინესადმი. მღვდელ იოანეს ცნობები კი ძალიან ფასეულია, რადგან მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის, მათ შორის სოლომონის ერთი უცნობი ბრძოლის ამბავს ლეკებთან, რომელიც 1770 წლის 13 იანვარს გამართულა და მეფეს გაუმარჯვია. სხვა წყაროები ამ ბრძოლის შესახებ არაფერს გვეუბნება, ჩვენთვის უცნობია ლეკთა რაოდენობა, ისინი, სავარაუდოდ ახალციხის ფაშას უნდა გამოეგზავნა შორაპნის თურქთა გარნიზონის დასახმარებლად. სოლომონ მეფეს ჯერ კიდევ ცუცხვათის აღებამდე შემოურტყამს ალყა ქუთაისისათვის და 12 მაისს კი ხიდის კარი აუღია, ე.ი. რიონზე მდებარე ერთ-ერთ ხიდს, შესაძლოა, ჯაჭვის ხიდს, ციხეზე მისასვლელი კარი ჰქონდა და სწორედ ეს კარი და სავაჭრო ჯიხურები აიღო მეფემ და ქუთაისის ციხეს ალყა შემოარტყა. სწორედ აქ შეექმნა მეფეს პრობლემა, რადგან იგი ძველი წესის მიხედვით თოფით, ხმლითა და შუბით იბრძოდა, რაც მას საშუალებას არ აძლევდა, ძლიერ გამაგრებული და სქელ კედლიანი ციხე-სიმაგრეები აეღო. სოლომონ მეფეს არ გააჩნდა მსხვილ კალიბრიანი ქვემეხები, ამიტომ სოლომონმა ძველი ტრადიციის მიხედვით ციხე-სიმაგრეების ალყაში მოქცევა და გარე სამყაროსთან მათი მოწყვეტა გადაწყვიტა. ასეთი იყო მეფის სტრატეგია ქუთაისის ციხის ასაღებად. ქუთაისის ციხე ორი ნაწილისგან შედგებოდა: გარე ციხე ანუ სადაც ბაგრატის ტაძარი მდებარეობდა და შიგა ციხე, რომელშიც განთავსებული იყო ოსმალთა ძირითადი ნაწილები. გარე ციხეში კი ცხოვრობდნენ ის 500 ოსმალო ოჯახი, რომლებიც ოსმალთა მიერ ქუთაისის დაპყრობის შემდეგ ჩამოსახლდნენ. შიგა ციხეს ძალიან სქელი კედლები ჰქონდა, ზოგიერთ ადგილზე კედლის სისქე 2 მეტრსაც კი აღემატებოდა (დღეისათვის შემორჩენილია დანგრეული შიდა ციხის საკმაოდ დიდი ნაწილი). ბუნებრივია ასეთი ძლიერი კედლის დანგრევა სოლომონს არ შეეძლო, ამიტომ ციხის სწრაფად ასაღებად რუსული მსხვილკალიბრიანი ქვემეხები იყო საჭირო. ქუთაისის ოსმალური გარნიზონის შემადგენლობაში შედიოდნენ იენიჩრები, თოფჩიები

(მეზარბაზნეები), ჯებეჯიები (მესაჭურვლე). 1730-1731 და 1732-1733 წლებში ქუთაისის ციხეში იყო 401 იენიჩარი და 24-დან 31 ჯებეჯია და 17 თოფჩია, სულ დაახლოებით 450 კაცი, ამას უნდა დაემატოს სამოქალაქო ნაწილი მოსახლეობისა ყადი, მოლები, მსხვილი ვაჭრები, ხელოსნები, ქალები, ბავშვები, გასაყიდი ტყვეები და სხვა. თურქული სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურა ციხის გარეთაც „გადმოედინებოდა“ (ისაკაძე. 2006: 109). რთული სათქმელია რამდენი მებრძოლი და სამოქალაქო პირი იყო 1770 წლისათვის ქუთაისის ციხეში, მაგრამ ფაქტია, რომ ოსმალებს კარგად გამართული ინფრასტრუქტურა და სამხედრო შენაერთი ჰყავდა ციხეში.

ქუთაისის ციხის ალყა 1770 წლის 19 აპრილს დაწყებულა და თითქმის მთელი ზაფხული გაგრძელებულა. ქუთაისის ალყის შესახებ 1770 წლის 22 მაისს რუსი მოხელე მოურავოვი წერდა: „ქუთაისის ქალაქი ალყაში ჰყავს, რომლის აღება მას უარტილერიოდ არ შეუძლია, მაგრამ გადაჭრა რა ქალაქში სურსათის შესატანი ყველა გზები, ამით იმის ხელთ გდებას იმედოვნებს“ (ბურჯანაძე. 1948 140). იმავე წლის 21 მაისს ციხის იანიჩართა აღა ახალციხის ფაშას ნაამს ატყობინებდა; „კარგა ხნის წინათ სოლომონ მეფემ ქუთაისის გარშემო არსებული ყველა გზები ძლიერად და მტკიცედ შეჰკრა და ამით გადაჭრა ჩვენი კომუნიკაცია... არც ერთი მხრივ ჩვენი უბედურების შესახებ გადაცემა არ შეგვიძლია, აღარ გვაქვს საშუალება საჭირო საკვები მასალის მისაღებად. იგი ყველას ვინც კი ხელთ ჩაუვარდება, ან კლავს, ან ატყვევებს, ჩვენ ახლა დიდ სივიწროვეში ვართ. სოლომონ მეფემ თურქთა ორი ციხე ბუკი და ცუცხვათი დაიპყრო... რაჭის ერისთავი შეიპყრო ცოლ-შვილით და მთელი მისი სამფლობელო მასში არსებული ციხეებითურთ ახლა თვითონ ფლობს. სოლომონ მეფე ისე გაძლიერდა, რომ მეტი აღარ შეიძლება“ (грамоты 1891:103). სოლომონ მეფეს კარგად გამიზნული სამხედრო ოპერაცია ჩაუტარებია, მას ქუთაისის ციხე თავისი შემოგარენით ალყაში მოუქცევია, რასაც სურსათ-სანოვაგის ციხისთვის მიწოდება მთლიანად შეუწყვეტია. ციხეში მყოფ ოსმალებს კი მოესპოთ შესაძლებლობა, დახმარება მიეღოთ ახალციხიდან, ახალციხის საფაშო თვითონ საჭიროებდა დახმარებას ასპინძის ბრძოლის

შემდეგ. ამ დროისათვის არც სტამბოლს ეცალა იმერეთისათვის, რადგან იგი რუსეთთან ბრძოლაში იყო ჩართული. ომის დაწყებამდე ქუთაისის ციხეს იცავდა 500 იანიჩარი, რომელთაც ალბათ ქუთაისში მცხოვრები 500 ოსმალო ოჯახიც დაეხმარებოდა. ჩვენთვის უცნობია, რა რაოდენობის მებრძოლი გაიწვია ოსმალეთის მთავრობამ ქუთაისის ციხიდან, თუმცა ფაქტია, რომ მათი რიცხვი შემცირებული უნდა ყოფილიყო. ივნისის თვეში განვითარებული მოვლენების შესახებ მღვდელი იოანე ხოჯაშვილი გვაუწყებს, რომ 18 ივნისს „მეფე სოლომონმან თათრებს უღალატა და დაიჭირა აღა ჩელები, უსტა და სხვანი და ძევლებიც წაართვეს“, 19 ივნისს კი ოსმალებს დაუწვავთ გალავნის კარი და „სხვაც და შიგნით ციხეში შევიდნენ“ (ახალციხური ქრონიკები. 2015: 20). რამდენიმე თვიანი ალყის შემდეგ, როგორც ჩანს იანიჩართა მხედრობის მეთაური აღა ჩელები, უსტა და სხვებიც ციხეს სტოვებდნენ, რა დროსაც სოლომონს ისინი შეუპყრია, მეორე დღეს კი ოსმალებს ქუთაისის ციხეში შესასვლელი გალავნის კარები დაუწვავთ და უფრო გამაგრებულ შიდა ციხეში შესულან. ე.ი. 19 ივნისს სოლომონ მეფეს ქუთაისი გაუთავისუფლებია და ოსმალთა გადარჩენილი მებრძოლები შიდა ციხეში შესულან. ქუთაისის განთავისუფლებას სოლომონ მეფე თავადვე აცხადებს, ეკატე-რინესადმი მიწერილ წერილში 1770 წლის 14 ივლისს. სოლომონი წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან ცუცხვათი და ქუთაისი ტოტლებენის ჩამოსვლამდე გაათავისუფლა. ვიდრე ღრაფი და ახოვანი მხედარმთავარი... სრულქმნილის ჯარით იმერეთს ჩამობ-რძანდებოდა, მანამდის დიდად ვიღვაწე და ცუცხვათის ციხე 1770 წელსა, ხოლო თვესსა 15, და ამისა შემდგომად ქუთაისის ქალაქიცა მიუღე მტერთა მაცხოვრისა ქრისტესითა ბილწთა ოსმანთა და მათ შინა მყოფნი, რომელიც იძულებით გამოვიყვანეთ, რომელთაცა ქრისტიანობა ინებეს, განთავისუფლდნენ სრულიად და რომელთა არა ვითა მათის დიდებულების იმპერატორის მიერ გვებრძანა ეგრეთა განვაგეთ“ (грамоты1898:47). ქუთაისის განთავისუფლების შესახებ სოლომონ მეფე 1773 წლის 9 იანვრის სიგელშიც საუბრობს: „მიშვებითა ღვთისათა თათარ ოსმანთა მტკიცედ ეპყრად ქუთაი-სისა ციხე ქალაქნი, „შეწევნითა შენითა დედაო ღვთისაო მყის

შევმუსრენით ქალაქ-ციხე სიმაგრენი მათნი, დავათრეთ ხრმალი ჩვენი სისხლთა შინა თათართა ...მღვდელნი დავკლენით, მახვილოსანი მოვსწყვიდენითა, ბომონ-ბაგინნი მათნი მიძგიდითურთ დავარღვიენით, ხოლო იავარ-დედა-წულნი მათნი რომელნიმე რუსეთის იმპერატორს მიუძღვანენით, უმრავლესნი კი კავკასის მთებში, ოვსთა, სვანთა და ქისტთა შორის დავაბინენით, ვიეთნი რომელთაცა ინებეს ქრისტიან ვყვენით“ (ბურჯანაძე.1959:130). სიგელი მრავალ საგულისხმო ცნობას გვაწვდის; ქუთაისის აღების დროს სერიოზული ბრძოლები გამართულა, შეიარაღებული ოსმალები ბრძოლაში დაღუპულან, მათი სასულიერო პირები სიკვდილით დაუსჯიათ, ხოლო მეჩეთი დაუნგრევიათ. ამის შემდეგ შემოდიან იმერეთში რუსები, რომლებმაც ბაღდათის ციხის აღებაში მიიღეს მონაწილეობა. თავად ლვოვის წერილით ირკვევა, რომ სოლომონ მეფეს ტოტლებენისათვის მიუმართავს: „მტრები ციხეს უბრძოლველად დასთმობენ თუკი მისი მეუღლე, დედოფალი მათ იმედს გაამართლებს რომ ცოცხლები დარჩებიან და ქონებასაც გადაარჩენენ. თუკი მიიღებენ პირობას დედოფლისაგან, მაშინვე ყველა დროშასა და ზარბაზანს გრაფს ჩააბარებენ და დედოფალს ციხეში შეუშვებენ (грамоты.1891:252).

საბოლოოდ მარიამ დედოფალი, როგორც ჩანს ციხეში შესულა და ოსმალებს, როგორც აღმოჩნდა, იარაღი დაუყრიათ. მტრის დროშები და ქვემეხები გამარჯვებულებს დარჩენიათ. მღვდელი იოანეს ცნობით ციხე 2 ივლისს აუღიათ, იმავე დღეს, რაც რუსებს 300-400 ზარბაზანი გაუსვრიათ (ახალციხური ქრონიკები. 2015:20). „ბაღდათის ორკოშკიანი ციხე ხანისწყლის მარცხენა ნაპირზე იდგა და ახალციხიდან იმერეთში შემოსასვლელ გზას დარაჯობდა“ (რეხვიაშვილი. 1989: 235). ბაღდათის ციხე ოსმალთა მიერ იყო აგებული და ახალციხიდან ქუთაისისკენ მიმავალ გზაზე განსაკუთრებულად სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამის გამო ააგეს იგი ოსმალებმა, თუმცა 1770 წლის ზაფხულში ბაღდათის ციხეში მხოლოდ 30 თურქი იყო გამაგრებული. სოლომონ მეფემ ციხის აღების შემდეგ ბაღდათის ციხე გენერალ ტოტლებენს დაანგრევინა, რათა თურქებს მომავალში მისი დაკავების შესაძლებლობა აღარ

მისცემოდათ. ამ პერიოდში 1770 წლის 9 ივლისს სოლომონ მეფეს საკუთარი ძალებით აუღია შორაპნის ციხე. ამის შესახებ სოლომონი 1770 წლის 14 ივლისის ეკეტერინესადმი გაგზავნილ წერილში საუბრობს; შორაპანს ჩემი ჯარი ადგა, მათი მოუძლურება ვისმინე, წაველ სწრაფათ მხოლოდ ჩემი ჯარით და იგიცა დაუყოვნებლივ ავიღე და აწ ქუთაისს ვადგივართ“ (грамоты 1898: 55). ამით სოლომონი ეკატერინეს საკუთარ ბრძოლისუნარიანობაზე მიანიშნებდა და ასევე იმასაც, რომ იგი მხოლოდ რუსული ჯარის მოიმედე ვერ იქნებოდა.

ბაღდათის ციხის აღებიდან მეორე დღეს რუსთა 4000 კაციანი ჯარი ქუთაისში წასულა და ბალახვანში დაბანაკებულა. 8 ივლისს, ხუთშაბათ დღეს, მწვანე ყვავილადან დაუწყიათ რუსებს ზარბაზნების სროლა ქუთაისის ციხისათვის. 9 ივლისიდან კი მათი შეტევა მასიური ყოფილა დღეში 100 ყუმბარაზე მეტს ესროდნენ (ახალ-ციხური ქრონიკები. 2015:20). იმავე თვის 25 რიცხვში „მეფე სოლომონ, კათალიკოზი და სხვა ქართველებიც რუსის ჯარს შემოსწყრნენ და ქუთაისიდგან წავიდნენ“. რა შეიძლებოდა მომხდარიყო სოლომონ მეფესა და რუსებს შორის გაუგებარია, თუმცა ფაქტია, რომ ქართველებმა ქუთაისი დატოვეს. შესაძლებელია, შემდეგ გარემოებას გამოეწვია სოლომონ მეფესა და გენერალ ტოტლებენს შორის დაპირისპირება: ტოტლებენი ქუთაისის ციხესთან მისვლის დროს შესწრებია, თუ როგორ გამოჰქონდათ მტრისაგან მიტოვებული კალათები და საყოფაცხოვრებო ნივთები იმერლებს, მეფისა და პატრიარქის თანდასწრებით, რაც მას ძარცვად მოსჩვენებია. ამის გამო იგი მეფესთან მივარდნილა და ყვირილი და ფურთხება დაუწყია. ამაზე სოლომონ მეფე გაგულისებულა და გაუცია ბრძანება, რათა ციხიდან არაფერი გამოეტანათ, მისი ბრძანებითვე ციხეში ყველა სახლი დაუწვავთ. „რამდენად დიდი ყოფილა სოლომონ მეფეში სიძულვილი დამპყრობი თურქებისადმი, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარე თავხედი ტოტლებენისათვის შეფურთხების უზომო შეურაცხყოფა ეპატიებინა“ (ბურჯანაძე. 1948: 145). გათავხედებული გერმანული წარმომავლობის რუსი გენერალი უღირს საქციელსაც არ მორიდებია და პირადი შეურაცხყოფა

მიუყენებია ქართველი მეფისათვის. ეს ქმედება ორმაგად მიუღებელი იყო, ჯერ ერთი გენერლისათვის ეს იყო შეუფერებელი საქციელი, ამასთანავე ტოტლებენმა მიზანმიმართულად სოლომონ მეფე სახალხოდ დაამცირა, რითაც გამოხატა მისი უპატივცემულობა პირადად სოლომონისადმი და საერთოდ ქართველი ხალხის მიმართ. მიუხედავად ამისა სოლომონ მეფემ მოითმინა ასეთი შეურაცხყოფა, რადგან ტოტლებენთან დაპირისპირებას შესაძლო იყო საქვეყნო საქმისათვის ევნო, ამიტომ მან წინდახედული ნაბიჯი გადადგა. ალყის დროს რუსებს ციხის მისადგომებთან რამდენიმე თურქი შეუპყრიათ და მათგან გაუგიათ, რომ ციხეში იმყოფებოდა 50-60 მეციხოვნე და 220-მდე ორივე სქესის მოქალაქე (грамоты1891:256).

საბოლოო დარტყმა რუსის ჯარს 1770 წლის 6 აგვისტოს განუხორციელებია, ფერისცვალება დღეს, როცა მათ 12 გირვანქიანი ჰაუბიცით ციხის ერთი კედელი შეუნგრევიათ და აღმოჩენილა, რომ ციხეში მხოლოდ ორი თურქი ჯარისკაცი დარჩენილიყო. დანარჩენი თურქები როგორც ჩანს ციხიდან გაპარულან. კაპიტან ლვოვის წერილის მიხედვით რუსთა ნაწილები შიგა ციხეს ცეცხლს უშენდა ციხის კედელთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი სახლიდან, რომლის კედლების ჩამოქცევის შემდეგ მათ მეორე სახლში გადაუნაცვლიათ (იქვე:258). რუსთა ბატარეა არქეოლოგ რ. ისაკაძის აზრით ქვაფენილიანი ქუჩის დასახლებაში უნდა განლაგებულიყო ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთით, სადაც ახლა ბერების ახალი სენაკები დგას (ისაკაძე. 20.109). თურქთა მთავარ დასაყრდენს ციტადელი (შიგა ციხე) წარმოადგენდა და მისი ხელში ჩაგდებით ისინი თავიანთი მიზნებისათვის იყენებდნენ მთელ გამაგრების სისტემას, სამეფო სასახლეს, აბანოს, ეკლესიას და ციტადელში არსებულ სხვა ნაგებობებს. ღამით შენგრეულ ციხესთან ტოტლებენს ყარაულები დაუტოვებია. თავისი სალდათები კი მთელი ღამის მანძილზე ციხიდან ბარგს ეზიდებოდნენ, „აქედან ძნელი მისახვედრი არაა, რომ ციხის გაძარცვის ორგანიზატორი თვითონ ტოტლებენი ყოფილა“ (ბურჯანაძე. 1948: 148). ამ ფაქტზე თვითონ შემსრულებლები რუსი სამხედროები პორუჩიკი შიშკოვი და ჰუსართა ადიუტანტი ტაბატასიევი ჰყვებოდნენ. „მაგალითი მათი გაუმაძღრობისა იყო

ქუთაისთან, როცა ციხიდან მშიერი ხალხი გამოდიოდა, მეტწილად ქალები ბარგითურთ, გრაფმა ოფიცრებს გააძარცვინა, ხელიდან ბეჭდებსაც კი აცლიდა, სტოვებდა მათ ცარიელი კაბებით“ (იქვე:149). ამ ფაქტით გენერალ ტოტლებენის კიდევ ერთ უარყოფით მხარეზე გვეძლევა წარმოდგენა, რადგან ტოტლებენის ქმედება არ იყო სამხედრო ნადავლის მითვისება, პირიქით ეს იყო დატყვევებული მანდილოსნების ტიპიური ძარცვა, რომელიც რუსმა ოფიცრებმა შეასრულეს გენერლის ბრძანებით. იოანე მღვდელიც ქუთაისის აღებას 6 აგვისტოთი ათარიღებს: „ქუთაისის ციხეზე რუსებმა იერიში ქნეს და აიღეს და თათრები ზოგი დახოცეს, ზოგი დაიჭირეს, ზოგნიც გაიქცნენ“ (ახალციხური ქრონიკები. 2015: 20). აქვე შევნიშნავთ, რომ მღვდელ იოანე ხოჯაშვილის დღიური პირველად 1980 წელს გამოაქვეყნა პროფესორმა ავთანდილ იოსელიანმა, ხოლო 2015 წელს გამოიცა მეორედ ისტორიკოს ნუგზარ პაპუაშვილის რედაქტორობით. ამ ორი რედაქციის შედარებისას არის გარკვეული განსხვავება, პირველ რედაქციაში არ არის თვის ორი რიცხვი დასახელებული: 1. „11 მარიამობისთვე (აგვისტო) კიკიანი თამაზამ დაიჭირა“. 2. 18 „მარიამობისთვე თავი მოჭრეს“ (იქვე: 20). აღნიშნული ცნობით ვგებულობთ, რომ 1770 წლის 11 აგვისტოს ქუთაისის ციხის კიკიანი ფაშა ვიღაც თამაზას შეუპყრია, რომელიც იმავე თვის 18 რიცხვში სიკვდილით დაუსჯიათ.

1770 წლის 6 აგვისტოს უფლის ფერისცვალების დღეს დამთავრდა ქუთაისის საუკუნოვანი ტყვეობა, ოსმალები სამუდამოდ განიდევნენ ქუთაისიდან, აღსრულდა სოლომონ მეფის სურვილი, მისმა 18 წლიანმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო, იგი „დღე და ღამე მხურვალედ ვმეცადინეობდი ღონითა აღფხვრასა ბილწთა ოსმანთასა“. ახალგაზრდა, 35 წლის მეფემ ძველი სატახტო დედაქალაქი გაათავისუფლა უძლიერეს მტერთან ბრძოლაში. ამ საქმეში მნიშვნელოვანი იყო რუსთა როლი, რომლებიც ბრძოლს ბოლო ეტაპზე ჩაერთნენ. სოლომონ მეფის რამდენიმეთვიანმა ალყამ, მის მიერ ქალაქ ქუთაისის განთავისუფლებამ და სასიცოცხლო წყაროების გადაკეტვამ ოსმალები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, ეს იყო დროის საკითხი, ვინაიდან შიდა ციხეში დარჩენილი 60-იოდე

თურქი ხანგრძლივ წინააღმდეგობას ვეღარ გაწევდა. 1770 წლის 29 სექტემბერს ქუთაისის ქალაქობის დღესასწაული დაწესებულა (საქ. ისტ. ქრონიკები. 1980:255). ეს ფაქტი უდავოდ საინტერესო მოვლენა იყო, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, მომდევნო წლებში აღინიშნებოდა თუ არა დაწესებული ქუთაის ქალაქობა, თუმცა 120 წლის შემდეგ მტრისაგან განთავისუფლებული ქუთაისობის დაწესება სოლომონ მეფის დიდი დამსახურება იყო.

ქუთაისის საბოლოო განთავისუფლების საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის უსაფუძვლო ბრალდებები, რომლებიც სოლომონ მეფის მიმართ არის გამოთქმული 1951 წელს დევიდ ლენგის მიერ გამოცემულ შრომაში, სადაც აღნიშნულია, რომ „დე გრეილის ცნობით ქუთაისი აღებულ იქნა 1770 წლის 7 ივნისს, მაგრამ ტოტლებენის ჯარს იგი დაცლილი დახვდა. სოლომონ მეფისა და თურქების სეპარატული შეთანხმების შედეგად თურქებმა ქალაქი 6 ივნისს ღამით დაცალეს“ (lang.1951: 881-889). ცნობა აშკარად არარეალურია, რადგან 6-7 ივნისს რუსები საერთოდ არ იყვნენ იმერეთში ჩამოსულნი, ქუთაისის აღება კი მოხდა 1770 წლის 6 აგვისტოს და არა 6 ივნისს. დე გრილის მთავარი სიყალბე (იგი იყო ასპინძის ომის თვითმხილველი) არის ის, რომ, თვით რუსული წყაროები ამ ფაქტის შესახებ სხვაგვარ ცნობებს გვაწვდიან: ქუთაისის ციხეში დარჩენილი თურქები ითხოვდნენ თურქეთში გაშვებას, სამაგიეროდ იძლეოდნენ პირობას, რომ ციხეს ჩააბარებდნენ. ტოტლებენს აცნობეს, რომ 6 აგვისტოს ღამით თურქები ციხიდან გაპარვას აპირებდნენ. მან სადარაჯო პუნქტების დაცვა გერმანელ ოფიცრებს მიანდო (8 ოფიცრიდან 7 გერმანელი იყო). 6 აგვისტოს, ღამით, თურქები ციხიდან გამოსულან და იოლად გაპარულან. რუსი კაპიტანი ლვოვი აღნიშნავდა, რომ ჩვენ ოთხი ათასი კაცი გვყავდა და მშიერი თურქების შეკავება ადვილი საქმე იყო, მაგრამ ტოტლებენის მიერ პიკეტებად გამოყოფილი გერმანელი ოფიცრები მტრის შეპყრობის ნაცვლად, ციხეში შეიჭრნენ და ძარცვა-გლეჯას შეუდგნენო“ (грамоты.1891:257).

ამასთანავე რუსი ოფიცერი საკმაოდ დეტალურად ჰყვება ციხესთან განვითარებულ მოვლენებს. ვინაიდან თურქებს ძალიან

ცოტა საკვები ჰქონიათ, გადაუწყვეტიათ, ციხიდან გაეშვათ ზედმეტი ხალხი და პურს მოფრთხილებოდნენ. ყოფილა მოლაპარაკება და ციხეში მყოფ ოსმალებს ნაწილ-ნაწილ დაუტოვებიათ ციხე. პირველ საღამოს 60 ოსმალი გამოსულა ციხიდან, რომელთა უმეტესობა მოხუცები, მოზარდები და ქალები ყოფილან, ისინი შიმშილის გამო ძლივს დადიოდნენ. ამის შემდეგ ყოველდღე გამოდიოდნენ ციხიდან უიარაღო და დამშეული ადამიანები. სულ რუსებთან თავი მოუყრია ამგვარი კატეგორიის 160 ადამიანს, თუმცა ციხეს მაინც არ აბარებდნენ. ამის შემდეგ გრაფს გაუცია სროლის ბრძანება თუკი ვინმე გამოვიდოდა ციხიდან, ბოლოს თვითონ ტოტლებენიც კი მისულა ციხის კედლებთან და განუცხადებია მათთვის, რომ რუსული ჯარის მეთაური თავად იყო. ბოლოს, თურქებს სამი წარმომადგენელი გამოუგზავნიათ მოსალაპარაკებლად, მათთან მოლაპარაკება უწარმოებია პოლკოვნიკ კლავერს. ასე დეტალურადაა აღწერილი ციხის დაცემის ბოლო დღეები, სოლომონ მეფეს არანაირი შეხება არ ჰქონია ოსმალებთან, მეტიც, მას ამ დროისათვის ქუთაისი დატოვებული ჰქონდა რუსებთან უკმაყოფილების გამო, შესაბამისად დე გრეილის ცნობები ტენდენციურია და თან არარეალური. სოლომონ მეფეს გაპარული ოსმალების შესაპყრობად ზომები მიუღია, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მიმალულა, ერთი ოსმალო მოუკლავთ და ერთიც შეუპყრიათ (იქვე:260). ამ საქმეში თუკი ვინმე უნდა დავადანაშაულოთ, არის გენერალი ტოტლებენი, რომელმაც ვერ უზრუნველყო ციხის ალყა ისე, რომ იქედან ვინმე არ გაპარულიყო. საინტერესოა დე-გრეილის ცნობები სილომონის შესახებ. მან პირადად მოინახულა სოლომონ მეფე და მასთან შეხვედრის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ „მისმა გამომეტყველებამ, ჩაცმულობამ და სხვა მინიშნებებმა გვაფიქრებინა, რომ უკვე ვიხილეთ ერეკლე. სოლომონი არ ფლობდა არცერთ ქალაქს. ტყეში დახეტიალობდა დაახლოებით 1500 კაცთან ერთად და ერთ ადგილზე 15 დღეზე მეტს არ აყოვნებდა, თურქების თავდასხმის შიშით. ის იყო 40 წლის (Lang.1951:888). გრაფი ტოტლებენი ამბობდა: „მე კარგად ვხედავ, რომ ამ ქვეყანაში არაფერია გასაკეთებელი, რადგან სოლომონში ვხედავ მეორე მეს“. სოლომონი კი ტოტლებენის შესახებ აღნიშნავდა: „ეს კაცი მოვიდა

ჩემს საშველად, მაგრამ რაშეუძლია გააკეთოს მან თავისი პატარა ნავებითა და 500 კაცით“.

საბოლოოდ სოლომონ მეფესა და გენერალ ტოტლებენს შორის კიდევ მომხდარა დაპირისპირება. მან სოლომონს უარი უთხრა დადიანის წინააღმდეგ ლაშქრობაზე, შემდეგ ახალციხისკენ გადაწყვიტა ლაშქრობა, თუმცა გზის სირთულის გამო გადაიფიქრა, საბოლოოდ კი თურქების ყოფილ მოკავშირეს, იმერთა მეფის მტერს, დადიანს დაუახლოვდა და შავი ზღვისკენ სალაშქროდ დაიძრა (რეხვიაშვილი. 1989:239). სოლომონ მეფეს დადიანის წინააღმდეგ გალაშქრება და მისი დასჯა იმისთვის უნდოდა, რომ ოსმალთა უკანასკნელი მოკავშირე ჩამოეცილებინა გზიდან, რადგან დადიანის ნდობა არ შეიძლებოდა, რაც სამომავლოდ დადასტურდა კიდეც. ტოტლებენი სამეგრელოში ოსმალთა მიერ მიტოვებულ ანაკლიისა და რუხის ციხეებს დაეუფლა და შემდეგ ფოთის ციხეს შემოადგა, რომელიც ვერ აიღო. ამასობაში კი მას ბათუმში შეკრებილი თურქთა ჯარის მხრიდან საფრთხე დაემუქრა, რომლის შესახებაც სოლომონ მეფემ მას აცნობა, თუმცა ტოტლებენმა ეს არ დაიჯერა. ტოტლებენი და რუსის ჯარი ასევ სოლომონ მეფემ იხსნა განადგურებისაგან, როდესაც მან 1771 წლის იანვარში გზა მოუჭრა თურქებს და აიძულა ისინი, უკან გაბრუნებულიყვნენ (იქვე: 239). ეს იყო სოლომონ მეფის სამხედრო ნიჭის კიდევ ერთი გამოვლენა, მან სწრაფი მოქმედებით შეძლო ოსმალთა უკუგდება, რამაც საფრთხეში ჩავარდნილი რუსული სამხედრო ნაწილები განადგურებისაგან იხსნა, ხოლო გურიაში მისთვის სასურველი მამია გურიელი გაამთავრა და გურიის თავადაზნაურობა ერთგულებაზე შემოიფიცა. ეს იყო სოლომონის მხრიდან კიდევ ერთი გამიზნული და სწორი მოქმედება, რასაც მისი კიდევ უფრო გაძლიერება მოჰყვა და მისი მომავალი გეგმის დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისკენ სერიოზული ნაბიჯის გადადგმა. უმადურმა გენერალმა ტოტლებენმა, რომელიც თვეების განმავლობაში უბრძოლველად იდგა ფოთის ციხესთან და ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია, ფოთის მარცხი ქართველ მეფეებს დააბრალა. ის კიდევ უფრო შორს წავიდა და სოლომონ მეფე მტრად და თურქად გამოაცხადა. ტოტლებენმა ცუდი როლი ითამაშა ასევე სოლომონისა

და კაცია დადიანის საქმეში, რადგან დადიანის დასუსტებით სოლომონი საფრთხეს გაანეიტრალებდა, რომელიც მას ზურგიდან მუდმივად ემუქრებოდა. ამ დაპირისპირებაში ჩაერთო რუსეთის იმპერია და თვით ერეკლე მეფეც. 1770 წლის 7 აგვისტოს ერეკლე მეფე შემდეგ წერილს უგზავნის გრაფ პანინს: „მრავალგზის ვეცადენით მეფე სოლომონთან, რომ დადიანს შერიგებოდა, და არ ინება მეფემან სოლომონ, მიზეზი ის იყო რომ მამულები უნდოდა მეფე სოლომონს დადიანისათვის წარსართმეველად და ერთმანეთთან სხვა ძველი მტრობაც ჰქონდათ. შარშან ბრძანების შემდგომად თავისი ძმა უმაღლესის კარს გამოეგზავნა, მაგრამ რამდენიც ეცადა გზა არ დაანება და არ გამოუშვა მეფე სოლომონ ჩემთანა, იმისი ძმის უწმინდესისაგან მოწერილი წიგნი, რომელსაც თავის ძმას არჩილს სწერს“ (грамоты. 1898: 51). ერეკლე მეფეს მხედველობაში ჰქონდა კათალიკოს იოსების წერილი, რომელიც მან 1770 წელს თავის ძმას არჩილს მისწერა: „თუ შენ არ გინდა საკუთარი ძმის, სოლომონის მკვლელად იწოდო და არ გსურს გავიკრიჭო და ხარისხი ავიყარო, მაშინ ხვალ ირაკლის კაცი დადიანის სამფლობელოში არ გაუშვა, ხოლო თვითონ ადრიანად ჩვენთან მოდი“ (грамоты.1891:262). იოსებ კათალიკოსი თავის ძმას გვერდით ედგა სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტისას. რაც მთავარია ისინი სწორად მოქმედებდნენ დადიანთან მიმართებაში, რადგან დადიანი რუსეთის დახმარებით ცდილობდა თავისი ძლიერება შეენარჩუნებინა, მან ამისათვის ეკატერინე მეორეს წერილიც კი მისწერა, რომელშიც აღნიშნავდა: „მე მყავს ისეთი მტერი, როგორიც სოლომონ მეფეა, რომელიც თქვენთან არ მიშვებს და გზასაც არ მაძლევს“ (ბერძენიშვილი.1973:428). დადიანი სოლომონ მეფის ცოლისძმა იყო და მას უფრო მეტ პასუხისმგებლობას ქართული წესი და ქრისტიანული მორალი ავალდებულებდა, თუმცა უმეტესად იგი სოლომონის მტრობით ქვეყანას აზარალებდა. თუკი ძველად დადიანი სოლომონთან დასაპირისპირებლად ოსმალეთსა და მის სამხედრო ნაწილებს კარგად იყენებდა, ახლა ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, ამავე მიზნით რუსეთის გამოყენებას შეეცადა საბოლოოდ სოლომონის ტრაგიკული გარდაცვალებაც ამ გადაგვარებულ მთავარს უკავ-

შირდება, რომელიც მუდმივად საკუთარ თავზე ზრუნავდა და იშვიათად ითვალისწინებდა საქვეყნო ინტერესებს.

რაც შეეხება ტოტლებენის პიროვნებას, რუსეთის მხრიდან მის საქართველოში გამოგზავნას შეცდომას ვერ დავარქმევთ, რუსეთის ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა ტოტლებენის შესაძლებლობები, ამიტომ გამოგზავნეს იგი საქართველოში. ყოველგვარ ნიჭს, სამხედრო ცოდნასა და მორალს მოკლებული გენერალი ვერავითარ სამხედრო წარმატებას ვერ აღწევს საქართველოში. „საქართველოში მოსული ტოტლებენი ხან იმერეთში იყო ხან ქართლში, უნდოდა ეჩვენებინა ვითომ ორივეს ეხმარებოდა, სინამდვილეში არც ერთს შველოდა და არც მეორეს“ (რეხვიაშვილი. 1989: 244). რუს გენერალს ქართველი მეფეებისა და ხალხის ლანძღვის გარდა კარგად ეხერხებოდა ძარცვა, ცილისწამება და უწესრიგობა, თუმცა ამ ყველაფერს იგი ქართველ ხალხს სწამებდა. სწორედ ჩვენი ხალხის წარმოუდგენელმა თავგანწირვამ და ბრძოლისუნარიანობამ გახადა შესაძლებელი, შეენარჩუნებინა თავისი თვითმყოფადობა XVIII საუკუნის განმავლობაში, როდესაც ირანისა და ოსმალეთის მცდელობას დაემორჩილებინათ ქართული სამეფო-სამთავროები შედეგი არ მოჰყოლია. ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის პირადი დამსახურებაა 1770 -1771 წლების სამხედრო კამპანიის დროს მიღწეული წარმატებები, რუსულ სამხედრო ნაწილებს კი მნიშვნელოვანი დამსახურება ამ პერიოდში არ ჰქონიათ. ტოტლებენმა ვერ აიღო ფოთის ციხე, ახალციხის აღების საქმეში კი ერეკლე მეფე მიატოვა და ახალციხის აღების გეგმა ჩაიშალა.

ქუთაისის განთავისუფლების შემდეგ სოლომონ პირველმა 1770 წლის 19 სექტემბერს წერილები გაუგზავნა ნიკიტა პანინსა და ეკატერინე მეორეს. წერილებში სოლომონ მეფე გარკვეულწილად საყვედურს გამოთქვამს ტოტლებენის ჩადენილი ქმედებების გამო და ოსმალებთან ბრძოლაში საკუთარ დამსახურებაზეც საუბრობს. პანინთან წერილში სოლომონი პირდაპირ სდებს ბრალს გენერალ ტოტლებენს ქართველ მეფეებს შორის მტრობის ჩამოგდებაში. „მეორედ მოიწია ჩემდავე ქვეყნად და ამა უწესოთა მიმოსვლითა მეფე ირაკლი და ჩვენ ძმობისა და ერთსულობისაგან ფრიად განგვ-

ყო და განგვაშორა და რამდენნიმე მიზეზნი და სავნებელნიცა სიტყუანი დასთესნა შორსა ჩვენსა“ (грамоты.1898: 55). ე.ი ტოტ-ლებენის იმერეთში მეორედ ჩამოსვლამდე ჩამოუგდია შუღლი ერეკლესა და სოლომონს შორის, სოლომონ მეფე ტოტლებენის ქართლსა და იმერეთში სიარულს „უწესო მიმოსვლას“ უწოდებს, ამასთანავე მან იცის, რომ ტოტლებენმა შეგნებულად დათესა ერეკლესთან „სავნებელი სიტყვანი“, რამაც ქართველ მეფეთა გაყოფა-დაშორება გამოიწვია. ამგვარივე საყვედურია გამოთქმული სო-ლომონ მეფის მიერ ეკატერინე დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში. „თუ ესენი ჩემნი მტერნი და ოსმანნი შემწენი ყოფილიყვ-ნენ, მათ ჩემთან ყოფა ვით ეგებოდა. მარა დია სწრაფათ და გა-უშინჯავად მხედველობს. აწ კიდენ ჩვენის ქვეყნის სანაპიროს ადგილებზე, ზღვისპირა ციხეები არს ოსმანთა და ვაიძულე მაზედან მისვლა. დია შორად განმიკიდა და არც პასუხი მიგო რიგიანი, თანა-წარმხდა და ახალციხეს განემზადა წასვლად... განვემზადე მეცა... არც ჩვენი წასვლა ინება და არც წყალობა მოგვცა“ (იქვე:57). სოლომო-ნი ტოტლებენს ბრალს სდებს განუსჯელ და წინდაუხედავ მოქ-მედებებში, ამასთანავე იგი გენერალს უპასუხისმგებლო საქციელ-შიც ადანაშაულებს, თუმცა თავის მტკიცე ხასიათზეც მიანიშნებს „ვაიძულე მაზედან მისვლა“. აქედან ნათელია, რომ სოლომონი უზ-ნეო გენერალს ბრმად არ ენდობოდა, მას კარგად ჰქონდა შესწავლი-ლი და გაანალიზებული ტოტლებენის უმართებულო ქმედებები. სოლომონ მეფე რუსთა დედოფალს საკუთარ დიდ დამსახურებასაც ახსენებს ოსმალებთან ომში; „უმაღლესო ხელმწიფეო ათექვსმეტი წელი სრულ იქმნა, რომ ოსმანთ ბრძოლაში ვიჭირვი და ვშურები და რამდენნი მოვსწყვიდენ, რამდენიმე დავაბრძენ“. წერილში მეფე ეკატერინეს აცნობებს, რომ ქუთაისის დარჩენილი შიდა ციხე, „სიყ-მილისაგან ფრიად მოუძლურებული“ ასაღებად მზად იყო და ციხე მისმა ჯარმა მიიყვანა დაცემის პირას, თუმცა ტოტლებენს ქართველი „კნიაზი და სხვანი უბრალონი კაცნი“ დაუჭერია და მათთვის ოსმალთა შემწეობა დაუბრალებია. ტოტლებენისადმი გარკვეულ საყვედურს გამოთქვამს ასევე კაცია დადიანი 1770 წელს ეკატერინე მეორის მიმართ გაგზავნილ წერილში: „მეფე სოლომონ, რომელიც

ჩვენსა და მათ შუა მოყრობა და სიყვარული იყო ის კი დახსნა, მტერობა აღადგინა (ტოტლებენმა), მრავალი ჩვენი სამფლობელოს კერძო ქვეყნები მოაოხრა“ (переписка. 1861:228). დადიანი სოლომონ მეფის მიერ განხორციელებულ თავდასხმების გამო იმპერატორთან ჩივის.

საბოლოოდ რუსეთის ხელისუფლებამ 1771 წელს გენერალი ტოტლებენი საქართველოდან გაიწვია, მაგრამ არც მისი შემცვლელი გენერალ სუხოტინის პირობებში მიუღწევია რუსეთის არმიას მნიშვნელოვანი შედეგისათვის, რაც იმის დასტურია, რომ რუსთის ხელისუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა საქართველოში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს. მაგრამ საბოლოო ჯამში, ქართველ მეფეთა წყალობით, 1768-1774 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქართულმა სამეფოებმა წარმატებებს მიაღწიეს. რუსეთის ხელისუფლებამ კი დაგეგმილი მიზნები ზედმიწევნით შეასრულა, ამჯერად მათ ინტერესებში არ შედიოდა რუსული სამხედრო ძალების რესურსი საქართველოში დახარჯულიყო. ისინი მაქსიმალური თავშეკავებით, რუსული არმიის სერიოზულ ბრძოლებში არჩართვით ცდილობდნენ, მათთვის სასურველი შედეგის მიღწევას. გენერალ ტოტლებენის ამორალურმა ქმედებებმა და შეურაცხმყოფელმა დამოკიდებულებამ ქართველებთან, მეფეთა ინტერესები არაერთხელ დააზიანა. ტოტლებენმა თავისი საქციელით ასევე მტრობა ჩამოაგდო სოლომონსა და ერეკლეს შორის, რამაც კიდევ უფრო დააზარალა ქართული საქმე. თუმცა რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს ხედვაც დიდად არ განსხვავდებოდა მისი გენერლებისაგან. მისი ამგვარი დამოკიდებულება კარგადაა წარმოჩენილი 1771 წლის 13 იანვრის წერილში გენერალ სუხოტინისადმი: „კარგი იყო ქართველებს შეძლებოდათ ომის წესიერად წარმოება, რა თქმა უნდა ამას დიდი შედეგები მოჰყვებოდა, მაგრამ როგორც ჩანს ასეთი რამ შეუძლებელია, ქართველებს მტრის ძარცვა, მათზე ცალკეული თავდასხმები ემარჯვებათ და ასეც იმოქმედონ, რათა თურქები შეაწუხონ“ (მაჭარაძე. 1957:114-115). ასეთივე ხედვა ჰქონია დედოფალს სოლომონ მეფესთან დამოკიდებულებაში, როცა ის სოლომონისა და დადიანის ურთიერთობათა საკითხში, რუსეთის ინტე-

რესებისათვის სასარგებლო მოქმედებას ავალებდა თავის ხელქვეითებს. „მისი უდიდებულესობა“ ან ვერ ერკვეოდა საქმის არსში, ან მისი „სახელოვანი გენერლისაგან“ მეტად ყალბი ცნობები ჰქონდა ქართველებზე. ქართველებმა ომის წარმოება რუსეთის სახელმწიფოს შექმნამდე გაცილებით ადრეული პერიოდიდან იცოდნენ, მათ შორის უდიდეს იმპერიებთან. სწორედ ჩვენი წინაპრების დამსახურებაა, რომ ჩვენს ქვეყანაზე რამდენჯერმე აღმატებულ სახელმწიფოებს ებრძოდნენ ტოლ-სწორად და უმეტეს შემთხვევაშიც ქართველები გამოდიოდნენ გამარჯვებულნი. იმის მიზეზი, რომ ქართველებს სათანადო აღჭურვილობა და არტილერია არ გააჩნდათ, იყო ის გაუთავებელი ომები მუსულმანურ სახელ-მწიფოებთან, რომელსაც საქართველო აწარმოებდა საუკუნეების განმავლობაში. საუკუნოვანი ბრძოლებით დაქანცული ქართული სამეფოები ქრისტიანული იმპერიისაგან ითხოვდნენ დახმარებას. მტრის ძარცვა და ცალკეული თავდასხმები საქართველოში ჩამო-სულ გენერალ ტოტლებენს უფრო ეხერხებოდა. ქართველი მეფეები-სა და რუსეთის იმპერატორთა მიმოწერას თუ გადავხედავთ, დავრ-წმუნდებით, რომ ჩვენი მეფეების დამოკიდებულება გულღიაა და ისინი უფრო მიმნდობი ხასიათით გამოირჩეოდნენ, რუსი იმპე-რატორების დამოკიდებულება კი ორაზროვანია, მაღალფარდოვანი სიტყვებითა და ქრისტიანული ტერმინოლოგიით ისინი ცდი-ლობდნენ, თავიანთ ვალდებულებები ან არ შეესრულებინათ ან, რაც შეიძლება გვიან განეხორციელებინათ*. ჩვენ ვერ გავიზიარებთ გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს „სოლომონმა ერეკლე მეფეს

*ზოგიერთ ქართულ ლიტერატურულ გამოცემაში, ასევე უცხოურ ლიტერატურაშიც გენერალ ტოტლებენს მიეწერება იმერეთის ციხეთა გან-თავისუფლება და სოლომონის დამსახურება ამ საქმეში იგნორირებულია. ეკატერინე მეორემ საჭიროდ სცნო ვოლტერისათვის დაწვრილებით ეცნობებინა საქართველო-თურქეთის ფრონტის ამბები, რუსის ჯარის შემოსვლა საქარ-თველოში ტოტლებენის მეთაურობით, ქუთაისის, შორაპნის და ბაღდათის ციხეების აღება... ვოლტერის საპასუხო წერილებს ნახევრად ირონიული ტონი აქვთ(ქიქოძე.1956:327). სამომავლოდ აუცილებელია სოლომონ მეფის მოღ-ვაწეობის შესახებ წიგნები გამოიცეს უცხო ენებზეც.

რუსეთის არმიის დახმარება მოუსპო და ახალციხის მიმართულებით მოსალოდნელი გამარჯვება ხელიდან გამოაცალა“ (რეხვიაშვილი. 1989: 248). ის ფაქტი, რომ გენერალი ტოტლებენი, ან სუხოტინი არცერთი ქართველი მეფის ნებაზე არ გაივლიდა აშკარაა. ეკატერინე მეორე გარკვევით წერდა გენერალს: „ჩვენი განზრახვა იყო და არის ქართველების გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ ომში... კონტაქტი დაამყარეთ ერეკლესთან... იმოქმედეთ საკუთარი შეხედულებისამებრ“. საქართველოში რუსეთის არმიის მთავარსარდალმა გადაწყვიტა, რომ მათთვის (რუსებისათვის) უფრო მნიშვნელოვანი იყო ფოთის ციხის აღება, ვინაიდან ფოთის, როგორც საზღვაო ციხესიმაგრის ხელში ჩაგდება სტრატეგიული მნიშვნელობით აღემატებოდა ახალციხეს, რომელიც მათთვის ნაკლებად მიმზიდველი იყო. თუმცა რეალობაა, რომ რუსული არმიის ორმა გენერალმა ტოტლებენმა და სუხოტინმა ილაშქრეს ფოთის ციხეზე და მათ შეგნებულად აარიდეს თავი ახალციხეში ლაშქრობას, რადგან იგი ასაღებადაც უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე ფოთის ციხე. რუსული მხარე კი დიდ მსხვერპლს ერიდებოდა და ძირითად სიტუაციებში თავს არიდებდნენ ბრძოლას. საბოლოოდ რუსეთის სამხედრო ნაწილებმა 1772 წლის 5 მაისს იმერეთი დატოვეს.

სოლომონ მეფეს რუსთა ჯარი გაუცილებია და 26 მაისს გამოსთხოვებია მათ. ამრიგად, სამწლიანი პერიოდის შემდეგ რუსებმა იმერეთი დატოვეს, უნდა ითქვას, რომ მათ ყოფნას იმერეთის ტერიტორიაზე გარკვეული დანიშნულება მართლაც ჰქონდა. მათი წასვლის შემდეგ ახალციხიდან ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ჯარი გადმოსულა და ერისთავების სოფლებს თავს დასხმიან. ვანის მთებით გადმოსული მტერი ვაკე იმერეთის სოფლებს ამაღლება, სადემეტრაო, სალომინაოს შესევიან (ბურჯანაძე. 1948:199). ახალციხის საფაშო მუდმივი საფრთხე იყო იმერეთისთვის, მათ როგორც კი შეიტყვეს რუსული ნაწილების მიერ იმერეთის დატოვების შესახებ და თურქ-ლეკთა ჯარი იმერეთის სოფლებს დაესხა თავს. ჩვენთვის უცნობია მტრის ჯარის რაოდენობა, სოლომონ მეფეს შორაპანში შეუტყვია მტრის შემოსვლის შესახებ, უკან დაბრუნებულა და მტერი დაუმარცხებია. საქართველოდან რუსების წასვლის შემდეგ არსებობდა საფრთხე, რომელიც შეიძლებოდა დამუქრებო-

და ქართულ სამეფოებს. სწორედ ამისთვის სოლომონ მეფისა და ერეკლე მეორის წინდახედულ და მიზანმიმართულ მოქმედებას უნდა მივაწეროთ მათი 1773 წლის 27 ივლისის შეთანხმება. წინა შეთანხმებამ, რომელიც 1758 წელს დაიდო, 1770 წლამდე იმოქმედა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათი ბოლო შეთანხმება, რომელიც ოსმალეთიდან წამოსულ საფრთხეს გაანეიტრალებდა, ძალების გაერთიანების პირობებში დადებითი შედეგის მიღწევის უფრო დიდი შანსი არსებობდა. ხელშეკრულებამ მეფეთა შორის ყოველგვარი გაუგებრობა მოხსნა, ვინაიდან მათი მთავარი ინტერესი ქვეყნის კეთილდღეობა იყო.

აღნიშნული დოკუმენტით ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი ერთი დიდი მიზნის ინტერესების შესატყვისად, ქრისტიანობისა და საკუთარი სამეფოების საშინაო და საგარეო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ყოველთვის მზადმყოფთა როლში გამოდიოდნენ. საჭიროებისას დახმარება დროული უნდა ყოფილიყო და იმ ძალების მომარაგება-უზრუნველყოფა, რაც მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე იქნებოდა გამოყენებული. მეფეებმა ეს დოკუმენტი რუსულ მხარეს გაუგზავნა და ამით გადაჭრით უთხრეს თავისი სათქმელიც, ისეთი მისიით დამხმარე ჯარის შემოსვლა, როგორიც გრაფმა ტოტლებენმა შეასრულა, რბილად რომ ვთქვათ დანაშაული იქნებოდა (ბლიაძე. 2013:213). მეფეთა აღნიშნული შეთანხმება სახელმწიფოებრივი აზროვნების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო, შეთანხმებას რომ დიდი დატვირთვა ჰქონდა, ამას ისიც მოწმობს, რომ მისი ასლი რუსეთში იქნა გაგზავნილი. ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული რუსეთ-თურქეთის ომი და ამ კავშირის დადებას დიდი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. შეთანხმების მუხლებით გათვალისწინებული იყო, ურთიერთდახმარება მტრის თავდასხმის, შინაური შფოთისა და ლტოლვილი თავადის თუ აზნაურის შეუფარებლობის შესახებ. ამავე შეთანხმების შედეგი იყო 1773 წლის ოქტომბრის ლაშქრობა ჯავახეთში. ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა, რომლის რაოდენობა 11 ათას კაცს შეადგენდა. წარმატებებს მიაღწია და ალყა შემოარტყეს ახალქალაქის ციხეს, არტაანისა და მისი მიმდებარე ტერიტორიები მოარბიეს, რომლის დროსაც მრავალი ტყვე და საქონელი წამოუსხიათ. ამ ლაშქრობის დროს სოლომონ

მეფე მძიმედ გამხდარა ავად, რის შესახებაც გვაწვდის ცნობას ომან ხერხეულიძე: „ამ ჟამსა მეფე იმერთა სოლომონ ფრიად ავად შეიქმნა საოფლით, რომელ სიკვდიდ მიეახლა, ამისთვის თავს ინებეს წამოყვანა მეფის სოლომონისა, გაუკეთეს მოაბა აიყარნენ იმერნი და წარმოიყვანეს მეფე სოლომონ და მეფე ირაკლიცა შემოეცალა ციხესა ახალქალაქისა“ (ქართ. ცხ. 1854: 493). 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის მესამე ტომში სოლომონ მეფის ავადმყოფობის შესახებ ეჭვია გამოთქმული; „არავინ იცის, რამდენად სერიოზული და გულწრფელი იყო სოლომონის ავადმყოფობა“ (საქ.ისტორია. 2012.III.414). ისტორიკოსმა ევ. ბლიაძემ თავის შრომაში არ გაიზიარა აღნიშნული ეჭვი; „ერეკლეს ისტორიკოსი მთლად ასე მინდობით არ დაწერდა იმერეთის მეფეზე, მით უმეტეს მის ქცევაში თუ ერეკლესათვის საზიანოს შენიშნავდა“ (ბლიაძე. 2013:214). მართლაც უცნაურია, რატომ არ შეიძლებოდა სოლომონ მეფე ავად გამხდარიყო, ომან ხერხეულიძე გარკვევით ამბობს - „რომელ სიკვდიდ მიეახლა“, ე. ი. მეფე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა, რის გამოც იგი ჯავახეთიდან წამოუყვანიათ.

ამ შემთხვევიდან ორიოდე თვეში ახალციხის ფაშამ ჯავახეთის ლაშქრობის გამო 1774 წლის იანვარში მორიგი თავდასხმა მოაწყო იმერეთზე. ახალციხის ფაშა თავის ძველ მოკავშირეს კაცია დადიანს დაკავშირებია და გადაუწყვეტიათ ერთობლივად დაერტყათ იმერეთზე. რუსეთის მოიმედე დადიანს, როგორც კი დაუდგა შესაფერისი მომენტი, მაშინვე თურქებთან აღადგინა კავშირი, რითაც კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა თავის ქვეყანას. საფრთხე საკმაოდ სერიოზული ჩანდა, რადგან შესაძლო იყო სოლომონ მეფე ერთდროულად ორ ცეცხლს შუა მოხვედრილიყო. მოღალატე დადიანის მსგავსად მეფეს უღალატეს აბაშიძეებმაც, ვახანის ციხის მფლობელებმა და მტერს გზა მისცეს. კრიტიკულ სიტუაციაში გადამწყვეტი როლი ერეკლე მეფემ შეასრულა, როდესაც მან 2000 კაციანი ჯარი გამოაგზავნა სოლომონის დასახმარებლად, დადიანი კი აიძულა განზრახვა შეეცვალა. მტრის ჯარი ქუთაისისკენ მიიწევდა და ქვეყანას არბევდა, თუმცა დადიანის ჩამოშორების შემდეგ მტერმა უკან იბრუნა პირი. რთულ სიტუაციაში კიდევ ერთხელ გამოვლინდა სოლომონ მეფის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი, მან ჩხერის ვიწროებში

მეთოფეთა გარკვეული რაოდენობა ჩაასაფრა, თვითონ კი ძირითად ნაწილებს გაუძღვა. ჩხერის ვიწრო კლდოვან გზაზე მტრის არმიას აუცილებლად უნდა გაევლო. „6 თებერვალს განთიადზე, მტერი რომელსაც უკნიდან სოლომონ მეფის ჯარი ხმლით უტევდა, უეცრივ ძლიერ ცეცხლს წააწყდა. დაიბნა, წონასწორობა დაკარგა და თავდაცვაც წააგო. 1000 კაცზე მეტი მისი შემადგენლობიდან ხმლით დაეცა ბრძოლის ველზე, ხოლო 600 კაცი იმერლებს ცოცხლად ჩაუვარდათ ტყვედ“ (ბურჯანაძე. 1948:209). ოსმალთა და ლეკთა ჯარის 1400 კაცი ვახანის ციხემდე დადევნებული სოლომონ მეფის რისხვის მსხვერპლი გამხდარა. მათგან ახალციხემდე მხოლოდ 700 კაცს ჩაუღწევია. ჩხერის ომში გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მტრის 4000 ათასიანი ჯარიდან 3000 კაცი დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა, ამ გამარჯვებაში უმთავრესი როლი ითამაშა ასე-ვე ერეკლე მეორის დამხმარე რაზმის გამოგზავნამ და მისმა სწორმა მოქმედებამ დადიანის გასანეიტრალებლად. ეს იყო ახალციხის ფაშას და ოსმალეთის ხელისუფლების მორიგი მარცხი იმერეთში, სოლომონ მეფემ კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები, ქართველთა მხრიდან მხოლოდ 50 კაცი დაღუპულა და 100 დაჭრილა. ჩხერის ომშიც სოლომონ მეფემ მტერთან საბრძოლველად ჩასაფრებითი სტრატეგია აირჩია და ბუნებრივი პირობების გამოყენების ხარჯზე მტერს ტაქტიკური შეცდომა დააშვებინა, რამაც გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. სოლომონს ასევე „ბრძოლის დაწყების წინ სიკვდილის დასჯის მუქარით სასტიკად აუკრძალავს მტრის დახო-ცილი ჯარისკაცების ძარცვა, სანამ ბრძოლა ბოლომდე არ დამ-თავრდებოდა. იმერლებს ნადავლში 1800 ცხენი, ბევრი თოფი, ხმალი და სხვა დარჩენიათ. ტყვეებს შორის აღმოჩენილა ლეკების ცნობილი ბელადი რაჯაბა, რომელიც როგორც ქართლ-კახეთის პირსისხლი-ანი მტერი, სოლომონმა ირაკლი მეფეს გაუგზავნა“ (იქვე: 210). ოსმალეთის მოკავშირე ლეკებისა და მისი ბელადის დამარცხებაც მნიშვნელოვანი იყო ორივე სამეფოსთვის, რადგან ლეკთა მო-ულოდნელი შემოსევები მრავალი წლის მანძილზე ანადგურებდა აღმოსავლეთ საქართველოს. ამ მომენტში კარგად გამოჩნდა ის საფრთხე, რომელიც მომდინარეობდა დადიანისა და აბაშიძეების-გან, ამიტომ უნდა ჩავთვალოთ სოლომონის მუდმივი ლტოლვა

გამართლებულად, რათა საბოლოოდ აღეკვეთა მათი ანტიეროვნული მოქმედება. ისინი ფაქტიურად სოლომონის მეფობის 30 წლიან პერიოდში მუდმივად ოსმალეთის მოკავშირეებად გამოდიოდნენ და სოლომონს ყოველთვის მაქსიმალური ყურადღების დამაბვით უხდებოდა მათი განეიტრალება.

ჩხერის ომმა კიდევ ერთხელ აჩვენა ქართველ მეფეთა გაერთიანებული ძალებით ბრძოლას რაოდენ დიდი შედეგის მოტანა შეეძლო, აღნიშნული გამარჯვება ქართულ სამხედრო ისტორიაში მართლაც თვალსაჩინო მაგალითია. თუმცა ამ შემთხვევამ სოლომონ მეფეს ისიც დაანახა, რომ მას ოსმალეთის წინააღმდეგ მაინც სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე რუსეთის სახით, სწორედ ამ მიზნით სოლომონ მეფემ 1774 წლის ნოემბერში რუსეთში მეორე ელჩობით გააგზავნა დავით კვინიხიძე. სოლომონ მეფე ეკატერინესადმი წერილში სწერდა: „უძლიერესო ხელმწიფეო, ჩვენი და თათრების მიკარება და შერიგება არაოდეს არ იქნება, შუაში დიდი სისხლები არის დათხეული“ (ცქიტიშვილი.1980:46). გრაფ ნიკიტა პანინისადმი მიწერილ წერილში სოლომონ მეფე ითხოვდა რუსეთის ქვეშევრდომობას, რუსეთის იმპერატორთან პირად შეხვედრასა და იმერეთში რუსეთის ერთი წარმომადგენლის მუდმივად ყოფნას. საბოლოოდ აღნიშნულ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია და შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში რუსეთის ხელისუფლება თურქეთს უწევდა ანგარიშს, ხოლო პატარა იმერეთის სამეფოს მიზეზით მასთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდათ (იქვე:49).

ამ დროისათვის რუსეთსა და თურქეთს შორის უკვე დადებული იყო ქუჩუკ-კაინარჯის ზავი, რომელიც 1774 წლის 10 ივლისს დაიდო. აღნიშნული ზავის 23-ე მუხლი შეეხებოდა საქართველოს. „საქართველოსა და სამეგრელოში მდებარე ციხეები: ბაღდათი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისგან იმათ კუთვნილად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ. თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე, ან დიდი ხანია, ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილნი... ბრწყინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ უარს ამბობს ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე (საქ.

ისტ. ნარკვევები. 1973: 662). ზავის ამ მუხლით ოსმალეთი ასევე არავითარი სახით არ შეავიწროებდა ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს, ისინი ასევე არ შეუშლიდნენ ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებასა და ახლის აგებას. დასავლეთ საქართველო კვლავ „ბრწყინვალე პორტას“ ქვეშევრდომობაში რჩებოდა, რუსეთის იმპერიას კი მათ საქმეებში სრულად ჩარევა ეკრძალებოდა. ზავის პირობებით ოსმალეთი უარს ამბობდა ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნაზე, ასევე უდიდესი მიღწევა ქართველთა რწმენის ხელშეუხებლობა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა შეკეთების უფლება. რუსეთ-თურქეთის 6 წლიანი ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, ქუთაისი ბაღდათი და შორაპანი კვლავ ოსმალეთის საკუთრებად ცხადდებოდა, თუმცა ოსმალეთს მათზე ხელი აღარ მიუწვდებოდა. ბრძოლა, რომელიც წამოიწყო ახალგაზრდა მეფე სოლომონმა ტახტზე ასვლისთანავე გამარჯვებით დასრულდა. ეს იყო სოლომონ პირველის თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგი, რომელიც მთელი ოცი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. სოლომონ პირველმა უამრავი წინააღმდეგობებისა და მტრის არაერთი შემოსევის პირობებში მაინც მიაღწია საუკეთესო შედეგებს. მან უძლიერეს მტერთან შეძლო არაერთი გამარჯვება და მის მიერ დასახული გეგმების: ტყვეთა სყიდვის გაუქმების, ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და იმერეთის ციხეების მტრისაგან განთავისუფლების მიღწევა. ბრძოლის დაწყების მომენტში მრავალს ეს ალბათ წარმოუდგენლად მიაჩნდათ, მაგრამ სოლომონმა მიზანსწრაფული და თანმიმდევრული ქმედებებით შეუძლებელი შეძლო, ყველა ამ წარმატებას იგი ღვთის შეწევნას მიაწერდა. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დაახლოებით განვსაზღვროთ ოსმალთა შემოსევის რაოდენობა იმერეთში, ოსმალთა და ლეკთა დანაკარგების მიახლოებითი ოდენობა და ა.შ. მომავალში ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს სოლომონ მეფის მიერ წარმოებული: თავდაცვითი ომების სწორად დაგეგმვა, შეტევა და ჩასაფრება, მოჩვენებითი მანევრი, ალყაში მოქცევა, თუ ინდივიდუალური სამხედრო ოსტატობის გამოვლენა და მრავალი სხვა. ბრძოლის წარმოების ჩამოთვლილ არაერთ ხერხს ფლობდა სოლომონ მეფე, რითაც გატეხა მრისხანე მტრის სიმტკიცე და მისთვის სასურველ შედეგს მიაღწია, ქვეყანა

სრული განადგურებისაგან იხსნა და მისი შემდგომი აღმშენებლობა-განვითარება უზრუნველყო.

სოლომონ მეფემ ქუთაისის ციხე საფუძვლამდე დაანგრევინა, რათა შემდგომში ოსმალებს იქ დამკვიდრების შესაძლებლობა აღარ ჰქონოდათ. გიულდენშტენდტი 1772 წელს აღწერს ქუთაისის ციხეს და მის შიგნით არსებულ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ სოლომონ მეფემ ყველა კედელი, განსაკუთრებით კი ციხე დააქცევინა. მნიშვნელოვანია ასევე მისი ცნობები შიგა ციხის შესახებ; კედლის შიგნით არის ქვიტკირის საცხოვრებელი სახლთა ნანგრევები (ოსმალთა საცხოვრებელი სახლები), ხოლო მის ჩრდილო აღმოსავლეთით კუთხეში იყო ციხე-კოშკი (ციტადელი), მაღალი და სქელი სწორკუთხა კედლით გარშემორტყმული, 100 ნაბიჯის განივკვეთისა. ციხის შუაში ძველად იდგა ქართული ქრისტიანული ეკლესია; მის მაგივრად თურქებმა ააშენეს მეჩეთი, რომლის კედლები დღესაც დგანან და სწორკუთხედს ქმნიან. კარიბჭის თავზე, ჩრდილოეთის კედელში, თათრული წარწერაა ქვაში ამოკვეთილი (გიულდენშტენდტი. 1962:139). არქეოლოგი რ. ისაკაძე ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ციტადელის ეკლესია გადააკეთეს ტყვია-წამლის საწყობად, ხოლო მეჩეთი ააგეს თავიდან. მეჩეთი ჩვენს მიერ იქნა გათხრილი და ის მართლაც სწორკუთხაა, სამხრეთის მხრიდანაა მიდგმული ეკლესიაზე და აშკარად გვიანდელია (ისაკაძე. 20000: 114). გიულდენშტედტის მიერ მოხსენებული თურქული წარწერა 1950 წელს იქნა აღმოჩენილი და გამოქვეყნებული იქნა ს. ჯიქიას მიერ 1976 წელს (იგი ამჟამად ინახება ქუთაის-გელათის მუზეუმ-ნაკრძალის დირექციის შენობაში). წარწერა დათარიღებულია 1739-1740 წლებით და მასში მოხსენიებულია ვინმე ჰასან კიკიანი, რომელსაც ქუთაისის ციხეში ოსმალოთათვის წყალი გაუყვანია. 1770 წელს მეჩეთი ჯერ კიდევ იდგა, ხოლო 1773 წელს იგი დაურღვევიათ სოლომონ პირველის ბრძანებით (იქვე:114). 1770 წლის შემდეგ მთლიანად დარღვეულა საევე სამხრეთ-დასავლეთის კოშკი და 100 ნაბიჯით ციხიდან დაშორებული თურქული აბანო.

სოლომონ პირველის მიერ ეკლესია–მონასტრების აღდგენა

სოლომონ მეფის ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ შესაძლებელი გახადა ურთულეს მდგომარეობაში მყოფი დასავლეთ საქართველოს ეკლესია ოსმალთა ზეგავლენისაგან განთავისუფ-ლებულიყო. დასუსტებულ ეკლესიას ასევე უნდა დაბრუნებოდა ის მამულები, რომელიც ადრე მის საკუთრებაში იყო, მაგრამ ოსმალთა მძლავრობის გამო მტრის გარდა არაერთმა პიროვნებამ მიიტაცა ეკლესიის მიწა-წყალი. ერში დაცემული სარწმუნოება უნდა აღდგე-ნილიყო, ოსმალთა მიერ დანგრეული ეკლესია-მონასტრები კი აღდგენა-შეკეთებას საჭიროებდა. ამ საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია სოლომონ მეფის ღვაწლი, აღნიშნავს კიდეც იგი ერთ-ერთ სიგელში: „შემდგომად ამისა ვიწყე მისწრაფებით მოძიებად გლეხთა და აგარაკთა... ეკლესიათა და ტრფიალ ვიყავ, რათა სამეფოსა ჩემისა ეკლესიანი ყოველნი თავისუფალ მექმნეს“ (ბურჯანაძე. 1948:32). სოლომონ მეფემ თავისი განსაკუთრებული სურვილი პირნათლად შეასრულა, მან გაათავისუფლა ქვეყანა ოსმალთა გარნიზონებისაგან, რაც იყო ეკლესიის დაქვეითების მიზეზი. ერთ სიგელში სოლომონი პირდაპირ აღნიშნავს, რომ „მას ჟამსა გულსმოდგინებითა და წმინდათა ეკლესიათა და მონასტერთა სოფელნი და მამულნი საერისკაცოდ გამხდარიყო და წმიდანი ეკლესიანი იყვნენ ყოვლითურთ შიშულად დატევებულნი და ზრუნვა და გამოძიება ვყავთ. და ეკლესიათა და მონასტერთა მამული ვისაც მიემძლავრებინათ ისევ გამოვართვით და ეკლესიას და მონასტერთა შევსწირეთ“ (ქიმ.ისტ. საბ. №131). ვარძიის ღვთის-მშობლის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს აღმოსავლეთის კედლის წარწერაში მოხსენიებულია სოლომონ მეფე. დაქცეული სამრეკლო ხელახლა აუშენებია იმერთა მეფის ძის ბატონისშვილ ალექსანდრეს კარის მოძღვარს არქიმანდრიტ ნიკოლოზ ყიფიანს: „მერმე ძალითა ღვთისათა და შეწევნითა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობელისა მარიამისა თვით ვიწყე მე არხიმანდრიტმან ნიკოლოზ ხელითა ჩემითა შენებად ამისა, სადღეგრძელოდ და მუდამ გასამარჯვებლად ბედნიერის ხელმწიფის მეფის სოლომონისა და ძისა მისისა ალექსანდრესათვის“ (ბოჭორიძე. 1995:163). სოლომონ მეფის

თანამედროვე დიდი პოეტი ბესიკი მაღალფარდოვანი სიტყვებით გადმოგვცემს იმ სიხარულს, რომელიც სოლომონ მეფის უდიდესმა ღვაწლმა განაპირობა: „დღეს დაცემა იქმნა ქედმაღალთა მათ უცხო თესლთა აგაროვანთა... ქრისტეს მიერ საბრხე შეიმუსრა და ჩვენ განვერენით!... ქრისტე აღდგა და აღმადგინნა მონებრივისგან მტერისა!“ (ბესიკი. 1921:28). სოლომონ მეფე დამპყრობი ოსმალების ქვეყნიდან გაძევებას უკავშირებდა, ტყვეთა ყიდვის აკრძალვას, რასაც შემდეგ ეკლესიის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. სოლომონ პირველის მიერ განხორციელებული საეკლესიო აღმშენებლობის შედეგად მრავალი ეკლესია-მონასტერი გადაურჩა სრულ ცალკე აღნიშვნის ღირსია სოლომონის მზრუნველობა გელათის მონასტრისადმი. საეკლესიო „განმაახლებლობას“ სოლომონ მეფე თავისი მოღვაწეობის დასასრულამდე ეწეოდა*.

გელათის აღდგენა სოლომონ მეფემ გელათის სამონასტრო კომპლექსზე ზრუნვა ჯერ კიდევ თავისი მეფობის დასაწყისში დაიწყო, ტაძარი წმინდა მეფე დავით აღმაშენებელმა ააგო და უზრუნველყო ყოველგვარი შეწირულობით, მის შემდგომ კი მრავალმა ქართველმა მეფემ შესწირა გელათს სხვადასხვა ადგილ–მამული, ტყე–წყალი, და ა. შ. ქართველ მეფეთა ზრუნვის შედეგად გელათში მრავალი წმინდა ხატი თუ პატიოსანი ჯვარი იყო დამკვიდრებული, აგარიანთა საფრთხის გამო გელათის მონასტერში იყო ასევე დაბრძანებული ხახულისა და აწყურის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატები. მას შემდეგ რაც ქუთაისის ციხე ოსმალებმა დაიკავეს გელათის მონასტრის ადგილ–მამულები და ყმები მიტაცებული იქნა ოსმალების მიერ, ამასთანავე „თვით სამეუფეო ტაძარი სამკაულთაგან დაკლებულ ქმნილიყო აგარიანთა მოღებითა“. ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს 1510 წლის ოსმალთა მიერ

*ილემის შემოქმედის წმინდა გიორგის ეკლესიასა და ზესტაფონის მიდამოებში არსებულ უცნობ ტაძარში (საცეცხლური ინახებოდა ზესტაფონის აღმასკომის სალაროში, ანტირელიგიური კამპანიის დროს) ინახებოდა სოლომონ მეფის მიერ შეწირული ვერცხლის საცეცხლურები, რომელთაც გუმბათიანი ეკლესიის ფორმა ჰქონიათ, საცეცხლურები მოინახულა გიორგი ბოჭორიძემ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში.

გელათზე თავდასხმაზე, რომლის დროსაც გელათის მონასტრიდან მრავალი სამკაული გაუტაციათ. სიგელი რომელიც 1755 წელს არის შედგენილი და მასში სოლომონ მეფე იხსენიებს თავის მეუღლეს მარიამს, ბიძას მამუკა ბატონიშვილს და ბიცოლას დარეჯან დადიანს, თავის ბიძას უფლისწულ გიორგის, უმცროს ძმას გაენათელ მიტროპოლიტ იოსებს და გელათის კრებულს, რომელთაც მეფისათვის უთხოვიათ გელათის განთავისუფლება და „და მრავალთა განსაცდელთაგან ოხერ ქმნილისა ამას ჩვენცა ხელ ვყავით განთავისუფლებად დიდისა იწროებათაგან მოცულისა ტაძრისა... დავამტკიცეთ რომ არც ჩემგან და არც შემდგომთა ჩემთა მეპატრონეთაგან ამ გელათის შემავალს არც აზნაურის შვილის ყმასა და არც გლეხს... არასოდეს საურის გადასახადი არ ეთხოვებოდეს“ (კაკაბაძე. II. 1921: 5).

ახალგაზრდა მეფე ცდილობდა, თავისი წინაპრების საძვალე აეღორძინებინა და ძველი დიდება დაებრუნებინა, თუმცა გელათის მონასტერს მალე ახალი საფრთხე დაემუქრა, როდესაც მას, ლეკები დაესხნენ თავს. ეს იყო მტრის მოულოდნელი თავდასხმა და, როგორც ჩანს, სოლომონ მეფე ლეკებს მომზადებული ვერ დაჰხვდა. ლეკებს თავდასხმა 1759 წლის 10 აგვისტოს მოუწყვიათ: „ამავე ქრონიკონსა იმერეთს ლეკის ლაშქარი მოვიდა, მრავალი სული ქრისტიანი იშოვეს, გელათი და სუჯუნის საყდარი დაწვეს. თვესა ი აგვისტოსა“ (ჟორდანია.1967:260). შემოქმედის გულანი ამ თავდასხმას 1758 წლით ათარიღებს. ლეკთა მარბიელი ლაშქარი საჩხერიდან გადმოსულა და გელათის მონასტერი საკმაოდ დაუზიანებიათ, რასაც მოწმობს გელათის გუჯარიც „გელათი რომ ლეკმა დასწვა თქვენც (მეფეს) მოგეხსენებათ, ეკლესია გაოხრებული იყო, ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანე ვინც იყო და გელათი ენახათ იმ ჟამად სტიროდნენ და კიდეც ეწეოდნენ“ (იქვე: 261). ამ ცნობით ნათელია, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსი თავდასხმის შემდეგ ცუდ მდგომარეობაში ყოფილა და ქრისტიანი მორწმუნეები ამის გამო დიდად შეწუხებულან, როგორც ჩანს აღნიშნული სიტყვების ავტორი სოლომონ მეფეს დახმარებას სთხოვდა რათა გელათის მონასტერი აღედგინათ. სოლომონ მეფემ უშუალოდ იზრუნა გელათის მონასტრის აღდგენა–განახლებაზე. მან საკუთარი სახსრებით

გადახურა გელათის მონასტერი: „საკუთრითა მონაგარითა, თვისითა დახურა ახლად სრულიად ეკლესია რკინის ყავრულითა“(ქიმ. 703). სოლომონ პირველის მეფობის დროს, დავით აღმაშენებლის მიერ დარუბანდიდან ჩამოტანილი რკინის კარების ერთი ფრთა დაჭრეს ლურსმნებად ღვთისმშობლის ტაძრის გადასახურავად. ხოლო წარწერებიანი ნაწილი შეინახეს და იგი დღესაც დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში (ტყეშელაშვილი. 2006:187). დროთა ვითარებისას გელათის მთავარი ტაძრის სახურავი დაზიანებულა, სოლომონ მეფის მიერ ტაძრის გადახურვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1764 წლის 17 მარტს სოლომონ მეფე და მარიამ დედოფალი გელათის მონასტერში დაბრძანებულ ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს სწირავენ „შემოგწირეთ, ურია ჩახვაშვილი, დავით: და მისი ძმა: ისხაკა“, რომელთაც მარიამობის თვეში ხატისთვის უნდა მიერთმიათ ათი ჩარექი სანთელი და ერთი ჩარექი საკმეველი. ეს ოჯახი ძველი დროიდანვე გელათს ეკუთვნოდა, თუმცა ჟამთა ვითარების გამო ეს წესი დარღვეული იყო და მეფემ ძველი წესი სიგელით განაახლა.სოლომონ მეფე მისი მეუღლე მარიამ დადიანი და მათი ძე ალექსანდრე შვიდ კომლ მოსახლეს სწირავენ გელათში „ჩვენს ეკვდერს და სასაფლაოს მაცხოვარს და მის წინამძღვარს ჭიჭინაძეს იოაკიმს“(კაკაბაძე. 1921.II: 53). ეს შვიდი კომლიც ჟამთა ვითარების გამო წართმეული იქნა გელათზე და კვლავ მონასტერს დაუბრუნდა. ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ გელათის მთავარ ტაძარში არსებულ მაცხოვრის ეკვდერს სოლომონ მეფის ოჯახი ჩვენს ეკვდერს უწოდებს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ რომ ამ დროისათვის მაცხოვრის ეკვდერი უკვე შევსებულია ქართველ მეფე–დედოფალთა საფლავებით და ეს ეკვდერი მათი ვერ იქნებოდა. ჩვენთვის ცნობილია, რომ სოლომონის ოჯახის არცერთი წევრი ამ ეკვდერში არ დაუკრძალავთ.

გელათისათვის ზრუნავდა ასევე სოლომონ მეფის მეუღლე მარიამ დადიანი, რომელსაც აგარიანთა მძლავრების გამო მოუძიებია და ოსმალთაგან დაუხსნია ქვიტირში მცხოვრები ორი მოსახლე: „რადესაც წყალობა აურაცხელმან ღმერთმან და ძემან შენმან მოხედა წილხდომილსა ქვეყანასა შენსა იმერეთს და აღჭურა მათ ზედა

რისხვად მეფე ბატონი სოლომონ და ძალითა ძლიერებისა შენისათა განიდევნა მაჰმადიანთა ერი ქვეყნისაგან შენისა და სიმაგრენიცა ციხეთა მათთანი დაირღვეს ვითა ზღუდენი იერიქოსნი, მაშინ ვიღვაწე მეცა სახელისათვის შენისა და მიუღე იგი თათართა და შენთვე შემოგწირე“ (იქვე: 61). სოლომონ მეფე თავის ახალ თანამეცხედრე გულქან დედოფალთან ერთად ზრუნავდა ასევე გელათში მდებარე სოხასტრის ეკლესიაზე, რომელსაც 1783 წელს სწირავენ ყმა–გლეხებსა და მამულებს: „ჟამსა მოცალებისასა ვიწყეთ წმინდათა ეკლესიათა, გლეხთა და მამულთა ძიება და ვისაც მძლავრებით მიეტაცა, ყოველივე ჭეშმარიტითა მსჯავრითა მოვიპოვეთ, წმინდას ეკლესიას მიუმძღვანე“. სოხასტრის მონასტერში გაენათელ მიტროპოლიტ ექვთიმეს თანხმობით წინამძღვრად განუწესებიათ მღვდელ–მონაზონი ამბერკი ავალიანი. სოლომონ მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა გელათის მაცხოვრის სახელობის ეკვდერს, რომლისთვისაც მის პაპას გიორგი მეფეს დაუდგენია წინამძღვრად მღვდელ–მონაზონი დომენტი ჭიჭინაძე და მისი შვილი იოსები. მას ასევე მამულები შეუწირავს აღნიშნული ეკვდრისათვის. მათ ყოველ შაბათს უნდა ეწირათ ყველა გარ-დაცვლილი მეფის სულის საოხად, ხოლო „ყოველ კვირას. ვინც ცოცხალი იქმნება მისი“. სოლომონ მეფესთან 1781 წელს მაცხოვრის ეკვდერის წინამძღვარი ჭიჭინაძე იოაკიმე მისულა და მისთვის „სიგელი პაპისა...მოიღო და ეკვდრისა მის ამბავი სრულებით მოგვითხრო, გლეხნი და მამულნი რომელიც ვისმეს, მძლავრებით შეეკრიბნეს“ (იქვე:72). მეფეს ყოველივე გამოუძიებია და მაცხოვრის ეკვდრისათვის ხელახლა შეუწირავს კუთვნილი მამულები სამუდა-მო მფლობელობაში. სოლომონი ცდოლობდა თავისი პაპის მიერ დადგენილი წესები აღდგენილიყო და ამასთანავე მისი მიზანი იყო გარდაცვლილ მეფეთა მოხსენიება გელათში არ შეწყვეტილიყო. სოლომონ პირველისა და მისი ძმის კათალიკოს იოსების სურვილით გელათში მოუყვანიათ ექვთიმე შარვაშიძე. 1819 წლის 2 ნოემბერს იგი იგონებდა „დიდმა მეფემ სოლომონ პირველმა და მისმა ძმამ კათალიკოზმა იოსებმა მომიყვანეს გურიიდან, 61 წელიწადი არის იმერეთს ვარ, ორმოცდაერთი წელიწადი გაენათელი ვარ, ოცს წელიწადს მეფეს და მის ძმას კათალიკოზს ვახლდი და მათი ბრძა-

ნება და დაწესება სრულებით ვიცი“. ექვთიმე ჯერ კიდევ ბავშვი 12 წლისა მიუყვანიათ იმერეთში (ტყეშელაშვილი. 2005:39). გაენათელმა მიტროპოლიტმა ექვთიმემ სოლომონ მეფის გარდაცვალების შემდეგ კიდევ მრავალი წელი იმსახურა ღირსეულად გელათის მონასტერში, ვიდრე 1820 წელს მას იძულებით არ დაატოვებინეს სამშობლო და 1822 წელს სამშობლოდან შორს რუსეთში გარდაიცვალა, 2005 წელს ტანჯული მღვდელმთავარი საქართველოში იქნა გადმოსვენებული და დიდი მეფე სოლომონ პირველის პირდაპირ იქნა დაკრძალული გელათის მთავარ ტაძარში. იმავე წლის 27 ივნისს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა გაენათელი მღვდელმთავარი წმინდანთა დასში შერაცხა.

სოლომონ პირველის მიერ გელათის მონასტრისადმი სხვადასხვა წლებში შეწირული ქონება

გარდამოხსნა აბრეშუმზედ ნაკერი აბრეშუმის ძაფით“, „ხომლი ვერცხისა, საშუალო ტანისა ჩამოკიდებული 9 სანთლით წონით 10 გირვანქა“, და „შანდალი სპილენძისა ორი დიდრონი“, „ვერცხლის სურა წონით 116 მისხალი“, „ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი ვერცხლისა 2 გირვანქა და 52 მისხალი, ორი პატარა სურა და ერთი ტაკუკი ვერცხლისა 1 გირვანქა და 20 მისხალი, ლანგარი და შანდალი ვერცხლისა 2 გირ და 79 მისხალი, ხატი ღვთისმშობლისა სივრცით 8X7 ვერშოკი ფიცარზედ რომელსა ხელთ უპყრია იესო ქრისტე ვერცხლის გვირგვინებით, გარშემო ხატისა არიან მოხატული 12 მოციქული, ხატი წინამორბედისა სივრცით 7X6 ვერშოკი, მოსია ვერცხლის პერანგი და გვირგვინი ხატი წმინდისა მარინესი სივრცით 7X8 ვერშოკი ვერცხლის პერანგით და გვირგვინით დახატულია ფიცარზე, სახარება ხელთნაწერი 1/8 ფურცლისა ვერცხლის ოქროში დაფერილ ბუდეში, რომელზედაც არის გამოხატულნი: ბუდის ერთს პირზედ ჯვარცმა ქრისტესი და აქეთ-იქეთ მისსა ხატია ოთხი მახარებელნი და ბუდე იწონის 91 მისხალ ვერცხლს. ამავე ბუდეში ერთად სახარებისა დევს ვერცხლის ძეწკვი“ (კეზევაძე. 2006:159).

ბაგრატის ტაძრის განთავისუფლება

მიუხედავად სოლომონ მეფის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და ხრესილის ბრძოლაში გამარჯვებისა, მაინც ვერ მოხერხდა ქუთაისის ციხისა და ბაგრატის ტაძრის განთავისუფლება აგრესორი ოსმალებისაგან. სოლომონ მეფე დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა ქუთაისის ციხის ასაღებად, რათა ციხის შიგნით მდებარე ბაგრატის ტაძარში, მსახურება აღედგინა, თუმცა ტაძარს თავისი პირველქმნილი მშვენიერება კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა, რადგან 1691 წელს ბაგრატის ტაძარი ოსმალებმა ააფეთქეს, რომლის დროსაც ჩამოიქცა გუმბათი და განადგურდა კედლის მხატვრობა. ბუნებრივია იმერთა სახელოვან მეფეს ბაგრატის ტაძრის ამგვარ მდგომარეობაში ხილვა არ მოასვენებდა, მით უფრო როცა ციხე ოსმალებს ეკავა და მეფეს იქ შესვლის უფლება არ ჰქონდა.

სოლომონ მეფის მიერ ბაგრატის ტაძრის განთავისუფლების სურვილის შესახებ ცნობას გვაწვდის 1773 წლის 9 იანვრის სიგელი, რომელშიც მეფე განსაკუთრებულ კრძალვას გამოხატავს ამ უძველესი ტაძრის მიმართ, როცა იგი ბრძანებს: „სულით, გულითა და გონებით თაყვანისმცემელსა შენსა, აფხაზ–იმერთა ყოვლობისა მფლობელსა“. ღვთისმოშიში მეფე ცოდვათა სიმრავლის გამო ღვთის დაშვებად მიიჩნევს ოსმალთა შემოსევას და თავის დიდი ხნის ოცნებას ამჟღავნებს: „მრავალ ჟამითგან მენება გამოხსნა შენისა ცის სფეროის უმაღლესის ეკლესიისა, ვინაითგან ცოდვათა ჩვენთა ძლით, მიშვებითა ღვთისათა, თათარ ოსმანთა მტკიცედ ეპყრად ქუთათისისა ციხე–ქალაქნი“. სოლომონის სიტყვებით ვგებულობთ, რომ ამ დროისათვის ბაგრატის ტაძარი უკვე დარღვეული იყო, თუმცა ოსმალებს მისი მთლიანად დანგრევა ჰქონიათ გადაწყვეტილი. „და ახალ სამოთხედ წოდებულნი შვენიერ–ჰაეროანი ეკლესია შენი უმოწყალოდ დაერღვიათ და ლამოდენ ძირითურთ აღმოთხრასა და ქრისტიანეთა ერთა შენთა მიმოდატაცებასა და განბნევასა“. მტრის სურვილი იყო, ქუთაისის ციხეში საბოლოოდ დაენგრიათ უძველესი ქრისტიანული ტაძარი, რათა უკეთ შეძლებოდათ, აღმოეფხვრათ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება, რასაც ძლიერ განიცდიდა მრავლჭირგამოვლილი მეფე და სწორედ ესიყო

მისი უპირველესი სურვილი, რომ ქუთაისის ციხე მტრისაგან გაეთავისუფლებინა. თუმცა ამ გამარჯვებას სოლომონ მეფე დედა–ღვთისას შეწევნით ხსნის. „მას ჟამსა შეწევნითა შენითა, დედაო ღვთისაო, შთამეჭრა გულსა ცეცხლი შურისგებისა უცხო თესლთა მათ ზედა და ვიძიე საღმთო შური ელია დიდისა და დღე და ღამე მხურვალედ ვმეცადინობდი ღონითა აღფხვრასა ბილწთა ოსმანთასა“ (ბურჟჯანაძე. 1959:130).

ქუთათელ მიტროპოლიტ მაქსიმეს რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ სოლომონ მეფეს იმერეთის ჯარი შეუკრებია და რუსების დახმარებით „ესრეთ ერთობით აღვლესნეთ გულნი დათხევად სისხლისა ტაძრისა შენისა გამოხსნისათვის... შეწევნითა შენითა დედაო მღთისა, მყის შევმუსრენით ქალაქ–ციხე–სიმაგრენი მათნი, დავათრეთ რხმალი ჩვენი სისხლთა შინა თათართასა“. „მღვდელნი მათნი დავკლენით, მახვილოსანი მოვსწყვიდენით, ბომონ–ბაგინნი მიძგიდითურთ დავარღვიენით, ხოლო იავარ–დედა–წულნი მათნი რომელნიმე რუსეთის იმპერატორს მიუძღვანენით, უმრავლესნი კი კავკასის მთებში, ოვსთა, სვანთა ქისტთა შორის დავაბინენით“. სოლომონ მეფე სიგელში ალბათ გულისხმობს, მის მიერ ცუცხვათის, შორაპნისა და ქუთაისის განთავისუფლებას, რომლის შემდეგაც მას ოსმალო ტყვეთა ნაწილი რუსეთში, ნაწილი ჩრდილო კავკასიაში გადაუსახლებია, ხოლო ვისაც მოუსურვებია, ტყვეთა ერთ ნაწილს ქრისტიანობა მიუღია. ქუთაისის ციხის განთავისუფლების შემდეგ, სოლომონ მეფეს ოსმალთა მიერ ბაგრატის ტაძრის მიტაცებული მამულები მოუძიებია, განუახლებია სიგელები და ტაძრისთვის მამულები დაუბრუნებია: ქუთაისში, ახალსოფელში, ზემო და ქვემო ქვიტირში, მაღლაკს ტაძრის აგარაკი, ფარცხანაყანევს მიცვალების ტაძრის მამული, ჩუნეშს, ოფშკვითს, პატრიკეთს, ვაკისუბანს, გეგუთს, მესხეთს, წყალთაშუას, ჭოლევს, როკითს, ფერსათს, შუბანს, კორთხას, ალსიმერეთს, ხონს, ალისუბანს, მუჯირეთს, გურიას, ბახვს, ზეგანს, რაჭას, ფუტიეთს და ა.შ.(იქვე: 131–132). სიგელში მოხსენიებულია სოლომონის მეუღლე მარიამი და შვილები ალექსანდრე, დარეჯან და მარიამ ბატონიშვილები, სიგელი დაწერილია ხუცეს–მოძღვარ ზაქარია გაბაშვილის მიერ.

სოლომონ მეფემ ოსმალთა განდევნის შემდეგ ბაგრატის ტაძრის

სამხრეთი კარიბჭე ამოაშენა და იქ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტრაპეზი დაადგმევინა, რომელშიც ღვთისმსახურება მიმდინარეობდა 1775 წლიდან. აღნიშნული ეკლესია მაქსიმე ქუთათელს უნდა ეკურთხებინა და მეოცე საუკუნის დასაწყისამდე მასში რამდენიმე მღვდელმთავარი სწირავდა (მათ შორის წმ. მღვდელმთავარი დოსითეოს წერეთელი და წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი) ვიდრე ეკვდერში ტაძარი არ გაუქმდა.

სია საბუთთა, რომლებიც შეწირული არიან იმერეთის სობოროსა (ბაგრატის ტაძრის) და მონასტრებისადმი სხვადა სხვა გვარნი ქონებანი.

1. ჩღნი დეკემბერი დ. უდროობით გაყუნილის ქუთაისის სობოროს განახლებისა და დადგინებისა იმზე, მიტროპოლიტისა დადებითა ბრძანებისათა განბნეულნი ყმანი და მამულნი იმა ეკლესიისანი სადაც იყოს და ვისაც ყავდეს ყოველნივე ყოველთაგან დანებდეს მას ეკლესიასა.

აზის ცხრა ბეჭედი: მეფე სოლომონისა, მეუღლისა მისისა მარიამ დედოფლისა, ბესარიონ კათალიკოსისა, გიორგი ბატონისშვილისა, ჭყონდიდელი მიტროპოლიტისა გაბრიელისა, გაენათის მიტროპოლიტისა იოსების, გურიის ეპისკოპოსის ნიკოლოზის, შემოქმედელისა, ხონელი მთავარეპისკოპოსისა იოსებისა, თავად როსტომ ერისთავისა, თეიმურაზ ბატონიშვილისა, ცაგერელი მიტროპოლიტისა გრიგოლის.

2. ჩღტვ იანვრის კგ. ქუთაისის სობოროს ყმათადმი ვაკის მაზრის სოფელს მაღლაკს მცხოვრებთა სახაზინოთ გამოსაღები საურის ფულის მოკვეთილობის და მის ნაცვლად ყოველნივე კომლს თავზე თითო აბაზის წმინდა სანთლის სასარგებლოდ ამა ეკლესიასა განუწესებს. სოლომონ მეფემ ოსმალურო გადასახადი გაუუქმა მაღლაკის მაცხოვრებლებს და მიზერული თითო აბაზის წმინდა სანთლის შეწირვა დააკისრა ბაგრატის ტაძრისათვის.

3. სოლომონ მეფე ჩღ?? იანვარი თ. სობოროსადმი შეუწირავს სოფელი ახალსოფელი, ყოველს მისის შესავალ-გამოსავალით, რომელიც ძველადაც ამა ეკლესიისადმი შეწირულ ყოფილიყო და უდროობისა გამო უცხო თესლთ მაჰმადიანთა დაეპყრათ, გარნა

იმა მეფემან გამოიხსნა რა იგი ხსენებული სიგელითა ხელთაგან უსჯულოთასა და დაემკვიდრა ამა ეკლესიასა და განუსაზღვრა ესრეთ.

4. სოლომონ მეფემ ჩღოგ იანვრის თ. მან განაახლა სობორო ესე და განუკუთვნა ყმანი და მამულნი რომელნიცა ძველს დავთარსა შინა წერებულან. ქუთაისს მიწა და მამულნი და მოსახლე გლეხნი. ახალსოფელს, ზემო ქვიტირს, ქვემო ქვიტირს, მაღლაკს ტაძრის აგარაკი და მასზე მოსახლე გლეხნი, ფარცხანაყანევს, ჩუნეშს, ოფშკვითს ტაძრის აგარაკი, პატრიკეთს, ვაკისუბანს, გეგუთს, მესხეთს ეკლესიის აგარაკი, წყალთაშუას, ჭოლევს, შუბანს, ღვინარას, ალსიმერეთს, ხონს, ჯვარისას, ალისუბანს, მუჯირეთს, ბერთის, ჭყვიშს, გურიის ღვთისმშობლის მამული, სოფელი ბახვი, ზეგანს სამეფო სოფელსა შინა. (ს.ც.ს. ა. ფონდი 1451№16).

ბიჭვინთის ტაძარი

სოლომონ მეფე ზრუნავდა ასევე ბიჭვინთის საკათალიკოსო ტაძრის მამულების მოძიებასა და ეკლესიისათვის დაბრუნებაზე. ამას ადასტურებს 1776 წლის 26 აგვისტოს სიგელი, რომლის მიხედვითაც სოლომონ მეფე ბიჭვინთის საკათალიკოსოს მამულებს უბრუნებს: „... ესე წიგნი მოგართვით ჩვენ მეფემან ... სოლომონ ... თქვენ აფხაზ-იმერთა კათალიკოს მაქსიმეს. ესრეთ... რომ ბიჭვინტის ეკლესიის მამულები სამოურაოდ ჩვენს კაცებს ჰქონდა... ძველთა გუჯრებთა შინა ბიჭვინტის ეკლესიისათა ესრეთ განცხადებულად ვპოვეთ, რომ ეკლესიის მამულშიდ სხვის მოხელე და მოურავი არ შევიდეს და არცა ვინ ფლობდეს თვინიერ კათალიკოზის ბრძანებისა“(კაკაბაძე.1921:51).

ხონის ტაძარი

ხაზგასმით შეიძლება აღვნიშნოთ სოლომონ მეფის მზრუნველობა ხონის წმინდა გიორგის ტაძრისადმი. თავდაპირველად მან აღადგინა ხონის საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო შემდეგ დაიწყო მოქმედება მის გასაძლიერებლად. მეფე 1762 წელს ახლად აღდგენილ საეპის-

კოპოსო ტაძარს უბრუნებს ორ გლეხს, რომლებიც სხვას ჰყავდა მიტაცებული. ხონის ტაძარის ყმა–გლეხებს ათავისუფლებს და კვლავ ტაძარს უბრუნებს სოლომონი 1764–1769–1773 წლებში. ამასვე ადასტურებს 1778 წლის ერთი სიგელი, სადაც სოლომონი ათავისუფლებს ხონის ეკლესიას „მოურავისა და მებაჟისაგან“ და ყველა თავადს უკრძალავს მოურავისა და მებაჟის დაყენებას ეკლესიის მამულში „თვინიერ მთავარეპისკოპოსისა იყავნ რისხვა მასზედა და შეჩვენება“ (კაკაბაძე. 1921.II:66). სიგელს ამტკიცებს მეფე იმერეთისა სოლომონი, მარიამ დედოფალი, მეფის ძე ალექსანდრე და კათალიკოსი მაქსიმე. სოლომონ მეფის ბოლო სიგელი ხონის ტაძრისადმი 1782 წლით თარიღდება, სიგელში ნათლად ჩანს სოლომონის განზრახვა საერთოდ ეკლესიისადმი: „ვსძლიეთ უშჯულოთა მაჰმადიანთა უსამართლოდ აღდგომილთა ქრისტეს მოსახელეთა ერთა ზედა ... ტრფიალ ვიყავ, რათა სამეფოსა ჩემისა ეკლესიანი ყოველნი თავისუფალ მექმნეს და ძალმწეობითა წმიდათა ეკლესიათა მივემთხვე საწადელსა ჩემსა მოკლეთა ჟამთა“(იქვე:74). ღვთისმოშიში მონარქი ისწრაფოდა, რაც შეიძლებოდა მალე გაეთავისუფლებინა თავისი ქვეყნის ეკლესიანი და იგი კმაყოფილია, რომ ეს საქმე მოკლე დროში აღასრულა, აღნიშნულ სიგელში კარგად ჩანს სოლომონის განსაკუთრებული დამოკიდებულება ხონის წმინდა გიორგის ტაძრისადმი, რომლის ძველი გუჯრები განუხილია და მათ საფუძველზე ახალი შეუდგენია, „ამოვიყვანეთ და ისევ თქვენს წმინდას მონასტერს და მას ზედა დადგინებულს მღვდელმთავარს მიუძღვანეთ“. ალბათ ბედისწერა იყო მეფე იმ ტაძრისათვის ზრუნავდა განსაკუთრებულად, სადაც უნდა გამგზავრებულიყო თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეს წირვაზე, თუმცა იგი ხონში წასვლამდე გარდაიცვალა უეცარი შეტევით ქუთაისის სასახლეში.

სოლომონ მეფესა და ხონის მთავარეპისკოპოს ანტონ ჩიჯავაძეს შორის გარკვეული უკმაყოფილება ყოფილა, რასაც საბოლოოდ ანტონის მიერ იმერეთის დატოვება მოჰყოლია. მეფე-მღვდელმთავარის ურთიერთობის შესახებ ცნობებს გვაწვდის ანონიმი მონათხრობი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. თ. ეფრემიძეს თავის ნაშრომში აქვს მოხმობილი ამონარიდები აღნიშნული თხზულებიდან, სადაც მთავარეპისკოპოსი ანტონი მეფეს

მიმართავს: „მეფეო! თქვენ არ ხელგეწიფების შეხვიდეთ მსჯელობასა შინა ჩემი ცხოვრებისა“ (ეფრემიძე. 2014:33). სოლომონ მეფეს ანტონ ჩიჯავაძისათვის პირადი ცხოვრების გამო შენიშვნა მიუცია, მაგრამ ჩვენთვის უცნობია რა გახდა შენიშვნის მიზეზი, ამასთან დაკავშირებით ანონიმი ავტორი საუბრობს „უცნაურობებს ანტონ მთავარეპისკოპოსის საღმთო და საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებათაგან“, ამაზე დაყრდნობით უნდა ვივარაუდოთ, რომ ანტონი საეკლესიო წესებს არღვევდა და სწორედ ამიტომ მიიღო შენიშვნა მეფისაგან. საბოლოოდ მთავარეპისკოპოსს, როგორც ჩანს მეფის შეგონება არ მიუღია, რის გამოც მას იმერეთი დაუტოვებია. თ. ეფრემიძე თავისი ნაშრომის 162 გვერდზე უფრო გარკვევით საუბრობს დაპირისპირების საკითხზე: სოლომონ პირველთან მიუტანიათ თითქოს არასწორი ინფორმაცია, ხონის ეკლესიაში მთავარეპისკოპოსის მიერ უმართებულოდ ჩადენილი ღთისმსახურებისა და გაუწონასწორებელი ქცევის გამოვლენის შემთხვევები, რომელიც უხვადაა აღწერილი ანონიმ ავტორს ამოფარებულ დამბეზღებლის მონათხრობში (იქვე:162). ჩვენ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, თითქოს სოლომონ მეფემ დაბეზღების საფუძველზე დაითხოვა მთავარეპისკოპოსი ანტონი, მეფეს ჰქონდა საფუძველი და ეკლესიის საკეთილდღეოდ მღვდელმთავარი დაითხოვა. ხონის წმინდა გიორგის ტაძარში ინახებოდა სოლომონ მეფისაგან შეწირული ვერცხლის სურა, რომელიც, მოინახულა გიორგი ბოჭორიძემ 1920-იან წლებში.

ჯრუჭის ტაძარი

სოლომონ მეფე ეკლესიის უფლებების დაცვის საქმეში არავის ერიდებოდა, მათ შორის იმერეთის ისეთ ძლიერ ფეოდალებს, როგორებიც იყვნენ როსტომ რაჭის ერისთავი და ქაიხოსრო წერეთელი. მეფე მათ წყენინებას არ მოერიდა, როდესაც მათ წაართვა ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ურთიერთ მოქიშპე თავადებს ტაძარი ციხე–სიმაგრედ გადაექციათ და „ეკლესიად აღადგინა“, „ვისმინეთ ნავედრები კრებულთა წმიდათანი... შუამავლობითა რაჭის ერისთავისასა ბიძისა ჩვენისა, კათალიკოზის ბესარიონისათა, რამეთუ

ჟამთა ვითარებითა და დროთა გარდაცვლითა ყმანი ჩვენნი რაჭის ერისთავი და ზემო მხარის თავადი წერეთელი აშლილიყვნენ... იმ ადგილს წმინდის გიორგის ეკლესია ოხრად დაშთომილიყო და თვით სიმაგრეთ ის ეკლესია მოერთოთ. მერე ერისთავს წაერთმია და მასაც სიმაგრეთ ქონოდა, რადგან რომ წმინდანი კრებულნი შემოგვეხვეწ-ნენ, ორთავ ნებით ისევ სამონასტროდ გავხადეთ ეკლესია წმინდა გიორგისა, რომელ არს ჯრუჭი“ (ბურჯანაძე.1948:39). სოლომონ მეფის უშუალო ჩარევით აღიკვეთა ორ გადაგვარებულ დიდებულს შორის შუღლი და მსახურება აღდგა ჯრუჭის უძველეს მონასტერში, რომე-ლიც მათ ციხე სიმაგრედ ჰქონიათ გადაქცეული. როსტომ ერისთავისა და ქაიხოსრო წერეთლის ე.წ. „ნება ყოფლობა“ იძულებითი იყო.

გამოჩინებული

სოლომონ მეფემ გამოჩინებულის ეკლესიის ყმებს საური ამო-უკვეთა, ანუ გადასახადი გაუუქმა და 1782 წლის 26 აპრილს: „ხინოწმინდა თათრისაგან გაოხრდა და მის ზედა მდგომელი ეპის-კოპოსი იოანე იმ ადგილიდამ გადმოვარდა. სამკვიდრო ადგილი აღარ ქონდა, და სარჩოდ გამოჩინებულის საწინამძღვროზე დავა-ყენეთ“ (ბურჯანაძე: 194843). მეფე არამარტო იმერეთზე არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოს ეკლესიაზე ზრუნავდა, რასაც მოწმობს ხინოწმინდელი ეპისკოპოსის იმერეთში გადმოყვანა და გამოჩინებულის ეკლესიაში დადგენა.

მაღლაკის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია

ქუთაისის საკათედრო ბაგრატის ტაძრის დანგრევისა და ქუთა-ისის ციხეში ოსმალების დამკვიდრების გამო სოლომონ მეფის ნებართვით მაქსიმე ქუთათელს ქუთაისთან ახლოს მაღლაკში აუგია ქუთაისის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია, რომელშიც ქუთაისის ღვთისმშობლის პალიასტომის სასწაულმოქმედი ხატი დაუსვენებიათ, ამავე ტაძარში აღასრულებდა ღვთისმსახურებას ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე. აღნიშულ ეკლესიას შეწირული ჰყავდა ყმები, რომლებიც მეფეს საურისგან გაუთავისუფლებია: „მეფეთ–მეფემან სოლომონ... ესე წიგნი და სიგელი მოგართვით...

ქუთათელ მიტროპოლიტ მაქსიმეს.. და ასე რომ ვინაიდგან ქუთაისი აგარიანთ ეპყრა, შენ მცირე ეკლესია აღაშენე მაღლაკს... ქუთაისის ღვთიმშობელი იქ დაასვენე. გვევედრე მისი შემავალის კაცის განთავისუფლებას. ვისმინეთ მოხსენება თქვენი; საური ამოუკვეთეთ“ (იქვე). ჩვენი ვარაუდით, პალისტომის ღვთისმშობლისა და ბაგრატის ტაძრის სიწმინდეები გარკვეული პერიოდი სწორედ აღნიშნულ ტაძარში დააბრძანეს, ალბათ თურქების საბოლოო განდევნისა და 1775 წლამდე ბაგრატის ტაძრის სამხრეთ კარიბჭეში ეკლესიის ამოქმედებამდე მაინც. ამავე ეკლესიას მეფეთ-მეფე სოლომონი, მისი თანამეცხედრე მარიამი და მათი ძე ალექსანდრე მაღლაკის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას საურავის აღმოწერილობის სიგელს აძლევენ, რომლის მიხედვითაც მათ მაცხოვრებლებს ყოველწლიურად წმინდა სანთლის მირთმევა ევალებოდათ ღვთისმშობლის ეკლესიისთვის (სცსა. ფ.1448ს.№2167).

კაცხის სვეტიცხოვლის სახელობის ეკლესია

სოლომონ მეფეს კაცხშიც აუგია ერთი პატარა ეკლესია სვეტიცხოვლის სახელზე. სიგელი უთარიღოა, მაგრამ შინაარსის მიხედვით რუხის ბრძოლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი: „შენი დეკანოზი რომ არის, ოქროპირი კუპატაძე, მღვდელი, მსხვერპლის შემწირველი, პატარა ეკლესია აღგიშენეთ იმაში დავაყენეთ ის კაცი“. სოლომონ მეფე და დედოფალი მარიამი განსაკუთრებით ზრუნავდნენ კაცხის მაცხოვრის სახელობის ტაძარზე. ისინი აღნიშნულ ეკლესიას 1759 წლის 26 ივლისს სწირავენ ხუთ კომლს, თავისი ტყით, მიწით და წისქვილით (ქიმ. ისტ. საბ.№100). სიგელში მოხსენიებული არიან არხიმანდრიტი სილიბისტრო ლაღაძე და კარის მწირველი მღვდელი გიორგი წერეთელი. ამავე ეკლესიას სოლომონ მეფის ოჯახი 1775 წლის 4 დეკემბერს სწირავს საზანოში ნებიერიძეების შვიდ კომლს, ხუცეს დავით ხვედელიძეს... „ჩვენ ცოდვათა საოხად და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად“ (ქიმ.ისტ.საბ.№118). სოლომონ მეფე და დედოფალი მარიამი 1759 წლის ერთი და 1775 წლის ორი სიგელით ყმა-მამულებს სწირავენ და გადასახადისაგან ათავისუფლებენ აღნიშნულ ეკლესიას (კაკაბაძე. 1928:63).

მღვიმევის ეკლესია

1777წლის 1 აპრილს სოლომონ მეფე, დედოფალი მარიამი და მათი ძე ალექსანდრე მღვიმევის მაცხოვრის სახელობის მონასტერს სწირავენ მამულებს: „დარკვეთს, წირქვალს, ზოდს, შუქრეთს და ორსა შინა დღესა საზოგადოსა ხსენებასა მიცვალებულთა ჩვენთა სულთათვის სწირავდნენ და მოიხსენებდნენ სულსა ჩვენსა მართლ-მსაჯულისა წინაშე წარდგინებულსა და იღწვოდნენ ჩვენთვის ყო-ველნი აწ მყოფნი და შემდგომნი ძმანი წმინდისა მღვიმის მონასტრისანი (ქიმ.ისტ.საბ.№131).

ჭალას ეკლესია

ჭალას ეკლესია XVIII საუკუნის დასაწყისში აუგია ავაგ აგიაშ-ვილს, რომელიც „მტრის გამო ეკლესია იგი საფუძვლამდე დარ-ღვეულიყო უსამართლოდ აღდგომილსა ქრისტეს მსახურთა ერთა ზედა უსჯულოთა მახმადიანთა მძლავრებითა“ (ქიმ.ისტ.საბ.№996). დარღვეული ეკლესია მეფეთ-მეფე სოლომონის სარდალ ქეშიკ-თუხუცეს ქაიხოსრო აგიაშვილს აღუდგენია 1782 წელს. სიგელში ასე-ვე მოხსენიებული არიან ქაიხოსროს მეუღლე ნიჟარაძე დარეჯანი და მისი ვაჟები იოვანე და დავითი.

ჭალატყის ტაძარი

სოლომონ მეფეს აუგია ასევე ჭალატყის ეკლესიაც, რის შესახებაც 1782 წლის 21 ოქტომბერის სიგელი მეტყველებს. „დედოფალთ–დედოფალმან გულქან მათის სიმაღლის სრულიად იმერთა მეფის სოლომონის აღშენებულს ტაძარს ჭალატყეს გლეხი შევსწირეთ გლეხი“. ჭალატყის ეკლესია მდინარის პირას დაბლობზე ყოფილა აშენებული და უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის სახელობისა ყოფილა (ქართ. ეკლ. და მისი სიძვ.1992:35). ეს ეკლესია სოლომონ მეფის ბრძანებით 1760 წლის ახლო ხანებში აუგიათ.

ზრუნვა სასულიერო პირებზე

სოლომონ მეფე და მარიამ დედოფალი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ საეკლესიო პირებს. ამას მოწმობს ის გამოუქვეყნებელი სიგელები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. სოლომონ მეფე და დედოფალი მარიამი განსაკუთრებით წყალობენ კარის მწირველ მღვდელ წერეთელ გოდერძის და მის შვილებს დავითს, ნიკოლოზს და „სხვათა შვილთა საური და საუდიერო ამოგიწერეთ“ (ქიმ. ის. საბ.№128). აღსანიშნავია, რომ სხვა სიგელში კარის მწირველ მღვდლად გიორგი წერეთელია დასახელებული, ხოლო 1755 წლის სიგელის მიხედვით კარის მწირველ მღვდლად წერეთელი სვიმეონია დასახელებული. 1772 წლის 15 იანვარს სოლომონ მეფე და მარიამ დედოფალი მღვდელ დავით იაშვილს, მის შვილებს: მღვდელ გიორგის, მათეს, გრიგოლს, ბასილს, სვიმონს, ბეჟანს და „სხვათა ვისმი-ნეთ თქვენი და აღმოგიწერეთ საური. ამისთვის მწირველნი იქნებით ჩვენის სულის საოხად წელიწადში თორმეტის საუფლოს დღესასწაულზე“ (ქიმ. ის.საბ.№815). 1758 წლის საფიცარი წიგნით გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფე სოლომონმა იმაჯანიშვილი დავითი, ძმა მისი გიორგი, თამაზი და სხვები „მამიჩემის მეფის კურთხეულის ალექსანდრეს სულის საოხად მდივნის ჩვენის დათუნას ხელით ჟამს აწირვინებდეთ“ (ქიმ. ის.საბ.№1834). 1750 წელს მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი სილიბისტრო ღოღობერიძე იხსენიება „ხელმწიფის კარის მღვდლად“, იგი 1755 წელს სოლომონ მეფის „კარის წინამძღვრად იხსენიება“ (კაკაბაძე.1921:1-6). წინამძღვარ სილიბისტრო ღოღობერიძის მიერ არის დაწერილი იმერთა მეფის სოლომონ I-ის და სხვა პირთა არაერთი სიგელი. სილიბისტრო 1786 წლის შემდეგ აღარ იხსენიება (სოსელია.1981:40).

სოლომონ მეფის სურვილით უნდა იყოს დასაფლავებული, მისი ძმა იოსებ კათალიკოსი გელათის მთავარი ტაძრის დასავლეთ მინაშენში, წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის ტრაპეზის ქვეშ, რაც ალბათ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მეფის დაკვეთით უნდა გამოესახათ ასევე ღირსეული კათალიკოსის ფრესკა მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ სვეტზე, რომელიც ერთ-ერთი ბოლო ფრესკაა გელათის მონასტერში, რომელიც XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში

შესრულდა. იოსებ კათალიკოსის შემდეგ გელათში აღარ დაუხატავთ არცერთი საერო და სასულიერო პირის ფრესკა. დასანანია, რომ გელათის ტაძარში სოლომონ მეფის ფრესკის დახატვა რომ ვერ მოხერხდა, რადგან იგი თავისი განსაკუთრებული მოღვაწეობით ამას იმსახურებდა.

სოლომონ მეფის სასახლე „ოქროს ჩარდახი“

სოლომონ მეფეს ქუთაისში გააჩნდა სასახლე მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, სასახლეს, რომელშიც მეფე ცხოვრობდა, ჩვენამდე არ მოუღწევია. 1772 წელს ქუთაისში მყოფმა ა. გიულდენშტედტმა მოინახულა სოლომონ მეფის სასახლე, იგი სასახლეს „ოქროს ჩარდახის“ სახელით მოიხსენიებდა. გიულდენშტედტი რიონის მარცხენა სანაპიროზე, წინაქალაქის ტერიტორიაზე, მოიხსენიებს ექვს ეკლესიას, რომელთაგან უკიდურესი დასავლეთით მდებარეობდა მეექვსე ეკლესია. ეს ეკლესია პირველისაგან ოთხასი ნაბიჯით ყოფილა დაშორებული და გარშემორტყმული ყოფილა 300 ნაბიჯის სიგრძის მრგვალი კედლით მდინარე რიონის ნაპირზე. კედლის შიგნით დგას კიდევ ქვითკირის 2 დიდი საცხოვრებელი შენობა, რომელთაგან ერთი დგას რიონში ამოყვანილ სამ თაღზე. გალავნის კარებზე არის პატარა სამრეკლო კოშკი. შემოღობილი მოედნის შუაში დგას ნატიფი, მაგარი, თეთრი მარმარილოს მსგავსი კირქვის მაგიდა 14 ფუტი სიგრძისა, 6 ფუტი სიგანისა და 10 დუიმი სისქისა, კიდეზე ქართული წარწერით. ამ ადგილს ეძახიან ოქროს ჩარდახს, ე.ი. ოქროს გალერეას, და მგონია, რომ ის უნდა ყოფილიყო სამეფო კარის ბანაკი (სადგომი) (გიულდენშტედტი.196:143). გიულდენშტედტი საუბრობს სამ თაღზე ამოყვანილ სასახლეზე, რომელიც არის დღევანდელი „ოქროს ჩარდახის“ სასახლე. იგი არ საუბრობს მეორე სასახლეზე, რომელიც უფრო ძველი და დიდი ყოფილა. ამ სასახლეს 1810 წლამდე მიუღწევია და რუსებს ქუთაისში შემოსვლის დროს დაუნგრევიათ. „სასახლეში ყოფილა 20 ოთახი და მდებარეობდა ჰოსპიტალთან ცაცხვების სიახლოვეს...სასახლე სიძველისაგან დაიქცა და დარჩა მარტო საძირკველი, რომლის ნიშანზედ აშენდა გიმნაზიისათვის აბანო, გარნა დაშთენილს საძირკველზე ეტყობა,

რომ საკმაოდ დიდი ყოფილა, აქ ბევრ მაცხოვრებელს ახსოვს ეს სასახლე“ (გნილოსაროვი.1859:422). ამ ცნობებს გვაწვდის ქუთაისის ვიცე გუბერნატორი პ. გნილოსაროვი. „ოქროს ჩარდახი“ გარშემორტყმული ყოფილა გალავნით და მის გარშემო თხრილით, რომლის კვალი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის აღარ ჩანდა. აქვე მდებარეობდა საუფლისწულო ბაღი (კეზევაძე. 2013: 266). ჰოსპიტალი დიუბუას ნაჩვენები აქვს დღევანდელი წითელი ხიდის მიდამოებში, აქ მდებარეობდა 20 ოთახისაგან შემდგარი ვრცელი შენობა, რომელშიც ცხოვრობდა სოლომონ დიდი და რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გადააკეთეს მეფესთან ჩამოსული თავადებისა და მემამულეების მისაღებად. ამის გამო სოლომონ პირველის ქვრივმა თავისთვის ცალკე ააგო არცთუ მოზრდილი სასახლე იმ ადგილის მახლობლად, სადაც ახლა დგას საუკუნოვანი ცაცხვი. ახალციხური ქრონიკის ცნობით 1773 წელს მეფემ სასახლეში სახლები დაადგმევინა. ეს და სხვა არაერთი კითხვა მარცხენა სანაპიროს ამ მონაკვეთების არქეოლოგიურ შესწავლამდე უპასუხოდ რჩება, აღნიშნავს თავის ნაშრომში არქეოლოგი რ. ისაკაძე (ისაკაძე. 2006 :159). ასეთია ის ცნობები, რომლებიც სოლომონ პირველის სასახლის შესახებ შემორჩა, მეფის გარდაცვალების შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნეში კი ეკლესია და სოლომონის მეორე სასახლე დანგრეულა. დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ ერთი სასახლე, რომელიც გიულდენშტედტმა მოინახულა და მას „ოქროს ჩარდახად“ მოიხსენიებს. სავარაუდოდ სოლომონ მეფეს სასახლე უნდა ჰქონოდა გელათში და იგი მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს უნდა ყოფილიყო და რომელზეც გვიან შენობა დააშენეს. სოლომონ მეფეს რაჭაში საწულიკიძეოში სოფელ სხარტალში ჰქონია ასევე საზაფხულო რეზიდენცია, სადაც მიუღია ა. გიულდენშტედტი.

სოლომონ მეფე და როსტომ რაჭის ერისთავი

როსტომ რაჭის ერისთავი სოლომონ მეფის ბიძა იყო და იგი მეფეს ტახტზე ასვლისთანავე დაუპირისპირდა, 1752 წლის შემდეგ როსტომი არაერთხელ გამოვიდა სოლომონ მეფის წინააღმდეგ, მათ შორის ყველაზე დიდ ბრძოლაში ხრესილის ველზე იგი მტრის რიგებში იყო კვლავ და შემთხვევით გადაურჩა სამარცხვინო სიკვდილს, ისეთს, როგორიც წილად ხვდა მის თანამოაზრესა და თანამებრძოლს ლევან აბაშიძეს. სოლომონ მეფემ არაერთგზის მიუტევა უსჯულოება და სამშობლოს ღალატი ორგულ თავადს, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სოლომონს თავისი მეფობის პირველ ეტაპზე არ შეეძლო როსტომის დასჯა. თითქოს ერთობ გაუგებარია, რამ გამოიწვია როსტომ ერისთავის ასეთი გაბოროტება, კაცი, რომელმაც ბარაკონის ბრწყინვალე ტაძარი ააგო სახელმწიფოს უდიდეს საფრთხედ მოევლინა. მის კისერზე არაერთი ცოდვა იყო, როსტომი იყო ტიპიური მოღალატე, რომელიც მტრის ოსმალეთის ხელში არაერთხელ მოექცა. როსტომ ერისთავის მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ბარაკონის ტაძარის დასავ-ლეთის კარის თავზე არსებული საქტიტორო წარწერა; „მჩხრეკელი ქვისა კ-ზი ბესარიონ ძმა ერისთავისა ქ-ს 1753“ „რაჭის ერისთავმან როსტომ ავაგე ეკლესია... (ბოჭორიძე. 1933: 246). წარწერაში იხსენიება როსტომის მეუღლე მარიამ წულუკიძე, მისი პირმშო გიორგი და „სასო ძე მეთოდი“, ასევე ასულნი მელანია და ეფემია. ამ დროისათვის მას მეტი შვილი არ ჰყავდა. ერთ სიგელში როსტომი თავისი შვილების დასახელებისას აღნიშნავს „პირმშომან ძემან ჩუენმან ბარძიმ და სასურველმან გიორგიმ, მეთოდი, მამუკა და სხვათა“ (Акты. 1866: 29). როსტომის უფროსი შვილი გიორგი იყო, რატომ არის ბარძიმი პირმშოდ მოხსენებული უცნობია. ამ დროისათვის როსტომი აბრუნებს საქუთათლო მამულს ფუტიეთს, რომელიც საერისკაცოდ გამხდარიყო და კვლავ ეკლესიას უბრუნებს.

მეფისა და ერისთავის ურთიერთობამ საბოლოოდ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, როდესაც 1765 წელს იმერეთში ოსმალთა 80 ათასიანი არმია შემოვიდა, რასაც სოლომონ მეფის ტახტიდან

ხელახალი გადაგდება მოჰყვა. როსტომ ერისთავის ღალატის შესახებ საუბრობს 1804 წლის სიგელში იმერეთის მეფე სოლომონ მეორე: „დროსა ბიძისა ჩვენისა, მეფისა სოლომონისასა, ორგულებითა მეფისა და ქვეყნისათა, განდგა რაჭის ერისთავი როსტომ, მისცა ფიცი უსჯულოთა მახმადიანთა, შთამოიყვანა იმერეთს ჯარი თათართა, და უმრავლესთა ქრისტიანეთა, თავადთა, აზნაურთა და სამღვდელოთა დათხევითა სისხლთათა დაიპყრეს თათართა იმერეთი და განსდევნეს მეფე სოლომონ“ (საქ. სიძველენი. 569). ამის შემდეგ სოლომონ მეფეს „შეწევნითა ღვთისათა“ დაუბრუნებია ტახტი და ოსმალთა გვერდით მებრძოლი „ორგული ქრისტიანობისა“ როსტომი კვლავ დაუმარცხებია. მეფემ კვლავ „მიუტევა უსჯულოება და სასიკვდილო ორგულობანი“ და კვალად დაუბრუნა რაჭის ერისთავობა. სოლომონ მეფე ნათლად აყალიბებს იმ ბრალდებებს, რომელიც როსტომის მიმართ არსებობდა: „ორგულობითა დიდითა ქვეყნისათა და ღალატითა მეფისათა“, როსტომის ქმედებებს ქვეყნის დაპყრობა და ადამიანთა მსხვერპლი მოჰყოლია. მიუხედავად ყველაფრისა სოლომონმა მას მაინც აპატია როსტომს ქვეყნის ღალატი, თუმცა მალე იგი კვლავ აგრძელებს ქვეყნის ღალატს: მან კვალადცა მსგავსებითა იუდასითა აღიღო მახვილი მეფესა თვისსა ზედა და მრავალგზის შემოება ჯარსა მეფისასა და ესე ვითარ დაუცხრომელითა ორგულებითა მისითა, მრავალნი ქრისტიანენი სამღვდელონი და საერონი დააკლდენ სიცოცხლესა“ (იქვე: 570). როსტომის კისერზე მრავალი ქართველის ცოდვა იყო, ასეთივე ბრალდებებს უყენებს ერისთავს ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე (აბაშიძე), რომლის ცნობით სოლომონის შევიწროება თურქთაგან მოხდა იმერეთის თავად ერისთავის გაიძვერობით, რომლის მეშვეობითაც მისი, ერისთავის სიძე, ხოლო სოლომონის ბიძაშვილი თეიმურაზი ქუთაისში თურქებმა მეფედ გამოაცხადეს (ბურჯანაძე. 1948:91). სოლომონ მეფის თანამებრძოლთა წრეში კი არსებობდა აზრი, რომ 1765-1768 წლების უბედურებათა მიზეზი როსტომ რაჭის ერისთავი იყო. როსტომ ერისთავს ადანაშაულებს ასევე ბაგრატ ბატონიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ხოლო წელს 1768 კვალად აღადგინა შფოთი რაჭის ერისთავმან როსტომმან, მოიბირნა რაოდენიმე იმერნი

და ეგრეთვე ახალციხის ფაშაცა და ენება გარდაგდებავე მეფისა სოლომონისა“ (ბაგრატ ბატონიშვილი. 1941:54). როსტომი კვლავ სოლომონის ტახტიდან ჩამოგდებისათვის იბრძვის.

როსტომ ერისთავის ღალატზე საუბრობს, მასთან დაახლოებული კათოლიკე ბერი ლეონი, რომელიც საკმაოდ დეტალურ ცნობებს გვაწვდის: როსტომ ერისთავსა და კაცია დადიანს 1765 წლის ახლო ხანებში ჩუმად გაუგზავნიათ თავიანთი წარმომადგენლები ახალციხეში, რათა ეთხოვათ ჯარი, სოლომონი ტახტიდან ჩამოეგდოთ და იმერეთში კვლავ აღედგინათ ტყვეთა სყიდვა (კომუნარი.1959.№95). ახალციხეში გაგზავნილი ყოფილა როსტომის ძმა კათალიკოსი ბესარიონი და ქაიხოსრო აბაშიძე, სოლომონ მეფის ბიძა. მათი მცდელობა ჩაიშალა იოსებ გაენათელის ახალციხეში ჩასვლის შემდეგ. მისიონერი ბერი ლეონი საუბრობს ასევე, რომ როსტომ ერისთავმა და კათალიკოსმა ბესარიონმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღეს. რამდენად სარწმუნოა ლეონის ცნობები, ვერ ვიტყვით, რადგან ერთობ საეჭვოა, თითქოს კათოლიკური სარწმუნოება მიუღიათ: მეფე ალექსანდრეს, როსტომ ერისთავს, და მის ძმას ბესარიონ კათალიკოსს (იქვე). იგივე ცნობას გვაწვდის მიხეილ თამარაშვილი,დოკუმენტი რომელიც მას მიუკვლევია პროპაგანდის არქივში ადასტურებს ბესარიონ კათალიკოსისა და როსტომის მიერ სარწმუნოების შესაძლო უარყოფას.იგი აღნიშნავს კათალიკოსის ხელმოწერისა და ბეჭდის შემდეგ, როსტომის ბეჭედი და ხელმოწერაც იყო: „ქ. მე. ერისთავი როსტომ სარწმუნოებისა ამის დამარწმუნებელი“ (თამარაშვილი. 1902:366). როსტომ ერისთავსა და კათალიკოს ბესარიონს თამარაშვილის მიხედვით: „1751 წელს კათოლიკობა მიიღეს და დარჩნენ მორწმუნედ“ (იქვე:386). ამ მოსაზრებას იზიარებენ თავიანთ ნაშრომებში ბაბილინა ლომინაძე და ოლია სოსელია.

ქართული წყაროებით ეს ფაქტი არ დასტურდება და საკმაოდ ძნელი დასაჯერებელია, როსტომი 1751 წლიდან კათოლიკე ყოფილიყო, რადგან იგი 1752 წელს ასრულებს ბარაკონის აგებას, ხოლო შემდეგაც აქტიურად მონაწილეობს საეკლესიო საქმეებში. იგივე უნდა განვაცხადოთ კათალიკოს ბესარიონთან დაკავშირებითაც,

მიუხედავად იმისა, რომ ბესარიონი საკმაოდ სამარცხვინოდ ასრულებს თავის სასულიერო მოღვაწეობას, მისი გაკათოლიკება ერთობ საეჭვოა.

ხაზგასმით, უნდა აღვნიშნოთ, რომ იოსებ კათალიკოსს პირადად უკისრია სოლომონ მეფისა და როსტომ რაჭის ერისთავის შერიგება. ამ ფაქტის შესახებ ცნობები დამყარებულია ძირითადად ზეპირ გადმოცემებზე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სიკო კანდელაკის ჩანაწერი ზეპირგადმოცემული თანამედროვეთაგან, პაპის ჩანაწერით ისარგებლა შვილიშვილმა სიკო კანდელაკმა და იგი გამოქვეყნდა 1895 წელს შემდეგი სათაურით: „იმერეთის მეფე სოლომონ დიდი“, რომელშიც თითქმის დეტალურადაა გადმოცემული მეფესა და ერისთავს შორის მომხდარი დაპირისპირება. ამ დაპირისპირების შესახებ საუბრობს ასევე არქიმანდრიტი ამროსი ხელაია (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი), რომელიც მას ჩაუწერია 1902-1903 წლებში, როდესაც რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა. სიკო კანდელაკის მიხედვით შერიგების ინიციატორი სოლომონ მეფე ყოფილა. ამბროსი ხელაია კი ინიციატორად იოსებ ბაგრატიონს ასახელებს. დავით ბატონიშვილის მიხედვით კი „როსტომ ერისთავი ევედრა მეფეს შეცოდების მიტევებას“. თუმც ჩვენთვის მთავარია, რომ კათალიკოსმა იოსებმა თავისი ავტორიტეტის გამოყენებით სცადა, კონფლიქტი მშვიდობიანად მოეგვარებინა. მშვიდობისმოყვარე კათალიკოსს, როგორც ჩანს, მოწონებია მეფის აზრი და შუამავლობაც უკისრია. სიკო კანდელაკი გვაუწყებს, რომ მეფესთან შეხვედრის შემდეგ იოსებ კათალიკოსი ქაიხოსრო აბულაძესთან და მხლებლებთან ერთად გამგზავრებულა რაჭაში. როსტომ რაჭის ერისთავი აზნაურებთან ერთად ნიკორწმინდის ტაძართან დახვედრიან სტუმრებს. მათ თაყვანი უციათ კათალიკოსისათვის, ერისთავს კი ერთი მარქაფა ბედაური ძვირფასი უნაგირითა და რახტით აღკაზმული მიუგებია. რომლის შემდეგაც ამბროლაურის სასახლეში მისულან, სადაც ზარების რეკვითა და ჯაზაირების სროლით დახვედრიან. მას ჯერ კარის მწირველი სასახლის მოძღვარი იოანე ჯვრით ხელში და ერისთავის შვილები შეხვედრიან. ჩამოქვეითებულ კათალიკოსისათვის წინამძღვარს შესხმა მოუხ-

სენებია: „მღვდელ-მთავრობისა კვართითა შემკობილმან ღვთის მეცნიერად ქადაგე შენ სახარება სასუფევლისა იოსებ და მართლ-მადიდებლობისა სწავლანი აღმოთქვენ და ეკლესია განამდიდრე მოძღვრებითა“ (იმერეთის მეფე სოლომონ დიდი. 1895:31). სამღვდელოება და ხალხი საეკლესიო ბაირაღებით შეგებებია იოსებს, როგორც კათალიკოსს და როგორც ბაგრატიონს მეფის წესისაებრ დახვედრიან.

შემდგომ კათალიკოსს და ერისთავს შორის გამართულა საუბარი: „უკეთუ მეფეს მეფობა არ გაუვა, უნდა დატოვოს მეფობა მისი და შენ კი ერთ დიდებულ თავათდაგანი არ ემორჩილები. ეს სამარცხვინო საქმე არის მეფისათვის, გარეშე მტრები რომ გაიგებენ ამას შემოესე-ვიან სამეფოს და ქრისტიანობა შეირყევა. მართალია შენი დამორ-ჩილება არ გაუჭირდება მეფეს, მაგრამ ბევრი უბრალო სისხლი დაიქცევა და ამას ერიდება. როგორც სულიერი მამა გირჩევ, დაფიქრდი ამაზედო“ (იქვე:32). შესაძლოა სიკო კანდელაკის ჩანა-წერში უშუალო თვითმხილველის ცნობებია ასახული, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი დეტალური ინფორმაციის გადმოცემა გაჭირ-დებოდა. როგორც ჩანს როსტომ რაჭის ერისთავმა მეფისაგან სიცოცხლის გარანტია, ხოლო კათალიკოსისაგან ბარძიმზე დაფი-ცება მოითხოვა. იოსებ კათალიკოსი ქუთაისში დაბრუნებულა და მეფისათვის მოუხსენებია ყოველივე: მეფეს კი პირობა მიუცია, რომ იგი როსტომ ერისთავს არ მოკლავდა: „გაძლევ სიტყვას და ვფიცავ... არც ის და არც მისი შვილები არ მოვკლა და ისეთი პატივსცემითაც მივიღო, რომ საარაკოთ დარჩესო“.

ამბროსი ხელაიას ცნობით კი, როსტომი და რაჭის დიდებულები წმინდა გიორგის მთაზე დახვედრიან კათალიკოსს და სოფელ წესში გამართულა მოლაპარაკება კათალიკოსს და ერისთავს შორის. შემდეგ კათალიკოსს ბარაკონის ტაძარში უწირავს და დიდი გამოსვლის დროს, როდესაც გადასცეს მას ბარძიმი, არწმუნებს როსტომს, რომ მეფისაგან არ მოელის ვნება: „რომ მეფე მას არ უღალატებს და არ მოკლავს მას და მის შვილებს“ (ამბროსი ხელაია.2011:434). დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ ბარძიმზე დაფიცება მოხდა არა ბარაკონში არამედ, თითქოს მეფემ ვარციხეში მიიწვია როსტომი,

სადაც სწირა კათალიკოსმა და „შეჰფიცა მეფემან ბარძიმსა ზედა უვნებლობაი“ (დავით ბატონიშვილი. 1905:19). ალბათ ნაკლებ სარწმუნოა, რომ როსტომ რაჭის ერისთავი გარანტიის გარეშე ვარ-ციხეში ჩასულიყო, ბარძიმზე დაფიცება მართლაც ბარაკონში მომხდარა, რომლის შემდეგაც მიიღო როსტომმა იმერეთში წასვლის გადაწყვეტილება. სიკო კანდელაკის მონათხრობის მიხედვით იოსებ კათალიკოსი მეფესთან მოლაპარაკების შემდეგ ხელმეორედ წაბრძანდა რაჭაში და ბარძიმზე ხელის დადებით დაარწმუნა ერის-თავი. მეორე დღეს კათალიკოსს და ერისთავს სადილი ტყიბულში მიუღიათ და ღამე კი ქაიხოსრო აგიაშვილის საზაფხულო სადგომში გაუთევიათ ცუცხვათს, იქედან კი სოლომონ მეფეს უნდა ხლებოდნენ ვარციხეს*.

*ვარციხეში მისვლის შემდეგ როსტომ ერისთავს სასახლე მიუჩინეს, თუმცა არ უსურვებია, რადგან საკმაო ნაბდის კარვები ჰქონიათ წამოღებული. ლხინი იმერეთში ოცი დღე გაგრძელებულა. ერთ ღამეს სოლომონ მეფეს საიდუმლო კარისკაცები შეუკრებია და განუცხადებია: ვერ ხედავთ, რა სიფრთხილით გვეკიდება ერისთავიო. მაგის გული არ გასწორდებაო, კიდევ ბევრს ცუდს შეგვამთხვევს და დრო არის, ქვეყნის მოღალატეს ახლავე საკანონო მოვახ-დევინოთო“. თათბირზე ერთმანეთს შორის ვერ შეთანხმდნენ. როგორც ჩანს როსტომ რაჭის ერისთავი და საქციელით არავითარ სინანულს არ გამოხატავდა, რამაც ალბათ გამოიწვია მეფის მხრიდან უმკაცრესი სასჯელის გამოტანა. შესაძლოა სოლომონ მეფეს თავიდანვე ჰქონდა ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული, თუმცა ცხადია, რომ მეფე ამ ნაბიჯს როსტომზე დაკვირვების 20 დღის გასვლის შემდეგ დგამს. აღსანიშნავია, რომ იმ ღამეს თათბირის შემდეგ სოლომონ მეფეს საიდუმლო მოხსენება გაუკეთა პაპუჩა აბულაძემ. დასახელებული პიროვნება პაპუჩა აბულაძე მართლაც ისტორიული პირია, იგი არაერთ საბუთში იხსენიება და ინტერესს იწვევს მისი საიდუმლო მოხსენების შინაარსი. სწორედ ამ საუბრის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, როგორც ჩანს. ჩვენთვის უცნობია რა საფრთხეზე ესაუბრა პაპუჩა აბულაძე მეფეს, რამაც დააჩქარა სასჯელის აღსრულება. მეორე დღეს მეფემ და ერისთავმა გადაწყვიტეს წასულიყვნენ თავად იაშვილთან კურდღელზე სანადიროდ. სადაც მოხდა როსტომისა და მსი შვილების შეპყრობა და დასჯა. როსტომსა და მის შვილებს ოთხ-ოთხი კაცი სცემია და დაუმორჩილებია, ბოლოს კი მომხდარა გიორგის დამორჩილება, რომელსაც მივარდნილა თეიმურაზ ორჯონიკიძე ძმის სისხლის ასაღებად და დანით თვალები ამოუჭრია. მიხეილ რეხვიაშვილის მიხედვით

როსტომისა და მისი შვილების დასჯა ერთი ცნობით მომხდარა ზამთარში, იმ დროს როცა მიწა თოვლით იყო დაფარული. მეორე ცნობით კი აღნიშნული დაპირისპირება 1769 წლის 8 ენკენსთვეს მომხდარა (საქ. ისტ. ქრ. 1980:253)*. სიკო კანდელაკის ცნობით, ამ ამბის შემდეგ მეფე იაშვილის სასახლიდან გარეთ აღარ გამოსულა. შიგ იახლა თურმე სარდალი წერეთელი, რომელსაც თვალცრემლიანი შეწუხებული მეფისათვის უთქვამს: „თუ მაგრე სანანებლად დაგრჩებოდათ, ნეტავი არ დაგესაჯათ ცოდვის შვილებიო“. რაზეც მეფეს წყენით უპასუხია: „მებრალება კაცი და დავსაჯე კი ღვთისა და ქვეყნის ორგული მოღალატე“. საგულისხმოა სარდალ წერეთლის სიტყვები: „როსტომ ერისთავი გულს ვერასოდეს გაიწმენდდა, და თუ ოდესმე შეძლებოდა, იმას რაც დღე დღეს დაადგა, ჩვენვე დაგვაყენებდა. ფიცი რომ არ დაგედვათ, უმჯობესი იყო ყველასთვის თავები დაგვეყრევინებია“ (იმერეთის მეფე სოლომონ დიდი.1895:40).

ნიშანდობლივია, რომ სარდალ ქაიხოსრო წერეთლის სიტყვებში ჩანს, რომ მეფეს ფიცი არ დაურღვევია, რადგან ყველა მათგანს

გიორგი ცალი თვალით იქნა დაბრმავებული, შემდეგ კი ოსმალეთის სულთნის სამსახურში ჩამდგარა, ბოლოს იგი საქართველოში დაბრუნებულა და ოსებთან შეტაკების დროს გლოლაში დაღუპულა 1787 წელს. როსტომი, მეთოდი, ცაგუნი, კუხნიცი, გივი, ბარძიმი და სვიმონი თოკებით შეკრულნი ხედავდნენ გიორგის თვალების ამოჭრას, რომლის შემდეგაც მათი ჯერიც დამდგარა. პირველად როსტომს დასთხარეს თვალები, შემდეგ როსტომის შვილებს შვილებს. ხალხის გადმოცემით როსტომის ერთი შვილთაგანი ამ დროს მცირეწლოვანი ყოფილა, მეფის ქალს შებრალებია და თავისთან დაუტოვებია, მაგრამ ქაიხოსრო წერეთლის ბრძანებით ისიც დაუბრმავებიათ. იგივე ბედი გაუზიარებია როსტომის შვილს მეთოდის, რომელიც ბერად ყოფილა აღკვეცილი, მაგრამ როსტომისა და მისი შვილების დაბრმავების შემდეგ ბერობა დაუტოვებია და ოსმალთა ჯარით იმერეთში ორჯერ (1772, 1774) შემოსულა. მეფეს მასთან ბრძოლაში გაუმარჯვია და ძმების ბედი გაუზიარებია, მეთოდესთვისაც დაუწვავთ თვალები.

**ო. სოსელიაც ამ შემთხვევას ასევე 1769 წლის სექტემბრით ათარიღებს და აღნიშნავს: „როსტომის შვიდი ვაჟიდან, სასტიკი სასჯელის შემდეგ ცოცხალი დარჩა მხოლოდ ოთხი: გიორგი, მეთოდე, დიმიტრი და კიდევ ერთი“ (სოსელია.1973:105).

სიცოცხლე შეუნარჩუნა, თუმც ასეთმა სასტიკმა სასჯელმა მეფეც დაამწუხრა და სინანულში ჩააგდო. მაგრამ იგი თვლის, რომ ამ ქმედებით მან დასაჯა ღვთისა და ქვეყნის მოღალატე, რომლის გამოსწორების შანსი არ არსებობდა. თუმცა იოსებ კათალიკოსი სხვაგვარად ფიქრობდა. როსტომისა და მსი შვილების დასჯის ამბავი იოსებ კათალიკოსს გელათში შეუტყვია, რის გამოც საშინელ დღეში ჩავარდნილა: მას მეფისათვის შეუჩივლია: „რათ გამატეხინე ფიცი მე ცოდვილს“! მეფეს კათალიკოსისათვის უპასუხია: „მე დიაღაც ავასრულე ჩემი სიტყვა, როგორც აღგითქვი, სიკვდილით არ მომიკლავს და საარაკოდაც მოვიქეციო“ (იქვე:49). მეფემ გადადგა უკიდურესი ნაბიჯი და როსტომ ერისთავი საბოლოოდ გაანეიტრალა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ქვეყნის უმაღლესი მმართველისა და ეკლესიის უმაღლესი იერარქის სხვადასხვა ხედვებთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხორციელი ძმები იყვნენ, ორივე ამ მოვლენას აფასებდა საკუთარი ინტერპრეტაციით, მეფე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, კათალიკოსი - როგორც ღმერთთან ანგარიშვალდებული. ამავდროულად მეფე საკუთარ ქმედებას აღთქმის დარღვევად არ მიიჩნევდა, რადგან მას სიკვდილით მართლაც არ დაუსჯია ისინი, მისი ქმედება კი მართლაც საარაკოდ შემორჩა დღემდე. მეფის ამგვარი გადაწყვეტილება ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე იყო ნაკარნახევი, რადგან როსტომ რაჭის ერისთავი მრავალჯერ განუდგა მეფეს და სოლომონის გამეფებიდან 1752 წლიდან მოკიდებული მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებათა მთავარი ინიციატორი იყო (ტყეშელაშვილი. 2016:65).

ცნობილია, რომ სოლომონ მეფეს ტახტის დაბრუნების შემდეგ, 1753 წელს როსტომი შეუწყალებია. როსტომი მეფეს განუდგა ხრესილის ბრძოლაშიც 1757 წელს, როცა მან მტრის ამ დროიდან მოყოლებული, როსტომ ერისთავი განუხრელად იბრძვის სოლომონ მეფის წინააღმდეგ. იგი ოსმალთა ლაშქრობების პერიოდში ან მათი მეგზურია, ან იმერეთში მათი შემოსვლისთანავე მტრის მხარეზე დგება და მეფეს ებრძვის(იქვე:570). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სოლომონ მეფის ქმედების გაკრიტიკება, ძალზე

რთულია, 17 წლიანი დაპირისპირება მეფე-ერისთავს შორის ერისთავის სრული განადგურებით დასრულდა, მეფემ გააუქმა ასევე რაჭის საერისთავო და იგი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა.

ასეთია თანამედროვეთა თვალთახედვა, როსტომის საქციელი შეფასებულია მეფისა და ქვეყნის ტიპურ ღალატად, რომელმაც „მსგავსებითა იუდასითა“ განუდგა მეფეს და „მისცა ფიცი უსჯულოთა მახმადიანთა“ და მტერს შემოუძღვა, რამაც გამოიწვია მრავალი ქრისტიანის სისხლის დათხევა. აღნიშნული სიგელი განახლებულა მეფე სოლომონ II-ის მეფობის დროს 1804 წელს, რომელზეც ხელს მეფე სოლომონთან ერთად ხელს აწერენ ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე, მთავარეპისკოპოსები: ანტონი, მაქსიმე, სოფრონი. მეფემ ერისთავი მაშინ დასაჯა, როცა რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ რუსები სოლომონის დასახმარებლად მოდიოდნენ და ამიტომ ერისთავის გამოსარჩლება ვერავინ გაბედა (რეხვიაშვილი. 1989:214).

რამ გადაადგმევინა სოლომონ მეფეს ასეთი ნაბიჯი, რატომ დასაჯა ასე სასტიკად მეფემ გათავხედებული რაჭის ერისთავი? ამაზე პასუხს ალბათ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები გასცემენ, მეფე დარწმუნდა, რომ როსტომ ერისთავის გამოსწორების შანსი თითქმის აღარ არსებობდა, რადგან იგი 1752–1768 წლებში არაერთ შეთქმულებაში მონაწილეობდა, სოლომონ მეფე მისი ინიციატივით ორჯერ ჩამოაგდეს ტახტიდან და ამავდროულად იგი მუდმივად მტრისოსმალების მხარეს იბრძვის, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა. აღნიშნულ კითხვაზე უფრო სწორ პასუხს ალბათ იმერეთის მეფე სოლომონ II–ის (1789–1810) 1804 წლის სიგელი გაგვცემს. „გარნა ორგულობითა დიდითა ქვეყნისათა და ღალატითა მეფისათა, სჯულითა საზოგადოებისაგან და მეფისა წყევითა და შეჩვენებით დააკლდენ მემკვიდრეობასა რაჭისასა შვილითიშვილადმდე საუკუნოდ... მეფის სოლომონის ორგულობითა, მეფისა და ქვეყნისათა“ (საქართველოს სიძველენი. 1910:570). სოლომონ მეორე როსტომ ერისთავს ქვეყნისა და მეფის ორგულობაში ადანაშაულებს, როსტომის ერთგულება ხალხს დაუგმია (სჯულითა საზო-

გადოებისაგან) და შეაჩვენა მეფემ. იგი შეეკრა ასევე მაჰმადიანებს და უშუალოდ შემოჰყავდა მტერი სამშობლოში, მტრების შემოსევის შედეგად კი „უმრავლესთა ქრისტიანეთა, თავადთა, აზნაურთა და სამღვდელოთა“ დათხიეს სისხლი. როსტომის ქმედებები ასეა შეფასებული: „მსგავსებითა იუდასითა აღიღო მახვილი მეფესა თვისსა ზედა“, აი, მთავარი ბრალდებები სამშობლოს მოღალატის მიმართ, მისი ქმედებებით მრავალი ქართველი მამულიშვილი დაიღუპა, გარკვეული ნაწილი კი ოსმალებმა ტყვედ წაასხეს. მეფის მიერ გადადგმული ნაბიჯი სწორია, მან თვალები დასთხარა ადამიანს, რომლის კისერზეც მრავალი ქართველის სისხლი იყო. მეორე ბრალდება როსტომის მიმართ კი კანონიერი მეფის ტახტიდან ჩამოგდებაა, თანაც ორჯერ (1752, 1765), თუკი მას შემთხვევა მიეცემოდა, ამას მესამედაც ჩაიდენდა. როსტომ ერისთავის სასტიკი სასჯელით აღიკვეთა შესაძლებლობა, გადაგვარებულ ერისთავის მხრივ ქვეყნის კვლავ საფრთხის ქვეშ არ დაეყენებისა.

ბარაკონისა და ველტყევის ტაძრების ამგებ ერისთავს, რომელიც, მხოლოდ საკუთარი სამთავროს გაძლიერებისათვის იბრძოდა, ბედმა მწარე ხვედრი არგუნა და იგი საკუთარი სამშობლოსა და მეფის წინააღმდეგობის გამო ქვეყნის ორგულისა და მოღალატის სახელით აღესრულა, ხოლო მეფე, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გარეშე და შინაურ მტერს ებრძოდა, ისტორიაში „სოლომონ დიდის“ სახელით შევიდა (ტყეშელაშვილი. 2016:66).

ღვაწლმოსილი კათალიკოსის მცდელობამ ამაოდ ჩაიარა, მეფესა და კათალიკოსს შორის იმ მომენტში დაპირისპირება მოჰყვა, თუმცა შემდგომ პერიოდში სოლომონ მეფე და კათალიკოსი იოსები შერიგდნენ და მათი ერთობლივი მოღვაწეობა ქვეყნის საკეთილ-დღეოდ კვლავ გაგრძელდა. გავრცელებული ცნობა, თითქოს იოსებ კათალიკოსი როსტომ ერისთავის დასჯის შემდეგ კათალიკოსობი-დან გადადგა, არ დასტურდება. იგი 1769 წლის შემდეგაც აგრძელებს კათალიკოსის მოვალეობის შესრულებას. იოსებ ბაგრატიონი სავ-სებით ახალგაზრდა 37 წლის ასაკში გარდაიცვალა, რამაც მძიმე დარტყმა მიაყენა სოლომონ მეფეს. გურიიდან მოსული კათალიკოსი 1776 წლის 4 მაისს ავად გამხდარა და სანავარდოს მისულა, სადაც

დაწოლილა, 11 მაისს კი ავადმყოფი კათალიკოსი სანავარდოდგან ქუთაისს მიუყვანიათ. კათალიკოსი, შესაძლოა, გზაში გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა თუ მას, რაიმე სხვა დაავადება აწუხებდა ჩვენთვის უცნობია. ფაქტია, რომ იოსები ავად გახდომიდან მეათე დღეს აღესრულა, 1776 წლის 13 მაისს ქუთაისში, გაენათელი ეპისკოპოსების რეზიდენციაში, მწვანეყვავილაზე. 17 მაისს კათალიკოსი გელათში გადაუსვენებიათ. 18 მაისს კი იგი დაკრძალეს გელათში, ღვთისმშობლის შობის ტაძრის წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის ეკლესიის ტრაპეზის ქვეშ.

სოლომონ მეფის მოღვაწეობის ბოლო პერიოდი და მისი გარდაცვალება

იმერეთის სახელოვან მეფე სოლომონ დიდს ურთულესი მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე კვლავ შეთქმულებისა და შინაურთა ღალატის წინააღმდეგ მოუწია დაპირისპირება. მართლაც უცნაურია, რადგან მეფეს დაუპირისპირდა ერთადერთი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი. მეფესა და შვილს შორის უთანხმოება სოლომონ მეფის მეუღლის მარიამ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მომხდარა. მარიამ დადიანი 1778 წელს გარდაცვლილა „ჟამსა ამას გარდაიცვალა ღირსსახსოვარი დედოფალი იმერეთისა, მეუღლე სოლომონ მეფისა მარიამ. დაი კაცია დადიანისა. შემდგომად გლოვისა მეფემან ამან შეირთო წულუკიძის ასული გულქან, ნაცოლარი მიქელაძის აზნაურის ქაჯაიასი“ (დადიანი. 1962:179). არაერთმა ქართულმა ქრონიკამ შემოინახა ცნობა მარიამ დედოფლის გარდაცვალების შესახებ: აბაშიძეთა ქრონიკის მიხედვით მარიამ დედოფალი გარდაცვლილა 1778 წელს „ყოვლადწმინდის კარს“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A ფონდის № 1319 ხელნაწერის მიხედვით კი მარიამ დედოფალი „სოფელ ყოვლაწმინდის კარს“ მიიცვალა. იმავეს ადასტურებს გელათის გულანიც: „ქკს: უივ (1778). ამ ქ–ს დედოფალი მარიამ მიიცვალა“ (ქრონიკები. III.1967:360). სამწუხაროდ, არცერთი წყარო დედოფლის გარდაცვალების თვესა და რიცხვს არ გვიჩვენებს, თუმცა სავარაუდებელია, რომ მარიამ დედოფალი 1778 წლის იანვარში გარდაიცვალა, რადგან გელათის გულანში დედოფლის გარდაცვალების ცნობას მოსდევს მხედრული ხელით შემდეგი მინაწერი: ამავე ქრონიკონსა: თ–ა (21) იანვარსა დღესა ხუთშაბათსა დაიბადა დიმიტრი“. სოლომონ მეფემ ღვაწლმოსილი დედოფალი გელათის წმინდა მარინეს სახელობის ეკვდერში დაკრძალა. დედოფლის სულის მოსახსენიებლად ამავე ეკვდერს ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ხატი შესწირა; „შეიმკო ხატი ესე ყოვლად წმინდისა ღვთივ ამაღლებულისა სოლომონისა მიერ. მრჩლობთა ცხოვრებათა: მისთა წარსამართებლად და ნეტარხსენებულისა დედუფლის მარიამის სულის საოხად. დაისვენა

გელათის წმინდა მარინეს ეკვდერში“ (Церетели. 1891:34).

წმინდა მარინეს ეკვდერში მეუღლის სულის საოხად შეუწირავს სოლომონ მეფეს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ხატი. მარიამ დედოფლის საფლავი მოუნახულებია 1840–იან წლებში ა. მურავიოვს, რაზეც იგი თავის ცნობილ წიგნში საუბრობს: „სოლომონის მეუღლე მარიამი და მისი მცირეწლოვანი შვილი დაკრძალული არიან გელათის წმინდა მარინეს სახელობის ეკვდერში“(Грузиа и Армениа. 1848: 206). მურავიოვი ცდება, როცა იგი აღნიშნავს ალექსანდრე ბატონიშვილის გელათში დაკრძალვის ფაქტს, რადგან იგი გელათის წმინდა მარინეს სახელობის ეკვდერში არ დაუკრძალავთ, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. საქართველოს საისტორიო არქივში დაცული ერთი სიგელის მიხედვით სოლომონ მეფე და მარიამ დედოფალი გელათის მონასტერში სწირავენ: „მცირედი ესე შესაწირავი ჩვენს ეკვდერს და სასაფლაოს მაცხოვარს და მის წინამძღვარს ჭიჭინაძეს იოაკიმს... ვინც მაცხოვრის ეკვდერს ესენი გამოსწიროს წყეულ კრულ და შეჩვენებულ იყოს“ (სცსა.ფ.1448 ს.№ 2165). სიგელი თარიღდება 1776 წლით და მას სოლომონ მეფესთან ერთად გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შარვაშიძე) ამოწმებს. შესაძლოა, თავიდან მეფე-დედოფლის დაკრძალვა გელათის მაცხოვრის ეკვდერში იყო დაგეგმილი და სიტუაცია შემდეგ შეიცვალა, მარიამ დედოფალი გარდაცვალების შემდეგ წმინდა მარინეს სახელობის ეკვდერში დაკრძალეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაცხოვრის ეკვდერი ამ დროისათვის გადავსებულია მეფეთა საფლავებით, რადგან მასში 1605 წლიდან დაკრძალული იყვნენ იმერეთის მეფეები: როსტომ I- 1605 წელი, გიორგი III-1639 წელი და გიორგი VI- 1720 წელი, ეს უკანასკნელი სოლომონ მეფის ბაბუა იყო. ჩვენი აზრით შესაძლოა სწორედ ამიტომ გამოირიცხა მარიამ დედოფლის დაკრძალვა მაცხოვრის ეკვდერში, რადგან იქ არ იყო ადგილი, თუმცა გელათში იყო ტრადიცია, როდესაც ერთ საფლავში სხვადასხვა დროს რამდენიმე მიცვალებულს კრძალავდნენ. დღეისათვის გელათში წმინდა მარინეს სახელობის ორი ეკვდერია; ერთი ჩრდილო-დასავლეთით, მეორე სამხრეთ-დასავლეთით, ამიტომ გასარკვევია, მათგან რომელში დაკრძალეს მარიამ დედოფალი.

სოლომონ მეფე მარიამ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ, 1778 წელსვე, დაქორწინებულა ბერი წულუკიძის ქალიშვილ გულქანზე. სწორედ ამ ქორწინებამ გაართულა ურთიერთობა მამა–შვილს შორის.1772 წელს რაჭაში მყოფმა ა. გიულდენშტედტმა ინახულა პირადად ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც მაშინ ყოფილა 12 წლისა, შავგვრემანი, ტანადი, მშვენიერი ყმაწვილი, ძალიან ცოცხალი, სათნო და მოსიყვარულე სახის გამომეტყველებისა. ეს ერთადერთი ვაჟი სოლომონ მეფემ მიაბარა თავად გიორგი წულუკიძეს (გიულდენშტედტი. 1962:111). თუ დასახელებულ ავტორს დავეყრდნობით, ალექსანდრე ბატონიშვილი უნდა დაბადებულიყო 1759 ან 1760 წლებში, ხოლო, იგი როცა გარდაიცვალა 1780 წელს, 20 წლის უნდა ყოფილიყო. 1778 წლის 1 მაისს ალექსანდრე ბატონიშვილი განდგომია მეფეს. სოლომონ მეფის ქორწინება მანამდე აპრილის თვეში უნდა შემდგარიყო. იესე ოსეს შვილის ცნობით ალექსანდრეს უკმაყოფილების მიზეზი მამის დაქორწინება იყო: „დედის ჩემის მაგიერ წულუკიძის ქალი რად მოიყვანეო“ (კაკაბაძე.1913:112). ალექსანდრე ბატონიშვილი მამის დაქორწინებას გაუღი-ზიანებია, მამასა და შვილს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება კარგად გამოიყენეს სოლომონ მეფეზე განაწყენებულმა დიდებულებმა. მათ შორის უნდა დავასახელოთ დავით აბაშიძე სახლთუხუცესი და სოლომონ მეფის მიერ დამცირებული გვარის წარმომადგენელი. „როცა მას შემთხვევა მიეცა აშკარად გამოვიდა და ალექსანდრე უფლისწულს „დედინაცვალით უკმაყოფილებისათვის“ თავი ამოეფარებია“ (ბურჯანაძე. 1948:32).

იესე ბარათაშვილის ცხოვრების მიხედვით ალექსანდრეს უკმაყოფილების მიზეზს გამხდარა: „ალექსანდრე ქვემხედველ ექმნა დედინაცვალს უგვარობისათვის და აბაშიძე დავით სახლთუხუცესი და მესხი თამაზა, ორნივ მიჩნეულნი და გულითადნი, ბერი წულუკიძის მოშურნეობისათვის, უკუუდგნენ და ალექსანდრე აიყოლეს და უკუ უყენეს“ (იესე ბარათ.ანდ.1950:87). სოლომონ მეფის მტრებს კავშირი დაუმყარებიათ ახალციხის ფაშასთან და ახალციხეში გადასულან, რათა იქედან მიეღოთ დახმარება. „სახლთუხუცესყოფილმან ჩვენმან დავით და განდგა ის კოპაძე ცოლ–შვილით დავით აბაშიძეს გარდაყვა და მეორედ უარყო ქრისტე და

გათათრდა“(ქიმ.№ 873). დავით აბაშიძის ირგვლივ ქვეყნისთვის არასაიმედო პიროვნებები შეიკრიბნენ და მათ მოქმედებებს შესაძლოა, საკმაოდ სერიოზული საფრთხეები შეექმნა. სოლომონ მეფის წინააღდეგ გამოსულან მერაბ ნიჟარაძე, თამაზ მესხი, სვიმონ მიქელაძე და ალექსანდრე ბატონიშვილის მამიდაშვილები წერეთლები.

აჯანყებული ევგენი აბაშიძის ქალიშვილი ალექსანდრე ბატონიშვილისთვის ცოლად შეურთავთ, ამ ქორწინებით აჯანყებულებმა საბოლოოდ გადაიბირეს და ნათესაური კავშირი დაამყარეს ბატონიშვილთან და სამეფო კანდიდატთან. აჯანყებულთა შორის იმყოფებოდა ასევე დავით გიორგის ძე ბაგრატიონი. როგორც 1752 და 1765 წლებში, ამ შემთხვევაშიც სოლომონ მეფეს დაუპირისპირდნენ, ბიძაშვილები, დისშვილები და ბიძა. მეფის მოწინააღმდეგეებს დაუწყიათ სამხედრო მოქმედებაც და სოლომონ მეფისათვის ზემო იმერეთის ციხე ჩხერი და ლოსიათხევი წაურთმევიათ. საბოლოოდ სოლომონ მეფემ აჯანყებულები დაამარცხა, დავით აბაშიძე სახლთუხუცესობიდან გადაუყენებია, ალექსანდრე ბატონიშვილი კი აღმოსავლეთ საქართველოში ერეკლე მეფესთან გადასულა. ამ პერიოდში სოლომონ მეფესა და ერეკლე მეფეს შორის დაძაბული ყოფილა ურთიერთობა, როგორც ამას თეიმურაზ ბაგრატიონი გვაუწყებს. „ვინადგან იყო სამდურავი მეფესა შორის ირაკლისა და მეფისა შორის იმერთასა სოლომონისა, და ამან სოლომონ მოიყვანა ძეი ბაქარისა და ძის ძეი მეფისა ვახტანგისა ალექსანდრე შირაზით“(თეიმურაზ ბაგრატიონი. 1983:58). სოლომონ მეფის მხრიდან ვახტანგ მეექვსის შვილიშვილის ჩამოყვანა ერეკლეს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი და გარკვეულწილად თავდაცვითი ღონისძიებაც იყო. ამ პერიოდში სოლომონ მეფესთან მოსკოვიდან ჩამოსულა ასევე ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი. მამაშვილი 1765 წლიდან რუსეთში იყვნენ გადასული საცხოვრებლად, რადგან ისინი ერეკლე მეფეს აუჯანყდნენ. ალექსანდრე ამილახვარის სურვილი იყო შეერთებოდა ალექსანდრე ბაქარის ძეს ერეკლეს საწინააღმდეგოდ. ალექსანდრე ამილახვარს 1779-1780 წლებში სოლომონ მეფისათვის მიურთმევია პოლიტიკური ტრაქტატი სახელმწიფო მართველობისა (თაყაიშვილი.1902:16). ტრაქტატს წინ

უძღვის ამილახვრის მიმართვა მეფისადმი: „ყოვლად მოწყალეო მეფეო, დიდებულო სოლომონ, წყალობა და კეთილნი დიდებულებისა თქვენისა ეგზომ დაბეჭდილ არიან გონებასა ჩემსა...“ (ქართ. ხელნ. აღწ. VI. 1969: 164). საბოლოოდ ალექსანდრე ამილახვარს იმერეთი დაუტოვებია. სწორედ ამ დროს განდგომია სოლომონს საკუთარი ვაჟი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ერეკლე მეფესთან გადასულა. რომელმაც „შეიწყნარა, პატივისცა და დააგო კ(ვალა)დ მამასა, რომლისა გამო ზავ ჰყვეს და მეფემანცა სოლომონ განუტევა ძეი ბაქარისი ალექსანდრე“. ერეკლე მეფის მიერ სწორმა და მშვიდობიანმა პოლიტიკამ დადებითი შედეგი მოიტანა, ანუ სოლომონი როგორც კი დარწმუნდა ერეკლე მეფის უდანაშაულობაში, მანაც ალექსანდრე ბაქარის ძე იმერეთიდან გაუშვა. ამ საკითხის შესახებ იესე ოსეს შვილი უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის: ალექსანდრემ თავი იმართლა და „შემოჰფიცა მეფე ერეკლეს, მე მამის ჩემის ორგული არ ვყოფილვარ, მარა შემაბეზღეს, გიჭერსო და გაღარიბებსო თავი აღარ მამართლებინა და წახდენისა მეშინოდა და გამოვიქეცი“ (კაკაბაძე. 1913:112–113).

1778 წლის 8 აგვისტოს ალექსანდრე ბატონიშვილს ერეკლე მეფის სურვილით კვლავ დაუფიცავს „ვინ გპატიჯობს, მარა მინდა რომ შენმა ქვეყანამ და სხვამაც შეიტყონ, რომ მე მამის ორგული არ ვარო და დაიფიცა. ამათაც შეჰფიცეს და წავიდა“ (იქვე:113). ერეკლე მეფემ იმისათვის აღიარებინა და დააფიცა ალექსანდრე ბატონიშვილი, რომ სოლომონ მეფე დარწმუნებულიყო იმაში, რომ ერეკლეს ამ საქმესთან კავშირი არ ჰქონდა. ამრიგად მეფეებს შორის ზავი დადებულა და მძიმე ვითარება განმუხტულა. ალექსანდრე ბატონიშვილი იმერეთში სოლომონ მეფესთან დაბრუნებულა. იმერეთში ჩასულ ალექსანდრეს სოლომონ მეფემ გააშვებინა მეუღლე, ევგენი აბაშიძის ქალი, რადგან იგი ამბოხებულებმა სპეციალურად შერთეს, სოლომონის ეს ქმედება პოლიტიკური თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი, რადგან აბაშიძეთა გვარი მუდმივად მტრობდა მას. აბაშიძეები, რომლებიც მეფის ნათესავები ყვნენ, სოლომონს გამეფებისთანავე დაუპირისპირდნენ, ამიტომ ბუნებრივია, მისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში აბაშიძეთა შეთქმულებაში კვლავ ჩართვამ და ერთ–ერთი შეთქმულის - ქართლელი ევგენი აბაშიძის ქალზე მისი ერთერთი

ვაჟის დაქორწინება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. დავით ბატონიშვილისა და იესე ოსეს ძის ცნობებით დასტურდება, რომ შეთქმულებმა გადაიბირეს გამოუცდელი ბატონიშვილი, შემდეგ კი დააქორწინეს სოლომონ მეფის მტრის ქალიშვილზე, რათა ალექ-სანდრე შეთქმულებთან მჭიდროდ ყოფილიყო დაკავშირებული. შეთქმულების ახალციხესთან კავშირი და მათ მიერ ზემო იმერეთის ციხეთა მითვისება აშკარად მიმართული იყო სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოსაგდებად. სწორედ ამიტომ სოლომონ მეფემ საკუთარ ვაჟს ალექსანდრეს გაჰყარა აბაშიძის ასული და „შერთო ბერი წულუკიძის ქალი დარეჯან და აქორწინა: რომელიც წლისა ერთისა მოკუდა ალექსანდრე და უმკვიდრო იქმნა სახლი მეფისა სოლომონისა“ (დავით ბატონიშვილი. 1905:27). სახლთუხუცეს და-ვით აბაშიძეს* ოსმალეთის ყოფილ მაკავშირეებთან დაუმყარებია კავშირი, რადგან ოსმალთა ბატონობის დროს აზნაური „კოპაძე ქაიხოსრო გათათრებულიყო თავისი ცოლ-შვილით“, მაგრამ ბაღ-დათიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ კოპაძე ცოლ-შვილით „თავის არჩევით მოვნათლეთ“. სოლომონ მეფესთან დაპირისპირების გამო დავით აბაშიძეს გაყოლია ახალციხეში „ის კოპაძე ცოლ-შვილით და მეორედ უარყო ქრისტე და გათათრდა“ (ქიმ.873). ეს იყო უმთავრესი საფრთხე, რომელიც ქვეყანას ემუქრებოდა, გათავხედებული თავადების ოსმალეთთან კავშირი, რაც სარწმუნოების უარყოფაშიც აისახებოდა.

საეკლესიო კანონების მიხედვით ალექსანდრე ბატონიშვილის ქორწინება მიუღებელი იყო, რადგან სოლომონ მეფის მესამე მეუღ-ლე გულქანი ბერი წულუკიძის და იყო, ამიტომ ბუნებრივია ეკლესია ამ ქორწინების წინააღმდეგი წავიდა. ო. სოსელია თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ: „აბაშიძის ქალი მეფემ იმიტომ დაიწუნა, რომ ამ ქალის მამა 1778 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდა“ (ოსელია. 1973:188). ე.ი. სოლომონ მეფემ, როგორც აღვნიშნეთ ალექსანდრე

*მეფე ალექსანდრეს ჰყავდა კიდევ ქალიშვილი დარეჯანი, რომელიც ყოფილა გიორგი აბაშიძის მეუღლე და დედა დავით აბაშიძისა (ქიმ. 596). დავით აბაშიძე იყო სოლომონ მეფის სახლთუხუცესი და მისი ნათესავიც ყოფილა, მაგრამ მაინც განუდგა მას.

ბატონიშვილს პოლიტიკური მოსაზრებით გაჰყარა ევგენი აბაშიძის ქალიშვილი, რომლის სახელიც წყაროებში არ ჩანს. ვინაიდან სოლომონ მეფე ბერ წულუკიძესთან ძლიერ დაახლოებული იყო და მას ყველაფერში ენდობოდა, შესაძლოა სწორედ ამან გადაადგმევინა არასწორი ნაბიჯი, რამაც „უჯერო ქორწინება“ გამოიწვია. აღნიშნულ საკითხზე თავის ნაშრომში იმსჯელა ამბროსი ხელაიამ, ალექსანდრე ბატონიშვილის ქორწინების მსგავსად მას მოჰყავს მაგალითად გოირგი ლიპარტიანისა და გიორგი აბაშიძის ქალის თამარის ქორწინება, რომელსაც დიდი წინააღმდეგობა გამოუწვევია, რადგან მათ კავშირს იმერეთის კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე ეწინააღმდეგებოდა. თამარ აბაშიძე ლიპარტიანისაგან მირონცხებული ყოფილა, ბოლოს საქმესი თვით იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზი ჩარეულა და გრიგოლ კათალიკოსისათვის მოუწერია, რომ ნება დაერთო ამ ქორწინებისათვის. პატრიარქი დოსითეოზი ამართლებდა ამ ქორწინებას, რადგან „გიორგი ლიპარტიანს მარტო მირონი უცხია თამარისთვის და წყლით მომნათვლელი მას სხვა ჰყავდაო“. ამბროსი ხელაია ასახელებს მეცხრამეტე საუკუნის კიდევ ერთი შემთხვევას, როდესაც გრიგოლ დადიანმა პოლიტიკური მოსაზრებით თავისი ქალი მიათხოვა ბერი გელოვანის შვილს ტატოს. მათ შორის ყოფილა ნათესაობითი ხორციელი (მეოთხე ხარისხი) და სულიერი (მირონის) კავშირი, თუმცა სამეგრელოს სამღვდელოება წინ აღუდგა აღნიშნულ ქორწინებას: „ჩვენი ვალდებულებაა განმარტება, შეგონება, მხილება დარიგება ეკლესიის დადგენილებათა მიხედვით. რა სასარგებლო იქნება ჩვენთვის, თუ თქვენი ქალი დარჩება საძაგელი და უკანონო კავშირში“ (ამბროსი ხელაია.2011:60). ამ შემთხვევასთან ერთად მღვდელმთავრები ასახელებენ ალექსანდრე ბატონიშვილის ქორწინების ფაქტს: „განა ჩვენ არ ვიყავით, რომ იმერეთის მეფე სოლომონ პირველის ერთად ერთი შვილის გვამი არ დავმარხეთ წესისამებრ, რადგანაც ის იყო უჯერო ქორწინებაში და შეუნანებლად მიიცვალა, განა ჩვენმა ეკლესიამ არ დაადგინა არა ქრისტიანულად დასაფლავება მეფის ძმის არჩილისა, რომლის გვამი თვით მოსიყვარულე ძმამ, კათალიკოზ იოსებმა ურწმუნოებისათვის დაამარხვინა ეკლესიის გარე შეუფერებელ ადგილზე?“ (იქვე:61). ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქარ-

თველოში ადრეც და შემდგომშიც იყო შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური მოსაზრების გამო „უჯერო ქორწინებები“ ხდებოდა, თუმცა ეკლესია ასეთ ქორწინებებს არ იწყნარებდა და ყოველთვის მათ წინააღმდეგ გამოდიოდა. ალექსანდრე ბატონიშვილის გარდაცვალება კიდევ ერთი ტრაგედია იყო სოლომონ მეფის ცხოვრებაში, ვინაიდან ის იყო ტახტის ერთადერთი მემკვიდრე, მისმა გარდაცვალებამ სოლომონ მეფეს ახალი პრობლემები გაუჩინა.

მეფის მტრებისათვის ალექსანდრეს გარდაცვალება დიდად სასიხარულო ამბავი იყო, სოლომონ მეფეს კი ტახტის მომავალ მემკვიდრეზე უნდა ეზრუნა. დავით ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი დარეჯან წულუკიძეზე დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ გარდაცვლილა, ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ალექსანდრეს ქორწინება 1778 წლის შემოდგომაზე ან 1779 წელს უნდა მომხდარიყო. ვინაიდან იგი „1780 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა „(სოსელია.1973:188). როგორც ზემოთ ვთქვით ეს ქორწინება ეკლესიამ არაკანონიერად მიიჩნია და „კრულ ყვეს იგი განტევებისათვის ცოლისა და უჯეროისა ქორწინებისათვის“ (დავით ბატონიშვილი. 1905:27). სოლომონ მეფის სურვილის მიუხედავად მას არ მიეცა უფლება, ალექსანდრე ბატონიშვილი გელათში დაეკრძალათ (ალბათ წმ. მარინეს სახელობის ეკვდერში), თუმცა „სამღვდელოთა კრებათა არა აუფლეს მეფესა დამარხუა ძისა თვისისა, ვინათგან კრულ ჰყვეს იგი“ (იქვე:27). დავით ბატონიშვილის ცნობის მიხედვით ამ საკითხზე გამართულა საეკლესიო კრება, რომელსაც სავარაუდოდ სოლომონიც უნდა დსწრებოდა, სოლომონ მეფე ბევრს ევედრა ეპისკოპოსთა, რათა ალექსანდრე გელათში დაეკრძალათ „გარნა არა უსმინეს მას და ერთისა მღვდლის წინ გაძღოლითა დაფლეს იგი გარეგან ეკლესიისა“, ე.ი. ალექსანდრე ბატონიშვილი დაუკრძალავთ გელათის ტაძრის გარეთ, საკმაოდ მოკრძალებულად ერთი მღვდლის წინგაძღოლით, ალექსანდრე დაკრძალული უნდა იყოს გელათის მონასტრის ეზოში. ალექსანდრეს დაკრძალვის გამო სოლომონ მეფესა და კათალიკოს მაქსიმე აბაშიძეს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. ალექსანდრე ბატონიშვილს დარჩა შვილი გიორგი (გოგია) დარეჯან წულუკიძიდან, რომელსაც დაწერილი აქვს „შემთხვევანი იმერთა მეფის

სოლომონის ძის ძისა გიორგი ალექსანდრესისა“. ამ ავტორისეულ თავგადასავალს დართული აქვს ამავე გიორგის ლექსი: „მოგენდე მარად მტირალი, მოშორებისთვის წყლულია“ (ქართულ ხელნ.აღწ. I.1959:353).

თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში აღსანიშნავია სოლომონის გააქტიურება საგარეო მიმართულებით. 1779 წელს სოლომონ მეფემ წერილი გაუგზავნა რომის პაპ პიო მეექვსეს და დახმარება სთხოვა მას. „მათს უწმინდესობას პიო მეექვსეს ... სრულიად იმერეთის მეფე სოლომონ წმინდის მარჯვენა ხელს მთხვენას მოვახსენებთ. ვიკითხავთ მათს უწმინდესობის მშვიდობის ამბავს, ვითხოვთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესაგან გვეუწყოს... ჩვენი ქვეყანა ბრძოლით ურჯულოთაგან დიაღ შევიწროებულია, რათა მოხედოთ“ (მოამბე. 1904:29). დახმარების გარდა იმერთა მეფე პაპისაგან ორი კარგი ექიმის გამოგზავნასაც ითხოვდა: „გვიწყალობოთ ყოვლის სნეულების მკურნალობით სრულ იყოს, თავისი წამლებითა და რიგით, სტომაქის სნეულების, თიაქარის ჩამოსულის, თუ ჩამოუსვლელის“. მეფემ პაპისაგან მხოლოდ ლოცვა–კურთხევა მიიღო, ჩამოვიდნენ თუ არა ექიმები საქართველოში, უცნობია, სავარაუდოდ, ისინი არ ჩამოსულან. შესაძლოა სოლომონ მეფე პირადი საჭიროებისთვისაც ითხოვდა ექიმების. სოლომონმა ასევე ვერ მიიღო დახმარება რუსეთისაგან, როდესაც 1781 და 1782 წლებში ორჯერ მიმართა რუსეთის მთავრობას, თხოვნით რათა თურქეთის აგრესიისაგან დაეცვათ იმერეთი (რეხვიაშვილი. 1989:271). აღნიშნულ თხოვნებს შედეგი არ მოჰყოლია.

რუხის ომი. სოლომონ მეფის სახელოვან ბრძოლებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რუხის ომი, რომელიც 1779 წლის ბოლოს გაიმართა. ოდიშის მთავარს ოსმალეთის წაქეზებით აფხაზეთიდან საფრთხე დაემუქრა. მიუხედავად იმისა, რომ კაცია დადიანი მუდმივად მტრობდა სოლომონს, მეფემ გაითვალისწინა კაციას თხოვნა და დაეხმარა. აფხაზეთის ნაწილი სამურზაყანო ოდიშის მთავარს ექვემდებარებოდა, თუმცა ის განუდგა მთავარს და შეუერთდნენ აფხაზეთის მთავარ ზურაბ, ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა და ბექირ-ბეგს, რომელთაც ნიკო დადიანის ცნობით „შეკრიბნეს ჯიქნი, ალანნი, ზუხუა და მაზუმაი და წარმოემართნენ დადიანსა ზედა“

(დადიანი.1962:180). რუხის ომზე სპეციალური მიმართვა დაწერა პოეტმა ბესიკმა, იგი ამ ომის თვითმხილველი იყო და მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის. ბესიკის ცნობით მტერი „ექვსი გვარნი ექვს ენითა ერთხმაობდნენ ბევრის-ბევრად“, მტრის შემადგენლობა ასეთი იყო: ყირიმელი თათრები, ჯიქები, ალანები, ყუმურდოელები, ყივჩაღები (ბალყარელები) და აფხაზები. კაცია დადიანმა როგორც ვთქვით დახმარება სოლომონ მეფეს სთხოვა: „მოვიდნენ აგარიანნი დასამხობელად ჩემდა და სამფლობელოისა ჩემისა და შებღალვად ქრისტიანობისა და ნუ მოიხსენებ ჩვენ ორთა ურთიერთსა წყენებასა“ (იქვე:180). დადიანმა ასევე თავისი დამსახურება შეახსენა სოლომონ მეფეს „მსახურება ჩემი ხრესილის ბრძოლასა“. სოლომონ მეფემ საქ-ვეყნო საქმე დააყენა უფრო მაღლა და დადიანის წერილის წა-კითხვისთანავე შეკრიბა თავისი ჯარი და ჩავიდა სამეგრელოში. სოლომონ მეფე თავისი ჯარით მდინარე ენგურთან დაბანაკებულა დადიანის გვერდით, სადაც მოსულა ასევე სამ დასად დაწყობილი მტრის ჯარი, რომელთაც სარდლობდნენ; „სამთა რაზმთა სამნი ძმანი უძღვინ: ზურაბ, ქელეშ, ლევან, მოყმედ კარგი ძმა მეოთხე გარს ურბენდის ბექირ-მხნევან“ (ბესიკი.1921:31). ბრძოლა დაწყებულა მეორე დღეს, ზარბაზნებით აღჭურვილი აფხაზთა და ჩრდილო კავკასიელთა მრავალათასიანმა არმიამ სოლომონსა და დადიანის ჯარს შეუტია. ერთ-ერთი იმდროინდელი სგელიც ამოწმებს მტრის სიმრავლეს: „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისის ბატონებით, შარვაშიძით, ჯიქი, ალალი და ჩერქეზი სხვანი კიდევ უცხო ჯარები იყო ესენი ერთად შეყრილი. ცხენოსანი და ქვეით. დიდი ჯარები იყო. ჯაბახანით თოფხანით, ზარბაზნებით, ოდიში სრულიად უნდა მოეოხრებინათ“ (ს.ც.ს.ა. ფ.1457.ს.№ 16). „შეიქმნა საშინელი ბრძო-ლანი“, რის გამოც ბრძოლაში უშუალოდ სოლომონ მეფე ჩართულა - „ამხედრდა ჩვეულითა კისკასითა გულითა და წარუძღვა რა-მოდენსამე გუნდსა მხედრობასა იმერთ-ოდიშართასა და მიუხთა მარჯვენით კერძო მამაცად და მრავლისა ურთიერთისა ბრძოლისა განგლიჯა რაზმი“ (დადიანი. 1962: 180). სოლომონის რაზმი მტრის ჯარის მარჯვენა ფლანგის შუაგულში შეჭრილა, რასაც აფხაზთა ჯარ-ში არევ-დარევა და მათი გაქცევა გამოუწვევია. მეფე სოლომონის გმირულ ბრძოლაზე საუბრობს ბესიკიც, რომლის ცნობით მტერი

გაკვირვებული ყოფილა მეფის ბრძოლის ველზე ნახვით და მისი გმირული ბრძოლით; „თუცა დგა და უწყლად ხოცდის, არა ჰქონდა შიში, რიდია... მისდევს და მისრავს, სად ნახის, მტერი ჰყვა ვერას მაგე რა“! (ბესიკი.1921:33). ერთი ძველი გადმოცემით სოლომონ მეფეს დურბინდით მოუძებნია ბექირ-ბეი და ისინი ერთმანეთის პირისპირ წარმდგარან ცხენზე ამხედრებული, თუმცა მათ ერთმანეთისთვის არაფერი უვნიათ. ბრძოლის შემდეგ სოლომონ მეფეს უბრძანებია - „არასოდეს შემხვედრია ბექირ-ბეისთანა ვაჟკაცი, საუცხოვოთ მომეწონა და მომესურვა მისი დაახლოვება და სამშობლოსათვის გამოყენება. ვიფიქრე, დღეს თუ სამშობლოს ჭირისუფალთ ხელს უშლის, ხვალ იმავ სამშობლოსვე გამოადგება. ამიტომაც შემებრალა მისი სიყრმე და ვეღარ გავიმეტე გასაფუჭებლადო“ (ძველი საქართველო. 1913: 44). მტერთან ბრძოლის დროსაც კი არ კარგავდა სოლომონ მეფე თავის ღირსებებს, ახალგაზრდა მოწინააღმდეგესაც უღიარებია მეფის ავტორიტეტი, როცა იგი აღნიშნავდა, რომ: „უფროს უმცროსობის რიგისამებრ, ჯერ მისგან ველოდი ხმლის პირველს მოქნევას... არც მან ინება შემოტევება და მეც ისე გამღალა თვალით, რომ აზრადაც არ მომსვლია პირიქით შემებედა“. ეს ცნობები გრიგოლ მიხეილის ძე შარვაშიძის მიერ ყოფილა მოთხრობილი და მართლაც იწვევს ინტერესს. რუხის ბრძოლაში მრავალი აფხაზი და ჩრდილო კავკასიელი დაღუპულა, გამარჯვებულებს მრავალი ტყვე წამოუყვანიათ ბრძოლის ველიდან. რუხის ომში გამარჯვებით სოლომონ მეფემ შეაჩერა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან მომდინარე საფრთხე და ალაგმა შარვაშიძეთა თავხედობა, ამასთანავე მათი დამარცხებით სამეგრელოს სამთავროც გადაურჩა განადგურებას.

რუხის ომში მოპოვებულ ზარბაზნებზე შემდეგი ასომთავრული წარწერა ამოუკვეთინებია სოლომონ მეფეს: „ჩვენ ყოვლისა საიმერეთოისა მეფე სოლომონ დავითიანი, ზუგდიდს რომ აფხაზთ, ჯიქთ და ალანთ შევებენით, მაშინ ვსძლეთ ათორმეტ ათას ჯარს და ეს ზარბაზანი და მეორე ამისი ტოლი ზარბაზანი, მისის ჯარებიანად გაწყობილი ჩემს ხელთ ვიშოვნე და მოდინახეს ციხეს უძღვანე. აღიწერა მარტს 20. წელსა 1780“ (ბურჯანაძე. 1961: 136). წარწერა ასევე ცნობას გვაწვდის მტრის რაოდენობის შესახებ, სოლომონ მეფის მიხედვით მტრის რაოდენობა 12 ათასი მებრძოლი ყოფილა.

აღნიშნული ზარბაზნები ამჟამად ქუთაისის მუზეუმშია დაცული, მათი ფოტო კი წიგნის დანართშია წარმოდგენილი. ომში წარმატების შემდეგ სოლომონსა და კაცია დადიანს შორის მშვიდობა ჩამოვარდნილა. რამდენიმე ხნის შემდეგ სოლომონ მეფე სალხინოში ჩასულა და კაცია დადიანის ქალიშვილი მარიამი მოუნათლავს. დიდი ლხინის შემდეგ სოლომონ მეფე მრავალი საჩუქრით დაბრუნებულა ქუთაისში. ეს ფაქტიც კარგად მოწმობს მეფისა და მთავრის დადებით ურთიერთობაზე, რაც რუხის ბრძოლაში მიღწეულმა წარმატებამ მოიტანა, ამ ომში გამარჯვება სოლომონ მეფის დახმარებამ და მისმა ბრძოლაში უშუალო ჩართვამ განაპირობა. სწორედ მარიამ დადიანი გახდება შემდგომში სოლომონ მეფის ძმიშვილისა და მემკვიდრის სოლომონ მეორის მეუღლე, რომელსაც მეტად მძიმე ხვედრი ერგო.

ჩაქვის ომი. დასავლეთ საქართველოს ძლევამოსილმა მმართველმა, თავისი ბოლო ლაშქრობა ქვემო გურიასა და აჭარას დაუკავშირა. იგი შეეცადა ამ მხარეში თურქული ზეგავლენა შეემცირებინა. ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში კვლავ ქართველთა ორგულობამ იჩინა თავი, მიუხედავად გასაიდუმლოებული სამხედრო ღონისძიებისა, სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანს ლაშქრობის გეგმა შეუტყვია და ფოთის ფაშასათვის უცნობებია. „თურქოფილ“ გიორგი გურიელსაც თავის მხრივ „შეუტანია წვლილი“ ამ საქმეში. სოლომონ მეფეს თავის 6000 კაციანი ჯარით გაუთავისუფლებია ქობულეთი, იმერლებს დაუნგრევიათ ქობულეთის ციხე–სიმაგრე, მეფის ბრძანებით გაუჟლეტიათ ჩამოსახლებული თურქები, ნაქალაქარი კი გადაუხნიათ და მარილი მოუყრიათ (რეხვიაშვილი.1989:277). დავით ბატონიშვილის ცნობით, დადიანმა აუწყა ოსმალებს სოლომონის ლაშქრობის შესახებ. ქობულეთის შემდეგ სოლომონს ჩაქვიც გაუთავისუფლებია. „ჩასრულსა ჩაგვს მეფესა, რომელმანცა მოაოხრა და წარტყვევნა ჩაგვი იგი, უკუნქცეულსა შეუკრნეს ოსმალთა ვიწრონი იგი გზანი, რომელიცა არს ადგილი ესე ფრიად მაგარი ჯანგლიანი და იწრო, კლდიანი და ეგრეთვე უღალატა მეფესაცა გურიელმან და მანაც შეუკრა უკანით გზანი“ (დავით ბატონიშვილი. 1905: 28). ოსმალებს ჩასაფრება მოუწყვიათ 9 მარტს ციხისძირთან, ნაჭიშკრევის ვიწრო

გამოსასვლელში. ღალატის გამო სოლომონ მეფე დამარცხდა „იძლივნენ იმერნი მუნ და მოსწყდნენ მრავალნი თავადნი და აზნაურნი და გლეხნი, რომელ ძლივღა განერენ მცირედნიღა და დაიკოდა ამა ბრძოლასა შინა წერეთელი პაპუნა და ძლითღა განერა მეფეც მათგან“. ოსმალთა და ბათუმელ–ჩაქველთა ჯარმა მოღალატე დადიან გურიელის შემწეობით იმერთა ლაშქარს საკმაო ზიანი მიაყენეს, ამ ბრძოლაში სოლომონს 600 კაცი დაუკარგავს, 200 კაცი კი ტყვედ წაუყვანიათ, 18 დიდკაცი დაღუპულა, ტყვეები სტამბოლს გაურეკიათ (ბერძენიშვილი. 1967: 171). წარმატებულად დაწყებული სამხედრო ოპრაცია, უფრო შედეგიანი იქნებოდა, რომ არა მთავართა ღალატი. სოლომონ მეფემ სწორი მოქმედებით კიდევ ორი დასაყრდენი მოუშალა ოსმალებს ქობულეთსა და ჩაქვში, ეს კი მიუღებელი იყო როგორც ოსმალეთისათვის ასევე ოდიშისა და გურიის რეაქციონერი მთავრებისათვის. სოლომონ მეფის კიდევ უფრო გაძლიერებას ისინი საფრთხედ აღიქვამდნენ, მათთვის მიუღებელი იყო დასავლურ ქართული სახელმწიფოს სიძლიერე, სადაც აღარ იქნებოდა ტყვეთა სყიდვა და ქართული წეს–კანონები იმოქმედებდა, რომლის მიხედვითაც მათ იმერეთის მეფის უზენაესი ხელისუფლება უნდა ეღიარებინათ.

სოლომონ მეფის სურვილი იყო 1780-იან წლებში ფოთისა და ბათუმის ციხეების დაკავება იყო. 1781 წელს გაილაშქრა აჭარაზე.1783 წელს განმეორდა ლაშქრობა აჭარაში. დახოცა მდინარე კინტრიშზე ჩამოსახლებული თურქები და ქურთები. ამით მან ლახვარი ჩასცა თურქეთის წამოწყებას ჩამოესახლებინა მაჰმადიანები აჭარა-გურიაში და გაეთურქებინა ადგილობრივი მოსახლეობა (ბურჯანაძე. 1961: 136). სოლომონ მეფემ იმერეთიდან ოსმალების გაძევების შემდეგ მიზნად დაისახა ოსმალები აჭარა-გურიიდანაც გაეძევებინა, რაც კიდევ ერთი დიდი ეროვნული საქმე იყო, სამწუხაროდ ამ საქმეშიც თავი იჩინა მთავართა ორგულობამ და მეფის გვერდით დგომის ნაცვლად ოსმალეთთან განაგრძეს მოკავშირეობა. ამით დადიანმა და გურიელმა საერთო ქართულ საქმეს დიდი ზიანი მიაყენეს, სოლომონ მეფემ თავგანწირვის ფასად ოსმალებს დასაყრდენი მოუშალა ძირძველ ქართულ მხარეში. სოლომონ მეფის მიერ წარმოებულ ეროვნულ–განმანთავისუფლებელ ბრძოლას

ყოველთვის აფერხებდა გადაგვარებულ დიდგვაროვანთა ანტი-სახელმწიფოებრივი მოქმედებები დიდ ზიანს აყენებდა საერთო ქართულ ეროვნულ საქმეს. დადიანმა და გურიელმა კიდევ ერთხელ უღალატეს სოლომონ მეფეს, რის გამოც რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპა, ამ ქმედებით მთავრებს არაფერი მომატებიათ, პირიქით იმდროინდელმა წყაროებმა კარგად შემოინახეს ცნობა მათი ღალატის შესახებ. ასეთი მოქმედებები მუდმივი პრობლემა იყო გვიან შუასაუკუნეების საქართველოში. სოლომონ მეფეს გამეფებიდან გარდაცვალებამდე უწევდა ბრძოლა მოღალატე თავადებთან, რომლებიც დიდი სიამოვნებით თანამშრომლობდნენ მტერთან, ოღონდ სოლომონის დაწყებული საქმე შეეჩერებინათ. მეფის დამარცხებით ისინიც დამარცხებულნი ყვნენ, დამარცხებული იყო ასევე ქართული სახელმწიფოც. საუბედუროდ ამგვარი აზროვნება და ანტი-სახელმწიფოებრივი ქმედებები არც სოლომონის მემკვიდრეთა ეპოქაში და მის შემდეგაც არაერთხელ გამოვლინდა. არც თანამედროვე ეპოქაშია უცხო ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება, რაც მრავალ პრობლემას ქმნის. ამ მიმართულებით მომავალში მიზანმიმართული კვლევა–ძიება უნდა განხორციელდეს, რათა კონკრეტულად იქნეს განსაზღვრული და დადგენილი ის პრობლემები რამაც შეაფერხა ქართული სახელმწიფო, რიგ შემთხვევებში კი კრიტიკულ სიტუაციაში ჩააყენა, რადგან შესაძლო იყო დასავლეთ საქართველო მთლიანად გამაჰმადიანებულიყო და ოსმალეთის რიგით პროვინციად გადაქცეულიყო.

ჩაქვის ბრძოლაში განცდილ მარცხს მძიმედ უმოქმედია სოლომონ მეფეზე. დაუსრულებელმა განსაცდელებმა, ტრაგედიებმა, ბრძოლებმა და შეთქმულებებმა საბოლოოდ მეფის ჯანმრთელობა შელახა. 1775 წელს სოლომონ მეფეს გარდაეცვალა ძმა არჩილ ბატონიშვილი, მომდევნო 1776 წელს მეფეს ახალგაზრდა ძმა და თანამოაზრე იოსებ კათალიკოსიც გარდაეცვალა მოულოდნელად. 1778 წელს მან დაკარგა საყვარელი მეუღლე მარიამ დადიანი, ხოლო 1780 წელს გარდაიცვალა ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი. უახლოესი ადამიანებისა და ბოლოს ჩაქვის ბრძოლაში განცდილმა მარცხმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეფე სიკვდილის პირას მიიყვანა. ჩვენი ვარაუდით სოლომონ მეფეს რა-

ღაც დაავადება აწუხებდა, რადგან, იგი 1779 წელს ექიმების გამოგზავნას ითხოვდა რომის პაპისაგან, ხოლო 1782 წელს როცა სოლომონ მეფე რუსეთის მთავრობამ წმინდა ანდრია პირველ–წოდებულის ორდენით დააჯილდოვა, მეფეს რუსეთიდან ექიმი ნიკოლოზ ფონ ვიტენბერგი გამოუგზავნეს, რომელიც იმერეთში დარჩენილა, როგორც სამეფო ექიმი (Бутков.1869:118). გერმანული წარმომავლობის რუსი ექიმი აღნიშნავდა, რომ გარდაცვალებამდე სოლომონი ბევრ ღვინოს მოიხმარდა, რის გამოც ის (მეფე) მალე გარდაიცვალა. მაგრამ იგი მეორე შემთხვევაში სოლომონის გარდაცვალების სულ სხვა მიზეზზე საუბრობს. დღემდე დამკვიდ-რებული გადმოცემით, სოლომონ მეფე, ხონის ტაძარში მიმავალი გიორგობის დღესასწაულზე, ცხენიდან გადმოვარდნილა და გარდაცვლილა. თუმცა წყაროებით ეს ფაქტი არ დასტურდება. ქართველ ბაგრატიონთა შორის ერთ–ერთი გამორჩეული მეფე 49 წლის ასაკში გარდაიცვალა მოულო დნელად. მისი თანამედროვენი გარკვევით აღნიშნავენ, რომ სოლომონ მეფე ჩაქვში - ნაჭიშკრევთან ბრძოლაში განცდილი მარცხის გამო დარდს გადაჰყვა. დავით ბატო-ნიშვილის ცნობით: „მოსრულსა მეფესა მწუხარებითა ამით დაეცა დამბლა და გარდაიცვალა მსწრაფლ ქუთაისს თვესსა აპრილსა 23“ (დავით ბატონიშვილი. 1905:28). ნიკო დადიანის ცნობით კი სოლომონ მეფე 23 აპრილს წმინდა გიორგის დღესასწაულზე „ჩვეულება აქვსთ და დილას რა აღემზადა, მოგვარეს ცხენი შესაჯ-დომად. მაშინ ანაზდად მოულოდებელითა სიკვდილითა გარდაიცვალა წელს 1784 და დაფლეს გელათს“ (დადიანი. 1962:181). ბაგრატ ბატონიშვილიც ადასტურებს მეფის ქუთაისში გარდა-ცვალებას და უშუალო მიზეზად ნაჭიშკრევის მარცხით გამოწვეულ ელდას ასახელებს. მეფის ქუთაისში გარდაცვალებას ადასტურებს მისი პირადი ექიმი ვიტენბერგი, რომელიც 1784 წლის 25 აპრილს წერილს უგზავნის გენერალ პოტიომკინს სადაც აღნიშნავს: „წმინდა გიორგობის დღესასწაულზე 23 აპრილს, დილით ის ადგა ჯანმრთე-ლი. ნაშუადღევის ორ საათზე ლოცვის დამთავრების შემდეგ შესდგომია ჩაცმას, ერთი წინდა ჩაუცვამს ნახევრად, როცა უცებ დაუკარგავს მეტყველება და დაცემულა. ამ დროს სოლომონთან იმყოფებოდა ექიმი ვიტენბერგი, რომელსაც მიუღია ზომები მეფის

გადასარჩენად, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია, მეფე გარდაცვლილა“ (Дубровин. 1886: 59). ე.ი. სოლომონ მეფე მსახურების შემდეგ შუადღის ორ საათზე, ჩაცმის დროს გარდაცვლილა მოულოდნელად. შესაძლებელია ეს გამოწვეული ყოფილიყო ინსულტის შეტევით, როგორც ვიტენბერგი აღნიშნავს „აპოპლექსური დარტყმა“. თუმცა კონკრეტულად რა იყო სიკვდილის მიზეზი რთული სათქმელია. სოლომონ მეფე თავისი სურვილის შესაბამისად დაუკრძალავთ გელათის მთავარ სამეფო ტაძარში, რაც მის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემაზე მეტყველებს. ამის შესახებ ვრცელ განმარტებას გვაძლევს გელათის გულანი: „ქკს: უობ (1784): მეფე სრულიად იმერთა ბაგრატიონი სოლომონ ოდეს აღმოცისკრდა აგარიანთა მიერ მინძლავრებულისა ქვეყანასა ჩვენსა, სად ასახელნა ზენასა (?) და შემუსვრელმან თათარ ოსმალთამან, აღმოფხვრა ძირითურთ ციხე–სიმაგრენი მათნი და მეორედ მაშენებელ ექმნა ქვეყანასა და წმინდანი ესე ეკლესიანი აღაყვავილნა, დაამშვიდნა .... გუფინა ყოველთა რომელ არა ოდეს ყოფილიყო... ესოდენი ღვაწლი თავს იდვა თვის“ (ქრონიკები.1967: 382).

ვფიქრობთ სოლომონ მეფის მოღვაწეობის შეფასება თანამედროვეთა მიერ ძალზე რეალურია და მოკლედ გადმოგვცემს მეფის ღვაწლს. სწორედ სოლომონის უდიდესი დამსახურების გამო, იგი დაკრძალეს გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარ ტაძარში : „ამისთვისცა დამარხეს პირველს ამ.... ერ შინა, რომელ არაოდეს ემარხნენ მეფეთაგანნი ვინმე და არცა მარხვად არს თვინიერ ამისსა“. გელათის მთავარ ტაძარში სოლომონ მეფემდე არცერთი ქართველი მეფე არ დაუკრძალავთ, მანამდე მეფეები ეკვდერებში იკრძალებოდნენ. საგულისხმოა ერთი ძველი ხელნაწერის (S ფ. №252) მარჯვენა არშიაზე მინაწერი; „აქა მიიცვალა ქრისტიანობის ნათელი მეფე სოლომონ“ (იქვე:382). ალბათ ეს ეპითეტი ყველაზე კარგი შეფასებაა მრავალმოღვაწე მეფისა. სოლომონ მეფე გარდაცვლილა სამშაბათს, 23 აპრილს, მისი დაკრძალვა უნდა მომხდარიყო იმავე კვირაში, შესაძლოა, შაბათ დღეს 27 აპრილს. საეკლესიო რიტუალი კი უნდა აღესრულებინა ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოს წერეთელსა და გაენათელ მიტროპოლიტ ექვთიმე შარვაშიძეს, რადგან ამ დროისათვის კათალიკოსი მაქსიმე

იმერეთში არ იმყოფებოდა. მეფე დაკრძალეს მთავარი ტაძრის სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში. სოლომონ მეფის საფლავის ქვას შემდეგი წარწერა ამშვენებს: „აქა განისვენებს იმერეთის მეფის დიდის სოლომონის გვამი. დაიბადა 1735 წელს და მიიცვალა 23 აპრილს 1782 წელსა, ჰყავდა ერთი ვაჟი ალექსანდრე და ორი ასული მარიამ მეუღლე ქსნის ერისთავის ელიზბარისა და დარეჯან მეუღლე თ. ქაიხოსრო აბაშიძისა“. წარწერა გვიანაა შესრულებული, მასში აშკარა შეცდომაა დაშვებული და სოლომონის გარდაცვალების წლად არა 1784 არამედ 1782 წელია მითითებული. შ. ბურჯანაძის აზრით ეს ეპიტაფია შესაძლებელია არ არსებობდა არც 1840–იან წლებამდე, როცა გელათი მურავიოვმა ნახა და სოლომონის საფლავის ქვის შესახებ არაფერს ამბობს. ეს აზრი რეალობას არ უნდა იყოს მოკლებული და ცოტა გაუგებარიცაა, იმდროინდელმა საზოგადოებამ დაკრძალვის შემდეგ რატომ არ გაუკეთა შესაფერისი ქვა წარწერით. მეფის გარდაცვალების შემდეგ გულქან დედოფალს სოლომონის სულის საოხად გელათის ტაძრისათვის ვერცხლის კანდელი შეუწირავს. „ქ. კნინმან მიწა მხევალმან შენმან დიდ სახელოვანის სრულიად აფხაზეთის მეფეთ–მეფის სოლომონ დავითიანის ცხედრეულ–ყოფილმან წულუკიძის ასულმან დედოფალმან გულქან შემოგწირე კანდელი ვეცხლისა ცათა მობაძავისა გენათის გუმბათს. მაცხოვარო რათა მიანიჭო ზენაის დიდება ცხედრეულსა ჩემსა და მეცა მხევალი შენი შემიწყალო“ (Церетели. 1891:16). გულქან დედოფალი მეუღლის სულის მოსახსენიებლად ჭელიშის მონასტერსაც წირავს საეკლესიო ჭურჭელს: „ქ დედოფალმან წულუკიძის ასულმან გულქან შევსწირე უდაბნოს ჭელიშის ღვთისმშობელს ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი მეფე სოლომონის სულის სახსრად და შესანდობლად და ჩემდა მოსახსენებლად წელიწადში ერთ დღეს სულთას. ერთი მღვდელმონაზონი მეფეს უწირავდეს. ამინ“ (ამბროსი ხელაია. 2011:33). გულქან დეოფალს გარდაცვალებამდე არ შეუწყვეტია ზრუნვა თავისი სახელოვანი ქმრის სულის საოხად. სოლომონ მეფის გარდაცვალებაზე საკმაოდ მოზრდილი ცნობაა გელათის 1541 წლის ცნობილ გულანზე: „მეფე სულით კურთხეული, ძე აქა მდებარისა მეფისა ალექსანდრესი, სოლომონ მეფე და მეფეთა მეფე მიიცვალა ქუთაისს თვესა აპრილსა ოცდამესამესა, ჟამ-

სა მესამესა დღისასა, დღესა სამშაბათსა, განხორციელებითგან ღვთისა ათას შვიდას ოთხმოცდა ოთხსა და დაფლეს ამას დიდსა საყდარსა მარცხენით კერძო“ (ქუთ. მუზ. ხელ. აღწ.II. 1964:226). გელათის გულანის აღნიშნული ცნობა ძალზე ფასეულია და კიდევ ერთხელ ადასტურებს სოლომონის გარდაცვალებას ქუთაისში სამშაბათ დღეს.

სოლომონ მეფის სიკვდილით გამოწვეული მწუხარება და დიდი გულისტკივილია გამოთქმული 1784 წლის 1 მაისის წერილში, რომელიც იმერელ დიდებულებს გაუგზავნიათ პოტიომკინისათვის. „ჩვენ ყოვლითურთ განწირულებით სიკვდილად მიწევნულნი ყოველნი ესე საიმერეთოს მკვიდრნი, სამღვდელონი და საერონი, დიდნი და მცირენი, ესოდენნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, მწარითა და მოუთმენელთა მწუხარებითა... ჩვენისა სახელოანის სოლომონის აღსრულებასა და მიწას მიღებას განგიცხადებთ“ (ბურჯანაძე. 1948: 246). ამ წერილის მიხედვით, იმერელი დიდებულები დიდ მწუხარებაში არიან დიდი მეფის გარდაცვალების გამო, თუმცა ისინი სოლომონის მემკვიდრეთა შორის დავით გიორგის ძის ტახტზე აყვანას ითხოვენ. აღსანიშნავია, რომ სოლომონ მეფეს მემკვიდრედ თავისი ძმისშვილი დავით არჩილის ძე უთხოვნია, რასაც მოწმობს ერეკლე მეფის 1784 წლის 8 მაისის წერილი გ. პოტიომკინისადმი. „როდესაც ჩვენი შვილიშვილი დავით არჩილის ძე თავის ბიძისაგან თავისი მამულიდამ გამოხმული შეიქმნა და ციხეებიც დაექცია, აქ ჩვენთან გვყვანდა და ჩვენ ვზრდიდით, ამისთვის ჩვენსა და მეფე სოლომონს შორის სამდურავიც იყო. მაგრამ რადგან უმაღლესმა კარმა ჩემი და მეფის სოლომონის მშვიდობა ინება, მეც დავმორჩილდი. თავისი ძმისწული თავის მემკვიდრედ ჩემთვისაც ეთხოვნა“ (მაჭარაძე. 1968:99).

სოლომონ მეფის სურვილის აღსრულება ეტყობა ერეკლე მეფესაც სურდა, რადგან იმავე წლის 12 მაისს იგი ბურნაშოვს სწერდა მეორე წერილს, სადაც აღნიშნავდა, რომ: „სოლომონ მეფემ ჩემი შვილიშვილი მემკვიდრედ მთხოვა, მაგრამ ისე უეცრად გარდაიცვალა, რომ მისი მემკვიდრედ გამოცხადება ვერ მოასწრო“. სოლომონ მეფის სურვილი ყოფილა, რომ ტახტზე ასულიყო მისი ძმიშვილი, რომელიც ამ დროს კახეთში იზრდებოდა, ვინაიდან დედამისი ელენე მეორედ

იყო გათხოვილი ქიზიყის მოურავ ანდრონიკაშვილზე. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით კი დავით გიორგის ძის იმერეთში გამეფება სოლომონის სურვილი არ ყოფილა. „როცა სოლომონ მეფემ საქართველოდან დამიბარა, მან დავით გიორგის ძეს მისცა წერილი და უთხრა, რომ ამის მეტი იმერეთში შენ მონაწილეობა არ გაქვსო. მე მის შვილად და მემკვიდრედ ვიყავი აყვანილი, მაგრამ სოლომონი სამწუხაროდ უცბად გარდაიცვალა და ჩემი მცირეწლოვანობის გამო მეფედ დავით გიორგის ძე ამოირჩიეს, მხოლოდ პირობა დადვა ფიცის ქვეშ, რომ იმერეთში მონაწილეობა მექნებოდა“ (ბაგრატ ბატონიშვილი. 1941: 58). სოლომონის გარდაცვალებისთანავე დავით გიორგის ძე სასწრაფო წესით გაუმეფებიათ მის მომხრეებს იმერეთში. იმერეთში ყველაზე გავლენიანი თავადების სარდალ პაპუნა წერეთლის, ბოქაულთუხუცეს ბერ წულუკიძის და ოდიშის მთავარ კაცია დადიანის ხელშეწყობით (რეხვიაშვილი. 1989: 281). დავით გიორგის ძის იმერეთის ტახტზე აყვანით დაირღვა სოლომონ მეფის ანდერძი, ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს სოლომონთან ყველაზე დაახლოებულმა ადამიანებმა პაპუნა წერეთელმა და მისმა ცოლისძმამ ბერი წულუკიძემ. სოლომონ მეფის გარდაცვალების მეოთხე დღეს 24 აპრილს იმერეთის ახალმა მეფემ ფეოდალების წინაშე ფორმალურად ფიცი მიიღო. ამ ფიცის მიხედვით რომელიც შედგენილი იყო „მეფის სოლომონის ანდერძის მსგავსად“. ახალმა მეფემ დაპირება გამოთქვა იმ მუხლის შესრულება-ზეც, რომელიც სოლომონის დაკარგულ ანდერძში მცირეწლოვან ბატონიშვილებს ეხებოდათ. მეფე დავით გიორგის ძე ამბობდა: „დავით და გიორგი ჭეშმარიტის მამაშვილურის სიყვარულით ჩვენთან განუშორებლად უზაკველად“ (ბურჯანაძე. 1960: 82). სოლომონ მეფეს ანდერძში დაბარებული ჰქონდა ეზრუნათ თავის ძმიშვილზე დავით არჩილის ძეზე და საკუთარ შვილიშვილზე გიორგი ალექსანდრეს ძეზე. თუმცა ტახტზე ასულ დავით გიორგის ძეს პირობა არ შეუსრულებია. დავით გიორგის ძის იმერეთის ტახტზე აყვანით დაირღვა სოლომონ მეფის ანდერძი. ისტორიკოსი შ. ბურჯანაძე მიიჩნევდა, რომ სოლომონის გარდაცვალების შემდეგ განადგურებული იქნა მისი ანდერძი და მის მაგივრად შეიქმნა ყალბი ანდერძი. ეს მოსაზრება სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს, რადგან ანდერძი რომელიც სოლომონ მეფის გარდა-

ცვალებიდან მესამე დღეს 1784 წლის 26 აპრილს იქნა შედგენილი ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა. „ქ. რაც ჩვენის ბატონის, კურთხეულის მეფის სოლომონისაგან მისის ოფლით და სისხლით ნაშოვნი და შემატებული ქვეყნები არის, ესენი არაოდეს ჩვენგან სხუათ აღარ მიეცეს, სხვათა სამთავროდ აღარ გაიცეს და თუ მიეცეს ვისმე ჩვენისავე ქვეყნის ერთგულს... ქ. უკანასკნელი ანდერძი და ნება რომელიც რომ ჩვენმა ბატონმა მეფე სოლომონ განიზრახა და ქვეყნის სამჯობინრად მისი თავი ოჯახი და ქვეყანა შეავედრა ყ–დ მოწყალის რუსეთის ხელმწიფეს ყოვლის მისის სამღვდელოთა და საეროთა ბეჭდებით“(ქიმ. № 327). აღნიშნული სიგელით დასტურდება სოლომონ მეფის ანდერძის არსებობა, ანდერძი დამოწმებული ყოფილა სამღვდელოთა და საეროთა ბეჭდებით. შ. ბურჯანაძის შენიშვნით ანდერძის დაწერის დროს წინ ედოთ სოლომონ მეფის წერილობითი ანდერძი, რომელშიც მეფე თავის მემკვიდრედ დავით არჩილის ძეს ნიშნავდა და ავალებდა მას იმ პოლიტიკის გზაზე დგომას, რომელსაც თვითონ ანხორციელებდა. ეს იქედან ჩანს, რომ სიგელის პირველ აბზაცში უცნობი მესამე პირი და ორი დავითია დასახელებული, რაც სოლომონის ანდერძის გადამკეთებლის უყურადღებობას უნდა მიეწეროს (ბურჯანაძე.1948: 279). როგორც ვთქვით ეს უცნობი მესამე პირი გიორგი ალექსანდრე ბატონიშვილის შვილი გიორგი უნდა იყოს.

გადაკეთებული ანდერძის პირველივე მუხლშიც ჩანს, რომ სოლომონ მეფის ანდერძი არსებობდა; „ქ. ჩვენ ხელმწიფის კურთხეულის მეფის სოლომონის ბრძანებულს ანდერძის მსგავსად. ჩვენ მათნი შვილნი დავით და დავით და გიორგი“ (ქიმ. № 327). სიგელში მოხსენიებული სოლომონ მეფის შვილები ვერ იქნებოდა ორი დავითი (დავით არჩილის ძე და დავით გიორგის ძე), ხოლო მესამე პირი გიორგი უნდა იყოს ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი გიორგი. ყალბი სიგელი „სოლომონის ბრძანებულის მსგავსად“ არის დაწერილი, მასში სოლომონ მეფის ანდერძის საკმაო ნაწილია გადმოტანილი. სიგელს აზის მხოლოდ დავით გიორგის ძის ბეჭედი, რაც ადასტურებს სოლომონის ანდერძის გადაკეთებას დავით გიორგის ძის სასარგებლოდ. საბოლოოდ როდესაც 1789 წელს დავით არჩილის ძე ანუ სოლომონ მეორე ტახტზე ავიდა სოლომონ პირვე-

ლის სურვილი მაინც აღსრულდა. რადგან 1784 წელს იმერეთის „სამეფო ტახტი მიიმძლავრა მისმა ბიძაშვილმა დავით გიორგის ძემ, ნამდვილი მემკვიდრე კი ერეკლეს ასულის ელენეს შვილი ათი წლის დავით არჩილის ძე, იმ ხანათ პაპასთან მყოფი“ (ჟორდანია.1967:404) აღმოსავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. ე.ი. ქართული წყაროები ადასტურებენ სოლომონის ანდერძის დარღვევასა და დავით გიორგის ძის მიერ ტახტის მიტაცებას.

სოლომონ მეფის გარდაცვალება მართლაც დიდი დანაკლისი იყო მთლიანად საქართველოსთვის, მისი სახით აღესრულა ოსმალურ აგრესიასთან შეურიგებელი მებრძოლი, რომელსაც ქედი არასოდეს მოუხრია მტრის წინაშე. სოლომონის უდროოდ გარდაცვალებამ და მისი უშუალო მემკვიდრის არარსებობამაც ფრთები შეასხა სოლომონის მოწინააღმდეგეებს და მისი პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულებს. მაგრამ სოლომონის გარდაცვალების შემდეგ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების მხრიდან მეფისადმი პატივისცემა და მადლიერება არასოდეს შეწყვეტილა. სახელოვანი ბიძის მიმართ განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავდა იმერეთის წმინდა მეფე სოლომონ მეორე: „უშჯულოთა მაჰმადიანთა ძირითურთაღმომფხვრელი და ქრისტესთვის მრავალგზის სისხლდათხეული იმერთა მეორე აღმაშენებელი ბატონი ბიძაჩემი მეფე სოლომონ გარდაიცვალა და ვითარცა სურვილი იყო საფარველსა შენსა ეგრეთ მიემთხვა და მრავალმოღვაწე გვამი მისი დაიდვა წმინდა დიდებულსა ტაძარსა შენსა“ (კაკაბაძე. 1921:95–96). სოლომონ პირველის მოღვაწეობას უდიდეს შეფასებას აძლევდა სოლომონ მეორე და, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ უნდა იყოს მის მიმართ გამოთქმული ეპითეტი „იმერთა მეორე აღმაშენებელი“. სოლომონ მეორის დადგენილებით, ბიძის სოლომონ პირველის სულის მოსახსენიებლად ყოველ გიორგობა დღეს გაენათელ ეპისკოპოსსა და კრებულს ჟამის წირვა უნდა აღესრულებინათ. სოლომონ მეორე სხვა სიგელშიც განსაკუთრებით უსვამს ხაზს თავისი ბიძის დამსახურებას ქვეყნის წინაშე, ვინაიდან მან საკუთარი ქვეყანიდან განდევნა აგარიანთა ნათესავი, რომლებსაც დაპყრობილი ჰყავდათ იმერეთი და მრავალი უბედურება შეამთხვიეს ქრისტიან მოსახლეობას. ტყვეთა სყიდვასთან ერთად ოსმალებმა „სხვა მრავალი

უწესობით“ გარყვნეს ქვეყანა და „ქვაბ ავაზაკთა“ სამყოფელად აქციეს. თუმცა სახელოვანმა მეფე სოლომონმა და „საყ-ვარელმან ძმამან ახოანმან ბატონიშვილმან არჩილ, აღიღეს შური ვითა ფინეზმან და განგმირეს გული მათი, მრავალგზის ურიცხუ ლაშქართა წყობითა და სისხლთა მათთა მიერ მორწყეს ქვეყანა თვისი და შემდგომად ციხენიცა მიუხვნეს და სრულიად იავარყვეს და აღმოფხვრეს მიზგითნი მათნი“ (ტყეშელაშვილი. 2016: 23). სოლომონ მეფე ბიძის გარდაცვალების შემდეგ ორი მიზეზის გამო საჭიროდ თვლიდა სოლომონ პირველის სულის საოხად ეზრუნა; პირველი: „ღუწისათ-ვის ამის ქუეყანისა, ვინადგან აგარიანთა მონებისაგან გამოიხსნა“ და მეორე: „და კუალად ამისათვის რომელ მამობისა ადგილი მან აღმოავსო ჩემდა, ვითა პირმშო ძე ეგრეთ მიწადა და შემიტკბო, და შრომითა პოვნილი ტახტი მეფობისა თვისისა, ჩემთვის განა-საკუთრა“(იქვე:23). ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს, რომ სოლომონ პირველმა თავის მემკვიდრედ ძმისშვილი დავით არჩილის ძე დატოვა, რისთვისაც უზომოდ მადლიერი იყო სოლომონ მეორე. სოლომონ მეორემ ბიძის სულის მოსახსენიებლად ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტერში მღვდელი დავით წერეთელი დაადგინა. სო-ლომონ მეფე ზრუნავდა ასევე სოლომონ პირველის ქვრივის გულქან დედოფლის სასარგებლოდ, გულქანის გარდაცვალების შემდეგ კი 1803 წელს დედოფალი გელათში დასავლეთის მხარეს კარიბჭეში დაუკრძალავთ, „ღვთისმშობლის ვედრების ხატის პირისპირ, ხოლო გულქან დედოფლის სულის საოხად სულიწმინდის მოსვლის ყო-ველ შაბათს წირვა უნდა აღსრულებულიყო“ (კაკაბაძე.1921:140). სახელოვანი ბიძის განსაკუთრებულ დამსახურებაზე მეტყველებს ასევე 1792 წლის სიგელის მინაწერი, რომელიც უშუალოდ სოლომონ მეორის მიერ არის შესრულებული: „ივერთა მეორესა აღმაშენებელსა აგარიანთა სისხლთა მრღვნელისა. ტომებით დავითნისა უმაღლესი-სა მეფისა და მამებრ საწყალობლისა ჩემისა ბიძისა და ბატონის, სოლომონ ივერთა მპყრობელისასა აღწერილსა სიგელსა ამას ძე არჩილისა მეორე სოლომონ... ვამტკიცებ“ (ტყეშელაშვილი.2016:24). ასეთი განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული გააჩნდა მად-ლიერ ძმისშვილს მრავალმოღვაწე მეფის მიმართ.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ბიბლიოთეკაში მივაკვლიეთ

ძველი მარხვანის ერთ დაზიანებულ ფურცელს, რომელზეც რამდენიმე მინაწერია შესრულებული.

1. „ქ. ეს მარხვანი მეფის სოლომონის სულის საოხად მის საფლავზე დიდს საყდარში დაიდო ვინც წაიკითხოთ შენდობა ბრძანეთ.
2. სხვა ხელით უფრო ლამაზი კალიგრაფიით: „ქ. ეს მარხვანი ბატონი მეფის სოლომონის სულის საოხად მის საფლავზედ დიდს საყდარში დაიდო და ვინც წაიკითხოთ შენდობა ბრძანეთ. აცხოვნე მეფე ღმერთო.
3. გვერდზე წარწერა „მარხვანი მეფის ...

დღესდღეობით აღნიშნული მარხვანი სად ინახება, უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ სოლომონ მეფის სულის საოხად არაერთი ადამიანი იღვწოდა და, რაც მთავარია, ამ მინაწერებით კიდევ ერთხელ დასტურდება მეფის მიმართ სიყვარული და მზრუნველობა.

სოლომონ დიდის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა ყოფილა დამკვიდრებული ჩხარში. XIX საუკუნეში ჩხარში არსებული ტრადიციით, სოლომონ მეფის საფლავი „იმყოფება ძველი ეკლესიის ნანგრევის შუაგულ და რომლის შესახებ აქაურნი მოსწრებულნი გვარწმუნებენ, რომ ეს იმერეთის მეფის სოლომონის საფლავია“(ივერია. 1894.№ 31). აღსანიშნავია, რომ ამ ეკლესიის საძირკვლის ნაშთები დღესაც შეინიშნება ჩხარში. აქვე ახალ ეკლესიაში დაბრძანებული ყოფილა ხატი წმინდა საბასი, რომელზეც ვრცელი ძნელად გასარჩევი წარწერა ყოფილა, ხატი სოლომონ მეფეს შეუწირავს ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიაზე აფხაზებზე გამარჯვების აღსანიშნავად. აქ მხედველობაშია 1780 წლის რუხის ომი.

სოლომონ მეფის შესახებ არსებობდა ხალხური ლექსები, რომლებშიც მეფის დამსახურებებზეა საუბარი. ერთ–ერთი მათგანის მიხედვით, სოლომონ პირველის საფლავზე შემდეგი წარწერა ყოფილა:

„ამის ავი კაცი ვიყავ ტყვე არ ვის ვაყიდვინეო,
შვიდი წლის ხმელი მამალი ხეს შევსვი და ვაყივლეო,
მწყემსი ვასუქე, ვალაღე, ჩეროს ქვეშ დავაძინეო,
ოსმალთ ქვეყნები წავართვი, მათგან ხარაჯი ავიღე,
ამა საქმისა მოქმედმან ცხრა ადლი ტილო წავიღე“

აღნიშნული ლექსი თითქოს ეხმიანება არსენ იყალთოელის ცნობილ ლექსს დავით აღმაშენებლისადმი, ლექსი გამოქვეყნდა 1883 წელს ჟურნალ იმედში და მასში მოკლედ არის წარმოჩენილი სოლომონ მეფის ღვაწლი სამშობლოს მიმართ. ასეთივე პატივისცემაა გამოხატული XVIII საუკუნის ჟამნის ფურცლებზე, რომელიც ანდერძის სახითაა მიწერილი. მოიხსენე უფალო, ძე მეფე ალექსანდრისა, მეფე სოლომონ, თვით მეფე და მპყრობელი ყოვლისა იმერეთისა, ორთავე შინა ცხოვრებასა, აქაცა და მას საუკუნესაცა, აღამაღლე რქა მორწმუნისა მეფისა მართლმადიდებლისა სოლომონისა და დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი და მბრძოლნი წინაშე ფერხთა მისთა“ (საქ. სახ. მუზ. ხელ. აღწ. IV. 1950:119). წიგნის დამწერად მოხსენიებულია მონა ღვთისა ლაზარე, რომელიც ღვთისაგან ორსავე ცხოვრებასა შინა შეწყალებას ითხოვს, აშკარაა, რომ ამ პიროვნებას სოლომონ მეფის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული ამოძრავებდა, რადგან მან საღვთისმსახურო წიგნებზე ანდერძის სახით მიაწერა, რომ სოლომონ მეფის მოხსენიება არ შეწყვეტილიყო „აქაცა და მას საუკუნესაცა“. ამონიოს ერმისის XVIII საუკუნის თხზულებაზე სოლომონ მეფისადმი მიძღვნილი(ქართ. ხელნ.აღწ.I.1960) შესანიშნავი ლექსია მინაწერი, რომელიც რელიგიური შინაარსისაა:

„ვინ მიწით მბადა მხოლომან,
მანვე მყო მეფედ სოლომან,
„ვის შვენის მარტივ ერთობა, მანვე მიწილა მეფობა.
მეფედ მყო თვისად მქებელად“.
„ვის ყოველნი ტრფიან მქებელად,
მეფედ მყო წრფელად მგებელად“
„მორფი ვარ ცათა მყოფლისა,
მეფე ვარ წუთის სოფლისა“.
„დამხედ მთაყვანი ღმეთისა
მეფე ვარ იმერეთისა“.

ლექსში პოეტის პირით სოლომონ მეფე აცხადებს, რომ მან ღვთისაგან მიიღო ტახტი და სწორედ ღვთისაგან მიიღო უფლება თავის მტრებზე შური ეძია «მეფედ მყო წრფელად მგებელად“. მეფე ასევე აღიარებს, რომ ის არის ღვთის რტო „მორფი ვარ ცათა მყოფლისა“

მაგრამ იგი ამავდროულად წუთისოფლის მეფეც არის. უცნობია ვინ დაწერა ეს ღვთივსულიერი ლექსი, იმერეთის სახელოვან მეფეზე, მაგრამ ავტორს საოცარი მიგნებისა და შეფასების უნარი აქვს და კიდევ ერთხელ ადასტურებს მეფისადმი ღრმა პატივისცემას.

სოლომონ მეფეს განსაკუთრებული შესხმა მიუძღვნა ცნობილმა პოეტმა ბესიკ გაბაშვილმა. ლექსს „სოლომონ მეფის ეპიტაფია“ უწოდა და იგი ძალიან შთამბეჭდავია.

„ადამის ძითმან მიწა თქმისა სმენამან
მომატყვა ხმაი ურჩებითა შვებული,
მომსხლა უწყალმან სამოთხით დავითისით
ვაზი, მწდეველი ქრისტე ჩემისდა სისხლით
ვითნე ბრძანება მეუფისა მეფემან.

სოლომონითმან სოლომონ ნორჩ წარმომან
მეფეთ წინ მეთქვთა სვეტმან და ძემან მათმან
აღვსთქვენ და აღვფხვრენ აგარიან–ოსმანნი
ჩემსა ზე მყოფნი შენ ძლით, ღვთისა დედაო!
ვინაი ვარ მე მიწა მოქენე ბრალთა!

ოდეს ვხედვიდი, თვალ ურულოდცა ვგებდი
განდად მდევნელთა აგარიანთ დევნით;
ვეფხფრთოვანად ბრძარვით ჭანგმოსილ განფხვრა–სვლითა
განძთა მიღებით შევმწირველობდი ძღვენითა
აწ უტყვი სიტყვით მლოცევთ ძემან შენდობად!“.

დიდი პოეტი ეპიტაფიაში სოლომონ მეფის ბიბლიურ წარმომავლობას უსვამს ხაზს და ზეციური ქრისტეს ბრძანებათა შემსრულებლად წარმოაჩენს მეფეს. ხოლო აგარიან–ოსმალთა შემუსვრა სოლომონ მეფეს დედა ღვთისას შემწეობით აღუსრულებია. მეორე სტროფში კი დავით მეფსალმუნის მსგავსად სოლომონ მეფე არარაობად და „ვინაი ვარ მიწად“ მიიჩნევს თავს. მტრის არაერთგზის დამმარცხებელმა მეფემ მრავალი ძღვენი შესწირა უფალს, თუმცა „აწ უტყვი“ უკვე გარდაცვლილი მეფე ლოცვასა და შენდობას თანამედროვეთაგან ითხოვს. როცა ბესიკი ამ ეპიტაფიას წერდა სოლომონ მეფე უკვე გარდაცვლილი იყო. ლექსი წარმოადგენს სიღრმისეულ ანალიზსა და შეფასებას ღვაწლმოსილი მეფის ცხოვრებისა. ამ თვალსაზრისით იგი მართლაც მნიშვნელოვანია, რადგან ბესიკი

მეფის უშუალო თანამედროვე და მეფესთან დაახლოებული პირი იყო.

მ. გონიკიშვილის გამთვლით XIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე იმერულ კომლში საშუალდ 7 სული ითვლებოდა. ამგვარი ანგარიშით, 1782 წლის მონაცემებით (19010 კომლი), იმერეთის მოსახლეობის რაოდენობა 133070 სული უნდა ყოფილიყო (გონიკიშვილი.1 979:14.). იმერეთის მოსახლეობის ესოდენ გაზრდა პირადად სოლომონ მეფის დამსახურება იყო. მისი გამეფებისას 1752 წელს იმერეთის მოსახლეობა დაახლოებით 60-70 ათასი იყო. ტყვეთა სყიდვის აკრძალვამ და ოსმალთა განდევნამ იმერეთის ტერიტორიიდან შესაძლებელი გახადა გაზრდილიყო მოსახლეობის რიცხვი. სოლომონ მეფის მოღვაწეობის დასასრულისას თითქმის გაორმაგდა მოსახლეობა, ქალაქ ქუთაისში დაიწყო ეთნიკურად ქართველების კვლავ დასახლება და გამრავლება.

სწორედ სოლომონ მეფის უდიდესმა ღვაწლმა განაპირობა მისადმი სიყვარული და არაერთი ლექსისა და შესხმის მიძღვნა, რომლებშიც მეფის დამსახურებაა წარმოჩენილი ღვთისა და სამშობლოს წინაშე. სოლომონ მეფის უშუალო დამსახურებითა და მონდომებით აღიკვეთა ტყვეთა სყიდვა დასავლეთ საქართველოში, განიდევნა ოსმალო დამპყრობლები დასავლეთ საქართველოს ციხეებიდან. ოსმალთა განდევნის შედეგად შეწყდა ისლამიზაციის პროცესი იმერეთისა და სამთავროების ტერიტორიებზე, ოსმალთა დასაყრდენი ციხე–სიმაგრეები კი მიწასთან იქნა გასწორებული. სოლომონ მეფის უშუალო დამსახურებით აშენდა და აღდგა მრავალი ეკლესია–მონასტერი, რომლებშიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში მსახურება არ აღესრულებოდა. სოლომონ მეფის მიერ გადახდილი უდიდესი ბრძოლები კი საქართველოს გმირულ მატიანეში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

Levan Tkeshelashvili

Solomon I (the Great) of Imereti

Among the monarchs of Bagrationi Dynasty one can name numerous dignified kings and among them it is noteworthy to mention Solomon I, King of Imereti who worked and lived in XVIII century. By his persistent and deliberate actions he saved the endangered country. In spite of the hardest foreign and internal political situation he proceeded three decades imbued with Christian world view ideology, and directly opposed the Ottoman largest Empire, which for the time being had captured more than one third of the Georgian territory. In addition to the Ottoman›s threat, Georgia was being destroyed by the actions of the unfaithful noblemen, as the existence of the powerful king on the throne was unacceptable to them and at the same time they were involved in «slave trade» which especially weakened West Georgia. In this hardest period a 17- years-old King Solomon I gets the throne and instead of support their own family members confront him, including his grandfather - Levan Abashidze, mother – Tamar Abashidze and uncles - Mamuka Abashidze and Giorgi Bagrationi. Despite so many hardships, the young king was able to overcome all these obstacles and saved the country from destruction. Numerous important issues on the stint of Solomon I have not been explored yet, the general public is unaware of the hero king›s greatest merit before the nation, the king who had the honor to be called «the Other Builder» (second after 'David the Builder') and « the Light of Christians› « by his contemporaries.

Solomon I cared much for the restoration of churches and for making them prettier. As a number of churches had been destroyed to the ground by the Ottomans, and in the majority of them church service was abolished. Scattered and captured were the estates of the Church and they no longer had the material and economic ability to perform their function. Through his policy King Solomon was able to find and return the the captured estates to the Church, which gave the Church the possibility to support King Solomon in the struggle against the enemy. In this sense, the Church is especially important in the struggle against the 'slave trade'.

With his determination and tenacity Solomon I was able to eliminate the nobleman enriched by making problems to other people. King Solomon was still young when he dared to do what his predecessors had not been able to do - soon after his coronation he banned the 'slave trade' and thus made himself be confronted by the noblemen who were involved in this case as the 'slave trade' was a good source of income for them for years and this caused their dissatisfaction. King Solomon also made himself be confronted by the main customer - the Ottoman Empire for it was in the interests of the Impire to restore the 'slave trade' in West Georgia.

1784 წლის 26 აპრილს ანდერძი „მეფის სოლომონის ბრძანებულის ანდერძის მსგავსად“ შედგენილი

ა) ქ. ჩვენ ხელმწიფის კურთხეულის მეფის ბრძანებულს ანდერძის მსგავსად ჩვენ მათნი შვილნი დავით და დავით და გიორგ ესრეთ განცხადებულად უპირველეს ყოველთავე ქვეყნისა ჩვენისა სამღვდელოთა და საეროთა მთავართა და მხედრობათა დიდთა და მცირეთა მდიდართა და გლახაკთა და უღონოთა ესრეთ აღგითქვამთ და მტკიცედ ქველის ბრძანებით გეტყვით.

ღვთის ნებით და მოწყალებით დავით და გიორგი ჭეშმარიტის მამაშვილური სიყვარულით ჩვენთან განუშორებლად უზაკველად და შეერთებულად იყვნენ და მათის მამულს უპატრონებდნენ და ჩვენთან კეთილის რიგით იზრდებოდნენ და მე ამათზედ სიყვარულის შემატებასა და მამა შვილობისა მეტი სხვა სადაო (....) არავისგან მიეცემოდესთ ერთობით დამტკიცებულნი ვიყვნეთ სანამდის ცოცხალნი ვიყვნეთ.

ბ) ქ. მეორედ ყოველთავე ჩვენთა მკვიდრთა სამღვდელოთა და საეროთა ესრეთ ირწმუნეთ რომ რაგვარათაც ჩვენი ხელმწიფე მეფე სოლომონ ტყვის გამყიდველებისათვის თავდადებული და გარჯილი ბრძანებდა. ეგრეთვე ჩვენც ჩვენი თავი და სისხლი ქრისტიანეთათვის არ დავზოგოთ. ჩვენს დროშიდ ტყვის განყიდვა არას მიზეზით აღარ შემოვიდეს და თუ ვისმეს გამოაჩენს ამგვარი საქმე უსჯულოებისა მათისათვის შეუწყალებლად სიკვდილით დატანჯვით ვდევნეთ.

გ) ქ. ბატონი ჩვენი დედუფალი გულქან და ჩვენნი დანი ბატონის შვილები დარეჯან და მარიამ დედისა და დების მსგავსად დედებად ეჰა შევრთოთ და ბრძანდებოდნენ მათის პატიოსნებით და ჩვენ უვლიდეთ შვილსა და ძმასავით და არც რამ ბატონის მეფისაგან მიცემულ სათავო მამულები მიცემულ აქვსთ. ჩვენც ისე დაგვიმტკიცებია და განცხადებულად უწყოდეთ ყოველთა რაოდენ შეძლება გვექნება ამათს სიმშვიდესა და სამსახურს ვეცდებით ვიდრემდის სიცოცხლე გვექნება.

დ) ქ. ჩვენის ბატონის მეფის ბრძანების მსგავსად ერთგულთა ზედა ერთგულად და მწყალობლად ვიყვნეთ და შემცოდეთა

ზედა რიგიანისა და სამართლიანის გზით შერისხვით და განპატიჟებით.

ე) ქ. ამ ჩვენის ქვეყნის აოხრებასა და მეფის ორგულობისათვის სამართლად განდევნილნი რაჭის ერისთავის შვილნი და აბაში-ძენი რომელნიც ორგულნი იყვნენ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენის მეფისა. ისინი მეორედ ამ ქვეყანაში ჩვენის მიზეზით და ჩვენის ყმების მიზეზიტ აღარ შემოვიდნენ და მეორედ საცთური და აღრეულობა და გაურჯულოება აღარ იქნას ჩვენს ქვეყანაშიდ მყოფს კაცისაგან და არც ჩვენგან.

ვ) ქ. წმინდათა ჩვენთა ეკლესიისათვის და სამღვდელოთა ზედა სიყვარულით მოწყალებით შეწევნით და რიგიანის საქმით ვეგნეთ და უსამართლოთა და მათ ზედა მოძალე ხელი არ შეეხოს და რაც შეწირულობის წიგნებით მამულები ქონდესთ ყოველივე დანებდეს და მიეცეს და არა მოეღის (....) ჩვენის მეფობაში და ჩვენს ცხოვრებაში.

ზ) ქ. არც ჩუენის ბატონის კურთხეულის მეფის სოლომონისაგან მისის ოფლით და სისხლით ნაშოვნი და შემატებული ქვეყნები არის. ესენი არაოდეს ჩვენგან სხუათა აღარ მიეცეს სხვათა სამთავროდ აღარ გაიცეს და თუ მიეცეს ვისმე ჩვენისავ ქვეყნის ერთგულს მიეცეს და ბაგრატიონების ოჯახის ერთგულთა. ამათ გარდა სხვები მათი გაცემა არ იქნეს.

ჰაე) ქ. უკანასკნელ ანდერძი და ქონება რომელიც რომ ჩვენმა ბატონმა მეფემ სოლომონ განიზრახა და ქვეყნის სამჯობინრად მისი თავი ოჯახი და ქვეყანა შეავედრა ყ–დ მოწყალის რუსეთის ხელმწიფეს ყოვლის მისის სამღვდელოთა და საეროთ ბეჭდებით. საერთგულო წიგნი მისწერა. ჩვენცა და ჩვენნი მორჩილნიც ერ-თობით ამ კეთილს აზრისა და საქმის ბეჯითობას ეჰა ვეცადნეთ, რომ მათი საფარველი არ ავხადოთ და მათს დიდებულების წინააღმდეგ და მტყუარად არ გამოვსჩნდეთ და ესრეთ ყოველთავე ჩვენ და თქვენ ერთგულთა ჩვენთა. რაოდენიიც დამტკიცების აღგვიწერია და ცხადად სამეფოსა სახლსა შინა ჩვენსა თქვენთვის პირობა მოგვიცემია და თქვენ დაგვირიგებიხართ ისე უნდა ვემსახუროთ ჩვენს ბატონის ბრძანებას და მისგან ამა ნაქნარის ყოვლის კეთილის გზით ერთობით და ერთსულობით უვლიდეთ

და განვაგდებდეთ. რომ ამიერითგან სცნან ყოველთა ერთგულთა და მტერთასა ქვეყნისა ჩვენისათა უკეთუ ამიერითგან ჩვენგან ამაზედ პირობაზედ გარდახდომა ნახოთ ან დიდმა ანუ მცირემან და ჩუენის შეძლებისმებრ ამაზედ გიმტყუნოთ და ესრეთ აწ აღვასრულოთ. ვყვნეთ შეჩვენებულთა შვიდთა სოფლიოთა კრებათაგან და ჩვენ ყ–დ სამღვდელოთა ეპისკოპოსთა და მამათმთავართა და მღვდელთა მიერ და საშინელსა მას ქრისტეს მეორედ მოსვლასა გარდაგვხდეს ამასა შინა ბრალი და უზრუნველობა და ესრეთ მადლითა კაცთმოყვარებითა სახიერისა და მოწყალის ღვთისაგანმცა. შემძლებელ და აღმსრულებელ ვიქმმნეთ ყოვლისავე სიტყვისა და საქმისა ამის ვიდრე საუკუნოდ ამინ. აღიწერა თვესა აპრილსა კვ. ქეს. აქეთ ჩღპდ.

აზის ბეჭედი. ბატონისშვილი დავითი

აღნიშნული ანდერძი 1784 წლის 26 აპრილს არის შედგენილი, სოლომონ მეფის გარდაცვალებიდან მესამე დღეს. ანდერძი დაცულია ქუთაისის მუზეუმში, ისტორიული საბუთები № 327. ანდერძი პირველად ქვეყნდება. საბუთის საფუძველზე ჩვენ დაახლოებით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ სოლომონ მეფის ანდერძზე. თითქმის რვავე მუხლში სოლომონ მეფის „ბრძანებულის ანდერძის მსგავსად“ (რომელიც აღარ არსებობს) დედააზრია გატარებული. ვფიქრობთ ანდერძი მრავალმხრივ არის საინტერესო, რადგან ბატონიშვილები ცდილობენ სოლომონ მეფის აღებული პოლიტიკური გეზი არ შეცვალონ და კვლავ აკრძალონ ტყვეთა სყიდვა. სამშობლოს მოღალატენი კი ქვეყანაში არ დააბრუნონ. ტახტის მემკვიდრენი პირობას ღვთისა და ერის წინაშე დებენ. ანდერძში იგრძნობა დიდი პატივისცემა სოლომონ მეფისადმი.

იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთის ოჯახის გენეაოლოგია

ალექსანდრე V

შვილები: **სოლომონ, დავით, იესე, ბაგრატ, არჩილ.**
მ. სურგულაძის მიხედვით.
სოლომონ, ნარიმ დავით, ბაგრატ, იესე, არჩილ, გიორგი
ქიმ.ისტ.საბ.. №775
სოლომონ, იესე, ბაგრატ, არჩილი, გიორგი და პეტრე
ქიმ.ისტ.საბ.. № 989
სოლომონ, ნარინ დავით, იესე, ბაგრატ, არჩილი და გიორგი.
ხელ.ინსტ. H-1705

სოლომონი I	არჩილი	(იესე ?) **იოსებ კათალიკოს**
↓	↓	
დარეჯან,	დავითი	
მარიამი,	(სოლომონ **II**)	
ალექსანდრე,		
↓		
გიორგი (გოგია)		
უკანონო შვილი		
ალექსანდრესი		

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი ოთხი ვარიანტიდან მხოლოდ ორი ქიმ. №775 და ხელ. ინსტ H-1705 ედრება ერთმანეთს. მათი მიხედვით ალექსანდრე მეფეს ჰყოლია ექვსი შვილი, ქუთაისის მუზეუმის № 989 საბუთის მიხედვითაც ალექსანდრეს ექვსი შვილი ჰყოლია, თუმცა ამ საბუთში დავითის ნაცვლად მოხსენიებულია პეტრე, რომელიც ახალციხეში იყო მძევლად. კათალიკოს იოსების ერისკაცობის სახელი კი სავარაუდოდ იესე უნდა ყოფილიყო.

სოლომონ პირველის ბეჭდები

ძირითადად ცნობილია სოლომონ მეფის ოთხი სახის ოთხკუთხა ბეჭდები. რაც ფიქსირდება ისტორიულ საბუთებზე, რომლებიც დაცულია საქართველოს მუზეუმებსა და არქივებში.

1. სამსტრიქონიანი ბეჭედი მხედრული წარწერით: „მონა მღთისა ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“. აღნიშნული ბეჭედი გვხვდება 1753-1758 წლების საბუთებზე. ხრესილის ომის შემდეგ სოლომონ მეფე თავისუფლდება ოსმალური ტიტულებისაგან.

2. ბეჭედი ოთხკუთხა, ზედა ნაწილი ამოზნექილი, გარშემო მხედრული, შუაში ასომთავრული ლეგენდით: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი, მეფე სოლომონ“. ბეჭედი გვხვდება 1766-1781 წლებში. დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი თავის სახელოვან წინაპართა მსგავსად ჯვარზე ამყარებდა სასოებას.

3. ოთხკუთხა ბეჭედი მხედრული, შუაში ასომთავრული ლეგენდით: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფედ ვარ ბაგრატოანი, სოლომონ“.

4. რვაკუთხა ბეჭედი სამსტრიქონიანი ასომთავრული ლეგენდით: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ ეს ბეჭედი გვხვდება 1761- 1797 წლების საბუთებზე (ბაქრაძე.1969:30-31).

სოლომონ მეფის შეფასება თანამედროვეთა მიერ

იმერეთის მეფე სოლომონ მეორე: ივერთა მეორესა აღმაშენებელს აგარიანთა სისხლთამრღვნელისა. ტომებით დავითნისა. უმაღლესისა მეფესა და მამებრ საწყალობლისა ჩემისა ბიძისა და ბატონისა სოლომონ ივერთა მპყრობელისა... ღუწისათვის ამის ქვეყანისა, ვინადგან აგარიანთა მონებისაგან გამოიხსნა, და კვალად ამისთვის რომელ მამობისა ადგილი მან აღმოავსო ჩემდა.

იოჰან ანტონ გიულდენშტედტი 1772წ. სოლომონი 37 წლისა, ახლანდელი მეფე იმერეთისა, გონიერი, და ჭკვიანი მმართველი. სოლომონი მეფობს მშვიდობიანად, ქვეყანა კი ძალზე მოოხრებული იყო და იმერული და საერთოდ, ქართული სახელმწიფო მმართველობის პირობებში გაუჭირდება მოსულიერება... მიუხედავად ბევრი ტანჯვისა, რაც იმერეთმა 200 წლის განმავლობაში განიცადა თურქებისაგან, მან ძირითადად მაინც შეინარჩუნა (სიწმინდე) იმერეთის ხაზისა ანუ ბაგრატიონთა ძველი გვარისა, რომელსაც ეკუთვნის ახლანდელი მეფე სოლომონიც.

ნიკო დადიანი: ესე პირველი სოლომონ იქმნა მეფედ იმერთა კაცი მხნე, ახოვანი და მამაცობასა შინა ქებული... გარნა მხნე-ახოვანებითა თვისითა დიდათ წინააღმდეგებოდა სოლომონ ოსმალთა, მრავალთა სრვიდა, მრავალთა ხოცდა და მრავალთა ატყვევებდა.

ქაიხოსრო აგიაშვილი: „მეფე დიდ სახელოვანი სოლომონ დავითიანი ღვთისმშობელ თანა დგომითა შენითა სძლო უცხო თესლთა და აღხოცნა სახსენებელნი მათნი ყოვლითურთ“.

ანტონ მურავიოვი: სოლომონ მეფე, 35 წლის, არის შუა ტანის, შავგვრემანი, ულვაშებით, წვერს იპარსავს, ატარებს ნაცრისფერ მაუდის ტანსაცმელს და გამომეტყველება გაბედული და ვაჟკაცური აქვს.

პ. ბუტკოვი: სოლომონ მეფემ „იცოდა მხოლოდ კითხვა, ხალხის მართვა და იყო იშვიათი მონარქი თავის მიწაზე. იყო ძლიერ მამაცი.

გელათის გულანი: „ქ. დიდად სახელოვანი და მრავალნაღვაწი იმერეთისათვის, რომელმან იოტნა უსჯულონი თათარნი და დაუმხვა შეთქმულებანი, სიმტკიცე და მემკვიდრეობანი მათნი, მეფე სულით კურთხეული“.

ზაქარია გაბაშვილი: „უმაღლესო და უდიდებულესო ხელმმწიფეო, სრულიად საიმერეთოსა მეფეო, სოლომონ! კნინი მოხუცი, მოძღვარი ზაქარია მახლობელ გექმნები გონიერითა სულითა და ორთავე უძლეველთა ხელთა მდაბლად ამბორს გიყოფ...“

ოსმალეთის სულთანი მუსტაფა III: „ქრისტიან მფლობელთა შორის სახელგანთქმულ სოლომონს“

სოლომონ პირველის ბრძოლები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით

(ციფრებში მოცემულია მტრის ჯარის რაოდენობა)

პირველი პერიოდი 1757–1763 წწ.

1. ხრესილის ომი..... 1757 წ. 40 000 კაცი
2. ლეკების შემოსევა ..... 1758 წ.
3. ჰაჯი–აჰმედის შემოსევა ..... 1758 წ. 3000 კაცი
4. ჰასან–ფაშას ორი შემოსევა .....1758 წ. მტრის ორივეჯერ დამარცხება
5. მოლა–აბდულა ფაშას შემოსევა ..... 1760 წ.
6. სოლომონი ერეკლესთან ერთად განჯის ასაღებად იბრძვის..... 1760 წ.
7. ოსმალთა მორიგი შემოსევა ..... 1761 წ.
8. ოსმალთა დიდი შემოსევა ..... 1763 წ. 13 000 კაცი

ბრძოლის პირველი პერიოდში 1757–1763 წლებში შემოსეული მტრის საერთო რაოდენობა დაახლოებით 60–70 ათასი კაცს შეადგენდა. შემოსეული მტრის უდიდესი უმრავლესობა სოლომონ პირველის მიერ განადგურებული იქნა. ნაწილი დატყვევებული იქ-ნა, ხოლო მცირე ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. უდიდესი მნიშვნელობის იყო ხრესილის ბრძოლაში მტრის 40 ათასიანი არმი-ის განადგურება.

მეორე პერიოდი 1765–1768 წწ.

9. ოსმალთა დიდი შემოსევა ალი–ბეგისა და ჰასან ფაშას ხელ–ბით. 1765 წ. ..... 80 0000 კაცი (სოლომონ მეფის მეორედ ჩამოგდება ტახტიდან)
10. ჩხარის ომი ..... 1768 წ. მტრისა და მოღალატე მთავრების დამარცხების შემდეგ სოლომონმა ტახტი დაიბრუნა.

მეორე პერიოდი 1765–1768 წლები ურთულესი იყო იმერეთისთვის. სოლომონის ტახტიდან ჩამოსაგდებად იმერეთს თურქთა 80 ათასიანი არმია შემოესია, ამ არმიის ნაწილი 4000 ჯარისკაცი ქუთაისში იქნა დატოვებული, სწორედ მათი დიდი ნაწილი განადგურდა ჩხარის ომში, სადაც მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და მეფობა დაიბრუნა.

მესამე პერიოდი 1769–1772 წწ.

11. დადიანისა და ოსმალთა ჯარის ლაშქრობა იმერეთში.....1769 წ. 9000 კაცი
12. ლეკების შემოსევა იმერეთში ..... 1770 წ. (შორაპნის გარნიზონის დასახმარებლად ლეკები 13 იანვარს გადმოსულან იმერეთში, მაგრამ ისინი
    სოლომონს დაუმარცხებია).
13. 1770 წლის გაზაფხულ–ზაფხულის განმავლობაში სოლომონ მეფის მიერ ცუცხვათისა და ქუთაისის, რუსთა დახმარებით შორაპნისა და ქუთაისის შიდა ციხის განთავისუფლება. (1770 წლის 6 აგვისტოს ფერისცვალება დღეს ქუთაისი განთავისუფლდა თურქთა 120 წლიანი ბატონობისაგან.
14. თურქთა და ლეკთა ჯარის თავდასხმა იმერეთზე .....1772 წ. (ეს თავდასხმა მტრის ერთ-ერთი უცნობი თავდასხმაა იმერეთზე). ამ თავდასხმის დროს შემოყვა ოსმალებს მეთოდი ერისთავი როსტომის ვაჟი.

მესამე პერიოდში 1769 წელს სოლომონ მეფემ მტრის ცხრა ათასიანი არმია დაამარცხა, ამასთანავე მიმდინარე რუსეთ–თურქეთის ომის მსვლელობა კარგად გამოიყენა და იმერეთი გაათავისუფლა ოსმალთა ბატონობისაგან.

მეოთხე პერიოდი 1773–1784 წწ.

15. ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის ერთობლივი ლაშქრობა ჯავახეთში ...1773 წ.
16. ოსმალთა შემოსევა ახალციხიდან, ანუ ჩხერის ომი ..... 1774 წ. 4000 კაცი.
17. რუხის ომი ..... 1779 წ. 11 000 კაცი.
18. ქობულეთის განთავისუფლება– ჩაქვის ომი ..... 1784 წ.

მეოთხე პერიოდი 1773–1784წწ. 1773 წლის ქართველ მეფეთა ლაშქრობას ჯავახეთში – ახალციხის ფაშას მხრიდან საპასუხო ლაშქრობა მოჰყვა იმერეთში, ეს იყო ოსმალთა ბოლო ლაშქრობა ახალციხიდან, შემოსეული მტერი სოლომონმა სასტიკად დაამარცხა. შთამბეჭდავი იყო ასევე სოლომონ მეფის გამარჯვება რუხის ომში, სადაც მან აფხაზები დაიმორჩილა. თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის ბოლო ბრძოლაში პირველ ეტაპზე სოლომონმა დიდ წარმატებას მიაღწია გაათავისუფლა რა ქობულეთი და მისი შემოგარენი ოსმალთა ბატონობისაგან, ეს ბრძოლა კიდევ ერთი ნათელი დასტური იყო სოლომონის თავდადებული ბრძოლისა საერთო ქართული საქმისათვის. სამწუხაროდ მთავრების დადიანისა და გურიელის ღალატის გამო მტერმა ჩასაფრება მოუწყო ჩაქვთან სოლომონ მეფის ჯარს, რომლის დროსაც მეფეს 800 მებრძოლი დაეღუპა, რამაც ძალზე მძიმედ იმოქმედა სოლომონ მეფეზე.

სოლომონ მეფის თანამებრძოლები

სოლომონ მეფემ თავისი 30 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე მრავალი ბრძოლა გადაიხადა მტრის წინააღმდეგ. ეს ბრძოლები უთანასწორო იყო რიცხოვნებისა თუ შეიარაღების მიხედვით, მაგრამ მიუხედავად ამისა თითქმის ყველა მათგანში მეფემ შეძლო გამარჯვება. მეფესთან ერთად მტრის წინააღმდეგ არაერთი ადამიანი იბრძოდა, მათ შესახებ წყაროებმა ზოგიერთი ცნობა შემოგვინახა. მათ შესახებ ჩვენ ნაწილობრივ ხრესილის ბრძოლაზე საუბრისას აღვნიშნეთ. სოლომონ პირველის თანამებრძოლთა შორის უნდა დავასახელოთ პაატა, გიორგი და ბერი წულუკიძეები, რომლებიც ერთგულად ედგნენ მტერთან ბრძოლისას სოლომონ მეფეს. ბერი წულუკიძე მეფესთან ძლიერ დაახლოებული ყოფილა. 1778 წელს კი სოლომონმა ცოლად შეირთო მისი და გულქან წულუკიძე. ალბათ ამის საფუძველზე იგი ძალიან დაწინაურდა მეფის კარზე. ბერი იყო „უზენაესის სათავადოსა და სიმაგრისა მპყრობელი“, „მისანდო ყმა“, რომლის ხელში იყო გაერთიანებული სარდალ-ბოქაულთუხუცესისა და ქუთაისის მოურავის თანამდებობები“ სოსელია.1981:59). ეს მაღალი მდგომარეობა ბერი წულუკიძეს თავისი ერთგულებით, ხმლითა და სისხლით ჰქონდა მოპოვებული. ბერი მძიმედ დაჭრილა ჩაქვის ომში 1784 წელს.

სოლომონ მეფის ერთგულ თანამებრძოლთა შორის უნდა დავასახელოთ წერეთლების საგვარეულო. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი იყო ქაიხოსრო წერეთელი და მისი უმცროსი ძმა ნიკოლოზი. მათი უშუალო თანადგომით 1768 წელს სოლომონ მეფემ ტახტი დაიბრუნა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ფიცისკაცთა“ ინსტიტუტი და მათი როლი მტერთან დაპირისპირებისას. „ფიცისკაცთა“ სამხედრო ორგანიზაცია ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი“ და სხვა აზნაურებისაგან შედგებოდნენ და სოლომონ მეფის დასაყრდენს წარმოადგენდნენ მტერთან ბრძოლაში. ფიცისკაცთა მიახლოებითი რაოდენობა ფოლკლორული გადმოცემის მიხედვით კომლზე ერთი კაცი გამოჰყავდათ და ათასი მეომარიც ასე იკრიბებოდა. იმავე გადმოცემით ფიცისკაცებს განსაკუთრებული ერთობა ჰქონდათ, ომში ერთად შედიოდნენ და ბრძოლიდანაც ერთად გამოდიოდნენ (მენაბდე. 204-2015:51). „ფიცისკაცთა“ სამხედრო ორგანიზაციაში ასევე უნდა ყოფილიყვნენ გლეხებიც, რადგან რაოდენობრივად ათასი კაცის შეკრება, მხოლოდ აზნაურებისაგან წარმოუდგენელი იყო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფიცისკაცთა

ინსტიტუტი სოლომონ მეფის გამეფებამდე უნდა არსებულიყო, რადგან ისინი სოლომონ პირველის გამეფებისას უკვე იხსენიებიან, რაც ალბათ ცალკე კვლევის საგანია. ფაქტი ერთია, თითქმის ამ გასაიდუმლოებულ-მა სამშობლოს დამცველთა ორგანიზაციამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის განთავისუფლების საქმეში.

სოლომონ პირველის მიერ აშენებული და აღდგენილი ეკლესია მონასტრები

1. ქუთაისის სიონი (ბაგრატის) ტაძარი 1770 წლის 6 აგვისტოს ფერისცვალება დღეს განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან. სოლომონ მეფის სურვილით ბაგრატის ტაძრის სამხრეთი კარიბჭე ამოაშენეს და მასში ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია ამოქმედდა.

2. 1758 წელს გელათის მონასტერი ლეკების თავდასხმის გამო დაზიანებულა. სოლომონ მეფეს საკუთარი ხარჯით „რკინის ყავრულით“ გადაუხურავს გელათის მონასტერი. მანვე გაათა-ვისუფლა გელათის მონასტერი გადასახადებისაგან და ოსმალთა ბატონობის პერიოდში მიტაცებული მამულები და საეკლესიო ყმები დაუბრუნა გელათს.

სოლომონ მეფე ზრუნავდა **გელათის მაცხოვრის სახელობის სოხასტრის** მონასტერზე. მან ასევე მამულები შესწირა გელათის მაცხოვრის სახელობის ეკვდერს.

3. სოლომონ მეფის უშუალო დამსახურებით განთავისუფლდა და აღდგა **ხონის საეპისკოპოსო ტაძარი** 1761 წელს.

4. 1760–იანი წლებიდან სოლომონ მეფის ბრძანებით მსახურება აღსდგა **ჯრუჭის მონასტერში**, რაჭის ერისთავს როსტომსა და ქაიხოსრო წერეთელს ჯრუჭი ციხესიმაგრედ ჰქონიათ გადაქცეული.

5. ქუთაისის ციხეში ოსმალთა დამკვიდრებისა და ბაგრატის ტაძარში მსახურების შეწყვეტის გამო, სოლომონ მეფის ბრძანებით ქუთაისთან ახლოს **მაღლაკში** აიგო **ქუთაისის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია**, რომელშიც უნდა ყოფილიყო დაბრძანებული პალიასტომის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი.

6. 1782 წელს სოლომონ მეფემ გადასახადებისაგან გაათავისუფლა **გამოჩინებულის** ეკლესია, რომელშიც დაამკვიდრა ოსმალთაგან დევნილი **ხინოწმინდელი ეპისკოპოსი.**

7. სოლომონ მეფის მიერ 1770–იან წლებში კაცხში აიგო სვეტიცხოვლის სახელობის ეკლესია.

8. სოლომონ მეფის უშუალო ინიციატივით რაჭაში ააგეს ჭალატყის ეკლესიაც.

სოლომონ მეფის მოღვაწეობის პერიოდში 1752–1784 წლებში არაერთი ეკლესია–მონასტერი განთავისუფლდა გადასახადებისაგან და მეფის უშუალო ბრძანებებით მამულები დაუბრუნა.

ბაგრატის ტაძარი, სამხრეთი კარიბჭე, ღვთისმშობლის შობის ეკლესია



სოლომონ I–ის ხელრთვა და გეჭედი





მაქსიმე კათალიკოსის მინაწერი და ბეჭედი



სოლომონ II-ის მინაწერი სოლომონ I-ზე

ქუთაისის ციხე. ბაგრატის ტაძარი 1738 წელი

სოლომონ I-ის დროინდელი ზარბაზნები, ქუთაისის მუზეუმი


ᲠᲝᲜᲘ
ᲮᲠᲔᲡᲘᲚᲘᲡ ᲝᲛᲘ
ᲡᲐᲜᲓᲘᲚᲘ
ᲠᲝᲜᲘ
ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐ

იოსეგ კათალიკოსის საფლავი გელათში
იოაკიმე და ანას სახელობის ტრაპეზის ქვეშ

სოლომონ I-ის საფლავი, გელათის მთავარი ტაძარი

იოსეგ კათალიკოსის ტახტი
გელათის მთავარი ტაძარი

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთელავა ი. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის. თბ.1977.
2. ახალციხური ქრონიკები. დღიური მატიანე. რედაქტორი ნუგზარ პაპუაშვილი. თბ. 2015.
3. ბაგრატიონი თეიმურაზი. ახალი ისტორია. თბ. 1962.
4. ბარათაშვილი იესე ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა. თბ. 1950.
5. ბატონიშვილი ბაგრატ. ახალი მოთხრობა. ბატონიშვილი დავით ახალი ისტორია. თბ.1941.
6. ბატონიშვილი იოანე. კალმასობა. ტომი პირველი. ტფ. 1936.
7. ბატონიშვილი ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე. თბ. 1913.
8. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ.1973.
9. ბაქრაძე ა. ქართული ბეჭდები. პალეოგრაფიული ძიებანი II. თბ.1969.
10. ბერძენიშვილი ნ.საქართველოს ისტორიის საკითხები. წგ.II. თბ.1965.
11. ბერძენიშვილი ნ.საქართველოს ისტორიის საკითხები. წგ.VI. თბ.1973.
12. ბოჭორიძე გ. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქართველოს მუზეუმის შრომები 1931–1932 ტფ. 1933.
13. ბურჯანაძე შ. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი 1752-1768 წწ. კრ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები №41. თბ. 1950.
14. ბურჯანაძე შ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია–დიშის სამთავროებისა (1460–1770 წწ). წგ.I.თბ.1959.
15. ბურჯანაძე შ. ლიხთ–იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე I.თბ.1959.
16. ბურჯანაძე შ. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784–1789 წწ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე II.თბ.1960.

17. ბურჯანაძე შ.იმერეთის სამეფო 1768–1784 წლებში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე I II.თბ.1961.
18. ბლიაძე ევ.ქუთაისი XVII–XVIII საუკუნეებში. წგ. ქუთაისი XIII საუკუნის 60–იანი წლებიდანXX საუკუნის 20–იან წლებამდე. ქუთ. 2013.
19. ბოჭორიძე გ. იმერეთის ისტორიული ძეგლები. თბ.1995.
20. გაბაშვილი ბესარიონ. თხზულებათა სრული კრებული. ტფ. 1921.
21. გადაღმელი. კორესპონდენცია დაბა ჩხარის შესახებ. გაზ.ივერია 1894. №31.
22. გიგინეიშვილი ო. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბ.1982.
23. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. პირველი. თბ. 1962.
24. გონიკიშვილი მ.იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე. თბ. 1979.
25. გუგუშვილი ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში. ჟრ. მნათობი. ტფ.1938 წ. № 11.
26. დადიანი ნიკო. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ თბ. 1962.
27. ეფრემიძე თ. ხონის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე (173?-1822). ქუთ. 2014.
28. თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ. 1902.
29. თაყაიშვილი ექ, ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ გაძრახვა მისი. სახელმწიფოსთვის მმართებლობისა. მოამბე. 1902 . №2.
30. იმერთა მეფის სოლომონ I–ის საფლავზედ დაწერილი. ჟრ. იმედი 1883 № 111.
31. იმერეთის მეფე სოლომონ დიდი.1895:40
32. ისაკაძე რ. ქუთაისი XV–XVIII საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). დისერტაცია. 2006.
33. კაკაბაძე ს. თავგადასავალი იესე ოსესშვილისა. ტფ.1913.
34. კაკაბაძე ს. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. ტფ. 1914.

35. კაკაბაძე ს. საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ I–ის დროს. ტფ.1914.
36. კაკაბაძე ს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წგ.I.ტფ.1921
37. კაკაბაძე ს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წგ. II.ტფ.1921.
38. კაკაბაძე ს. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. (1500-1810 წწ.). ტფ.1922.
39. კაკაბაძე ს. ქუთაისის ციხის ოსმალების მეთაურთა ვინაობისათვის XVIII საუკუნეში. წიგ. საისტორიო კრებული. ტ.3.ტფ.1928.
40. კანდელაკი სიკო. თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი.. აკაკის კრებული 1899. № 7. განყ. II.
41. კეზევაძე მ. გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს. ქუთ. 2006.
42. კეზევაძე მ. ქუთაისის ტოპოგრაფია და ქუჩების პოზიციები XIX საუკუნის 30-იან წლებში. წგ. ქუთაისი XIII საუკუნის 60–იანი წლებიდანXX საუკუნის 20–იან წლებამდე.ქუთ. 2013.
43. მათურელი ი. იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთის რუკა. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. IX. ქუთ.1949.
44. მასალები საქართველოს ისტორიისათვის– შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმების 1744–1840 წწ. 1905.
45. მაჭარაძე ვ. ასპინძის ბრძოლა. თბ. 1957.
46. მაჭარაძე ვ. ბესიკი დიპლომატიურ ასპარეზზე. თბ. 1968.
47. მენაბდე მ. „ფიცისკაცთა“ ინსტიტუტის საკითხისათვის. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. კრებ. XXIV-XXV. ქუთ. 2014-2015.
48. მეფე სოლომონ იმერეთისა, დიდ სოლომონად წოდებული. გაზ. კვალი. 1895. №23–29.
49. მეფე სოლომონ I–ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.გაზ. კომუნარი. 1959 ამბროლაური № 96.
50. მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა ომან მდივან–ბეგისაგან. წგ.ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის. ნაწ. მეორე. გამოც. მ. ჩუბინოვისაგან. სანკტ. პეტერბ.1854.

51. მურუსიძე მ. რაჭის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება XI საუკუნიდან XX საუკუნის მეორე მეოთხედამდე. ქუთ. 2016.
52. მცირე ქრონიკები. (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა. თბ. 1968.
53. მჭედლიძე გ. კეზევაძე მ. ქუთაის გაენათის–გაენათის ეპარქია. ქუთ. 2008.
54. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ.1975.
55. რეხვიაშვილი მ. იმერთა მეფენი სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე. ქუთ.1992.
56. რეხვიაშვილი მ. იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ). თბ. 1989.
57. სამუშია ჯ, ხრესილის ომი. ჟრ. არსენალი. 2007 წ. № 12 (41).
58. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ.1973.
59. საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII–XVIII სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთანდილ იოსელიანმა. თბ. 1980.
60. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა ტ. II. თბ.1957
61. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა ტ. II. თბ.1951.
62. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა ტ. IV. თბ.1950.
63. საქართველოს სიძველენი. ტ. III.ექ. თაყაიშვილის რედაქციით. ტფ.1913.
64. სიხარულიძე ქ. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. თბ.1964.
65. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი. ისტორიული ნარკვევი. ფედერაცია. 1936.
66. სოსელია ო. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში. თბ. 1940.

67. სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ–პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). I. თბ. 1973.
68. სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ–პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). II.თბ. 1981.
69. სურგულაძე მ. ბაგრატიონთა სამეფო სახლი. გენიალოგიური ტაბულები შეადგინეს: მ. სურგულაძე და მ. ქავთარიამ. თბ.1995.
70. ტყეშელაშვილი გ. გელათის სიწმინდეები. ქუთ. 2006.
71. ტყეშელაშვილი ლ. საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი დოსითეოსი და ექვთიმე. თბ. 2005.
72. ტყეშელაშვილი ლ. გელათი–მეორე იერუსალიმი სხვა ათინა. ქუთ.2007.
73. ტყეშელაშვილი ლ. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე – სამშობლოსათვის თავდადებული. ქუთ.2016.
74. ტყეშელაშვილი ლ. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი. ჟრ. მწვანეყვავილა. ქუთ. 2016 №4.
75. ქართული ეკლესია და მისი სიძველეები (1810-1825 წ.წ.) თბ. 1992.
76. ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.დოლიძემ. თბ.1970.
77. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ტ. I. S კოლექცია. თბ. 1960.
78. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ტ.VI. თბ. 1969.
79. ქიქოძე გ. მოგონებები. სიტყვები და წერილები. თბ. 1956.
80. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ხელნაწერთა აღწერილობა II. 1964.
81. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წგ. 3. თბ. 1967.
82. ცქიტიშვილი ზ. საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი XVIII ს. II ნახევარი XIX ს. დამდეგი. თბ. 1980.
83. ძველი საქართველო. ტ. II. ექ. თაყაიშვილის რედაქციით. ტფ.1913.
84. წმინდა გიორგის რაზმი. აკაკის კრებული. 1898 №9.

85. ხელაია ამბროსი. მოგზაურობა რაჭა–ლეჩხუმში. წგ.მწიგნობრობა ქართული. 12. თბ. 2011.
86. ხერხეულიძე პაპუნა. საქართველოს ცხოვრება. წგ. ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის. ნაწ. მეორე. გამოც. მ.ჩუბინოვისაგან. სანკტ. პეტერბ.1854.
87. ყიფიანი მ. იმერეთის მეფე სოლომონ მეორეზე. ჟურ. ცის-კარი.1859№ 12. გვ.351. ტექსტში.
88. ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია. თბ. 1894.
89. ჯაფარიძე ან. საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგ.I. თბ. 2003.
90. Акти Кавказской Археографическои комисий Том.ІТиф 1866.
91. Бакрадзе Д. Археологическое путешествие Гурий и Адчаре Спб. 1878.
92. Бурнашев К. Картина Грузий или описание Политического состаианий царствь Картлинского и Кахетинскго Тиф. 1896.
93. Бутков П. Материали для новои историй кавказа сь 1722 по 1803 годь ч.IIСпб. 1869.
94. Бутков П. Материали для новои историй кавказа сь 1722 по 1803 годь ч. III Спб. 1869.
95. Дубровин Н. Историн Н История воины и владичества Рускихь на Кавказе Том II Срб 1886.
96. Мйравов Грузиа И Армениа т III
97. Жорданиа Ф. Пят Грузинскихь историрическихь хроникь Духовний вестник Грузинского екзархата. 1903 № 15-16.
98. Соколов А. Путешествие мое Имеретию сь линий Кавказской. Москва 1874
99. Переписка на иностранныхь язикахь Грузинскихь цареи сь Росиискими государями оть 1659 г по 1770 г Спб. 1861.
100. Цагарели А. Грамоты и Другие историрические документы XIX столетия относящися кь Грузий Том. I Срб. 1891
101. Цагарели А. Грамоти и Другие историрические документы XIX столетия относящися кь Грузий Том. I Срб. 1898
102. Церетели Г. Полное собрание надписей на стенах и камняхь и приписокь кь рукописямь Гелатского монастирыя Москва 1891.
103. Manvelichvili Al Hisoire De Georgie Paris.1956
104. Lang D. M. Count Todleben's Expededition to Georgia 1769-1771. Bsoas, 1951, xiii/4.

ქუთაისის ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმი

ისტორიული საბუთები: № 100,118,123, 131,128, 327,596, 775, 815, 842, 864, 869, 873,913,946, 989, 996, 1361, 1834.

ქიმ. ს.მ. 77. შოთა ბურჯანაძე. სოლომონ I (პოლიტიკური მიმოხილვა) ისტორიის მეცნიერებათა კანდიდასტის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბ.1948.

საქართველოს საისტორიო არქივი

ფონდი 1448 საქმე № 2165, 2167, 3412.

ფონდი 1451 საქმე № 16.

წიგნის ყდაზე მერი მიქელაძე-ბაგრატიონის ნახატი, სოლომონ პირველი 1951 წელი. დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

აიწყო და დაკაბადონდა
ი/მ „მამუკა ფოფხაძის“ მიერ
მის: ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის #186
ტელ: 0431 23 45 54

ISBN 978-9941-429-94-1